სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეძვთიმე თაყაიშვილის სახელობის
საქართველოს საისტორიო საზოგადოება
აფხაზეთის ორგანიზაცია

ია ჯიჭონაია

„ქართლის ცხოვრება“ VII-XII საუკუნეების საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის პოლიტიკური ურთიერთობების შესახებ

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი – 2012

UDC (უაკ) 94(479.22:470.6)+94(479.22)(093)
ჯ-41

წიგნში მონოგრაფიულადაა შეწავლილი *„ქართლის ცხოვრების“* VII-XII საუკუნეების ამსახველი ქართული მატიანეების ცნობები ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებსა და ყივჩაყებზე, მათთან საქართველოს ურთიერთობებზე და ნაჩვენებია ამ მასალების წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა. ახლებურად გაშუქებული და დაზუსტებულია მოცემული პერიოდის საქართველო-ჩრდილოეთ კავკასია-ხაზარეთისა და საქართველო-ყივჩაყების ურთიერთობების ცალკეული საკითხები.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისა და საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ ფართო მკითხველთათვის.

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ზურაბ პაპასქირი**

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
გივი წულაია
ისტორიის დოქტორი, პროფესორი
ლია ახალაძე
ისტორიის დოქტორი, პროფესორი
ბეჟან ხორავა

© **ია ჯიჭონაია**

ISBN 978-99941-10-525-8

შესავალი

ქართლის ცხოვრების“ – შუა საუკუნეების ქართული ისტორიული აზროვნების ამ სწორუპოვარი ძეგლის, ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმთავრესი საისტორიო წყაროს, ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლა თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის (და არა მხოლოდ ისტორიოგრაფიის) ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანათაგანია. დაწყებული XIX საუკუნიდან, როდესაც სახელოვანმა ფრანგმა მეცნიერმა, რუსეთის საიმპერატორო აკადემიის აკადემიკოსმა, მარი ბროსემ პირველი დიდი კვალი გაავლო *„ქართლის ცხოვრების“* მეცნიერული შესწავლის საქმეში,[1] ისტორიკოსთა და ფილოლოგთა არაერთმა თაობამ იღვაწა ნაყოფიერად ამ მიმართულებით.

თვისობრივად ახალი ეტაპი *„ქართლის ცხოვრების“*, როგორც საისტორიო წყაროს შესწავლის საქმეში, დაიწყო 1884 წლიდან, როდესაც დ. ბაქრაძემ აღმოაჩინა კრებულის პირველი ვახტანგამდელი (ე.წ. „მარიამისეული“) ხელნაწერი, რითაც მთლიანად გაქარწყლდა ო. სენკოვსკი-ქ. პატკანოვის[2] უსაფუძვლო მტკიცებანი *„ქართლის ცხოვრების“* XVIII საუკუნემდე არარსებობის შესახებ.[3]

---

[1] ზოგიერთი მკვლევრის (გ. წულაია) აზრით, *„ქართლის ცხოვრების“* მეცნიერული შესწავლის დასაწყისად უნდა ჩაითვალოს XVIII საუკუნის დამდეგი, როდესაც ვახტანგ VI-ის მიერ შექმნილმა „მეცნიერ კაცთა“ კომისიამ მოამზადა *„ქართლის ცხოვრების“* ახალი რედაქცია. იხ.: **Леонтий Мровели.** Жизнь Картлийских царей. *Извлечения об абхазах, народах Северного Кавказа и Дагестана.* Перевод с Древнегрузинского, предисловие и комментарии ***Г. В. Цулая.*** М., 1979, გვ. II.

[2] **О. П. Сенковски.** Некоторые сомнения касательно истории грузинов. – *Библиотека для чтения*, т. XXX, отд. III. СПб., 1838; **К. П. Патканов.** О древней грузинской хронике. – *Журнал Министерства Народного Просвещения*, ч. 130, декабрь, 1883.

[3] დ. ბაქრაძე. პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები. – *„იერია“*, №7-8, 1984.

XIXს. მიწურულიდან *„ქართლის ცხოვრებას“* აქტიურად იკვლევდნენ იმჟამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის საუკეთესო წარმომადგენლები: თ. ჟორდანია,[1] მ. ჯანაშვილი,[2] ე. თაყაიშვილი.[3] ამ უკანასკნელმა გამოსცა *„ქართლის ცხოვრების“* მარიამისეული ხელნაწერი. მოგვიანებით მანვე გამოსცა სუმბატ დავითის ძის თხზულების კრიტიკული ტექსტი გამოკვლევითურთ.[4]

„ქართლის ცხოვრების“ შესწავლის საქმეში სრულიად განსაკუთრებულია თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მამამთავრის, აკად. ივანე ჯავახიშვილის დამსახურება. ივ. ჯავახიშვილმა გარდა იმისა, რომ მიაკვლია *„ქართლის ცხოვრების“* ვახტანგამდელი პერიოდის მანამდე უცნობ ორ (ე.წ. „ანასეულ“ და „ჭალაშვილისეულ“) ხელნაწერს, მოგვცა კრებულის შედგენილობის სქემა, რომლითაც (მიუხედავად მისი პირობითობისა) დღემდე სარგებლობს ქართული ისტორიოგრაფია. მანვე აღადგინა ე.წ. თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულების *„ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისის“* ტექსტი.[5] და,

---

[1] *ქრონიკები* და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი ***თ. ჟორდანიას*** მიერ, წ. I. ტფ., 1892; **თ. ჟორდანია.** კრიტიკული განხილვა „ქართლის ცხოვრების“ მეორე ნაწილისა. – წგნ.: **თ. ჟორდანია.** ქრონიკები, III. თბ., 1967, გვ. 556-596.

[2] **მ. ჯანაშვილი.** აღვადგინე, ანუ „სამი ისტორიული ხრონიკისა“ და „წმინდა ნინოს ცხოვრების“ გასაგებ-შესასწორებელი სახელმძღვანელო. ტფ., 1891.

[3] **ე. თაყაიშვილი.** სამი ისტორიული ქრონიკა, ტფ., 1890; **Е. С. Такаишвили.** Источники грузинских летописей. – Три Хроники. – *Сборник материалов описания местностей и племен Кавказа*, вып. XVIII. Тифлис, 1900.

[4] **ე. თაყაიშვილი.** „ქართლის ცხოვრება“, მარიამ დედოფლის ვარიანტი. ტფ., 1906; **ე. თაყაიშვილი.** სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ. ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით და ორი გენეალოგიური ტაბულით ***ე. თაყაიშვილმა.*** – *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*, ნაკე. 27. თბ., 1949.

[5] **ბასილი ეზოსმოძღვარი.** ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი. **ივ. ჯავახიშვილის** გამოცემა. – *ენიმკის მოამბე*, XIV. თბ., 1944.

რაც მთავარია, ივ. ჯავახიშვილი პირველი მეცნიერია, რომელმაც მოგვცა როგორც მთლიანად *„ქართლის ცხოვრების“*, ისე მასში შემავალი მატიანეების სრულფასოვანი წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული დახასიათება.[1]

საინტერესო დაკვირვებები *„ქართლის ცხოვრების“* მატიანეებზე ჰქონდათ ს. ჯანაშიასა[2] და ნ. ბერძენიშვილს.[3] *„ქართლის ცხოვრების“* მატიანეების ისტორიულ-ფილოლოგიურ შესწავლას მიუძღვნეს ნაშრომები კ. კეკელიძემ[4] და პ. ინგოროყვამ.[5] ამასთან, კ. კეკელიძეს ეკუთვნის *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“* ტექსტის აღდგენა და გამოცემა, აგრეთვე აღნიშნული მატიანის რუსულად თარგმნა და გამოცემა.[6] *„ქართლის ცხოვრების“* მატიანეებს იკვლევდა ს. კაკაბაძეც.[7]

---

[1] **ივ. ჯავახიშვილი.** ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. – *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტ. VIII. თბ., 1977.

[2] **С. Н. Джанашия.** История термина „Картли“. – *Шромебн*, ტ. VI. თბ., 1988.

[3] **ნ. ბერძენიშვილი.** საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IX. თბ., 1979.

[4] **კ. კეკელიძე.** ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსი და მისი ისტორია. – *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, ტ. IV. თბ., 1957. **კ. კეკელიძე.** ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები. – *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, ტ. XII. თბ., 1973; **კ. კეკელიძე.** „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ როგორც ლიტერატურული წყარო. – *რუსთაველის კრებული*. თბ., 1938; **კ. კეკელიძე.** ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I. თბ., 1980, ტ. II. თბ., 1981.

[5] **პ. ინგოროყვა.** ლეონტი მროველი ქართველი ისტორიკოსი VIII საუკუნისა. – *ენიმკის მოამბე*, X. თბ., 1941; **პ. ინგოროყვა.** ძველი ქართული ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა, – *თხზულებანი*, ტ. IV. თბ., 1978.

[6] *ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი*. ცდა ტექსტის აღდგენისა, *კ. კეკელიძის* რედაქციითა და გამოკვლევით. თბ., 1941; *История и восхваление венценосцев*. Грузинский текст перевёл, предисловием и примечанием снабдил ***К. С. Кекелидзе***. Тб., 1954.

[7] **ს. კაკაბაძე.** ძველი ქართული მატიანეები. – *საისტორიო მოამბე*, I. ტფ., 1924; **С. Какабадзе.** О древнегрузинских летописцах XI столетия. Тифлис, 1912.

„ქართლის ცხოვრების“ მეცნიერული შესწავლის საქმეში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის აკად. ს. ყაუხჩიშვილს. მეცნიერი ათეული წლების მანძილზე დიდი რუდუნებით სწავლობდა *„ქართლის ცხოვრების“* ხელნაწერებს. ჯერ კიდევ 1942 წელს მან განახორციელა *„ქართლის ცხოვრების“* უძველესი ანასეული ნუსხის პუბლიკაცია,[1] ხოლო 1955 და 1959 წლებში გამოსცა *„ქართლის ცხოვრების“* კრიტიკულად დადგენილი ტექსტი.[2] *„ქართლის ცხოვრების“* ს. ყაუხჩიშვილისეული გამოცემის ორივე ტომს წამძღვარებული აქვს მეცნიერის შესავალი წერილები, რომლებშიც გაშუქებულია როგორც ზოგადად კრებულის, ისე მასში შემავალი ცალკეული მატიანეების წყაროთმცოდნეობითი პრობლემები.

„ქართლის ცხოვრებას“ საგანგებოდ იკვლევდა ცნობილი ქართველი ისტორიკოსი კ. გრიგოლია, რომელმაც ამ პრობლემატიკას არაერთი მონოგრაფია[3] და სტატია[4] მიუძღვნა. საინტერესო წყაროთმცოდნეობითი დაკვირვებები ჰქონდა აკად. გ. მელიქიშვილს.[5] XXს. 60-90-იან წლებში *„ქართლის ცხო-*

---

[1] *ქართლის ცხოვრება.* ანა დედოფლისეული ნუსხა, *ს. ყაუხჩიშვილის* რედაქციით. თბ., 1942.

[2] *ქართლის ცხოვრება.* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით *ს. ყაუხჩიშვილის* მიერ, ტ. I, თბ., 1955, ტ. II, თბ., 1959.

[3] კ. გრიგოლია. ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან. *ახალი ქართლის ცხოვრება.* თბ., 1954; კ. გრიგოლია. რას მოგვითხრობს „ქართლის ცხოვრება“, მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა, თბ., 1971; გ. გრიგოლია. თამარის კიდევ ერთი მემატიანე-ისტორიკოსი, თბ., 1977.

[4] კ. გრიგოლია. ლეონტი მროველი XI ს-ის ქართველი ისტორიკოსი და მისი შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა. – *თსუ შრომები,* ტ. 27, თბ., 1960; კ. გრიგოლია. „მატიანე ქართლისა“ და მისი დასათაურების საკითხი, – *ივანე ჯავახიშვილის 100 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილი კრებული.* თბ., 1976 და სხვ.

[5] Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии. Тб., 1959, გვ. 28-47; გ. მელიქიშვილი. საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის წყაროები. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* ტ. I. თბ., 1970, გვ. 50-60.

ვრების“ კრებულისა და მისი მატიანეების წყაროთმცოდნეობითი პრობლემების ნაყოფიერ კვლევას ეწეოდნენ ცნობილი ქართველი მკვლევრები: ვ. დონდუა,[1] ივ. ლოლაშვილი[2], რ. კიკნაძე,[3] ნ. შოშიაშვილი,[4] ე. ხოშტარია-ბროსე,[5] ილ. ანთე-

---

[1] **ვ. დონდუა.** „ეფხისტაოსანი“ და თამარის ისტორიკოსები. – *საქართველო რუსთაველის ხანაში.* რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1966, გვ. 228-241.

[2] **ივ. ლოლაშვილი.** რუსთაველი და თამარის ისტორიკოსთა ვინაობის პრობლემა (რუსთველოლოგიური ძიებანი, 3), თბ., 1961.

[3] **რ. კიკნაძე.** „ქართლის ცხოვრების“ შესწავლის ისტორიიდან. – წგნ.: *რ. კიკნაძე.* საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები, I, თბ., 1982; **R. Kiknadze.** Из истории изучения „Картлис цховреба“. – წგნ.: **R. Kiknadze.** Очерки по источниковедению истории Грузии. Тб., 1980; **რ. კიკნაძე.** ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. თბ., 1975; **რ. კიკნაძე.** ჟამთააღმწერელი და მისი „ასწლოვანი მატიანე“. – წგნ: ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო *რევაზ კიკნაძემ.* თბ., 1987, და სხვ.

[4] **ნ. შოშიაშვილი.** „ანასეული ქართლის ცხოვრების“ პირის გადაწერის თარიღი, – *მრავალთავი,* V, 1975, გვ. 45-55; **Н. Шошиашвили.** Некоторые вопросы создания „Картлис цховреба“. – *Актуальные проблемы изучения и издания письменных исторических источников.* Тезисы докладов, Тб., 1986 გვ. 107-108; **ნ. შოშიაშვილი.** „ქართლის ცხოვრების“ ახალი გამოცემის ძირითადი პრინციპები. – *ანამარი.* ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი. თბ., 2002, გვ. 338-339. ნ. შოშიაშვილმა, მ. სანაძესთან ერთად, გამოსცა ლეონტი მროველისა და ჯუანშერ ჯუანშერიანის თხზულებების ადაპტირებული ტექსტი (იხ.: *ქართლის ცხოვრება.* ტექსტის ადაპტაცია, ბოლოთქმა და განმარტებები ეკუთვნით: *მანანა სანაძეს* და *ნოდარ შოშიაშვილს,* წ. I, თბ., 1994, წ. II, თბ., 1998), ხოლო ილ. ანთელავასთან ერთად ე.წ. „ძველი ქართლის ცხოვრება“ (იხ.: *ქართლის ცხოვრება.* „ძველი ქართლის ცხოვრება“. გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა და ტერმინთა განმარტება დაურთეს *ი. ანთელავამ* და *ნ. შოშიაშვილმა.* თბ., 1996).

[5] **ე. ხოშტარია-ბროსე.** „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ციკლის შესწავლის შედეგები და ტექსტში არსებული მინაწერების ინტერპრეტაციის ცდა. – *ქართული წყაროთმცოდნეობა,* VIII. თბ., 1993; **ე. ხოშტარია-ბროსე.** ლეონტი მროველის წყაროებისა და „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ციკლის შედგენილობის სა-

ლავა,[1] ა. ბოგვერაძე,[2] ა. ბარამიძე,[3] გ. წულაია,[4] გ. ალასანია,[5] გ. ანჩაბაძე,[6] ა. აბდალაძე,[7] ე. აბაშიძე,[8] გ. არახამია,[9] ვ.

კითხისათვის. – *მრავალთავი*, ტ. XVI. თბ., 1991; ე. **ხოშტარია-ბროსე**. ლეონტი მროველი და „ქართლის ცხოვრება". თბ., 1996.

[1] **ილ. ანთელავა**. მასალები „მატიანე ქართლისას" ტექსტის დადგენისა და ინტერპრეტაციისათვის. – წგნ.: ***ილ. ანთელავა***. საქართველოს საისტორიო-წყაროთმცოდნეობითი ძიებანი, თბ., 2002; **ილ. ანთელავა**. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ვინაობისათვის. – წგნ.: ***ილ. ანთელავა***. საქართველოს საისტორიო-წყაროთმცოდნეობითი ძიებანი, თბ., 2002; **ილ. ანთელავა**. ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის თხზულების დათარიღებისათვის. – წგნ.: ***ილ. ანთელავა***. საქართველოს საისტორიო-წყაროთმცოდნეობითი ძიებანი, თბ., 2002; **ილ. ანთელავა**. მასალები „ისტორიანი და აზმათა" ტექსტის დადგენისა და ინტერპრეტაციისათვის. – წგნ.: ***ილ. ანთელავა***. საქართველოს საისტორიო-წყაროთმცოდნეობითი ძიებანი, თბ., 2002; **ილ. ანთელავა**. შენიშვნები „ქართლის ცხოვრების" ტექსტისათვის. – წგნ.: ***ილ. ანთელავა***. საქართველოს საისტორიო-წყაროთმცოდნეობითი ძიებანი, თბ., 2002.

[2] **ა. ბოგვერაძე**. „ქართლის ცხოვრების" პირველი მატიანე და მისი ავტორი, – *ქართული ისტორიოგრაფია*, ტ. I. თბ., 1968.

[3] **ა. ბარამიძე**. „ქართლის ცხოვრების" შესწავლის ისტორიიდან. – *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*, ნაკვ. 34. თბ., 1966.

[4] **Леонтий Мровели.** Жизнь Картлийских царей. Извлечения..; *Летопись Картли*. Перевод, введение и примечания ***Г. В. Цулая***, Тб., 1982; **Джуаншер Джуаншериани.** Жизнь Вахтанга Горгасала. Перевод, введение и примечания Г. В. Цулая, Тб., 1986; *Анонимный грузинский «Хронограф»* XIV *века*. Перевод со старогрузинского ***Г. В. Цулая***. Вып. *1:* Тексты. М. 2005.

[5] **Г. Г. Аласания.** Классификация грузинских письменных источников. Тб., 1986.

[6] **გ. ანჩაბაძე**. ჯუანშერი და მისი „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა". – *მაცნე*, ისტორიის... სერია, №4, 1987, გვ. 184-188.

[7] **ა. აბდალაძე**. ქართლის ცხოვრება და საქართველო-სომხეთის ურთიერთობა. თბ., 1982.

[8] **ე. აბაშიძე**. ქართლის ცხოვრების წარმოქმნისა და განვითარების საკითხები. თბ., 1993.

[9] **გ. არახამია**. „ქართლის ცხოვრების" დასაწყისი ნაწილის შედგენილობის შესწავლის მეთოდისათვის. – *მაცნე*, ისტორიის... სერია, №4, 1987; **გ. არახამია**. „მეფეთა ცხოვრების" ტექსტის და-

გოილაძე,[1] ზ. პაპასქირი[2] და სხვ. განსაკუთრებით უნდა ავღნიშნოთ *„ქართლის ცხოვრების“* შესწავლაში აკად. მ. ლორთქიფანიძის წვლილი. მან გამოაქვეყნა *„მატიანე ქართლისაჲსა“* და სუმბატ დავითის ძის თხზულების რუსული თარგმანები,[3] რომელთაც დაურთო ვრცელი წყაროთმცოდნეობითი მიმოხილვა. გარდა ამისა, მ. ლორთქიფანიძემ გამოსცა უაღრესად

დგენის ზოგიერთი საკითხი. – *მაცნე*, ისტორიის_ სერია, №1, 1989; გ. არახამია. სუმბატ დავითის-ძე და მისი ისტორიული თხზულება, – წგნ.: **სუმბატ დავითის ძე.** ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *გ. არახამიამ* თბ., 1990. გ. არახამია. „ქართლის ცხოვრების“ პირველი მატიანე (წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა), ნაწ. I. თბ., 2002.

[1] **ვ. გოილაძე.** ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი. თბ., 1991.

[2] **ზ. პაპასქირი.** ისტორიკოსი სუმბატ დავითის ძე და XI ს. პირველი მესამედის საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი, საბჭოთა საქართველოს 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში ახალგაზრდა მეცნიერთა III რესპუბლიკური კონფერენციის მასალები, თბ., 1981, გვ. 97-101; **ზ. პაპასქირი.** დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ზოგიერთი ცნობის სანდოობის საკითხისათვის, საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების შესწავლის საკითხები. რესპუბლიკური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი-ქუთაისი, 1994; **ზ. პაპასქირი.** ეინ იყო „ერისთავი ჩიხისა“. „მატიანე ქართლისაჲ“-ს ტექსტში ერთი კონიექტურის შეტანის მიზანშეწონილობის შესახებ. – *ქართული წყაროთმცოდნეობა.* XI. თბ., 2006, გვ. 64-71; **ზ. პაპასქირი.** „მატიანე ქართლისას“ ერთი ცნობის გაგების საკითხისათვის. – *აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, ტ. I, თბ., 1983, გვ. 136-144; **З. В. Папаскири.** „Варанги“ грузинской „Летописи Картли“ и некоторые вопросы русско-грузинских контактов в XIв. – *История СССР*, №3, М.,1981, გვ. 164-169; **З. В. Папаскири.** К толкованию одного сообщения „Летописи Картли“. – *Актуальные проблемы изучения и издания письменных источников.* Всесоюзная научная сессия. Тезисы докладов. Тб., 1982, გვ. 67-68.

[3] *Матиане Картлиса.* Перевод, введение и примечания *М. Д. Лордкипанидзе.* Тб., 1976; **Сумбат Давидис-дзе.** История и повествование о Багратионах. *Перевод, введение и примечания М. Д. Лордкипанидзе.* Тб., 1979.

საჭირო წიგნი – *„ქართლის ცხოვრების“* ერთგვარი სახელმძღვანელო, რომელშიც გარკვეულწილად შეჯამებულია *„ქართლის ცხოვრების“* ირგვლივ არსებული მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა.[1]

ეს არის არასრული სია *„ქართლის ცხოვრების“* მეცნიერული შესწავლის ირგვლივ არსებული ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობისა.[2] როგორც ამ მცირე მიმოხილვიდანაც ჩანს, *„ქართლის ცხოვრების“* წყაროთმცოდნეობითი პრობლემები ქართულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ კარგადაა დამუშავებული. უფრო მეტიც, ძნელია მოიძებნოს კრებულის წყაროთმცოდნეობითი თუ ისტორიოგრაფიული შესწავლის თვალსაზრისით რაიმე კონკრეტული ასპექტი, რომელიც მკვლევართა ყურადღების გარეშე იყოს დარჩენილი. მიუხედავად ამისა, ნამდვილად არ შეიძლება იმის თქმა, რომ *„ქართლის ცხოვრების“* მეცნიერული შესწავლა-დამუშავება დასრულებული იყოს. გასაკეთებელი ჯერ კიდევ საკმაოდაა.

„ქართლის ცხოვრება“, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ძველი და შუა საუკუნეების პერიოდის საქართველოს ისტორიის ძირითადი წყაროა. მასში მეტ-ნაკლები სისრულით აისახა საქართველოს ისტორიული წარსული უძველესი დროიდან დაწყებული დამთავრებული XVIIIს. დამდეგით. მაგრამ *„ქართლის ცხოვრების“* წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა მხოლოდ საქართველოს ისტორიით არ შემოიფარგლება. ქართული მატიანეები იძლევიან პირველხარისხოვან მასალას მეზობელი ქვეყნებისა და ხალხების წარსულზეც, მათ ურთიერთობებზე ქართულ პოლიტიკურ სამყაროსთან. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია *„ქართლის ცხოვრების“* მა-

---

[1] მ. ლორთქიფანიძე. რა არის „ქართლის ცხოვრება“. თბ., 1989.

[2] 2008წ. მეცნიერთა ჯგუფმა აკად. რ. მეტრეველის ხელმძღვანელობით გამოსცა *„ქართლის ცხოვრების“* ახალი კრიტიკული რედაქცია, რომელსაც დართული აქვს *„ქართლის ცხოვრების“* სრული ბიბლიოგრაფია (შეადგინა ვ. სილოგავამ). იხ.: *ქართლის ცხოვრება*. მთ. რედაქტორი *რ. მეტრეველი*. თბ., 2008, გვ. 731-781.

ტიანეთა მასალები ჩრდილოეთ კავკასიაზე, იქ მოსახლე ტომებსა და სახელმწიფოებრივ გაერთიანებებზე. *„ქართლის ცხოვრების“* მასალების განსაკუთრებული წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა ამ თვალსაზრისით უწინარეს ყოვლისა, განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებმა შუა საუკუნეებში ვერ შექმნეს საკუთარი წერილობითი საისტორიო ტრადიცია და მათი ისტორიის აღდგენა შესაძლებელი ხდება მხოლოდ უცხოური წერილობითი წყაროების მონაცემების საფუძველზე, რომელთა შორის პირველ ადგილზე დგას შუა საუკუნეების ხანის ქართული ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობა მისი სწორუპოვარი ძეგლის, *„ქართლის ცხოვრების“* კრებულის, სახით.

„ქართლის ცხოვრების“ მატიანეთა ცნობები ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებსა და ქვეყნებზე, დიდი ხანია, აქტიურად გამოიყენება ჩრდილოეთ კავკასიის ისტორიით დაინტერესებულ მკვლევარ-ისტორიკოსთა მიერ. პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით ჯერ კიდევ XIXს. მიწურულს გადაიდგა. ამ საქმის ერთგვარ პიონერად გვევლინება ცნობილი ისტორიკოსი მ. ჯანაშვილი, რომელმაც თავის დროზე შეკრიბა და რუსულად გამოსცა ქართული მატიანეების ცნობები ჩრდილოეთ კავკასიასა და რუსეთზე.[1] ჩვენს დროში ამ მიმართულებით ინტენსიურად მუშაობს გ. წულაია.[2] წარმოდგენილი ნაშრომი არის ამ კვლევის ერთგვარი გაგრძელება და კიდევ ერთი მცდელობა მოცემული მიმართულებით *„ქართლის ცხოვრების“* მატიანეთა მა-

---

[1] **М. Джанашвили.** Известия грузинских летописей о Северном Кавказе и России. – *Сборник по описанию местностей и племён Кавказа*, вып. 22. Тифлис, 1897.

[2] **Г. В. Цулая.** Ранний цикл свода грузинских летописей „Картлис цховреба“. *Анализ этнокультурной проблематики.* Автореферат докторской диссертации. М., 1988; **Леонтий Мровели.** Жизнь Картлийских царей... ამ თვალსაზრისით, აგრეთვე, საინტერესოა: **Г. В. Цулая.** „Житье св. Нины“ как источник по истории народов Кавказа. – *მაცნე,* ისტორიის, არქეოლოგიის... სერია, №3, 1979; **Г. В. Цулая.** Грузинский «Хронограф» XIV в. о народах Кавказа. – *Кавказский этнографический сборник*, т. VII М., 1980;

სალების შემდგომი წყაროთმცოდნეობითი დამუშავებისა.

კონკრეტულად, ჩვენ გავაანალიზეთ VII-XIIIს. დამდეგის ისტორიის ამსახველი მატიანეების ცნობები ჩრდილოეთ კავკასია-ხაზარეთთან და ყივჩაყ ტომებთან საქართველოს ურთიერთობების შესახებ. ესენია: *„მატიანე ქართლისადმ“* წოდებული თხზულება,[1] XIს. ისტორიკოსის სუმბატ დავითის ძის ქრონიკა,[2] დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის,[3] ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის[4] და თამარ მეფის ისტორიკოსთა თხზულებები.[5]

როგორც უკვე აღინიშნა, *„ქართლის ცხოვრების“* მატიანეები კარგა ხანია აქტიურად გამოიყენება ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ისტორიული წარსულისა და მათთან საქართველოს ურთიერთობების კვლევისას. ბუნებრივია, ამ მხრივ გამონაკლისს არ შეადგენს ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული

---

[1] *მატიანე ქართლისა.* – *ქართლის ცხოვრება.* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ, ტ. I. თბ., 1955.

[2] **სუმბატ დავითის ძე.** ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა. – *ქართლის ცხოვრება.* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ, ტ. I. თბ., 1955; **სუმბატ დავითის ძე.** ცხორებაი და უწყებაი ბაგრატონიანთა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ***გ. არახამიამ.*** თბ., 1990

[3] **დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი.** ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. – *ქართლის ცხოვრება,* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ, ტ. I, თბ., 1955; *ცხორება მეფეთ-მეფისა დავითისი.* ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ***მ. შანიძემ.*** თბ., 1992.

[4] *ლაშა-გიორგის დროინდელი მატიანე.* – *ქარიილის ცხოვრება,* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ, ტ. I, თბ., 1955.

[5] *ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი.* – *ქართლის ცხოვრება,* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ, ტ. II. თბ., 1959; *ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი.* – *ქართლის ცხოვრება,* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ, ტ. II. თბ., 1959.

ქრონიკებიც. პირველი მეცნიერი, რომელმაც ამ მხრივ საგანგებო ყურადღება მიაქცია *„ქართლის ცხოვრების“* ჩვენთვის საინტერესო მატიანეების მასალებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იყო მ. ჯანაშვილი. VII-XII საუკუნეების საქართველოს საგარეო პოლიტიკის, კერძოდ, ჩრდილოეთის ქვეყნებთან მისი ურთიერთობების გაშუქებისას *„ქართლის ცხოვრების“* მასალებს სათანადო ყურადღებას უთმობდა აკად. ივ. ჯავახიშვილი.[1] სწორედ ამ მასალებზე აგებდნენ ძირითადად თავიანთ მსჯელობებს საქართველოს ურთიერთობებზე ჩრდილოეთ კავკასია-ხაზარეთთან და ყივჩაყურ ტომებთან ს. ჯანაშია[2] და ნ. ბერძენიშვილი.[3] იგივე ითქმის შ. მესხიაზეც, რომელიც მთელ რიგ ნაშრომებში საგანგებოდ შეეხო ჩრდილოეთის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის საკითხებს XII საუკუნეში და გამოთქვა უაღრესად საყურადღებო მოსაზრებები.[4]

„ქართლის ცხოვრების“ მატიანეებს გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერ-

---

[1] ეს ანალიზი ძირითადად მოცემულია ივ. ჯავახიშვილის *„ქართველი ერის ისტორიის“* მე-2 წიგნში (იხ.: **ივ. ჯავახიშვილი.** თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II. თბ., 1983).

[2] იხ. ს. ჯანაშიას მიერ *„საქართველოს ისტორიის“* სახელმძღვანელოსათვის დაწერილი თავები (**ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, ივ. ჯავახიშვილი.** საქართველოს ისტორია, თბ., 1943). გარდა ამისა, ჩვენი კელევის მიზნებისათვის უაღრესად საინტერესოა ს. ჯანაშიას ნაშრომი: „О времени и условиях возникновения Абхазского царства“ იხ.: **ს. ჯანაშია.** შრომები, ტ. II. თბ., 1952.

[3] ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ნ. ბერძენიშვილის რეცენზია იასე ციცაძის სადოქტორო დისერტაციაზე. იხ.: **ნ. ბერძენიშვილი.** საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. V. თბ., 1971.

[4] **შ. მესხია.** ძლევაჲ საკეირველი. თბ., 1972; იხ. აგრეთვე: **შ. მესხია.** შოთა რუსთაველის ეპოქა. *საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარება რუსთაველის ეპოქაში.* – საიუბილეო კრებ. *„თბილისის უნივერსიტეტი შოთა რუსთველს“*. თბ., 1966; **შ. მესხია.** შენიშნები ძველი რუსეთისა და საქართველოს ისტორიიდან (პროფ. იასე ციცაძის წერილის გამო). – *მნათობი,* №I, თბ., 1970. იგივე პუბლიკაცია იხ. აგრეთვე: **შ. მესხია.** საისტორიო ძიებანი, ტ. III. თბ., 1986.

თობების მკვლევარნი: ზ. ანჩაბაძე,[1] გ. თოგოშვილი,[2] ა. შავხელიშვილი,[3] მ. ცინცაძე,[4] ჯ. სტეფნაძე,[5] თ. მიბჩუანი,[6] ზ. პაპასქირი[7] და სხვ. *„ქართლის ცხოვრების“* მასალები ფართოდაა გამოყენებული ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ისტორიის ამსახველ განმაზოგადებელი ხასიათის გამოცემებში. ამ მხრივ, პირველ რიგში, აღსანიშნავია ქართველ ისტორიკოსთა მიერ ზ. ანჩაბაძის ხელმძღვანელობით განხორციელებული პუბლიკაცია,[8] აგრეთვე ჩრდილოეთ ოსეთის, დაღესტნის, ჩეჩენ-ინგუშეთის, ყაბარდო-ბალყარეთისა და ადიღეს ისტორიის ნარკვევები.[9]

---

[1] **З. В. Анчабадзе.** Кипчаки Северного Кавказа по данным грузинских летописей XI-XIV веков. – *Материалы научной сессии по проблеме происхождения балкарского и карачаевского народов.* Нальчик, 1960; **ზ. ანჩაბაძე.** მ. ცინცაძე. საქართველო და ჩრდილოეთ კავკასია XII საუკუნესა და XIIIს. I ნახევარში. – *საქართველო რუსთაველის ხანაში.* თბ., 1966.

[2] **გ. თოგოშვილი.** საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან. *უძველესი დროიდან XIVს. დამლევამდე.* სტალინირი, 1958; **გ. თოგოშვილი.** ვახუშტი ბაგრატიონი ოსეთისა და ოსების შესახებ, თბ., 1977.

[3] **А. И. Шавхелишвили.** Из истории взаимоотношений между грузинским и чечено-ингушскими народами.*С древнейших времен до XV века.* Грозный, 1963.

[4] მ. ცინცაძე. საქართველო-ადიღეს ურთიერთობის ისტორიიდან. თბ., 1982.

[5] ჯ. სტეფნაძე. საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან XII საუკუნეში. თბ., 1974.

[6] **თ. მიბჩუანი.** მეგობრობის სათავეებთან. თბ., 1986.

[7] **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских политических взаимоотношений. Тб., 1982.

[8] **ზ. ანჩაბაძე, თ. ბოცვაძე, გ. თოგოშვილი, მ. ცინცაძე.** ჩრდილოეთ კავკასიის მთიელ ხალხთა ისტორიის ნარკვევები, ტ. I. თბ., 1969.

[9] **Г. А. Кокиев.** Очерки по истории Осетии, ч. I. Владикавказ, 1926; *История Северо-Осетинской АССР.* М., 1958; *История Северо-Осетинской АССР.* С древнейших времен до наших дней, т. I. Орджоникидзе, 1987; *История Дагестана,* т. I. М., 1967; *История Кабардино-Балкарской АССР,* I. М., 1961; *Очерки Истории Чечено-Ингушской АССР,* т. I. Грозный, 1967; *Очерки истории Адыгеи.* Майкоп, 1957 და ა.შ.

„ქართლის ცხოვრების“ მატიანეთა მონაცემების ფონზე საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიისა და საქართველო-ყივჩაყების ურთიერთობების არაერთ საკითხზეა საგანგებოდ ყურადღება გამახვილებული აკად. რ. მეტრეველის შრომებში.[1] ამავე მასალებზე დაყრდნობით, საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობების ზოგადი სურათი ნაჩვენებია აკად. მ. ლორთქიფანიძის განმაზოგადებელი ხასიათის ნარკვევებში.[2] საინტერესო დაკვირვებები საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობების ცალკეულ ასპექტებზე აქვს აკად. დ. მუსხელიშვილს.[3]

წარმოდგენილ ნაშრომში, შესაძლებლობისამებრ, უყურადღებოდ არაა დატოვებული და მაქსიმალურადაა გათვალისწინებული *„ქართლის ცხოვრების“* მატიანეების ჩვენთვის საინტერესო ცნობების ირგვლივ ზემოთ დასახელებულ მკვლე-

---

[1] **რ. მეტრეველი.** დავით IV აღმაშენებელი. *ეპოქის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-კულტურული ისტორიის მიმოხილვა.* თბ., 1990; **რ. მეტრეველი.** მეფე თამარი. თბ., 1991; **რ. მეტრეველი.** საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობები XI საუკუნის მიწურულსა და XII საუკუნის I მეოთხედში. დავით აღმაშენებლის დიპლომატია. – *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები.* ტ. I. თბ., 1998; **რ. მეტრეველი.** საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XII საუკუნის 30-80-იანი წლების დამდეგს, – *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები.* ტ. I. თბ., 1998; **რ. მეტრეველი.** საქართველოს სახელმწიფო საერთაშორისო არენაზე XII საუკუნის მიწურულსა და XIII საუკუნის დამდეგს. თამარ მეფის დიპლომატია, – *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები.* ტ. I. თბ., 1998 და სხვ.

[2] **მ. ლორთქიფანიძე.** ახალი ფეოდალური სამეფო-სამთავროების წარმოქმნა, – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* ტ. II. თბ., 1973; **მ. ლორთქიფანიძე.** საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება Xს. 80-იანი წლებიდან XIს. 80-იან წლებამდე. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* ტ. III. თბ., 1979; **მ. ლორთქიფანიძე.** საქართველო XIს. ბოლოსა და XIIს. პირველ მეოთხედში. დავით IV აღმაშენებელი. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები,* ტ. III. თბ., 1979; **М. Д. Лордкипанидзе.** История Грузии XI – начала XIII века. Тб., 1974.

[3] **დ. მუსხელიშვილი.** საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I. თბ., 1977, II. თბ., 1980.

ვართა მიერ გამოთქმული მოსაზრებები. ამასთან, ჩვენ შევეცადეთ, აქცენტი გადაგვეტანა ცალკეულ (განსაკუთრებით არაქართველ) მეცნიერთა მხრიდან *„ქართლის ცხოვრების“* მატიანეთა ამა თუ იმ ცნობის იგნორირების ან არასწორი, ტენდენციური ინტერპრეტაციის ფაქტებზე. კერძოდ, ნაშრომში მოცემულია ლ. ლავროვის,[1] ბ. სკიტსკის,[2] ვ. კუზნეცოვის,[3] ა. და გ. ფიოდოროვების,[4] გ. თოგოშვილისა[5] და სხვა მკვლევართა თვალსაზრისის კრიტიკა საქართველო-ოსეთის, საქართველო-ყივჩაყების ურთიერთობების ცალკეულ საკითხებზე.

სწორედ ამ უკანასკნელმა გარემოებამ, ანუ საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობების გაშუქებისას ქართული წყაროების, პირველ რიგში, *„ქართლის ცხოვრების“* მონაცემებისადმი ზედმეტად კრიტიკულმა დამოკიდებულებამ ცალკეულ მკვლევართა მხრიდან გვიბიძგა, კიდევ ერთხელ გაგვეანალიზებინა VII-XII საუკუნეების ამსახველი ქართული მატიანეების უკლებლივ ყველა ცნობა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებსა და ყივჩაყებზე, მათთან საქართველოს ურთიერთობებზე და გვეჩვენებინა ამ ცნობების წყაროთმცოდნეობითი სანდოობა. ეს არის ამგვარი ხასიათის ნაშრომის შექმნის პირველი ცდა. დღემდე ფაქტობრივად არავის უცდია, თავი მოეყარა ამ კუთხით *„ქართლის ცხოვრების“* მატიანეების ცნობებისათვის[6] და მოეცა მათი ყოველმხრივი წყაროთმცოდ-

---

[1] **Л. И. Лавров.** Обези русских летописей. – *Советская этнография*, №4, 1946.

[2] *История Северо-Осетинской АССР.* М., 1958.

[3] **В. А. Кузнецов.** Алания в X-XIIIвв. Орджоникидзе, 1971.

[4] **Я. А. Федоров, Г. С. Федоров.** Половцы-кипчаки на Северном Кавказе. – *Вопросы истории Дагестана.* Досоветский период, т. III. Махачкала, 1975.

[5] **გ. თოგოშვილი.** საქართველო-ოსეთის...; **გ. თოგოშვილი.** ვახუშტი ბაგრატიონი ოსეთისა და ოსების შესახებ, ...

[6] *„ქართლის ცხოვრების“* მატიანეთა ცნობები ოსეთსა და ოსებზე შეტანილია კრებულში: *История Осетии в документах и материалах* (С древнейших времен до XVIIIв.). Составители ***Г. Д. Тогошвили и И. Н. Цховребов,*** т. I. Цхинвали, 1962.

ნეობითი და ისტორიოგრაფიული ანალიზი. წარმოდგენილი ნაშრომის მთავარი სიახლე სწორედ ამაში მდგომარეობს. გარდა ამისა, მასში საგანგებოდაა ყურადღება გამახვილებული და დაზუსტებულია VII-XII საუკუნეების საქართველო-ჩრდილოეთ კავკასია-ხაზარეთისა და საქართველო-ყივჩაყების ურთიერთობების ცალკეული ასპექტები:

1. ნაშრომში გაზიარებულია ხაზართა სამეფოსა და „აფხაზეთის ერისთავის“ ლეონ II-ის სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის შესახებ *„მატიანე ქართლისაჲს“* თხზულებაში მოცემული ცნობის ს. ჯანაშიასეული ინტერპრეტაცია და გამოთქმულია მოსაზრება, რომ ლეონ II-ის ანტიბიზანტიური დემარში, შესაძლებელია, საერთოდ ინსპირირებული იყო ხაზართა ხაკანის მიერ.
2. გიორგი I-ის ე.წ. „მეორე ცოლის“ ოვსთა მეფის ასულის ალდეს შესახებ *„მატიანე ქართლისაჲს“* ცნობაზე მსჯელობისას აღნიშნულია ამ მოვლენის ერთგვარი მსგავსება XIIIს. შუა ხანებში დავით VII ულუს ოჯახში მომხდარ ფაქტთან, კერძოდ, მეფისათვის *„შვილიერების ძალით ალთუნ, ნათესავით ოვსი“*-ს „მოყვანებასთან“ და ყურადღება ექცევა დავით ულუს „საყვარლის“ – ალთუნისა და გიორგი I-ის ცოლის – ალდეს სახელთა ერთნაირ ჟღერადობას. ამასთან დაკავშირებით, ნაშრომში ძირითადად გაზიარებულია გიორგი I-ის მიერ „მეორე ცოლის“ მოყვანის პოლიტიკური მოტივების ზ. პაპასქირისეული ახსნა, თუმცა ალდეს „კანონიერი ცოლობა“ მაინც ეჭვქვეშაა დაყენებული. აქედან გამომდინარე, არასწორადაა მიჩნეული ალდეს „დედოფლად“ მოხსენიება, რასაც ადგილი აქვს ზოგიერთ საცნობარო გამოცემაში (*„ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“*, *„ქართული დიპლომატიური ლექსიკონი“*).
3. ახალი არგუმენტებითაა გამაგრებული მოსაზრება

იმის შესახებ, რომ დავით აღმაშენებლის 5-ათასკაციანი გვარდია – „მონა-სპა“ არ იყო ყივჩაყებისაგან დაკომპლექტებული. ამ შემთხვევაში ყურადღება ექცევა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის განმარტებას: „და თუთ ყივჩაყნიცა უმრავლესნი ქრისტიანე იქმნებოდეს“, რომელიც უშუალოდ მოსდევს ცნობას, რომ „მონანი რომელ ჰყვეს რჩეულნი და განსწავლულნი ღუაწლსა, ვითარ ზუთიათასი კაცი“, იყვნენ *„ყოველნი ქრისტიანე ქმნულნი, მისანდონი და გამოცდილნი სიმჴნითა“*.

4. ნაშრომში ვრცლად და ამომწურავადაა გაშუქებული თამარის მეორე ქმრის – ოვსი უფლისწულის დავით-სოსლანის წარმომავლობის საკითხი; გადასინჯულია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული თვალსაზრისი იმის შესახებ, თითქოს *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“* ავტორის მიერ დავით-სოსლანის „ეფრემის ძეობის“ აღნიშვნა შეფარვით თამარის მეორე ქმრის ღირსების შელახვას ისახავდა მიზნად. ახალი არგუმენტების მოშველიებით დადასტურებულია დავით-სოსლანის *„ორთაჲ კერძოთა გუართაგან“* ბაგრატიონობა.

ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს VII-XII საუკუნეების საქართველოს ისტორიის ამსახველი მატიანეები. აქედან გამომდინარე, ნაშრომის უმთავრესი წყარო სწორედ ეს მატიანეებია. მათ გარდა, საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობების ცალკეული საკითხების დასაზუსტებლად მოხმობილია, როგორც საკუთრივ ქართული, ისე უცხოური (სომხური, ბიზანტიური, ძველი რუსული, აღმოსავლური და ა.შ.) წერილობითი წყაროების მონაცემები. ინფორმაცია მათ შესახებ მოცემულია ნაშრომის შესაბამის ნაწილებში.

I თავი. XI საუკუნის ისტორიკოსები ჩრდილოეთის ქვეყნებსა და მათთან საქართველოს ურთიერთობების შესახებ

§1. „მატიანე ქართლისაჲს“ მასალები ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებისა და საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობების შესახებ (VIII-XI საუკუნეები)

ჩრდილოეთის ქვეყნებსა და VIII-XII საუკუნეების საქართველო-იმიერკავკასიის ურთიერთობების შესახებ *„ქართლის ცხოვრების“* ცნობების განხილვას ვიწყებთ მისი ერთერთი ყველაზე საინტერესო ნაწილის – *„მატიანე ქართლისაჲს“* მასალების ანალიზით.

„მატიანე ქართლისაჲ“, როგორც ცნობილია, ივ. ჯავახიშვილმა უწოდა უცნობი ავტორის მიერ დაწერილ საისტორიო ქრონიკას, რომელიც იწყება ქართლის ერისმთავარ არჩილის მოწამებრივი სიკვდილით[1] (დაახლოებით, VIIIს. შუა ხანები)[2] და მთავრდება გიორგი II-ის მიერ (XIს. 70-იანი

---

[1] როგორც ცნობილია, ივ. ჯავახიშვილი, ამ შემთხვევაში, ხელმძღვანელობდა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულების ერთი ადგილით, რომელშიც მემატიანე ქართველთა „ორგულ ბუნება“-ზე მსჯელობისას ახსენებს *„ძველ მატიანე ქართლისა“*-ს (იხ.: **დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი.** ცხოვრება მეფეთ-მეფისა დაჳთისი. – *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ, ტ. I. თბ., 1955, გვ. 358), რომელშიც თითქოს მოთხრობილია მოცემული შეფასების დამადასტურებელი ფაქტები (**ივ. ჯავახიშვილი.** ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 199-201).

[2] ისტორიოგრაფიაში არ არის ერთი აზრი იმის შესახებ, თუ როდის აღესრულა წმიდა მოწამე არჩილი. ჩვენ ვემხრობით მოსაზრებას, რომლის მიხედვით, ეს მოვლენა დათარიღებულია დაახლოებით, VIIIს. შუა ხანებით. ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: **დ. მუსხელიშვილი.** ციხე-ქალაქი უჯარმა. თბ., 1966, გვ. 95; **ა. ბოგვერაძე.** ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIIIსს. თბ., 1979, გვ. 100-104; **А. А. Богве-**

წლების შუა ხანები) სამხრეთ საქართველოს ტერიტორიების შემომტკიცებით. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ XXს. 20-იან წლებში გამოითქვა, ჩვენი აზრით, საფუძვლიანი ეჭვი აღნიშნული მატიანის ამგვარი დასათაურების მიზანშეუწონლობის შესახებ,[1] ივ. ჯავახიშვილის მიერ შემოთავაზებული სახელწოდება მყარად დამკვიდრდა ისტორიოგრაფიაში, თუმცა, ცალკეული მკვლევრები ცდილობენ კორექტივების შეტანას *„მატიანე ქართლისაჲს“* ქრონიკის დასათაურების საკითხში.[2]

радзе. Раннефеодальные грузинские государства в VI-VIII вв., – *Очерки истории Грузии*, т. II. Тб., 1988, გვ. 180-181; თ. პაპაუშვილი. რანთა და კახთა სამეფო, თბ., 1982, გვ. 134-141; **М. М. Гунба.** Абхазия в первом тысячелетии н.э. *Социально-экономические и политические отношени.*, Сухуми, 1989, გვ. 219-229.

[1] აკად. კ. კეკელიძის თვალსაზრისით, სულაც არ არის აუცილებელი, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიერ ნახსენებ *„ძველ მატიანე ქართლისა“*-ში ვიგულისხმოთ ერთი რომელიმე კონკრეტული საისტორიო ქრონიკა, რომლის სახელწოდებაც თითქოს იყო *„მატიანე ქართლისა“*. მეცნიერის აზრით, დავითის ისტორიკოსს მხედველობაში ჰქონდა ზოგადად ქართველთა ისტორია, გადმოცემული ლეონტი მროველისა და ჯუანშერ ჯუანშერიანის თხზულებებში. იხ. *კ. კეკელიძე.* ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსი და მისი ისტორია. – წგნ.: *კ. კეკელიძე.* ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. IV, თბ., 1957, გვ. 187-192. უკანასკნელ ხანს, ამ საკითხს შეეხო გ. წულაია, რომელმაც, პირიქით, დაადასტურა ივ. ჯავახიშვილის შეხედულება იმის შესახებ, რომ *„ძველ მატიანე ქართლისა“*-ში მითითება ერთ კონკრეტულ ნაწარმოებზეა. იხ.: **Г. В. Цулая.** Источниковедческие проблемы „Летописи Картли“. – *Летопись Картли.* Перевод, введение и примечания *Г. В. Цулая.* Тб., 1982, გვ. 23-24, 27.

[2] 60-იან წლებში ა. ბოგვერაძემ, ჩათვალა რა, *„მატიანე ქართლისაჲს“* მიჩნეული თხზულება *„ქართლის ცხოვრების“* კრებულის რიგით მეორე ქრონიკად (პირველ ქრონიკად მას ლეონტი მროველის თხზულება – VIII საუკუნემდე წარმოედგინა), უარყო მისთვის ცალკე სათაურის ძიების აუცილებლობა (ა. ბოგვერაძე. „ქართლის ცხოვრების“ პირველი მატიანე და მისი ავტორი. – *ქართული ისტორიოგრაფია*, ტ. I. თბ., 1968, გვ. 41). უფრო შორს წაიდა კ. გრიგოლია, რომელიც თვლიდა, რომ *„მატიანე ქართლისაჲს“* ცნობილი ქრონიკა ნაწილია ერთიანი თხზულებისა,

„მატიანე ქართლისაჲს“ წყაროთმცოდნეობითი პრობლემები საკმაოდ საფუძვლიანადაა დამუშავებული ისტორიოგრაფიაში. გამორკვეულია ქრონიკის დაწერის დრო,[1] გამოთქმულია მოსაზრებები მემატიანის მიერ გამოყენებული წყაროების შესახებ[2] და ა.შ. ჩატარებული წყაროთმცოდნეობითი კვლევა და

რომლის ავტორად მან ლეონტი მროველი გამოაცხადა (კ. გრიგოლია. „მატიანე ქართლისა“ და მისი დასათაურების საკითხი. – *ივანე ჯავახიშვილის 100 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილი კრებული.* თბ., 1976, გვ. 224). ამ თვალსაზრისის, სრულიად მართებული და დამაჯერებელი კრიტიკა მოგვცა გ. წულაიამ. იხ.: **Г. В. Цулая.** Источниковедческие проблемы.., გვ. 25.

[1] ივ. ჯავახიშვილის აზრით, მემატიანეს თხზულება 1072-1073 წლამდე უნდა დაეწერა (**ივ. ჯავახიშვილი.** ძველი ქართული.., გვ. 204). ღიად რჩება *„მატიანის“* ავტორის ვინაობის საკითხი. ერთადერთი, რაშიც მკვლევარები თანხმდებიან, არის მისი ქართლური (აღმოსავლურ ქართული) წარმომავლობა. იხ.: **ივ. ჯავახიშვილი.** ძველი ქართული.., გვ. 202; **М. Д. Лордкипанидзе.** Введение, – წიგნში: *Матиане Картлиса.* Перевод, введение и примечания *М. Д. Лордкипанидзе.* Тб., 1976, გვ. 15; **Г. В. Цулая.** Источниковедческие проблемы.., გვ. 28.

[2] **ივ. ჯავახიშვილი.** ძველი ქართული.., გვ. 205-206; **ს. ყაუხჩიშვილი.** „ქართლის ცხოვრების“ ძეგლთა წყაროებისათვის, – წგნ.: *ქართლის ცხოვრება.* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით *ს. ყაუხჩიშვილის* მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 034-036; **М. Д. Лордкипанидзе.** Введение.., გვ. 20; **Г. В. Цулая.** Источниковедческие проблемы.., გვ. 29-31. *„მატიანე ქართლისაჲს“* წყაროების გამოვლენის პრობლემასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია საკითხმა *„მატიანე ქართლისაჲს“* და სუმბატ დავითის ძის ქრონიკის ურთიერთმიმართების შესახებ. ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: **Е. С. Такаишвили.** Источники грузинских летописей. – Три Хроники. – *Сборник материалов описания местностей и племен Кавказа,* вып. XVIII, Тифлис, 1900, გვ. 42, 118, 177, 175; **ივ. ჯავახიშვილი.** ძველი ქართული.., გვ. 206; **კ. გრიგოლია.** ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან. *ახალი ქართლის ცხოვრება.* თბ., 1954; **ს. ყაუხჩიშვილი.** „ქართლის ცხოვრების“ ძეგლთა წყაროებისათვის.., გვ. 034-036; **გ. გელაშვილი.** სუმბატ დავითის ძე და მატიანე ქართლისა. – *თსუ შრომები,* ტ. 87, თბ., 1960, გვ. 239-256; **М. Д. Лордкипанидзе.** Введение.., გვ. 21; **М. Д. Лордкипанидзе.** Сум-

„მატიანე ქართლისაჲს“ მასალების შეჯერება სხვა ქართულ და არაქართულ საისტორიო წყაროებთან ცალსახად ადასტურებს აღნიშნული მატიანის დიდ წყაროთმცოდნეობით მნიშვნელობას, მისი ცნობების მეცნიერულ ღირებულებას.

„მატიანე ქართლისაჲ“, ისევე, როგორც *„ქართლის ცხოვრების“* სხვა ქრონიკები, იძლევა მეტად საინტერესო ცნობებს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებისა და ქვეყნების ისტორიულ წარსულსა და ქართულ პოლიტიკურ სამყაროსთან მათი ურთიერთობის შესახებ. წარმოდგენილ ნაშრომში ჩვენ შევეცდებით თანმიმდევრულად განვიხილოთ *„მატიანე ქართლისაჲს“* ეს მასალები და კიდევ ერთხელ ვაჩვენოთ მათი წყაროთმცოდნეობითი ღირებულება. აქვე, საგანგებოდ შევნიშნავთ, რომ ჩვენ არ შემოვიფარგლებით მხოლოდ საკუთრივ ჩრდილოეთ კავკასიის მკვიდრი ხალხებით და კვლევის სფეროში მოვაქცევთ, აგრეთვე, კიდევ ერთ ჩრდილო რეგიონს — ხაზარეთს, რომელიც ისტორიულად, გარკვეულ პერიოდებში, რამდენადმე მიბმული იყო ჩრდილოეთ კავკასიასთან და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საერთოდ კავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

„მატიანე ქართლისაჲს“ ტექსტი, მეცნიერებაში საყოველთაოდ მიღებული ატრიბუციის თანახმად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იწყება წმიდა მოწამე არჩილის სიკვდილის შემდგომი ვითარების გაშუქებით, კერძოდ, იმის აღნიშვნით, რომ არჩილის მემკვიდრეთაგან ერთ-ერთი — იოვანე *„წარვიდა...*

бат Давитисдзе, История и повествование о Багратионах. *Перевод, введение и примечания М. Д. Лордкипанидзе.* Тб., 1979, გვ. 19; **Ш. А. Бадридзе.** „Картлис Цховреба“ о грузино-византийских взаимоотношениях первой трети XI в. – *Историоведческие разыскания* (1979). Тб., 1984, გვ. 47; **ზ. პაპასქირი.** ისტორიკოსი სუმბატ დავითის ძე და XIს. პირველი მესამედის საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი, – *საბჭოთა საქართველოს 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში ახალგაზრდა მეცნიერთა III რესპუბლიკური კონფერენციის მასალები.* თბ., 1981, გვ. 97-101.

ევრისად და წარიტანა თან დედა და ორნი დანი თვისნი“, ხოლო მეორე ვაჟი, *„ჯუანშერი და ორნი დანი მისნი დაშთეს ქვეყანასა ქართლისასა და კახეთისასა“*.[1] ამის შემდეგ კი მოთხრობილია ხაზართა ხაკანის მიერ ქართლში საგანგებო ელჩობის გამოგზავნის ამბავი. აღნიშნული ელჩობა, მემატიანის თქმით, გამოუწვევია იმას, რომ ხაზართა *ხელმწიფეს „მიესმა სიშუენიერე“* ჯუანშერის დის – შუშანისა. ამიტომაც *„მოუგზავნა მოციქული და ითხოვა შუშან ცოლად და უქადა* (ჯუანშერს – **ი.ჯ.**) *შეულად სარკინოზთა ზედა“*.[2]

ამრიგად, როგორც ამ ცნობიდან ჩანს, ხაზართა ხაკანი ქართლის ერისმთავარს სთავაზობდა დინასტიურ-ნათესაური კავშირის დამყარებას ორ სახელმწიფოს შორის და სამხედრო დახმარებას არაბების წინააღმდეგ, მაგრამ ქართულმა მხარემ ხაზართა ხაკანის ეს, ერთი შეხედვით, ნამდვილად კონსტრუქციული წინადადება, რატომღაც უარყო. მოტივაცია წმინდა სარწმუნოებრივი ხასიათის იყო: *„უკეთუ ულონო იქმნეს ყოფა ჩუენი, უმჯობეს არს, რათა შევიდეთ საბერძნეთად და მივმართოთ ქრისტიანეთა, ვიდრეცა შეიგინოს შვილი ჩუენი წარმართთა მიერ“*.[3]

ხაზართა ხაკანი ამ უარმა გაანაწყენა და *„შემდგომად სამისა წლისა მოგზავნა ხაკანმან სპასალარი თვისი ბლუჩან*[4]; *გამოვლო გზა ლეკეთისა და შემოვიდა კახეთად; მოადგა ცი-*

---

[1] *მატიანე ქართლისა* – *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით *ს. ყაუხჩიშვილის* მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 249.

[2] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. I, გვ. 249; ხაზართა ხაკანთა დინასტიურ ქორწინებათა ხასიათისა და ფორმების შესახებ, იხ.: **Б. Н. Заходер.** Каспийский свод сведении о Восточной Европе, т. I. М., 1962, გვ. 144; **А. В. Гадло.** Этническая история Северного кавказа IV-X вв. Л., 1979, გვ. 62.

[3] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. I, გვ. 249 (ხაზგასმა ჩვენია – **ი.ჯ.**).

[4] არაა გამორიცხული, რომ ბლუჩანი იყოს არა საკუთარი, არამედ ხაზართა სარდლის წოდება. ამის შესახებ იხ.: **В. Ф. Минорский.** История Ширвана и Дербента. М., 1963, გვ. 143.

ხესა, რომელსა შინა იყვნეს ჯუანშერ და დაჲ მისი შუშან, და მცირედთა დღეთა წარიღო და ტყუე ყვნა იგინი; შემუსრა ქალაქი ტფილისი, წარტყუენა ქართლი და ყოველი ესე ქუეყანა".[1] როგორც ვხედავთ, ხაზართა ხაკანის მოყვრობაზე უარის თქმა მეტად ძვირად დაუჯდა საერისმთავრო სახლს. ხაზართა სარდალმა ქვეყანაც მოაოხრა, ჯუანშერი და მისი და შუშანიც დაატყვევა და დარიალის გზით უკან დაბრუნდა. გზაში შუშანმა თავი მოიწამლა. გაბრაზებულმა ხაკანმა ბლუჩანი სიკვდილით დასაჯა, ხოლო ჯუანშერი თავისთან დაიტოვა და შვიდი წელიწადი პატივში ჰყავდა, რის შემდეგაც *„განუტევა ნიჭრითა დიდითა ხაკანმან და წარმოგზავნა ქუეყანად თავისად"*.[2]

„მატიანე ქართლისაჲს" ეს მასალა დიდი ხანია, შესულია მიმოქცევაში და მას მკვლევარები ხშირად ეყრდნობიან ხაზარეთ-არაბთა სახალიფოს დაპირისპირებაზე მსჯელობისას. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ქართველი მემატიანის მიერ მოთხრობილი ფაქტი სინამდვილეს შეეფერება, და ეს უნდა მომხდარიყო 761-764 წლებში. ყოველი შემთხვევისათვის, მეცნიერის დაკვირვებით, 764 წელს ხაზართა მიერ თბილისის აღებას არაბული წყაროებიც ადასტურებს.[3]

ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი მარშრუტი იგულისხმება „ლეკეთის გზაში". ივ. ჯავახიშვილის აზრით, „გზა ლეკეთისა" უეჭველად დაღესტანზე გადიოდა.[4] სხვა მოსაზრებით (მ. ლორთქიფანიძე), შეიძლება „ლეკეთის გზის" „დარიალის გზასთან" გაიგივება,[5] რაც მეტად საეჭვოა. როგორც საუსებით სწორად

---

[1] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. I, გვ. 249.

[2] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. I, გვ. 250.

[3] **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია, – *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტ. II, თბ., 1983, გვ. 80-81; ეს დათარიღება გვხვდება, აგრეთვე: *Очерки истории СССР*, III-IX вв.. М., 1956, გვ. 105; **А. А. Богверадзе.** Раннефеодальные.., გვ. 180, შდრ. **ბ. სილაგაძე.** არაბთა ბატონობა საქართველოში. თბ., 1991, გვ. 124.

[4] **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 70.

[5] იხ. *Матиане Картлиса..*, გვ. 63, შენ. 6.

მიუთითებს გ. წულაია, ქართული წერილობითი წყაროები იმდენად კარგად იცნობენ „დარიალის გზას“, რომ ძნელი დასაჯერებელია, მათ ის არეოდათ „ლეკეთის გზაში“.[1] მაგრამ, ამავე დროს, ჩვენ ვერ დავეთანხმებით მკვლევრის კატეგორიულ მტკიცებას იმის შესახებ, რომ „გზა ლეკეთისა“ არაფრით არ არ შეიძლებოდა ყოფილიყო „დარუბანდის გზა“.[2] მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ზოგადად არ გამოვრიცხავთ დარუბანდის გასასვლელისაგან განსხვავებული „გზა ლეკეთისას“ არსებობას, მაინც ვთვლით, რომ ბლუჩანის ლაშქარი ამ შემთხვევაში უთუოდ „დარუბანდის გზით“ მოვიდოდა, როგორც ამას ფიქრობს ა. ბოგვერაძე.[3]

ხაზარები, ხაზართა სამხედრო ძალა ფიგურირებს *„მატიანე ქართლისაჲს“* ცნობაში VIIIს. მიწურულს ლეონ „აფხაზთა“ ერისთავის მიერ სახელმწიფო ძალაუფლების ხელში ჩაგდებისა და მისი ბიზანტიის იმპერიისაგან განდგომის შესახებ: *„ხოლო რაჟამს მოუძლურდეს ბერძენნი, გაძღა მთგან ერისთავი აფხაზთა, სახელით ლეონ, ძისშვილი ლეონ ერისთავისა, რომლისად მიცა სამკვიდროდ აფხაზეთი. ესე მეორე ლეონ ასულის წული იყო ხაზართა მეფისა, და ძალითა მათითა გაძღა ბერძენთა, დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ-იდვა მეფე აფხაზთა“*.[4] *„მატიანის“* ეს ცნობა მრავალმხრივ არის საინტერესო, მაგრამ ამ შემთხვევაში ყურადღებას იპყრობს მოტანილი ციტატის ის ნაწილი, რომელიც ხაზარებს შეეხება. ამ ცნობიდან ირკვევა, რომ VIIIს. მიწურულისათვის ხაზართა სამეფოსა და აფხაზეთის სამთავროს შორის დინასტიურ-ნათესაური კავშირი ყოფილა დამყარებული.

VIIIს. მთელ მანძილზე, როგორც ცნობილია, ხაზარეთი

---

[1] *Летопись Картли..*, გვ. 79; დარიალის გზის შესახებ დაწვრილებით იხ.: ნ. ბერძენიშვილი. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966.

[2] *Летопись Картли..*, გვ. 79.

[3] **А. А. Богверадзе.** Раннефеодальные.., გვ. 180.

[4] *ქართლის ცხოვრება.*, ტ. I, გვ. 251.

აქტიურად ერთვებოდა ამიერკავკასიაში მიმდინარე პროცესებში და ცდილობდა რეგიონიდან არაბთა სახალიფოს გაძევებას.[1] ხშირ შემთხვევაში ხაზარები ამას აკეთებდნენ ბიზანტიელებთან შეთანხმებით. ცნობილი რუსი მეცნიერის ა. ნოვოსელცევის აზრით, ბიზანტია-სახალიფოსა და ხაზართა-არაბების ომები არა მარტო ურთიერთდაკავშირებული მოვლენები იყო, არამედ VIIIს. I ნახევარში საერთოდ არსებობდა ბიზანტია-ხაზარეთის (სამხედრო-პოლიტიკური) კავშირი არაბების წინააღმდეგ.[2] ხაზარები განაგრძობდნენ აქტიურობას VIIIს. II ნახევარშიც, რისი გამოხატულებაც იყო *„მატიანე ქართლისაჲს“* ზემოთ განხილული ცნობა ხაზართა სარდალ ბლუჩანის ქართლში ლაშქრობის შესახებ. სხვა წყაროებიდან ცნობილია, რომ საქართველოში, არც თუ იშვიათად, ხაზართა ხაკანათი განიხილებოდა როგორც მოკავშირე არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამის ნათელი დადასტურებაა *„ცხო ტფილელის მარტვილობაში“* დაფიქსირებული ცნობა ნერსე ქართლის ერისმთავრის კონტაქტების შესახებ ხაზარებთან. როგორც იოვანე საბანისძის ცნობიდან ირკვევა, არაბთა სახალიფოსაგან გამდგარი ნერსე ერისმთავარს დახმარებისათვის სწორედ ხაზართა ხაკანისათვის მიუმართავს. ნერსე თვითონ ჩავიდა ხაზარებთან, სადაც მას საკმაოდ კარგი დახვედრა მოუწყვეს, მაგრამ სამხედრო დახმარებაზე თავი შეიკავეს. გაწბილებული ქართლის ერისმთავარი ხაზარეთიდან დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) წავიდა, სადაც ადრიდანვე გახიზნული ჰყავდა

---

[1] ხაზართა აქტიურობის შესახებ იხ.: ს. ჯანაშია. არაბობა საქართველოში. – *შრომები*, ტ. II, თბ., 1952, გვ. 365-367; **М. Н. Артамонов.** История хазар, Л., 1962, გვ. 202-252; **А. Н. Тер-Гевондян.** Армения и Арабский халифат. Ереван, 1977, გვ. 85-88; **ბ. სილაგაძე.** არაბთა ბატონობა საქართველოში, გვ. 66-87; **А. П. Новосельцев.** Хазарское государство и его роль в истории Восточной Европы и Кавказа. М., 1990.

[2] **А. П. Новосельцев.** Хазарское государство.., გვ. 178.

თავისი ოჯახი.[1] მართალია, იოვანე საბანის ძის ცნობაში არაფერია ნათქვამი „აფხაზ"-ხაზართა რაიმე ურთიერთობის შესახებ ამ ეტაპზე (VIIIს. 80-იანი წლები), მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ „აფხაზეთის" მთავრებს უკვე მაშინ ჰქონდათ სამოკავშირო ურთიერთობები ხაზარებთან. არაა გამორიცხული, რომ დასავლეთ საქართველო-აფხაზეთი ბიზანტია-ხაზარეთის სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის წევრიც კი იყო.

მაგრამ ბიზანტია-ხაზარეთის ურთიერთობაში გარკვეული ბზარი გაჩნდა VIIIს. მიწურულს, რაც აკად. ს. ჯანაშიას დაკვირვებით, გამოიწვია ერთგვარად „ანტიხაზარულმა" სახელმწიფო გადატრიალებამ კონსტანტინოპოლში, რომელსაც ადგილი ჰქონდა 797 წლის ახლო ხანებში. ამ გადატრიალების მსხვერპლი შეიქმნა იმპერატორი კონსტანტინე VI, რომელიც დედის მხრიდან ხაზართა ხაკანის შვილიშვილი თუ დისშვილი (ისევე, როგორც ლეონ „აფხაზეთის ერისთავი") იყო. ამას არ შეიძლებოდა ხაზართა ხაკანის გაღიზიანება არ გამოეწვია. შესაძლოა, ამიტომაც დაუჭირეს მხარი ხაზარებმა „აფხაზეთის ერისთავის" ანტიბიზანტიურ დემარშს.[2] უფრო მეტიც, სავსებით დასაშვებია, რომ „აფხაზეთის ერისთავის" განდგომა კონსტანტინოპოლისაგან საერთოდ ხაზართა ხაკანის მიერ ყოფილიყო ინსპირირებული.[3] ამით ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ, თუ ადრე ხაზართა ხაკანათი ბიზანტიასთან შეთანხმებით მოქმედებდა ამიერკავკასიაში, ამ დროიდან, გაერთიანების მესვეურებმა ბიზანტიისაგან დამოუკიდებლად დაიწყეს მოქმედება.

ამრიგად, *„მატიანე ქართლისაჲს"* ცნობა „აფხაზეთის ერისთავის" ლეონ II-ის მიერ VIIIს. მიწურულს გადადგმული

---

[1] იოვანე საბანისძე. მარტვილობაჲ ჰაბო ტფილელისა. – *ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, ილ. აბულაძის* რედაქციით, წ. I. თბ., 1963, გვ. 58-59.

[2] **С. Н. Джанашия.** О времени и условиях возникновения Абхазского царства. – *Труды*, т. II. თბ., 1952, გვ. 327-333.

[3] **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვ. I. *უძველესი დროიდან 1917 წლამდე*. თბ., 2004, გვ. 48.

ნაბიჯების შესახებ, რომელსაც, როგორც ცნობილია, მოჰყვა ახალი დასავლურ-ქართული სახელმწიფოს — „აფხაზთა“ სამეფოს წარმოქმნა, უაღრესად მნიშვნელოვანია ქართული პოლიტიკური სამყაროს ხაზარებთან ურთიერთობის თვალსაზრისითაც. ის შუქს ფენს არა მარტო ხაზარეთ-დასავლეთ საქართველო-აფხაზეთის ურთიერთობებს (ხაზარეთი გამოდის ახალი სუვერენული ქართული სახელმწიფოს მოკავშირედ, რომელმაც, ალბათ, პირველმა სცნო „აფხაზთა“ სამეფოს სუვერენიტეტი საერთაშორისო არენაზე), არამედ ბიზანტია-ხაზარეთს შორის მომხდარ გარკვეულ განხეთქილებაზეც მიუთითებს. ეს გარემოება კიდევ უფრო ზრდის *„მატიანე ქართლისაჲს“* ამ ცნობის წყაროთმცოდნეობით მნიშვნელობას.

მომდევნო ცნობა *„მატიანე ქართლისაჲდან“*, რომელიც შემოდის ჩვენი კვლევის სფეროში, არის ცნობა ბულა-თურქის წინააღმდეგ მებრძოლი აფხაზთა მეფე თევდოსის მიერ განცდილი მარცხის შესახებ, რომლის დროსაც *„მოსწყდა სიმრავლე ურიცხვი და თევდოსი მეფე წარვიდა მეოტი გზისა დვალეთისასა“*.[1] ისტორიოგრაფიაში არის აზრთა სხვადასხვაობა იმასთან დაკავშირებით, კონკრეტულად რომელი მეფე უნდა ვიგულისხმოთ ბულა-თურქის წინააღმდეგ მებრძოლ „აფხაზთა“ მეფედ: *„მატიანის“* ტექსტში მოხსენებული თევდოსი, თუ დემეტრე, რომელიც *„აფხაზთა მეფეთა დივანის“* მონაცემების მიხედვით იყო ქუთაისის ტახტის მფლობელი სწორედ 818-854 წლებში, ე. ი. იმ დროს, როდესაც ბულა-თურქი იმყოფებოდა საქართველოში.[2] ივ. ჯავახიშვილი, ამახვილებდა რა ყურადღებას *„აფხაზთა მეფეთა დივანში“* არსებულ სხვა ხარვეზებზე, თვლიდა, რომ ამ ორი წყაროს შედარებისას უპირატესობა *„მატიანე ქართლისაჲს“* ქრონიკას უნ-

---

[1] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. I, გვ. 256.

[2] *საისტორიო მასალანი, ეგრეთწოდებული აფხაზეთის ისტორია ბაგრატ მეფისა. – ძველი საქართველო.* საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, *ე. თაყაიშვილის* რედაქტორობით, ტ. II. ტფ., 1913.

და მივანიჭოთ. აქედან გამომდინარე, მოცემულ პერიოდში „აფხაზთა“ მეფედ ის თეოდოსის მიიჩნევდა.[1] ამავე აზრს იზიარებენ *„მატიანის“* ქართული ტექსტისა და, აგრეთვე, მისი რუსული თარგმანების გამომცემლები: ს. ყაუხჩიშვილი,[2] მ. ლორთქიფანიძე[3] და გ. წულაია.[4]

ზ. ანჩაბაძისა და ე. ცაგარეიშვილის აზრით კი, უპირატესობა უნდა მიენიჭოს *„აფხაზთა მეფეთა დივანს“* და ამ პერიოდში „აფხაზთა“ მეფედ დემეტრე უნდა მივიჩნიოთ.[5] ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ აკად. ივ. ჯავახიშვილის შენიშვნებს *„აფხაზთა მეფეთა დივანის“* მასალების სანდოობის შესახებ და ასევე ვთვლით, რომ *„მატიანე ქართლისაჲ“* გვაძლევს უფრო ზუსტ ინფორმაციას „აფხაზთა“ მეფეთა შესახებ. ამის დასასაბუთებლად კმარა, თუნდაც, ის ფაქტი, რომ *„აფხაზთა მეფეთა დივანისაგან“* განსხვავებით, რომელშიც VIIIს. „აფხაზეთის“ ხელისუფალთაგან მხოლოდ ერთი ლეონია დაფიქსირებული, *„მატიანე“* იცნობს ორ ლეონს და შიფრავს მათ შორის არსებულ ნათესაურ კავშირსაც კი: *„ლეონ, ძისწული ლეონ ერისთავისა, რომლისად მიჰყა* (ბიზანტიის კეისარს – ი.ჯ.) *სამკვიდროდ აფხაზეთი, ესე მეორე ლეონ“*.[6]

„მატიანე ქართლისაჲს“ მოცემულ ცნობაში ჩვენს ყურადღებას იქცევს მითითება „დვალეთის გზის“ შესახებ. ეს გზა საქართველოს ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი კიდევ ერთი მარშრუტი იყო. ამ გზით, როგორც ჩანს,

---

[1] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 98.

[2] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. I, გვ. 256.

[3] *Матиане Картлиса..*, გვ. 30; იხ. აგრეთვე, **М. Д. Лордкипанидзе.** Возникновение новых феодальных государств, – *Очерки истории Грузии*, т. II. Тб., 1988, გვ. 301.

[4] *Летопись Картли..*, გვ. 49.

[5] **З. В. Анчабадзе.** Из истории средневековой Абхазии, Сухуми, 1959, გვ. 141-142; ე. ცაგარეიშვილი. ბუღა-თურქის საქართველოში შემოსევის საკითხისათვის. – *მაცნე*, ისტორიის... სერია, 1968, №4, გვ. 110-112.

[6] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. I, გვ. 251 (ხაზგასმა ჩვენია – ი.ჯ.)

გადადიოდნენ ისტორიულ პროვინცია დვალეთში, აგრეთვე, ოვსეთში. დვალეთის მარშრუტზე ინფორმაციას იძლევა *„მოქცევაჲ ქართლისაჲ“*, რომელშიც დადასტურებულია: კარნი *„ორნი დვალეთს და ერთი პარჭუანს დორძოკეთისასა“*:[1] ერთი სიტყვით, *„მატიანე ქართლისაჲში“* დაფიქსირებული ცნობა მნიშნელოვნად ავსებს ჩვენს ცოდნას ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი გზების შესახებ და ადასტურებს იმას, რომ „დვალეთის გზა“ მოცემულ პერიოდში დარუბანდის, დარიალანისა და *„გზაი აფხაზეთისასთან“* ერთად მნიშვნელოვან სატრანსპორტო არტერიას წარმოადგენდა საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიას შორის.

ბულა-თურქის ამიერკავკასიაში ყოფნასთან არის დაკავშირებული ხაზართა და ოვსთა მოხსენება *„მატიანე ქართლისაჲში“*: *„განაღო კარი* (ბულა-თურქმა — ი.ჯ.) *დარუბანდისა და გამოიყვანა ხაზარნი, სახლი სამასი, და დასხნა ივინი შანქორს. დარიალანით გამოიყვანა ოვსნი ვითარ სახლი ასი, დასხნა ისინი დმანისს, და ენება ზაფხულს შესვლა ოვსეთად. ხოლო ამირა — მუმნმან ვითარ ცნა, ვითარმედ ხაზართა, ტომთა მისთა ზრახავს, მოუვლინა ბულას, რათა დაუტეოს ქართლი ჰუმედს ჰალილის ძესა“*.[2] ეს ცნობა საინტერესოა იმით, რომ ადასტურებს ბულა-თურქის მცდელობას აქტიური მონაწილეობა მიაღებინოს ოვსებსა და ხაზარებს ხალიფატის გეგმების რეალიზაციაში და გამოიყენოს ისინი ქართველებისა და სომხების წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ ქართველი მემატიანის ცნობას „მშვიდობიან“ ხაზართა მოსვლის შესახებ შამქორში ადასტურებს არაბი ისტორიკოსი ალ-ბალაძური.[3]

---

[1] *მოქცევაჲ ქართლისაჲ. – ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ი. აბულაძის* რედაქტორობით, წ. I. თბ., 1963, გვ. 94; ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის.., ტ. II, გვ. 69.

[2] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. I, გვ. 256-257.

[3] **Баладзори.** Книга завоевания стран. Текст и перевод с арабского проф. **П. К. Жузе.** Баку, 1927; **В. Ф. Минорский.** История Ширвана и Дербента, გვ. 36-37; *Летопись Картли*, გვ. 85.

ეს არ იყო ბულა-თურქის პირველი ცდა ოვსთა ჩართვისა ქართლში მიმდინარე პროცესებში. მან ჯერ კიდევ ქართლის მთიანეთის დალაშქვრის დროს მოინდომა, როდესაც ის *„მოვიდა ჭართალეთს... ლამობდა შესვლასა ოვსეთად, და შევიდა ცხავატამდის“*.[1] ბულა-თურქის მიერ ოვსთა დამანისში დასხმის შესახებ ზემოთ მოტანილი ცნობის განხილვისას მკვლევართა ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ *„ქართლის ცხოვრების“* ზოგიერთ ნუსხაში ოვსეთიდან გამოყვანილ კომლთა რაოდენობა 3000-ითაა განსაზღვრული, რაც მკვლევართა საუსებით სწორი განმარტებით, ორი ასოს: „რ“-ს — რ (=100) და „ძ“-ს — ძ (=3000) გრაფიკული მსგავსების შედეგი უნდა იყოს.[2]

მოცემული ცნობის კომენტირებისას გ. თოგოშვილი ასკვნის, რომ ამ შემთხვევაში ლაპარაკი უნდა იყოს უბრალო მძევლებზე, რომლებიც თითქოს ბულა-თურქს აეყვანოს ოვსეთში „ახალი ლაშქრობისათვის ნიადაგის მოსამზადებლად“. ყოველივე ეს კი მას სჭირდებოდა ოსების მხრიდან ქართველთადმი სამხედრო დახმარების აღსაკვეთად.[3] როგორც ჩანს, ანალოგიურ მიზანს ისახავდა ის ხაზარების მიმართაც, რომელთაც, როგორც ცნობილია, სახალიფოს ხელისუფლება თავიანთ მთავარ მოქიშპე ძალად განიხილავდა კავკასიაში. მაგრამ, ეტყობა, ბულა-თურქის ამ მცდელობამ მიზანს ვერ მიაღწია და ეს უკანასკნელი ხალიფა მუმნმა სასწრაფოდ გაიწვია ქართლიდან.

„მატიანე ქართლისაჲს“ შემდეგ ცნობაში, რომელიც ჩვენს ინტერესს იწვევს, ასევე ფიგურირებენ ოვსები. *„მატიანის“* ავტორი იქ, სადაც მოგვითხრობს „ქართლსა ზედა“ ბრძოლის ერთ-ერთ ეპიზოდზე, აღნიშნავს: *„მოვიდეს გურგენ*

---

[1] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. I, გვ. 256.

[2] იხ. *ქართლის ცხოვრება..*, ტ. I, გვ. 257, შენ.; გ. თოგოშვილი. საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან. *უძველესი დროიდან XIVს. დამლევამდე*. სტალინირი, 1958, გვ. 104, შენ.

[3] გ. თოგოშვილი. საქართველო-ოსეთის.., გვ. 104.

და ადარნასე, ძე დავითისი; უშუელეს სომეხთა, შეიბნეს მტკუარსა ზედა; იძლივნეს აფხაზნი, მოკლეს ნასრა და ბაყათარ, მთავარი ოვსი, და ერისთავი აფხაზთა".[1]

მოცემული ცნობიდან ირკვევა, რომ ამ დროს ოვსები ან ოვსთა ერთ-ერთი გაერთიანება აქტიურად ეხმარებოდა „აფხაზთა" მეფე ბაგრატ დემეტრეს ძეს „ქართლსა ზედა" ბრძოლაში.[2] ვახუშტი ბაგრატიონი უფრო სრულად გადმოგვცემს ამ მოვლენას: *„ამან ბაგრატ გამოიყვანა ნარსე ცოლისძმა თჳსი, მისცა სპანი და აშუელნა ოვსნი; გარდამოვიდნენ სამცხეს და დაიპყრეს ციხენი ოძრახე, ჯუარის-ციხე და ლომსიათი; მუნცა შეიკრიბა ნარსემ ლაშქარი და მომართა ადარნასეს. ხოლო ადარნასეს უშუელა გვარამ და სომეხთა, შეიბნენ მტკვარსა ზედა, ბრძოლასა იძლია ნარსე და ბაყათარ ოვსი; შეიპყრეს ნარსე და მოკლეს ჴევსა შინა ასპინძისასა და ალიჴოცა თესლი მისი"*.[3]

შ. მესხიას აზრით, ვახუშტის *„მატიანე ქართლისაჲს"* ეს ფრაგმენტი შევსებული აქვს XVIIIს. *„ქართლის ცხოვრების"* ნუსხებში არსებული სუმბატის ქრონიკის ჩამატებებით.[4] გ. თოგოშვილმა მიაქცია ყურადღება იმას, რომ ვახუშტი არ

---

[1] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. I, გვ. 261.

[2] ამის შესახებ დაწვრილებით იხილეთ: **З. В. Анчабадзе.** Из истории средневековой Абхазии, გვ. 126; **მ. ლორთქიფანიძე.** ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება. თბ., 1963, გვ. 197-198; **მ. ლორთქიფანიძე.** ახალი ფეოდალური სამეფო-სამთავროების წარმოქმნა, – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. II. თბ., 1973, გვ. 45; **მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი.** ახალი სამეფო-სამთავროების წარმოქმნა საქართველოში და მათი ადგილი საერთაშორისო ურთიერთობებში. საშინაო დიპლომატია (IX-Xს. I ნახევარი), – *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები*. ტ. I. თბ., 1998, გვ. 105.

[3] **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით *ს. ყაუხჩიშვილის* მიერ, ტ. IV. თბ., 1973, გვ. 132.

[4] **შ. მესხია.** ვახუშტი და ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. – *ანალები*, I. თბ., 1955, გვ. 25.

აფიქსირებს ბაყათარ ოვსის დაღუპვას და მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ ბაგრატმა ნასრას მიაშველა ოვსები.[1]

საქართველო-იმიერკავკასიის ურთიერთობების კუთხით უაღრესად საინტერესო ცნობას ვხვდებით *„მატიანე ქართლისაჲს“* თხზულების იმ ნაწილში, სადაც ავტორი მოგვითხრობს „აფხაზთა“ მეფე გიორგი II-ის ლაშქრობის შესახებ კახეთში. კერძოდ, მის მიერ მარნის ციხის აღებისა და მისი პატრონის, ხახუა არშის ძის შეპყრობის შესახებ, რომელიც *„მეფემან წარსცა პყრობილად ჯიქეთს“*.[2] ამ ცნობიდან სრულიად აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში ჯიქეთი განიხილება როგორც გიორგი II – „აფხაზთა“ მეფის სახელმწიფოს ნაწილი, სადაც მას შეუძლია სასჯელის მოსახდელად („პყრობილად“) გაგზავნოს შერისხული კახელი აზნაური.

„მატიანე ქართლისაჲს“ ეს ცნობა რამდენადმე ავსებს ძველ ქართულ საისტორიო ტრადიციაში შემუშავებულ თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ ჯიქეთი ოდითგანვე იყო აფხაზეთის ნაწილი. ეს ჯერ კიდევ „აფხაზთა“ სამეფოს დამაარსებლის, ლეონ II-ის დროიდან ეკუთვნოდა „აფხაზეთის ერისთავს“. ამას ადასტურებს ვახუშტი ბატონიშვილი, რომელიც წერს, რომ *„დასუა* (ლეონ II-მ **ი.ჯ.**) *აფხაზთა* (ერისთავი – **ი.ჯ.**) *და მისცა აფხაზეთი, ჯიქეთი, ვიდრე ზღუამდე და ბაზართა მდინარემდე“*.[3] ამ ცნობაზე დაყრდნობით მ. ცინცაძე ასკვნის, რომ ლეონ II-ის სამფლობელოში მთელი ჯიქეთი იყო მოქცეული, თუმცა ზოგიერთ ბიზანტიურ წყაროზე დაყრდნობით ის უშვებს მოგვიანებით ჯიქეთის ნაწილის ბიზანტიის მიერ უკან წაღებას და თვლის, რომ აფხაზეთ-ეგრისისა და გაერთიანებული საქართველოს ფარგლებში იყო ჯიქეთის მხოლოდ ერთი ნაწილი ქალაქ ნიკოფსიითურთ.[4] ვახუშტის მეო-

---

[1] გ. თოგოშვილი. ვახუშტი ბაგრატიონი ოსეთისა და ოსების შესახებ. თბ., 1977, გვ. 68.

[2] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. I.., გვ. 268.

[3] ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა.., გვ. 796.

[4] მ. ცინცაძე. საქართველო-ადიღეს ურთიერთობის ისტორიიდან. თბ., 1982, გვ. 30.

რე ცნობაშიც ხაზგასმულია, რომ ჯიქეთი *„...არს ადგილი ყოვლითურთ აფხაზეთისა“*.[1]

„მატიანე ქართლისაის“ მომდევნო მასალა, რომელიც ჩვენი დაკვირვების საგანს წარმოადგენს, შეეხება იმ დინასტიურ ქორწინებებს, რომელთაც ადგილი ჰქონდა საქართველოს მეფეებსა და ოვსეთის სამეფო ოჯახის წარმომადგენლებს შორის XIს. I ნახევარში. პირველ ცნობაში დაფიქსირებულია ბაგრატ IV-ისა და ოვსთა მეფის ასულ ბორენას დაქორწინების ფაქტი: *„და შემდგომად მცირედისა ჟამისა მიიცვალა ელენე დედოფალი ქუთათისს შინა, და შეირთო ცოლად ბაგრატ მეფემან ბორენა დედოფალი, ოვსთ მეფისა ასული, დაჲ დორღოლელისაჲ“*.[2]

ეს ცნობა ფართოდ არის კომენტირებული ისტორიოგრაფიაში. მკვლევართა ერთსულოვანი აზრით, საქართველოს მეფის ამ ნაბიჯს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ დროისათვის ერთიორად გაიზარდა ოვსეთის სამეფოს პოლიტიკური წონა.[3] მას ანგარიშს უწევდნენ მეზობელი სახელმწიფოები, მათ შორის, ბიზანტიის იმპერიაც, რომელიც, როგორც წესი, ყოველთვის ცდილობდა ოვსთა გამოყენებას თავისი ინტერესების შესაბამისად[4]. ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ შეხედულებას იმის

---

[1] ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა.., გვ. 786, ხაზგასმა ჩვენია – ი.ჯ.

[2] *ქართლის ცხოვრება*.., მთ. რედაქტორი *რ. მეტრეველი*. გვ. 280 (ხაზგასმა ჩვენია – ი.ჯ.).

[3] ოვსეთის ძლიერი სამეფო წარმოიქმნა Xს. დამდეგს და ის მაშინვე იქცა აქტიურ სამხედრო-პოლიტიკურ ძალად, მთელი კავკასიის მასშტაბით. ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: **ზ. ანჩაბაძე, თ. ბოცვაძე, გ. თოგოშვილი, მ. ცინცაძე.** ჩრდილოეთ კავკასიის მთიელ ხალხთა ისტორიის ნარკვევები, ტ. I. თბ., 1969; **З. Н. Ванеев.** Средневековая Алания. Сталинир, 1959; *История Северо-Осетинской АССР*. М., 1958; **В. А. Кузнецов.** Алания в X-XIII вв. Орджоникидзе, 1971.

[4] **Ю. А. Кулаковский.** Аланы по сведениям классических и византийских писателей. – Оттиск из XII кн. „*Чтение исторического общества Нестора-Летописца*“. Киев, 1899, გვ. 53. იმის შესახებ, თუ როგორ

შესახებ, რომ ბაგრატ IV აღნიშნული დინასტიური ქორწინებით ცდილობდა სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შეკვრას ოვსეთის სამეფოსთან მიმართულს, პირველ რიგში, ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ.[1]

მართებულად მიგვაჩნია აგრეთვე დასკვნა იმის შესახებაც, რომ ბაგრატ IV-მ ამ თვალსაზრისით ერთგვარად გააგრძელა თავისი მამის, გიორგი I-ის პოლიტიკა, რომელიც ასევე ცდილობდა დინასტიური ქორწინების მეშვეობით ოვსეთის სამეფოს ჩართვას ანტიბიზანტიურ კოალიციაში.[2] ამავე დროს, არაა გამორიცხული ისიც, რომ ოვსეთის მეფესთან კავშირი გამიზნული იყო „რანთა და კახთა" სამეფოს წინააღმდეგაც.[3]

მაგრამ ბაგრატ IV-ის ბორენა დედოფალზე დაქორწინება არ იყო ოვსეთის სამეფო სახლთან უმაღლეს დონეზე დინასტიურ-ნათესაური ურთიერთობების დამყარების პირველი ფაქტი. როგორც *„მატიანე ქართლისაჲს"* ერთი ცნობიდან ირკვე-

---

მოხერხებულად იყენებდა ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლება ალან-ოვსებს თავის სამხედრო-პოლიტიკური გეგმების განხორციელებისას, ნათელ წარმოდგენას გვიქმნის VIII-IX საუკუნეების ბიზანტიელი ისტორიკოსის თეოფანე ჟამთააღმწერელის მონათხრობი იმპერატორ იუსტინიანე II-ის მიერ კაეკასიაში ცნობილი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწის, ლეონ ისავრიელის გამოგზავნის შესახებ VIIIს. დამდეგს, რომელმაც მოისყიდა ალან-ოვსები და მათი მეშვეობით დასაჯა იმპერიისაგან გამდგარი აბაზგები (იხ.: **თეოფანე ჟამთააღმწერელი.** – *გეორგიკა.* ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ***ს. ყაუხჩიშვილმა,*** ტ. IV, ნაკვ. I. თბ., 1941 გვ. 106-113).

[1] **ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ., 1990, გვ. 152.

[2] **ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული.., გვ. 138-139.

[3] **გ. თოგოშვილი.** საქართველო-ოსეთის.., გვ. 132-133; **ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული.., გვ. 153; **მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი.** საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XI საუკუნეში. – *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები.* ტ. I. თბ., 1998, გვ. 240.

ვა, ამგვარ მცდელობას ადგილი ჰქონია ჯერ კიდევ გიორგი I-ის მხრიდან: აი, რას წერს მემატიანე ამ ფაქტის შესახებ: *„და ამისსა შემდგომად სხუაცა ძე დარჩა გიორგი მეფესა ანაკოფიას შინა, ოვსთა მეფისა ასულსა მეორესა ცოლსა თანა და აზნაურთაგან იყო მთი შუა მი-და-მო საუბარი, და ყრმა მცირე იყო, სახელით დემეტრე. ვერცა გაამეფეს, თუცა ვის გულსა ედვა, და ვერცალა გამოინდვეს ბაგრატ მეფემან და დედამან მისმან, არცალა თავადთა დიდებულთა ამის სამეფოსათა. და ვერღარა დაიდგინა და წარვიდა სამეფოსა მისგან, და მიმართა ბერძენთა მეფესა, და წარუტანა თანა ანაკოფია და მიერითგან წარუხდა ანაკოფია აფხაზთა მეფესა მოაქაჯამდე“*.[1]

ისტორიოგრაფიაში მეტ-ნაკლებად მიჩქმალული იყო ცნობა გიორგი I-ის ე.წ. „მეორე ცოლის“ შესახებ. ერთ-ერთი პირველი ისტორიკოსი, რომელიც შეეხო ამ საკითხს, იყო სულხან ბარათოვი, რომელმაც თავისი *„საქართველოს ისტორიის“* მე-3 რვეულში საგანგებო მსჯელობა მიუძღვნა გიორგი I-ის „მეორე ცოლის“ საქმიანობას. კერძოდ, დემეტრე უფლისწულის სურვილი, დაუფლებოდა სამეფო ტახტს, მან ახსნა მისი დედის პატივმოყვარეობით.[2] ივ. ჯავახიშვილი *„ქართველი ერის ისტორიის“* II ტომში ასევე შეეხო დემეტრე უფლისწულის დედის პიროვნებას და საგანგებოდ მიუთითა იმ ფაქტზე, რომ მისი სახელი – ალდე – იცის XIს. ბიზანტიელმა ისტორიკოსმა გიორგი კედრენემ, თუმცა ღიად დატოვა საკითხი იმის შესახებ, თუ რა ხასიათის ქორწინებასთან გვაქვს საქმე.[3] გიორგი I-ის ოვსთა მეფის ასულზე დაქორწინების ფაქტს შეეხო გ. თოგოშვილიც, რომელიც თითქოს შეეცადა მიეჩინა ამ მოვლენისათვის თავისი ადგილი საქართველო-ოსეთის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობების ისტორიაში.[4] მაგრამ ვერც მან მოგვცა ამ უცნაური ქორწინების შეფასება.

---

[1] *ქართლის ცხოვრება*.., ტ. I, გვ. 295.

[2] **С. Баратов.** История Грузии, тетрадь III. СПб., 1871, გვ. 57.

[3] **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 140.

[4] **გ. თოგოშვილი.** საქართველო-ოსეთის.., გვ. 130-132.

პირველი მკვლევარი, რომელმაც მოინდომა ამ მეტად საინტერესო ფაქტის ახსნა, არის ზ. პაპასქირი, რომელმაც ჯერ კიდევ თავის საკანდიდატო დისერტაციაში წამოაყენა იდეა ამ ქორწინების სავარაუდო პოლიტიკური მოტივაციის შესახებ,[1] რაც შემდგომ მკვლევარმა განავრცო და დაასაბუთა ამ საკითხისადმი სპეციალურად მიძღვნილ წერილებსა[2] და სხვა პუბლიკაციებში.[3] ზ. პაპასქირის აზრით, *„მატიანე ქართლისაჲს“* ცნობა ასახავს გარკვეული პოლიტიკური დატვირთვის მქონე რეალურ ისტორიულ ფაქტს. კერძოდ, მასში მკვლევარი ხედავს საქართველოს მეფის მცდელობას დინასტიური ქორწინების საშუალებით დაუახლოვდეს ოვსეთის სამეფო სახლს და შეკრას მასთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირი ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ.

ამასთან დაკავშირებით, ზ. პაპასქირი ავლებს პარალელს დავით IV აღმაშენებლის „ყივჩაყთა უმთავრესის“ ასულზე დაქორწინების ფაქტთან. ის იზიარებს ისტორიოგრაფიაში საკმაოდ ფეხმოკიდებულ თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ გუარანდუხტ დედოფალი – ათრაქა შარაღანის ძის ასული – არ იყო დავით IV-ის ერთადერთი მეუღლე და, რომ მას მანამდე ჰყავდა პირველი ცოლი – სომხის ქალი, ტახტის მემ-

---

[1] **З. В. Папаскири.** Грузия и Восточная Европа в XI-XII вв. Из истории международных отношении. Автореферат канд. дисс. М., 1978, გვ. 12; იხ. აგრეთვე: **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских политических взаимоотношении. Тб., 1982, გვ. 49-51.

[2] **ზ. პაპასქირი.** „მატიანე ქართლისა“-ს ერთი ცნობის გაგების საკითხისათვის. – *პროფესორ-მასწავლებელთა საინსტიტუტთაშორისო სამეცნიერო სესიის მასალები.* თბ., 1979, გვ. 24-25; **ზ. პაპასქირი.** „მატიანე ქართლისა“-ს ერთი ცნობის გაგების საკითხისათვის. – *მ. გორკის სახ. აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები,* ტ. I. თბ., 1983, გვ. 136-144; **З. В. Папаскири.** О некоторых вопросах внешней политики Грузинского царства в I трети XI века. – *Сборник работ молодых ученых и специалистов Абхазии.* Сухуми, 1980, გვ. 64-74.

[3] **ზ. პაპასქირი.** ერთიანი.., გვ. 123-138; **მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი.** საქართველოს სახელმწიფოს.., გვ. 236.

კვიდრის, დემეტრე უფლისწულის დედა,[1] რომელსაც გაშორდა და, პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, დაამყარა დინასტიურ-ნათესაური კავშირი ყივჩაყთა მმართველ საგვარეულოსთან.[2]

ზ. პაპასქირი თვლის, რომ გიორგი I-ს ამ ნაბიჯის გადადგმისაკენ უბიძგა იმ გარემოებამ, რომ მისი კანონიერი თანამეცხედრე — დედოფალი მარიამი — აღმოჩნდა ანტიბიზანტიური პოლიტიკური კურსის (რომლის გატარებასაც ყოველნაირად ცდილობდა გიორგი მეფე) მოწინააღმდეგეთა ბანაკში. მკვლევრის დაკვირვებით, ამ პერიოდში საქართველოში ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი — პრობიზანტიური (მარიამ დედოფლისა და მელქისედეკ კათალიკოსის მეთაურობით) და ანტიბიზანტიური (გიორგი I-ის მომხრეთა) დაჯგუფება. მეფესა და დედოფალს შორის არსებული პოლიტიკური განხეთქილება, სავსებით შესაძლებელია, გახდა ოჯახური კონფლიქტის სავარაუდო მიზეზი, რამაც, ეტყობა, აიძულა მეფე ეძებნა დედოფალ მარიამის შემცვლელი სამეფო ტახტზე. მაგრამ თავისი ძლევამოსილი შვილიშვილისაგან განსხვავებით, ასკვნის ზ. პაპასქირი, როგორც, ჩანს, გიორგი I-მა ვერ მიაღწია დასახულ მიზანს, ვერ მოახერხა დედოფალ მარიამის მოცილება და ოვსთა მეფის ასულზე დაქორწინების ოფიციალური აღიარება. უფრო მეტიც, მკვლევარი უშვებს, რომ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მეფის მოულოდნელი გარდაც-

---

[1] ცნობა ამის შესახებ გააჩნია სომეხ ისტორიკოსს მათეოს ურჰაეცის. იხ. **ლ. დავლიანიძე.** მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ. – *საქართველო რუსთაველის ხანაში.* თბ., 1966, გვ. 249; **Р. М. Бартикян.** Хронография Матфея Эдесского о Грузии и грузинах. – *Византинологический этюды.* თბ., 1978, გვ. 145.

[2] **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 219-220; **ზ. ავალიშვილი.** ჯვაროსანთა დროიდან (4 ისტორიული ნარკვევი). პარიზი, 1929, გვ. 25-29; **შ. ბადრიძე.** საქართველო და ჯვაროსნები. თბ., 1973, გვ. 15-18; **შ. ბადრიძე.** საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასთან და დასავლეთ ევროპასთან. თბ., 1984, გვ. 124-125.

ვალება არ იყო შემთხვევითი და, შესაძლებელია, რაღაცნაირად დაკავშირებულია მისი ამ გეგმის რეალიზაციასთან[1].

ჩვენ, პრინციპში, სრულიად დამაჯერებლად მიგვაჩნია გიორგი I-ის „მეორე ცოლის“ შესახებ *„მატიანე ქართლისაჲში“* დაფიქსირებული ინფორმაციის ზ. პაპასქირისეული ახსნა და ძირითადად ვიზიარებთ კიდევაც მას, თუმცა, მიგვაჩნია, რომ ოვსთა მეფის ასულ ალდეს გიორგი I-ის კანონიერი ცოლობა მაინც რამდენადმე ეჭვს იწვევს. აქვე არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ჩვენთვის სრულიად გაუგებარია ოვსთა მეფის ასულის მოხსენიება დედოფლის სტატუსით („ალდე დედოფალი“), რომელსაც ვხვდებით ენციკლოპედიური ხასიათის გამოცემებში.[2] მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ოვსთა მეფის ასული გიორგი I-ის კანონიერი თანამეცხედრე, ერთი რამ უდავოდ ფაქტია – საქართველოს მეფემ ნამდვილად ვერ შეძლო მარიამის დამხობა და ალდეს გადედოფლება. განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ *„მატიანე ქართლისაჲს“* ავტორი ამ ფაქტს „ამხელს“ არა თავისი თხზულების იმ ნაწილში, სადაც გიორგი I-ის მოღვაწეობას აღწერს, არამედ ბაგრატ II-ის ცხოვრებაზე თხრობისას, ანუ, რჩება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს, რომ არა დემეტრე უფლისწულის ამბოხი თავისი გვირგვინოსანი ძმის – ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ, ჩვენი მემატიანე ამ ამბავს საერთოდ მიჩქმალავდა.

არადა მემატიანეს თითქოს ჰქონდა მომენტი, „გაემხილა“ გიორგი I-ის ეს „საიდუმლო“, მაშინ, როდესაც ის იძლევა ინფორმაციას მისი შვილების შესახებ და მათ შორის ყოველგვარი კომენტარების გარეშე მოიხსენიებს დემეტრეს: *„ესხნეს შვილნი ოთხნი: ძენი ბაგრატ და დემეტრე, და ასულნი გურანდუხტ და კატა; მეხუთე შვილი მათი მიცვა-*

---

[1] ზ. პაპასქირი. ერთიანი ქართული..., გვ. 123-138.

[2] *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*, ტ. I, თბ., 1975, გვ. 285; *ქართული დიპლომატიური ლექსიკონი*, ტ. I, თბ., 1998, გვ. 22.

ლებულ იყო“;[1] მაგრამ *„მატიანის“* ავტორმა ამ შემთხვევაში, რატომღაც, თავი შეიკავა დემეტრეს ნამდვილი ვინაობის გაშიფვრისაგან. უფრო მეტიც, რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ მემატიანეს დემეტრეც მარიამის შვილად წარმოუდგენია. ამაზე მეტყველებს მისი სიტყვები: *„მეხუთე შვილი მათი“* (ანუ გიორგი I-ისა და მარიამ დედოფლის – ი.ჯ.).

ყოველივე ეს კი გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ მას ნამდვილად ეეჭვებოდა გიორგი I-ის „მეორე ცოლის“ კანონიერება, თუმცა, ამავე დროს, უთუოდ დამაფიქრებელია ის, რომ მემატიანე ალდეს რატომღაც მაინც „მეორე ცოლს“ უწოდებს და არა, დავუშვათ, ხარჭას. აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ, რომ მოგვიანებით, XIII ს. შუა ხანებში, საქართველოს სამეფო ოჯახში მოხდა უცნაური ამბავი, რომელშიც ასევე ფიგურირებს ოვსი ქალი. მეფე ულუ-დავითს, რომელსაც არ უჩნდებოდა შვილი დედოფალ ჯიგდა-ხათუნთან, მოუყვანეს ოვსი ქალი, რომელმაც გაუჩინა მას ვაჟი: *„ამათ ჟამთა შინა მწუხარე იყვნეს წარჩინებულნი მეფისანი, რამეთუ ჯიგდამან არა შვა შვილი. ამისთჳს ინება მეფემან მოყვანება შვილიერების ძლით ალთუნ, ნათესავით ოვსი, მეულლედ, აღმთქმელმან, უკეთუ მიეცეს ყრმა წული, არღარა შეიწყნაროს, არამედ განუტეოს. და ვითარ გამო და მცირე ჟამი, მუცლად-ილო ალთუნ ძე და შვა, და უწოდეს სახელი გიორგი, რომელი აღიქუა და შეიყვანა შვილად დედოფალმან ჯიგდა-ხათუნ. და შემდგომად მცირედისა მიუდგა და შვა ასული, და უწოდა სახელი თამარ. და აჳა შინა განიშორა საყუარელი თჳსი ალთუნ, ნათესავით ოვსი, რომელი ფრიად ქმნულკეთილი იყო...“*[2]

როგორც ამ ცნობიდან ჩანს, დავით-ულუს ნება დართეს წარჩინებულებმა და დედოფალმაც, ჰყოლოდა ოფიციალური საყვარელი, რომელსაც უნდა გაეჩინა და გააჩინა კიდეც ტახ-

---

[1] *ქართლის ცხოვრება*.., ტ. I, გვ. 291, ხაზგასმა ჩვენია – ი.ჯ.

[2] *ჟამთააღმწერელი*. – *ქართლის ცხოვრება*, მთ. რედაქტორი *რ. მეტრეველი*, გვ. 581 (ხაზგასმა ჩვენია – ი.ჯ.)

ტის მემკვიდრე. აღსანიშნავია, რომ ეს საყვარელი (ივ. ჯავახიშვილი მას „მეორე ცოლსაც“ უწოდებს)[1] მაინც და მაინც ოვსია და მას ჰქვია სახელად ალთუნ, რაც ძალზე წააგავს გიორგი I-ის „მეორე ცოლის“ — ალდეს სახელს. ე. ი. საქართველოს სამეფო კარზე ჩვენ გვხვდება ერთგვარი პრეცედენტი „მეორე ცოლისა“ თუ ოფიციალური საყვარლის არსებობისა. თუმცა ეს სულ სხვა ეპოქაში — მონღოლობის პერიოდში („ულუსობის ჟამს“) ხდებოდა და მისი მექანიკურად გადმოტანა XI საუკუნეში მთლად გამართლებული არ არის.

„მატიანე ქართლისაჲში“ მოგვეპოვება ცნობა ოვსეთ-კახეთს შორის ურთიერთობის უკიდურესად გამწვავების შესახებ, რასაც შედეგად მოჰყვა ჯერ ოვსთა მეფის ურდურესა, ხოლო შემდეგ კი „რანთა და კახთა“ მეფის კვირიკე III დიდის დაღუპვა: *„მას ჟამსა მოკლულ იყო დიდი კახთა მეფე კჳრიკე ოვსისა ვისმე მონისა მიერ, რამეთუ წყობასა შინა ოვსთა მეფე ურდურე მოეკლა კჳრიკე მეფესა. და მესისხლეობით მოიკლა კჳრიკე მეფე ნადირობასა შინა ფიდრაზის გორთა ოვსისა მონისა მიერ“*.[2] ე. ი. ამ ცნობაში აშკარად მოჩანს სამხედრო შეტაკების კვალი ოვსეთსა და კახეთს შორის. ისტორიოგრაფიაში, ჩვენის აზრით, სავსებით სამართლიანადაა შენიშნული, რომ კახეთ-ოვსეთის კონფრონტაცია, ინსპირირებული იყო „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფის, ბაგრატ IV-ის მიერ და მიზნად ისახავდა კახეთის დასუსტებას, რომლის შემოერთებასაც ენერგიულად ცდილობდა მაშინ (XIს. 30-იანი წლები) გაერთიანებული საქართველოს მეფე.[3]

საქართველო-ოვსეთის ურთიერთობების ხასიათის გასარკვევად XI საუკუნეში უაღრესად საინტერესოა *„მატიანე ქართლისაჲს“* ცნობა ქართველთა და ოვსთა განძაზე ერთობლივი

---

[1] *იხ.* ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. — *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტ. III. თბ., 1982, გვ. 145.

[2] *ქართლის ცხოვრება*, მთ. რედაქტორი *რ. მეტრეველი*, გვ. 281.

[3] გ. თოგოშვილი. საქართველო-ოსეთის.., გვ. 132-133; ზ. ჭაჭასქირი. ერთიანი.., გვ. 153.

გალაშქრებისა და ოვსთა მეფე დორღოლელის საქართველოში ვიზიტის შესახებ: „და გამოიყვანა (ბაგრატ IV-მ – ი.ჯ.) დორღოლელი, ოვსთა მეფე, ორმოცი ათასი ოვსითა, და წარუძღუანა ძე მისი გიორგი კურაპალატი და მოაოხრა განძა, და აღილო ტყვე და ნატყუენავი ურიცხვი, და გაგზავნა თავის სამეფოდ. ამის შემდგომად აღისურვილა დიდმან ოვსთა მეფემან დორღოლელმან და სიძისა მათისა ბაგრატისა სევასტოსისათჳის და ითხოვა დარბაზობა ბაგრატისაგან. ხოლო ბაგრატ ნება სცა და მხიარულად წარმოემართა ოვსთა მეფე ყოვლითა თავადითა ოვსეთისათა, და აღმოვლო გზა აფხაზეთისა და მოვიდა ქუთაისს. და ნახა და მათი დედოფალი, დედა გიორგი კურაპალატისა; რამეთუ გიორგი კურაპალატი გებული იყო უწინა, და მოიყვანეს ქართლს. და მეფე დვა ტინისხიდისა ჰპალასა, ნადარბაზევს, და მოეგება წინა დიდითა ზეიმითა და პატივითა. შეკრბეს ერთგან კეზუთა ზედა. და იყო სიხარული და ხმა ბუკთა და დუმბულთა საშინელი და მიუწდომელი. და დაყვეს ერთგან დღე თორმეტი, და განისუენეს ყოვლითა განსუენებითა და სიხარულითა. და მიზეზითა ზამთრისათა გაისწრაფეს, და მისცა ნიჭი და საბოძვარი მეფესა და ყოველსა დიდებულსა ოვსეთისასა. გაგზავნა და წარვიდეს სიხარულითა“.[1]

ეს ცნობა არის პირდაპირი მოწმობა საქართველო-ოვსეთის აქტიური სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობისა, რომელმაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში ნაყოფი გამოიღო. მაგრამ ეს არ იყო, უბრალოდ, სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობა, ანუ ერთობლივი ბრძოლა საერთო მტრის წინააღმდეგ. ამჯერად ბაგრატ IV-მ ოვსეთის სამეფო ჩართო საქართველოს სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური გეგმების რეალიზაციაში, ე.ი. გამოიყენა ოვსთა ძალა საკუთარი ინტერესების შესაბამისად.

„მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი პირდაპირ მიუთითებს, რომ განძაზე გალაშქრება იყო ბაგრატ IV-ის აქცია, სწორედ

---

[1] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. I, გვ. 313.

ის ითვლება ამ სამხედრო ოპერაციის ავტორად. მას მოჰყავს ოვსთა მეფე ლაშქრით, ის აგზავნის ამ ლაშქარს თავისი ძის — გიორგი კურაპალატის წინამძღოლობით. ე.ი. განძაში გაგზავნილი ლაშქრის სარდალი საქართველოს ტახტის მემკვიდრეა და მას ემორჩილება ოვსთა მეფე თავისი ლაშქრით. ყოველივე ეს კი აშკარად მიუთითებს, რომ ოვსთა მეფე დორღოლელი სულაც არ არის საქართველოს მეფის თანასწორუფლებიანი პარტნიორი. ის საქართველოს მეფის ვასალი უფროა. ამის არგუმენტად გამოდგება *„მატიანის“* ავტორის გამოთქმები, რასაც ყურადღება მიაქცია ჯ. სტეფნაძემ: **„გამოიყვანა დორღოლელი“**, „გაგზავნა (ბაგრატმა ოვსთა მეფე — ი.ჯ.) თავის სამეფოდ“, „ითხოვა (დორღოლელმა — ი.ჯ.) დარბაზობა ბაგრატისაგან“, **„ბაგრატ ნება სცა“**, „მისცა (დორღოლელს — ი.ჯ.) ნიჭი და საბოძვარი“ და ა.შ. საიდანაც აშკარად ჩანს ბაგრატ IV-ის სიუზერენული უფლებები თავის ცოლისძმაზე, ოვსთა მეფეზე.[1]

„მატიანე ქართლისაჲს“ ზემოთმოტანილი ცნობის განხილვისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმას, რომ განძიდან ოვსთა მეფე სამშობლოში დაბრუნებულა და მხოლოდ შემდეგ უთხოვია დარაზობის ნება საქართველოს მეფისაგან და მას შემდეგ, რაც „ბაგრატ ნება სცა“, მოსულა ჭუთაისში „აფხაზეთის გზით“. „გზა აფხაზეთისა“, როგორც ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი ერთ-ერთი სატრანსპორტო მაგისტრალი, სხვა ქართულ წყაროებშიც გვხვდება. ჯუანშერ ჯუანშერიანის *„ცხოვრება ვახტანგ გორგასლისაში“* ვახტანგ გორგასალი ჩრდილოეთ კავკასიიდან *„სპითა დიდითა ქართლისათა წარმოვიდა გზასა აფხაზეთისასა... და უშიშად იწყო ბრძოლა ციხეთა აფხაზეთისათა“*.[2] ეს გზა უნდა იგულისხმე-

---

[1] ჯ. სტეფნაძე. საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან XII საუკუნეში. თბ., 1974, გვ. 115-116; **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских.., გვ. 54.

[2] ჯუანშერ ჯუანშერიანი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, – *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით *ს. ყაუხჩიშვილის* მიერ, ტ. I. თბ., 1955, გვ. 157.

ბოლეს, აგრეთვე, იოვანე საბანისძის თხზულებაში.[1] მკვლევართა აზრით, „გზა აფხაზეთისა“ გადიოდა დღევანდელი ქლუხორის გადასასვლელზე.[2]

ამით სრულდება *„ქართლის ცხოვრების“* ერთ-ერთი საინტერესო ნაწილის – *„მატიანე ქართლისაჲ“* ინფორმაციები ჩრდილოეთ კავკასიისა და საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობების შესახებ VIII-XI საუკუნეებში. მიუხედავად იმისა, რომ ქართული მატიანის მასალები მეტად ფრაგმენტულია და, ბუნებრივია, არ იძლევა სრულ სურათს როგორც, საკუთრივ, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ისტორიისა, ისე მათი საქართველოსთან ურთიერთობის შესახებ, ამ ცნობების მნიშვნელობა მაინც არსებითია და მათ გარეშე წარმოუდგენელია მოცემული პრობლემის მეცნიერული კვლევა.

§2. ისტორიკოს სუმბატ დავითის ძის ცნობები საქართველო-ჩრდილოეთის ქვეყნების ურთიერთობების შესახებ

სუმბატ დავითის ძის თხზულებას *„ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთა“* *„ქართლის ცხოვრების“* მატიანეთა შორის სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავია. აღნიშნული თხზულების განსაკუთრებულობა, როგორც ცნობილია, პირველ რიგში, განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ის თავისი „მიზანდასახულობითა და თხრობის ობიექტით“ განსხვავდება *„ქართლის ცხოვრების“* სხვა ქრონიკებისაგან და ე.წ. საგვარეულო მატიანეთა ჯგუფს განეკუთვნება.[3] ამასთან, ისიც უნდა

---

[1] იოვანე საბანისძე. მარტყოფელობაჲ აბო ტფილელისაჲ.., გვ. 16.

[2] მ. ციხცაძე. საქართველო-ადიღეს.., გვ. 16.

[3] გ. არახამია. სუმბატ დავითის-ძე და მისი ისტორიული თხზულება, – წგნ.: *სუმბატ დავითის ძე.* ცხორებაჲ და უწყებაჲ ბაგრატონიანთა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *გ. არახამიამ.* თბ., 1990, გვ. 10.

აღინიშნოს, რომ სუმბატის თხზულება ნამდვილად არ არის რიგითი საგვარეულო მატიანე (ისეთივე, როგორიცაა *„ძეგლი ერისთავთა“* და *„მესხური დავითნის ქრონიკა“*), ვინაიდან მასში გადმოცემულია არა რიგითი საგვარეულოს, არამედ „საქართველოს სამეფო საგვარეულოს თავგადასავალი“, რითაც მას საქართველოს ისტორიისათვის „საზოგადო მნიშვნელობა ენიჭება“.[1]

სუმბატის თხზულება სრული სახით, როგორც ცნობილია, ე.წ. „მარიამისეულ“ და ზოგიერთ სხვა (1697წ. და მაჩაბლისეულ) ნუსხაში მოგვეპოვება. მისი წყაროთმცოდნეობითი შესწავლის საწყისებთან იდგა ე. თაყაიშვილი, რომელმაც ჯერ კიდევ XIXს. მიწურულს გამოაქვეყნა კიდეც მატიანის კრიტიკულად დადგენილი ტექსტი როგორც ქართულად,[2] ისე რუსულადაც.[3] დაწყებული ამ დროიდან დღემდე არაერთი მკვლევარი შეხებია სუმბატის ქრონიკის წყაროთმცოდნეობით ასპექტებს. შედეგად, სადღეისოდ, მეცნიერებაში არსებობს მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენა სუმბატ დავითის ძესა და მის თხზულებაზე, თუმცა ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია დასაზუსტებელი და გასარკვევი.

პირველ რიგში, არ შეიძლება ჩაითვალოს საბოლოოდ დადგენილად ავტორის ვინაობა. ერთი მოსაზრებით, *„ბაგრატი-*

---

[1] **ივ. ჯავახიშვილი.** ძველი ქართული საისტორიო.., გვ. 263; **გ. არახამია.** სუმბატ დავითის-ძე.., გვ. 10.

[2] **ე. თაყაიშვილი.** სამი ისტორიული ქრონიკა, ტფ., 1890. მოგვიანებით, XXს. 40-იან წლებში ე. თაყაიშვილმა გამოსცა სუმბატის თხზულების კრიტიკულად დადგენილი ტექსტი. იხ.: **ე. თაყაიშვილი.** სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ. ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით და ორი გენეალოგიური ტაბულით *ე. თაყაიშვილმა. – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის,* ნაკვ. 27. თბ., 1949.

[3] **Е. С. Такаишвили.** Источники грузинских летописей. – Три Хроники. – *Сборник материалов описания местностей и племен Кавказа,* вып. XVIII, Тифлис, 1900; ქრონიკის რუსული თარგმანი იხ. აგრეთვე: **Сумбат Давидис-дзе.** История и повествование о Багратионах. Перевод, введение и примечания *М. Д. Лордкипанидзе.* Тб., 1979.

ონთა ცხოვრების“ ავტორად მიჩნეული Xს. მოღვაწე სუმბატ ბაგრატიონი – ძე დავით მამფალისა (გარდაიცვალა 988წ.).[1] სხვა შეხედულებით ქრონიკის ავტორია ათონის აღაპებში მოხსენიებული სუმბატ კურაპალატი, რომელსაც ეკუთვნის 922 წლამდელი ისტორია, დასკვნითი ნაწილი კი დაწერილია სუმბატ კურაპალატის ძის გურგენის მიერ, რომელიც ასევე მოხსენიებულია ათონის აღაპებში.[2] ყველაზე დამაჯერებლად მოჩანს დ. კარიჭაშვილის თვალსაზრისი (მას იზიარებდა ე. თაყაიშვილიც[3]), რომლის თანახმადაც თხზულების ავტორი უნდა იყოს 1032 წელს გარდაცვლილი სუმბატ დავითის ძე,[4] თუმცა არანაკლებ ანგარიშგასაწევია გ. გელაშვილის მოსაზრებაც, რომელსაც ქრონიკის ავტორი სუმბატი 994 წელს გარდაცვლილი დავით ბაგრატიონის ძედ მიაჩნია.[5]

სადავოა თხზულების დაწერის დროც. ამ ბოლო დროს გ. არახამიამ ფაქტობრივად გამორიცხა *„ბაგრატიონთა ცხოვრების“* XIს. 30-იანი წლების დამდეგს (1031 წლის ახლო ხანებში) დაწერის შესაძლებლობა თხზულების დასრულების ქრონოლოგიური ჩარჩოები XIს. 50-60-იანი წლებით შემოფარგლა.[6] თხზულების შექმნის თარიღი მოგვიანო პერიოდში (XIს. უკანასკნელ მეოთხედში) გადააქვს გ. მჭედლიძესაც.[7]

---

[1] დ. ბაქრაძე. ისტორია საქართველოსი უძველესი დროიდან X ს-ის დასასრულამდე. ტფ., 1889, გვ. 55.

[2] *ქრონიკები* და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი *თ. ჟორდანიას* მიერ, ტ. I. ტფ., 1892, გვ. 149

[3] ე. თაყაიშვილი. სუმბატ დავითის ძის ქრონიკა.., გვ. 11-12.

[4] დ. კარიჭაშვილი. ვინ უნდა იყვეს სუმბატის ქრონიკის ავტორი? – *ძველი საქართველო*, I. ტფ., 1909, გვ. 40-41.

[5] გ. გელაშვილი. სუმბატ დავითის ძე და მატიანე ქართლისა. – *თსუ შრომები*, ტ. 87. თბ., 1960, გვ. 245-246. ამის შესახებ დაწერ. იხ.: გ. არახამია. სუმბატ დავითის-ძე.., გვ. 19-20.

[6] გ. არახამია. სუმბატ დავითის-ძე.., გვ. 20-22.

[7] Г. А. Мчедлидзе. Хронология грузинской историчесской литературы V-XIVвв. Автореферат кандидатской диссертации. Тб., 1963, გვ. 18).

ჩვენ ვერ გავიზიარებთ ხსენებულ მკვლევართა ამ დასკვნებს და მიგვაჩნია, რომ ჯერჯერობით არ არსებობს დამაჯერებელი არგუმენტაცია დაწერის დროის XIს. 30-იანი წლების დამდეგიდან უფრო მოგვიანო პერიოდში გადატანისათვის. ამასთან დაკავშირებით, მეტად საინტერესოდ გვეჩვენება ზ. პაპასქირის მიერ სუმბატ დავითის ძის საგარეო-პოლიტიკურ ორიენტაციაზე, კერძოდ, მის ბიზანტოფილობაზე ყურადღების გამახვილება, რამაც მკვლევარს მისცა საფუძველი, *„ბაგრატიონთა ცხოვრების“* შექმნა XIს. 30-იანი წლებით დაეთარიღებინა.[1]

ასევე აზრთა სხვადასხვაობას იწვევს სუმბატის ქრონიკის *„მატიანე ქართლისათან“* მიმართების საკითხი. მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, სუმბატის თხზულების დასკვნითი ნაწილისა (1021-1022 წლების საქართველო-ბიზანტიის ომისა და შემდგომი პერიოდის მოვლენების ამსახველი მასალების) და *„მატიანე ქართლისაჲს“* შესაბამისი ადგილების აშკარა ტექსტოლოგიური მსგავსება გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ *„მატიანე ქართლისაჲს“* ავტორი იყენებდა სუმბატ დავითის ძის ქრონიკას.[2] სხვა მოსაზრებით კი, პირიქით, სუმბატ დავითის ძეს უნდა ჰქონდეს გამოყენებული

---

[1] **ზ. პაპასქირი.** ისტორიკოსი სუმბატ დავითის ძე და XI ს. პირველი მესამედის საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი. – *საბჭოთა საქართველოს 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში ახალგაზრდა მეცნიერთა III რესპუბლიკური კონფერენციის მასალები*, თბ., 1981, გვ. 97-101; **ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული.., გვ. 140-149; **З. В. Папаскири.** От Давида до Давида. Тб., 2001, გვ. 62-65

[2] **Е. С. Такаишвили.** Источники.., გვ. 42, 118, 174-175; **ე. ინგოროყვა.** ძველი ქართული ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა. – *თხზ.*, ტ. IV. თბ., 1978, გვ. 427; **გ. გელაშვილი.** სუმბატ დავითის ძე და მატიანე ქართლისა.., გვ. 235-236; **М. Д. Лордкипанидзе.** Введение. – წგნ.: *Матиане Картлиса*. Перевод, введение и примечания *М. Д. Лордкипанидзе*. Тб., 1976, გვ. 21; **М. Д. Лордкипанидзе.** Введение. – წგნ.: Сумбат Давидис-дзе.., გვ. 19; **Г. В. Цулая.** Источниковедческие проблемы „Летописи Картли“. – წგნ.: *Летопись Картли*. Перевод, введение и примечания *Г. В. Цулая*. Тб., 1982, გვ. 29).

„მატიანე ქართლისაჲს“ ტექსტი.[1]

მკვლევართა ერთი ჯგუფი სულ უფრო იხრება ივ. ჯავახიშვილის[2] თვალსაზრისისაკენ, რომლის მიხედვითაც, *„მატიანის“* ავტორსა და სუმბატ დავითის ძეს უნდა ესარგებლათ რომელიღაც საერთო წყაროთი.[3] უკანასკნელ ხანს ყურადღება გამახვილდა სუმბატ დავითის ძის საგარეო-პოლიტიკურ ორიენტაციაზეც.[4]

სუმბატ დავითის ძის ქრონიკა სამართლიანადაა მიჩნეული VI-XIს. I მესამედის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროდ. მართალია, მასში გადმოცემული ყველა ფაქტი სანდოობის თვალსაზრისით მართლაც შეიძლება არ იყოს თანაბარი ღირსების,[5] მაგრამ მთლიანობაში *„ბაგრატიონთა ცხოვრება“*, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, უნდა ჩაითვალოს განსახილველი პერიოდის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე სანდო წყაროდ.

სხვა საკითხებთან ერთად სუმბატ დავითის ძის თხზულება გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის VI-XI საუკუნეების

---

[1] კ. გრიგოლია. ნარკვევები საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობიდან. ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954, გვ. 233-235; ს. ყაუხჩიშვილი. „ქართლის ცხოვრების“ ძეგლთა წყაროებისათვის, – წგნ.: *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ, ტ. I. თბ., 1955, გვ. 034-036; გ. ალასანია. რიცხვი და მისტიკა ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში. – *მაცნე*, ისტორიის... სერია, №1, 1984, გვ. 36-37; **Г. Г. Аласания.** Классификация грузинских письменных источников.., გვ. 172-173).

[2] ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო.., გვ. 206.

[3] **Ш. А. Бадридзе.** „Картлис цховреба“ о грузино-византийских взаимоотношениях первой трети XIв. – *Источниковедческие разыскания* (1979), Тб., 1984, გვ. 48-52; ზ. პაპასქირი. ისტორიკოსი სუმბატ დავითის ძე.., გვ. 97-101; ზ. პაპასქირი. ერთიანი ქართული.., გვ. 143; გ. არახამია. ძველი ქართული საგვარეულო მატიანეები. თბ., 1988, გვ. 26-27; გ. არახამია. სუმბატ დავითის-ძე.., გვ. 18.

[4] ზ. პაპასქირი. ისტორიკოსი.., გვ. 97-101; ზ. პაპასქირი. ერთიანი ქართული.., გვ. 140-149; **З. В. Папаскири.** От Давида.., გვ. 62-65.

[5] გ. არახამია. სუმბატ დავითის-ძე.., გვ. 18.

საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ მდგომარეობაზე. მასში მოცემულია არაერთი საინტერესო ცნობა საქართველოს ურთიერთობებზე მეზობელ ქვეყნებთან თუ ხალხებთან. ამ მხრივ გამონაკლისი არ არის კავკასიონის ქედს გადაღმა არსებული სამყარო, საკუთრივ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები, აგრეთვე ხაზარები, ძველი რუსები.

პირველი ცნობა, რომელიც შემოდის ჩვენი ინტერესების სფეროში, ესაა ცნობა ჰერაკლე კეისრისა და ხაზარების მიერ თბილისის დალაშქვრის შესახებ. სუმბატის გადმოცემით, აღმოსავლეთ საქართველოში მოსულმა ჰერაკლე კეისარმა *„დაუტევა ტფილისს ჯიბლუ ერისთავი ბრძოლად ციხესა ტფილისისასა... ხოლო მან ჯიბლუ ციხე იგი ტფილისისა გამოიღო, და ციხისთავი იგი შეიპყრა. და დრაჰკანითა პირი აღუვსო ამისათვის, რამეთუ თქუა სადიდებელი იგი მეფისაჲ ჰერაკლესი. ხოლო კადრებისა მისთჳს ტყაჳი გაჰკვადა და მეფეს მისწია იგი გარდაბანს ვარაზ-გრიგოლისასა“*.[1] ეს ცნობა თითქმის იმავე რედაქციით მოცემულია აგრეთვე ჯუანშერ *ჯუანშერიანის* თხზულებაში.[2] ორივე ქრონიკას, ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ერთი საერთო წყარო — *„მოქცეჳაჲ ქართლისაჲ“* აქვს, რომელშიც ასევე ნათქვამია, რომ ჰერაკლე კეისარმა *„დაუტევა (ტფილისს) ჯიბლო ერისთავი და თჳთ წარვიდა ბაღდადს ბრძოლად ხუასრო მეფისა. ხოლო ამან ჯიბლო მცირეთა დღეთა შემდგომად კალა გამოიღო და ციხისთავი იგი შეიპყრა და პირი დრაჰკნით აღუვსო და მერმე მრთელსა ტყაჳი გაჰკვადა და მეფესა უკუანა მისწია გარდბანს“*.[3] ქართუ-

---

[1] სუმბატ დავითის ძე. ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა. – *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით *ს. ყაუხჩიშვილის* მიერ, ტ. I. თბ., 1955, გვ. 375.
[2] ჯუანშერ ჯუანშერიანი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, – *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით *ს. ყაუხჩიშვილის* მიერ, ტ. I. თბ., 1955, გვ. 225.
[3] *მოქცეჳაჲ ქართლისაჲ*. – *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ი. აბულაძის* რედაქტორობით, წ. I. თბ., 1963, გვ. 96.

ლი წყაროებიდან არ ჩანს თუ ვინაა „ჯიბღუ ერისთავი“, მაგრამ ამ ხარვეზს ავსებს სომეხი მემატიანის მოსე კალანკატუელის თხზულება, რომელშიც ზედმიწევნით ზუსტად არის ნაჩვენები ჯიბღუს (ჯებუ) ხაკანის ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსვლა.[1] ისტორიოგრაფიაში დიდხანს ჯიბღუ მიჩნეული იყო ხაზართა ხაკანად.[2] უკანასკნელ ხანს გამოითქვა მოსაზრება, რომ სუმბატის თხზულებაში (ასევე სხვა ქართულ მატიანეებში) დასახელებული „ჯიბღუ ერისთავი“ თურქთა დასავლეთის ხაკანათის მმართველი უფლისწული იყო.[3]

ის, რომ სუმბატ დავითის ძე (ისევე როგორც ჯუანშერი და *„მოქცევაის“* ავტორი) არ შიფრავს, თუ ვინ იყო სინამდვილეში „ჯიბღუ ერისთავი“, ჩვენი აზრით, არ არის შემთხვევითი. ეს გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ XIს. მემატიანეს, რომელიც, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, მოცემული ფაქტის გადმოცემისას მთლიანად ეყრდნობა *„მოქცევაი ქართლისაის“* ქრონიკას, არ გააჩნდა დამატებითი ინფორმაცია „ჯიბღუ ერისთავის“ ვინაობაზე.

ამ თვალსაზრისით განსხვავებული ვითარება გვაქვს სუმბატ დავითის ძის თხზულების იმ ნაწილში, რომელშიც აღწერილია 1021-1022 წლების საქართველო-ბიზანტიის ომის პერიპეტიები, კერძოდ, ბიზანტიისა და ქართული ჯარების დასკვნითი შეტაკების გაშუქებისას მემატიანე იძლევა უაღრესად საინტერესო ცნობას ბიზანტიის ლაშქარში რუსთა რაზმების

---

[1] მოვსეს კალანკატუაცი. ალვანთა ქვეყნის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო *ლ. დაფლიანიძე-ტატიშვილმა*. თბ., 1985, გვ. 68.

[2] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. I. – *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტ. I. თბ., 1979, გვ. 302; **М. А. Артамонов.** История Хазар. М., 1962, გვ. 162; **А. А. Богверадзе.** Раннефеодальные грузинские государства в VI-VIII вв. – *Очерки истории Грузии*, т. II. Тб., 1988, გვ. 169.

[3] **გ.** გოილაძე. ჯუანშერის თხზულებაში მოხსენიებული „მეფე საბა“ და ჯიბღა ერისთავი. – *მაცნე*, ისტორიის... სერია, №2, 1977, გვ. 90-102.

ყოფნის შესახებ: *„და გამოვიდეს მიერ კერძო ტალმანი მეფისანი რუსნი და არა განერია ერთიცა პირველ მოსრულთა მათ თუნიერ მცირედთასა, რამეთუ თუთ მეფე გიორგი და უძლიერესი ლაშქარი მისი არღარა მისრულ იყო ჯერეთ ყოვლადვე, და მოიკლნეს მათგანი მას დღესა შინა, რომელთაცა-ივი მშჳდობის-ყოფა არა ენებათ და მოტ იქმნეს ყოველნი“.*[1]

აღნიშნულმა ცნობამ დიდი ხანია მიიპყრო მკვლევართა ყურადღება. თავის დროზე ამ ცნობის კომენტარი მოგვცეს დ. ბაქრაძემ და მ. ჯანაშვილმა, რომლებმაც რატომღაც „ტალმანი მეფისანი რუსნი“ „რუსთა მეფის ტალმად“ ანუ „რუსთა მეფის რაზმებად“ გაშიფრეს.[2] არადა, სუმბატის ტექსტში, როგორც ზემოთ დავინახეთ, სრულიად გარკვევით წერია, რომ „რუსული რაზმები“ იყვნენ „მეფის“ ანუ ბიზანტიის იმპერატორ ბასილი II-ის განკარგულებაში.

ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია სავსებით დასაბუთებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ სუმბატის თხზულებაში დაფიქსირებული „ტალმანი... რუსნი“ იყვნენ იმ რუს-ვარიაგთა კორპუსიდან, რომელიც 989 წელს ბიზანტია-კიევის რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად იდგა ბიზანტიის იმპერატორის სამსახურში.[3] მართალია, ამ დასკვნას, ერთი შეხედვით, შეიძლება ხელს უშლიდეს ის გარემოება, რომ ის არ დასტურდება სხვა წყაროებით, კერძოდ, სომეხი ისტორიკოსის არისტაკეს ლასტივერტცის მონაცემებით, რომელსაც გააჩნია უაღრესად საინტერესო ცნობა ბიზანტიის იმპერატორის მხარეზე მებრძოლი „რუზების“ („რუსების“) ტაოში ყოფნის შესახებ (1001წ.), სადაც მათ ჰქონდათ შე-

---

[1] სუმბატ დავითის-ძე. ცხორებაჲ.., გვ. 384.

[2] ვახუშტი. საქართველოს ისტორია, განმარტებული *დ. ბაქრაძის* მიერ. ტფ., 1885, გვ. 147-148; **М. Г. Джанашвили.** Известия грузинских летописей о Северном Кавказе и России. – *Сборник по описанию местностей и племён Кавказа*, вып. 22. Тифлис, 1897, გვ. 31.

[3] **В. Г. Василевский.** Варяго-русская и варяго-английская дружина в Константинополе XI-начале XII века. – *Труды В. Г. Васильевского*, т. I. СПб., 1908, გვ. 211-212.

ტაკება ტაოელ აზნაურებთან, რომლის დროსაც დაიღუპა 30 „წარჩინებული აზატი“.[1]

ეს უკანასკნელი ფაქტი უფრო დაწვრილებით აქვს გაშუქებული მეორე სომეხ ისტორიკოსს სტეფანოს ტარონაცის ანუ ასოღიკს, რომელიც არა მარტო აღწერს ქართველთა და რუსთა შეტაკების ფაქტს, არამედ აზუსტებს იმასაც, თუ ვინ იყვნენ ეს „რუზები“ და საიდან გაჩნდნენ ისინი ტაოში. სტეფანოს ტარონაცის განმარტებით, „რუზები“, რომელთაც კონფლიქტი მოუვიდათ გარდაცვლილი დავით კურაპალატის ქვეშევრდომ აზნაურებთან „6000 человек пеших, вооруженных копьями и щитами, – იყვნენ ისინი, – которых просил царь Василий у царя рузов в то время, когда он выдал сестру свою замуж за последнего – в это же самое время рузы уверовали во Христа“.[2] ამრიგად, როგორც ვხედავთ, XIს. სომეხი ისტორიკოსები საკმაოდ კარგად არიან ინფორმირებულნი ბასილი კეისრის ჯარის შედგენილობაზე.

მართალია, სუმბატ დავითის ძე არ შიფრავს, თუ საიდან და როგორ აღმოჩნდნენ რუსული რაზმები ბასილი კეისრის ლაშქარში, მაგრამ ამ შემთხვევაში ნამდვილად არ არის გამორიცხული, რომ ამ საკითხზე ზოგადი წარმოდგენა მასაც ჰქონდა. ისტორიოგრაფიაში გამოითქვა ერთგვარი ეჭვი იმის შესახებ, რომ სუმბატ დავითის ძის მიერ მოყვანილი ფაქტი „რუსული რაზმების“ ტაოში ყოფნის შესახებ შეიძლება იყოს 1001 წლის ინციდენტის ანარეკლი და არა 1021-1022 წლების საქართველო-ბიზანტიის ომის რეალობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ფაქტს დაადასტურებდა არისტაკეს ლასტივერტციც, რომელსაც საკმაოდ ვრცლად აქვს გაშუქებული ამ

---

[1] არისტაკეს ლასტივერტცი. ისტორია. ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებითა და საძიებლებით გამოსცა *ე. ცაგარეიშვილმა*, თბ., 1974, გვ. 41.

[2] *Всеобщая история Степаноса Таронского, Асохика по прозванию, писателя XI столетия.* Перевод *Н.Эмина*. М., 1864, გვ. 201-202.

ომის პერიპეტიები.[1]

ჩვენი აზრით, ის გარემოება, რომ არისტაკეს ლასტივერტცი (ან ნებისმიერი სხვა წყარო) არ ადასტურებს რუსული რაზმების მონაწილეობას 1021-1022 წლების მოვლენებში, არ გამოდგება მყარ არგუმენტად ამ ფაქტის უარსაყოფად. იქიდან გამომდინარე, რომ XI ს. მიწურულსა და XII ს. I ნახევარში ბიზანტიის საიმპერატორო კარი აქტიურად იყენებდა რუსულ კორპუსს თავის სამხედრო აქციებში,[2] უფრო დამაჯერებლად მიგვაჩნია იმ მკვლევართა დასკვნა, რომელთაც არ ეეჭვებათ სუმბატ დავითის ძის ცნობის რეალურობა და ასევე სავსებით შესაძლებლად მიგვაჩნია კონსტანტინეპოლში მომსახურე რუსულ-ვარიაგული კორპუსის ნაწილების გამოყენება ბასილი II-ის მიერ 1021-1022 წლების ომის მსვლელობისას.[3]

სუმბატ დავითის ძის თხზულებაში მოგვეპოვება ცნობა, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ურთიერთობაზე ბაგრატ III-ის ხანაში. იძლევა რა გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის მოღვაწეობის ზოგად შეფასებას, სუმბატ დავითის ძე საგანგებოდ აღნიშნავს: *„დაიპყრა ყოველი კავკასია თუთმპყრობელობითა ჯიქეთითგან ვიდრე გურგენამდე“*.[4] მიუხედავად იმისა, რომ არც თვით სუმბატს და არც *„მატიანე ქარ-*

---

[1] **М. Джанашвили.** Известия грузинских летописей.., გვ. 31.

[2] ამის შესახებ დაწვრ. იხ.: **В. Г. Василевский.** Варяго-русская.., გვ. 196-401.

[3] **В. Г. Василевский.** Варяго-русская.., გვ. 196-210; ი. ციცქაძე. ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიიდან, თბ., 1956, გვ. 10; **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских.., გვ. 30. ამასთან დაკავშირებით ჩვენ ვერ გავიზიარებთ ი. ციცქაძის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სუმბატის „რუსნი“ შესაძლებელია ყოფილიყვნენ შავ ზღვაზე ალაფის საშოვნელად მოხეტიალე თავისუფალი რაზმებიც (ი. ციცქაძე. ძიებანი.., გვ. 10, შდრ. **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских.., გვ. 30).

[4] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. I.., გვ. 282; **სუმბატ დავითის-ძე.** ცხორებაი.., გვ. 53, ხაზგასმა ჩვენია – ი.ჯ.

თლისადს" ქრონიკაში არ მოგვეპოვება რაიმე მასალა ბაგრატ III-ის მიერ განხორციელებულ კონკრეტულ სამხედრო-პოლიტიკურ აქციებზე ჩრდილოეთ კავკასიაში, მკვლევრები მაინც თვლიან, რომ სუმბატის ეს ცნობა რეალური სიტუაციის ამსახველია.

ამასთან დაკავშირებით, უკანასკნელ პერიოდში გამახვილდა ყურადღება ზოგიერთ ისეთ ფაქტზე, რომელიც ირიბად შეიძლება მიუთითებდეს ქართული პოლიტიკის გააქტიურებაზე ჩრდილოეთ კავკასიაში. პირველ რიგში, ეს არის სტეფანოს ტარონაცის ცნობა იმის შესახებ, რომ 988 წელს დავით III დიდ კურაპალატსა და მის შვილობილ „აფხაზთა" მეფე ბაგრატ III-ს შორის რატი ბაღვაშის მიერ პროვოცირებული კონფლიქტის[1] დროს ბაგრატ III-ს მოუყვანია „დიდძალი ლაშქარი სარმატთა ქვეყნიდან".[2] ამ ცნობის კომენტირებისას აკად. დ. მუსხელიშვილი, ჩვენი აზრით, სავსებით არგუმენტირებულად მიუთითებს, რომ შესაძლებელია ამ „სარმატთა ქვეყნის ლაშქარში" იგულისხმებოდნენ ალან-ოსები ან სულაც ჩრდილოეთ კავკასიელი ტომები მთლიანად. ყოველივე ეს კი, მკვლევრის აზრით, უნდა მეტყველებდეს ბაგრატ III-ის გავლენაზე ჩრდილოეთ კავკასიაში.[3]

დ. მუსხელიშვილის ამ დასკვნას, რომელსაც მთლიანად იზიარებს ზ. პაპასქირიც,[4] ამყარებს მოყროვილ ვერცხლის

---

[1] ამ კონფლიქტის მიზეზებისა და მიზან-მიმართულების საკითხი ისტორიოგრაფიაში, როგორც ცნობილია, აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ჩვენ ვიზიარებთ ზ. პაპასქირის თვალსაზრისს და ასევე ვთვლით, რომ ამ შემთხვევაში მოხდა გაუგებრობა (რაც რატი ბაღვაშის პროვოკაციის შედეგი იყო), რომელიც მალე განიმუხტა (ამის შესახებ დაწვრ. იხ.: **ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული.., გვ. 39-43. იქვე იხ. შესაბამისი ლიტერატურა).

[2] *Всеобщая история Степаноса Таронского..*, გვ. 181; **დ. მუსხელიშვილი.** საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბ., 1980, გვ. 236.

[3] **დ. მუსხელიშვილი.** საქართველოს ისტორიული.., გვ. 236-237.

[4] **ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული.., გვ. 98; **З. В. Папаскири.** От Давида до Давида, გვ. 41-42.

ლორფინაზე (ფირფიტაზე) გაკეთებული ერთი ასომთავრული წარწერა: *„ქრისტე, ადიდე ბახტიშორ ხუასრო მეფე“*.[1] წარწერა დათარიღებულია 1008 წლით.[2] წარწერაში მოხსენიებული „ბახტიშორ ხუასრო მეფე“ დ. მუსხელიშვილს მიაჩნია იმ პერიოდში არსებული ერთ-ერთი დაღესტნური გაერთიანების – სერირის („სარირი“)[3] მმართველ ბუხტიშო-დ (წყაროებში იხსენიება 1025 წლის ახლო ხანებში).[4]

ამრიგად, ჩვენ შევეხეთ სუმბატ დავითის ძის სამ ცნობას, რომლებიც გარკვეულ ინტერესს იწვევენ საქართველოს ჩრდილოეთის ქვეყნებსა და ხალხებთან ურთიერთობების თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ განხილული მასალა ნამდვილად არ გამოირჩევა ინფორმაციული დატვირთულობით, მაინც საჭიროდ ჩავთვალეთ მასზე კიდევ ერთხელ ყურადღების გამახვილება, და მათი წყაროთმცოდნეობითი ღირებულების ჩვენება.

---

[1] **გ. ჩუბინაშვილი.** X-XI საუკუნეთა მიჯნაზე წარმოშობილი ქართული ჭედური ხელოვნების ხასიათის საკითხისათვის. – *ქართული ხელოვნება* (ARS GEORGICA). *Разыскания института истории грузинского исскуства*, 2. თბ., 1948, გვ. 77; **Г. Н. Чубинашвили.** Грузинское чеканное исскуство, Тб., 1959, გვ. 105-106; **დ. მუსხელიშვილი.** საქართველოს ისტორიული.., გვ. 236-238.

[2] **გ. ჩუბინაშვილი.** X-XI საუკუნეთა.., გვ. 78; **Г. Н. Чубинашвили.** Грузинское чеканное.., გვ. 105-106; **დ. მუსხელიშვილი.** საქართველოს ისტორიული.., გვ. 238.

[3] ამ პოლიტიკური გაერთიანების შესახებ, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა XI საუკუნეში, დაწერ. იხ.: **Д. М. Атаев.** Нагорный Дагестан в раннем средневековье. Махачкала, 1963; **В. Ф. Минорский.** История Ширвана и Дербенда..; **В. М. Бейлис.** Из истории Дагестана VI-XI вв. *Серир.* – *Исторические записки*, т. 73, 1963; История Дагестана, т. I. М., 1967; **А. Р. Шихсаидов.** Дагестан в X-XIVвв. Махачкала, 1975; **Р. М. Магомедов.** Дагестан. *Исторические этюды.* Махачкала, 1975.

[4] **დ. მუსხელიშვილი.** საქართველოს ისტორიული.., გვ. 238.

II თავი. *„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისის“* ცნობები საქართველო-იმიერკავკასიის ურთიერთობების შესახებ

§1. *„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“* ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებისა და საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობების შესახებ

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსად წოდებული მემატიანის თხზულება *„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“* სამართლიანად ითვლება შუა საუკუნეების ქართული საისტორიო მწერლობის ერთ-ერთ შედევრად. *„დავითის ცხოვრება“* არ არის უბრალოდ მატიანე, ის არის დასრულებული საისტორიო თხზულება,[1] რომელშიც ყველაზე მკაფიოდ აისახა შუა საუკუნეების ქართული საისტორიო აზროვნების მიღწევები.

„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით საკმაოდ კარგადაა შესწავლილი, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ არაერთი საკითხია გასარკვევი და დასაზუსტებელი. პირველ რიგში, ეს ეხება თვით თხზუ-

---

[1] *„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“* დამოუკიდებელი თხზულების სახით არ მოგვეპოვება, ის გვხვდება მხოლოდ *„ქართლის ცხოვრების“* ხელნაწერებში. ამასთან, ცალკე სათაურით მისი გამოყოფა იწყება მარიამ დედოფლისეული ნუსხიდან (იგ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა.., გვ. 210). თავის დროზე არსებობდა ცნობა, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულების სრული ტექსტი ინახებოდა გელათის მონასტერში და ის XIX ს. შუა ხანებში დაკარგულა (**А. Муравьев.** Грузия и Армения, I. СПб., 1848, გვ. 17; *საქართველოს სამოთხე.* შეკრებილი ივერიელის *გობრონ (მიხაილ) პაქლეს ძე საბინინის* მიერ, პეტერბურღი ჩყპბ წელსა, გვ. 103, 512). ამის შესახებ იხ. აგრეთვე: **მ. შანიძე.** დავითის ისტორიკოსის თხზულების ტექსტი და მისი შესწავლის საკითხები. – წგნ.: *ცხორება მეფეთ-მეფისა დავითისი.* ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *მზექალა შანიძემ.* თბ., 1992, გვ. 15.

ლების ავტორის ვინაობას. მართალია, ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულია არაერთი თვალსაზრისი, მაგრამ არც ერთი მათგანი ბოლომდე არგუმენტირებულად არ ითვლება. პირველი მეცნიერი, რომელმაც გამოთქვა ვარაუდი ამ საკითხზე, იყო თ. ჟორდანია. მან *„დავითის ცხოვრების“* შესაძლო ავტორად მიიჩნია მის სამ თანამედროვეთაგან (იოვანე კათალიკოსი, სვიმონ ჭყონდიდელი, არსენ იყალთოელი) ერთ-ერთი.[1] ს. კაკაბაძის აზრით, მატიანის ავტორი დავით მეფის მოძღვარი არსენ ბერი უნდა ყოფილიყო.[2] ეს თვალსაზრისი სხვადასხვა არგუმენტების მოშველიებით გაიზიარეს და განამტკიცეს ბ. ლომინაძემ, ა. ბოგვერაძემ, კ. გრიგოლიამ, ჯ. ოდიშელმა.[3]

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ვინაობის საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა განსხვავებული მოსაზრებებიც. ივ. ლოლაშვილმა, მიიჩნია რა არსენ ბერი არსენ იყალთოელად, მოხსნა არსენ ბერის ავტორობის შესაძლებლობა და *„დავითის ცხოვრების“* შესაძლო ავტორად *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანიში“* მოხსენიებული იოვანე ჭიმჭიმელი (იგივე იოანე პეტრიწი) ჩათვალა[4]. ილ. ანთელავამ საერთოდ გამორიცხა სხვა არსენი ბერის (გარდა არსენ იყალთოელისა) არსებობა და ცხოვრების ავტორად მიიჩნია მეფის მდივანი — საწოლის მწიგნობარი ვინმე ანტონ გოდობრელი.[5] ამ უკანას-

---

[1] *ქრონიკები* და სხვა მასალა.., ტ. I. ტფ., 1892, გვ. 16.

[2] ს. კაკაბაძე. დავით აღმაშენებლის მემატიანის ვინაობა. ტფ., 1913, გვ. 5-6.

[3] ბ. ლომინაძე. შიომღვიმე. თბ., 1953; ა. ბოგვერაძე. „ქართლის ცხოვრების“ პირველი მატიანე და მისი ავტორი. – *ქართული ისტორიოგრაფია*, ტ. I. თბ., 1968; კ. გრიგოლია. დავითის ისტორიკოსის ვინაობის შესახებ. – *მრავალთავი*, III, თბ., 1973; ჯ. ოდიშელი. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ვინაობის საკითხისათვის. – *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე*, V, თბ., 1963.

[4] ივ. ლოლაშვილი. არსენ ბერისა და დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ვინაობისათვის. – *ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში*, III. თბ., 1966, გვ. 24-26.

[5] ილ. ანთელავა. XI-XIV სს. ქართული საისტორიო წყაროები. თბ., 1988, გვ. 25-32.

კნელ ხანს *„დავითის ცხოვრების“* ავტორის ვინაობის საკითხი საგანგებოდ შეისწავლა ა. გოგოლაძემ, რომელმაც ახალი არგუმენტებით შეამაგრა ივ. ლოლაშვილის თვალსაზრისი და ასევე შესაძლებლად მიიჩნია იოანე ჭიმჭიმელი – იოანე პეტრიწის ავტორობა.[1]

როგორც ვხედავთ, ისტორიოგრაფიაში *„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისის“* ავტორის ვინაობის საკითხთან დაკავშირებით სერიოზული აზრთა სხვადასხვაობაა. ყველაზე სარწმუნოდ შეიძლება ჩაითვალოს ის შეხედულება, რომლის მიხედვითაც დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის ამსახველი თხზულების ავტორად არსენ ბერს მოიაზრებენ.[2] ვინც არ უნდა იყოს *„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისის“* ავტორი, ერთი რამ, უდავოდ, ცხადია – ის იყო თავისი თხზულების გმირის თანამედროვე, მისი უშუალო გარემოცვის წარმომადგენელი.[3]

დავით აღმაშენებლის მემატიანე, როგორც ოფიციალური ისტორიოგრაფი, ბუნებრივია, დიდი მეფის მეხოტბე და პანეგირიკოსია. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება იმის ხელაღებით მტკიცება, რომ ეს გარემოება რაიმე შესამჩნევ გავლენას ახდენს მის ობიექტურობაზე. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ ვერ გავიზიარებთ ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ უკანასკნელ პერიოდში საკმაოდ ფეხმოკიდებულ ერთგვარ პესიმისტურ განწყობილებას დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ობიექტურობისადმი[4] და მართებულად მიგვაჩნია თვალსაზრისი, რომლის

---

[1] ა. გოგოლაძე. დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმისადმი. თბ., 2001, გვ. 120-130.

[2] ს. კაკაბაძე. დავით აღმაშენებლის მემატიანის.., გვ. 5-6.

[3] ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული.., გვ. 211.

[4] ნ. შენგელია. სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში. თბ., 1968, გვ. 307-319; რ. მეტრეველი. გიორგი II-ის მოღვაწეობის შეფასების საკითხი. – წგნ.: რ. მეტრეველი. ნარკვევები ფეოდალური საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1972, გვ. 29-60; მ. ლორთქიფანიძე. საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება Xს. 80-იანი წლებიდან XIს. 80-იან წლებამდე. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. III. თბ., 1979, გვ. 208; **М. Д. Лордкипанидзе.** Из истории византийско-грузинских взаимоотношений

თანახმადაც გიორგი II-ის ზოგიერთი ქმედებისადმი მემატიანის კრიტიკული დამოკიდებულება არ არის საკმარისი არგუმენტი მის ტენდენციურობაში დასადანაშაულებლად.[1]

„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ არის XIს. მიწურულისა და XIIს. I მეოთხედის საქართველოს ისტორიის უპირველესი წერილობითი წყარო. მასში თანმიმდევრულად და ყველაზე სრულად არის წარმოჩენილი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის პერიოდში. სხვა საკითხებთან ერთად, *„დავითის ცხოვრების“* მასალები კონკრეტულ და უაღრესად ფასეულ ინფორმაციას გვაწვდიან საქართველოს ურთიერთობებზე ჩრდილოეთის ქვეყნებთან და ხალხებთან. ამ მხრივ სრულიად უნიკალურია ცნობები ყივჩაყთა მომთაბარე ტომებსა და მათთან საქართველოს ურთიერთობებზე. დავიწყოთ მასალებით ოვსეთზე და ოვსებზე.

ოვსთა ტომები, როგორც ცნობილია, უძველესი დროიდან იყვნენ მჭიდრო კონტაქტში ქართულ პოლიტიკურ სამყაროსთან.[2] მათი აქტიურობა სამხრეთის მიმართულებით შესამჩნევი იყო ჯერ კიდევ ახ.წ. პირველი საუკუნეებიდან. ეს აქტიურობა ხშირ შემთხვევაში უმძიმეს სიტუაციებს უქმნიდა ქართლის მეფეებს. ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია

(70-е годы XIв.). – *Византийский временник*, т. 40, М., 1979, გვ. 94; ილ. ანთელავა. ქართული საისტორიო მასალა გიორგი II-ის სტატუსის შესახებ. – წგნ.: ილ. ანთელავა. XI-XIVსს. ქართული საისტორიო წყაროები, თბ., 1988, გვ. 97.

[1] **ზ. პაპასქირი.** შუა საუკუნეების საქართველო საერთაშორისო არენაზე. თბ., 1991, გვ. 45-48; **ზ. პაპასქირი.** დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ზოგიერთი ცნობის სანდოობის საკითხისათვის. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია, *საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების შესწავლის საკითხები*. რესპუბლიკური კონფერენციის მოხსენებათა *თეზისები*. თბ., 1994, გვ. 27-28.

[2] ქართულ-ოვსური ურთიერთობების ისტორია უძველესი დროიდან XIV საუკუნემდე საფუძვლიანად არის შესწავლილი გ. თოგოშვილის მონოგრაფიაში. იხ.: გ. თოგოშვილი. საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან. *უძველესი დროიდან XIVს. დამლევამდე*. სტალინირი, 1958.

უყურადღებოდ არ ტოვებდა ქართულ-ოსური სამხედრო კონფრონტაციის არც ერთ მეტნაკლებად მნიშვნელოვან ფაქტს. მათ შესახებ მრავლად მოგვეპოვება ცნობები *„ქართლის ცხოვრების“* დასაწყის მატიანეებში: ლეონტი მროველის თხზულებად მიჩნეულ *„მეფეთა ცხოვრებასა“*[4] და ჯუანშერ ჯუანშერიანის *„ცხოვრება ვახტანგ გორგასლისაში“*.[2]

არანაკლებ საინტერესოა VIII-XI საუკუნეების მოვლენების ისტორიული ქრონიკის *„მატიანე ქართლისაჲს“* ფრაგმენტული ცნობები ქართულ-ოვსურ ურთიერთობებზე.[3]

აღსანიშნავია, რომ ცნობები ქართული პოლიტიკური სამყაროს ურთიერთობებზე ალან-ოსებთან (ახ.წ. I-II საუკუნეებიდან) მოგვეპოვება ანტიკური ხანის ბერძნულ-რომაულ წყაროებში.[4] არანაკლებ მდიდარია ამ მხრივ ბიზანტიური წერი-

---

[1] ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა *„მეფეთა ცხოვრების“* მასალები ქართულ-ოვსური დაპირისპირების შესახებ ამაზასპის მეფობის პერიოდში (იხ.: **ლეონტი მროველი.** ცხოვრება ქართველთა მეფეთასა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა.., – *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ, ტ. I. თბ., 1955, გვ. 55-57), აგრეთვე მეფე მირიანის ეპოქაში (**ლეონტი მროველი.** ცხოვრება.., გვ. 67-68).

[2] ჯუანშერ ჯუანშერიანის ქრონიკის მასალებიდან უნდა გამოვყოთ ცნობები ქართულ-ოვსური დაპირისპირებისა ვახტანგ გორგასლის ხანაში (იხ.: **ჯუანშერ ჯუანშერიანი.** ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. – *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ, ტ. I. თბ., 1955, გვ. 145-146, 148-159).

[3] ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: **ი. ჯიჭონაია.** „მატიანე ქართლისა“-ს მასალები ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებისა და საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობების შესახებ (VIII-X სს.). – *საისტორიო ძიებანი*, წელიწდეული, II. თბ., 1999, გვ. 41-60.

[4] ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ კორნელიუს ტაციტუსის (**კორნელიუს ტაციტუსი.** ანალები. – ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ. ლათინური ტექსტი ქართული თარგმანითურთ, შესავალი ნარკვევითა და კომენტარებით მოამზადა *ა.. გამყრელიძემ.* თბ., 1973, გვ. 55), დიონ კასიოსის (*დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ.* ბერძნული ტექსტი ქართუ-

ლობითი მემკვიდრეობაც, რომლის მასალები მნიშვნელოვნად ავსებენ ქართული წყაროების მონაცემებს. უფრო მეტიც, რიგ შემთხვევაში ისინი გვაწვდიან სრულიად უნიკალურ ინფორმაციას საქართველო-ოვსეთის ურთიერთობების ჩვენთვის უცნობ ფაქტებზე.[1]

ლი თარგმანითურთ გამოსცა და შესავალი და კომენტარები დაურთო *ნ. ლომოურმა*. თბ., 1966, გვ. 82) და სხვა ბერძენ და რომაელ ავტორთა ცნობები. მათ შესახებ იხ. აგრეთვე: **Н. Ю. Ломоури.** Грузино-римские взаимоотношения. Тб., 1981.

[1] ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია პროკოფი კესარიელის ცნობა ლაზიკის მეფე გუბაზ II-ის მიერ ალანების მომხრობის შესახებ (*პროკოფი კესარიელი.* De bello Persico. – *გეორგიკა.* ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო *ს. ყაუხჩიშვილმა*, ტ. II. ტფ., 1934, გვ. 74-75), თეოფანე ჟამთააღმწერლის (VIII-IX სს.) ცნობები ლეონ ისავრიელის კავკასიაში ეოიაჟისა და მის მიერ აბაზგებზე ალან-ოსთა თავდასხმების ინსპირირების შესახებ (*თეოფანე ჟამთააღმწერელი.* – *გეორგიკა.* ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო *ს. ყაუხჩიშვილმა*, ტ. IV, ნაკვ. I. თბ., 1941, გვ. 106-113. ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: **ზ. პაპასქირი.** ბიზანტიის დიპლომატია და პოლიტიკური ცვლილებები დასავლეთ საქართველოში VIII ს. I ნახევარში. – *ქართული დიპლომატია*, 4, თბ., 1997, გვ. 293-295), აგრეთვე კონსტანტინოპოლის პატრიარქის ნიკოლოზ მისტიკოსის ცნობები ალან-ოვსთა გაქრისტიანების საქმეში გიორგი „აფხაზთა" მეფის შეტანილი წვლილის თაობაზე (*ნიკოლოზ მისტიკოსი.* – *გეორგიკა.* ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო *ს. ყაუხჩიშვილმა*, ტ. IV, ნაკვ. II. თბ., 1952, გვ. 212-213. ამის შესახებ იხ. აგრეთვე: **Ю. Кулаковский.** Христианство у алан. – *Византийский временник*, V. СПб., 1899, გვ. 3-4; **გ. თოგოშვილი.** საქართველო-ოსეთის.., გვ. 115-116; **ზ. პაპასქირი.** ქართული პოლიტიკური სამყარო „ბიზანტიურ თანამეგობრობაში" (X საუკუნის I ნახევარი). – *ისტორიანი.* სამეცნიერო კრებული მიძღვნილი *რონ მეტრეველის* დაბადების 70 წლისთავისადმი. გამომც. *„არტანუჯი"*. თბ., 2009, გვ. 175-176; **З. Папаскири.** Т. н. «Византийское Содружество Наций» и международное положение грузинских полити-

მაგრამ მოვუბრუნდეთ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებას. *„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“* შეიცავს საინტერესო ცნობებს ოვსეთისა და საქართველო-ოვსეთის ურთიერთობებზე XIIს. I მეოთხედში. პირველი ცნობა, რომელიც ამ თვალსაზრისით იქცევს ჩვენს ყურადღებას, არის მატიანის ის ფრაგმენტი, რომელშიც გადმოცემულია მასალა ყივჩაყთა 200-ათასიანი ურდოს იმიერკავკასიიდან საქართველოში გადმოყვანასთან დაკავშირებით დავით აღმაშენებლის მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ, რომელშიც ცენტრალური ადგილი უკავია საქართველოს მეფის ვიზიტს ოვსეთში *„გზა მშვიდობისა* (ყივჩაყებისათვის – ი.ჯ.) *ოვსთაგან“* უზრუნველსაყოფად. მემატიანე წერს: *„ბრძანა მეფემან წარსვლა ოვსეთს, და სიტყუასავე თანა წარემართა და თანაწარიტანა გიორგი ჭყონდიდელი და მწიგნობართუხუცესი თუსი... შევიდეს ოვსეთს და მოეგებნეს მეფენი ოვსეთისანი და ყოველნი მთავარნი მათნი, და ვითარცა მონანი დადგეს წინაშე მისსა. და აღიხუნეს მძევალნი ორთავანვე,[1] ოვსთა და ყივჩაყთა, და ესრეთ ადვილად შეართნა ორნივე ნათესავნი. და ყო შორის მათსა სიყუარული და მშუდობა ვითარცა ძმათა. და აღიხუნა ციხენი დარიალასა და ყოველთა კართა ოვსეთისათა და კავკასიისა მთისანი. და შექმნა გზა მშვიდობისა ყივჩაყთათჳს“.*[2]

ческих образований в I половине X столетия. – *Кавказ и глобализация*. Журнал социально-политических и экономических наук. Институт стратегических исследований Кавказа. Т. 5. Вып. 3-4, 2011. CA&CC Press, Швеция, გვ. 165-167; **Z. Papaskiri.** The Byzantine Commonwealth and the International Status of the Georgian Political Units in the First Half of the 10th Century. – *The Caucasus & Globalization*. Journal of Social, Political and Economic Studies. Institute of studies of the Caucasus. Vol. 5. Issue 3-4, 2011, CA&CC Press®. Sweden, გვ. 142-143).

[1] მ. შანიძის გამოცემაში, „ორგნითვე“. იხ.: *ქართლის ცხოვრება*., 2008, გვ. 319.

[2] **დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი**. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. – *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 336; *ცხორება მეფეთ-მეფისა დაჳითისი*.., გვ. 183-184.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ეს ცნობა ინტერესს იწვევს არა მხოლოდ ქართულ-ოსური ურთიერთობების თვალსაზრისით. დიდია მისი მნიშვნელობა საკუთრივ ოსეთის სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გასაანალიზებლად. კერძოდ, მკვლევარებმა დიდი ხანია ყურადღება მიაქციეს იმ ფაქტს, რომ ქართველი მემატიანე ახსენებს ოვსეთის მეფეებსა და მთავრებს. ეს გარემოება მიჩნეულია ოვსეთში ფეოდალური ურთიერთობების გაღრმავების დამადასტურებელ ფაქტად, რომელსაც მოჰყვა პოლიტიკური დეცენტრალიზაცია.[1] რაც შეეხება საკუთრივ ქართულ-ოსური ურთიერთობის ხასიათს, სრულიად აშკარაა, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ზემოთ მოყვანილი ცნობა კიდევ ერთი დადასტურებაა საქართველოს სახელმწიფოს მზარდი გავლენისა ჩრდილოეთ კავკასიის ამ რეგიონზე, რომელიც მომდინარეობდა ჯერ კიდევ „აფხაზთა“ მეფის გიორგი II-ის (922-957 წწ.) დროიდან.

ჩვენ უკვე მივუთითებდით, რომ XIს. მთელ მანძილზე იგრძნობა საქართველოს მეფის პრიორიტეტი ოვსეთთან ურთიერთობაში და ამის ნათელ მაგალითად წარმოვაჩინეთ ბაგრატ IV-ის მიერ ორგანიზებული სამხედრო კამპანია განძაში,

---

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ამ ცნობას არაერთხელ მიუქცევია საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობების ისტორიით დაინტერესებულ მკვლევართა ყურადღება. გამონაკლისი არ არის ა. შავხელიშვილიც, რომელმაც, როგორც ცნობილია, საგანგებოდ შეისწავლა საქართველოს ურთიერთობები ჩეჩენ-ინგუშ ხალხებთან. სამწუხაროდ, ა. შავხელიშვილის ამ ნაშრომში გაპარულია უზუსტობა და დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ზემოთ მოყვანილი ცნობის ავტორად რატომღაც ჯუანშერია მიჩნეული. იხ.: **А. И. Шавхелишвили.** Из истории взаимоотношений между грузинским и чечено-ингушскими народами. *С древнейших времен до XV века.* Грозный, 1963, გვ. 70.

[1] *История Северо-Осетинской АССР*, С древнейших времен до наших дней, т. I. Орджоникидзе, 1987, გვ. 112; **З. Н. Ванеев.** Средневековая Алания, – წგნ.: ***З. Н. Ванеев.*** Избранные работы по истории осетинского народа, т. I. Цхинвали, 1989, გვ. 245-246; **В. А. Кузнецов.** Алания в X-XIIIвв. Орджоникидзе, 1971, გვ.

რომელშიც მონაწილეობა მიიღო მისმა ცოლისძმამ – „ოვსთა მეფემ“ დორღოლელმა „ორმოცი ათასითა ოვსითა“.[1] აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ისტორიოგრაფიაში ყველა არ იზიარებს თვალსაზრისს ოვსეთის სამეფოს საქართველოს გავლენის ქვეშ მოქცევის შესახებ. ამ მხრივ განსაკუთრებით სცოდავენ ოსეთის ისტორიის რუსი მკვლევარნი, რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ ოვსეთი წარმოაჩინონ საქართველოს თანასწორუფლებიან პარტნიორად XI-XII საუკუნეებში.

ასე, მაგალითად, ოსეთის ისტორიის ცნობილი მკვლევარი ბ. სკიტსკი, აღნიშნავს რა, რომ „князья Овсетии находились в политических и родственных связях с грузинскими царями“, არაფერს ამბობს ამ ურთიერთობების ხასიათზე.[2] საქართველო-ოვსეთს შორის ვასალურ-სიუზერენულ ურთიერთობებს „ვერ ამჩნევს“ ე.წ. „ოსურ-რუსული“ ისტორიოგრაფიის მეორე არანაკლებ ოდიოზური წარმომადგენელი ვ. კუზნეცოვი, რომელიც ამ ურთიერთობებს, როგორც დავით აღმაშენებლამდე, ისე მის შემდეგაც, მიიჩნევს „дружественные“-დ.[3] XI-XII საუკუნეებში საქართველოსადმი ოვსეთის ვასალურ დამოკიდებულებას (ბიზანტიურ წყაროებზე დაყრდნობით) ასევე გამორიცხავს ცნობილი რუსი ბიზანტინისტი მ. ბიბიკოვი.[4]

უნდა აღინიშნოს, რომ ერთგვარ წინააღმდეგობრიობას მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ვხვდებით ცნობილი მეცნიერის, საქართველო-ოსეთის ურთიერთობების ისტორიის აღიარებული მკვლევრის გ. თოგოშვილის შრომებშიც. კერძოდ, თავისი გამოკვლევის ერთ ადგილას ის სავსებით სწორად მიუთითებს, რომ დავით აღმაშენებლის „პერიოდისათვის საქართველოს პოლიტიკური და კულტურული გავლენა გზას

---

[1] ი. ჯიჭონაია. „მატიანე ქართლისა“-ს მასალები.., გვ. 58-59.

[2] *История Северо-Осетинской АССР*. М., 1958, გვ. 74.

[3] **В. А. Кузнецов.** Алания в X-XIIIвв.., გვ. 33, 64.

[4] **В. М. Бибиков.** Византийские источники XII – первой пол. XIIIв. по истории Руси, народов Северного Причерноморья и Северного Кавказа. Автореферат кандидатской диссертации. М., 1976, გვ. 21.

იკაფავს ოსებსა და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხებში"; რომ „დავით აღმაშენებელსა და მის წინაპარ მეფეებს უნდა ეზრუნათ ოსეთის გაქრისტიანების საქმის წარმატებისათვის, რადგან **ქრისტიანობა ხელს შეუწყობდა ოსების მოქცევას საქართველოს იდეოლოგიურ და პოლიტიკურ გავლენაში**"; რომ „XII ს-ის დამდეგს დავით აღმაშენებლის მიერ ოსეთთან დამყარებულ ურთიერთობას **მოჰყვა ოსეთის მოქცევა საქართველოს პოლიტიკური და კულტურული გავლენის სფეროში**".[1]

გ. თოგოშვილი ეთანხმება ივ. ჯავახიშვილის აზრს იმის შესახებ, რომ „უკვე დავით აღმაშენებლის დროიდან ოვსნი და ყივჩაყნი საქართველოს ყმადნაფიცნი იყვნენ" და, თავის მხრივ, ამატებს, რომ „**ოსეთის ყმადნაფიცობა საქართველოს მიმართ** სამხედრო ექსპედიციების ან დაპყრობის გზით არ დამყარებულა. იგი **აღმოცენდა ეკონომიური და სარწმუნოებრივი მომენტების ბაზაზე**".[2] მაგრამ ნაშრომის სხვა ადგილას მეცნიერს ავიწყდება ზემოთ მოყვანილი დებულებები და რატომღაც ასკვნის, რომ „XIს. მოყოლებული, XIII ს. პირველი მეოთხედის ჩათვლით მონღოლთა შემოსევამდე, საქართველოს ურთიერთობა ოსებთან მოკლედ შეიძლება დახასიათებულ იქნეს როგორც **მშვიდობიანი, ურთიერთ ხელსაყრელი, მეგობრული ურთიერთობა**. ქართული წყაროების ცნობებით, იგი **გარკვეული სამხედრო კავშირის ხასიათს ატარებდა**".[3]

ჩვენ კიდევ მოვუბრუნდებით XI-XII საუკუნეებში საქართველო-ოსეთის ურთიერთობების ხასიათზე მსჯელობას. ამჯერად კი ყურადღებას შევაჩერებთ ოსეთის ისტორიის ზემოთ ნახსენებ მკვლევართა ერთ ფრიად უცნაურ და გამომწვევ მცდელობაზე, როგორმე მიიჩქმალონ საქართველოს სახელმწი-

---

[1] გ. თოგოშვილი. საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან.., გვ. 141 (ხაზგასმა ჩვენია – ი.ჯ.).

[2] გ. თოგოშვილი. საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან.., გვ. 143 (ხაზგასმა ჩვენია – ი.ჯ.).

[3] გ. თოგოშვილი. საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან.., გვ. 170-171 (ხაზგასმა ჩვენია – ი.ჯ.).

ფოს როლი და მის ხარჯზე წარმოაჩინონ ოსეთის გაერთიანების საერთაშორისო ავტორიტეტი.

როგორც ცნობილია, XIს. 60-70-იან წლებში საქართველო-ბიზანტიას შორის დამყარდა კეთილმეზობლური, სამოკავშირეო ურთიერთობა, რომელიც განმტკიცებულ იქნა დინასტიური ქორწინებით. ბიზანტიის მხარის ინიციატივით ტახტის მემკვიდრე მიხეილ დუკა, მომავალი იმპერატორი მიხეილ VII (1071-1078წწ.) დააქორწინეს საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის ასულ მართა-მარიამზე,[1] რომელიც ზოგიერთ ბიზანტიურ წყაროში მარიამ „ალანელად" არის მოხსენიებული.[2] მიუხედავად იმისა, რომ ამ წყაროთა გავლენით ზოგიერთი ბიზანტინოლოგი (ა. კაჟდანი, ი. ლიუბარსკი), სრულიად უნებლიედ, მარიამ დედოფალს, მის ქართულ წარმოშობაზე ყურადღების გაუმახვილებლად, „მარიამ ალანელად" მოიხსენიებს,[3] თამამად შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერულმა ბიზანტინისტიკამ შესანიშნავად იცის, თუ რომელი სამეფო ტახტის წარმომადგენელი იყო სინამდვილეში მარიამ დედოფალი.

უფრო მეტიც, ზოგიერთ ბიზანტიურ წყაროზე, კერძოდ,

---

[1] საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობების ხასიათზე მოცემულ პერიოდში დაწვრ. იხ.: **ვ. კოპალიანი.** საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, თბ., 1969, გვ. 293-301; **М. Д. Лордкипанидзе.** Из истории византийско-грузинских.., გვ. 92-95; **ზ. პაპასქირი.** შუა საუკუნეების საქართველო.., გვ. 35-42; **З. В. Папаскири.** От Давида до Давида, გვ. 94, 99-106.

[2] **იოველი.** მოკლე ქრონოგრაფია. – *გეორგიკა.* ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ***ს. ყაუხჩიშვილმა,*** ტ. VI. თბ., 1966, გვ. 160; **იოანე სკილიცეს გამგრძელებელი.** – *გეორგიკა.* ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ***ს. ყაუხჩიშვილმა,*** ტ. VI. თბ., 1966, გვ. 164.

[3] **А. П. Каждан.** Внутриполитический кризис в конце XIв. и внешнеполитический разгром. – *История Византии,* т. II. М., 1967, გვ. 290; **Анна Комнина.** Алексиада. Вступительная статья, перевод, комментарии ***Я. Н. Любарского,*** т. II. М., 1965, გვ. 10, 14.

XIIს. ბიზანტიელი ავტორის იოანე ცეცეს თხზულებაე დაყრდნობით გამორკვეულია, თუ რატომ ერეოდათ ბიზანტიაში, ცალკეულ შემთხვევებში, იბერები, აბაზგები და ალანები ერთმანეთში.[1] ერთი სიტყვით, მარიამ დედოფლის ქართველობა იმდენად ცხადია,[2] რომ აქცენტის გაკეთება მის „ალანელად“ მოხსენიებაზე და ამაზე დაყრდნობით მსჯელობა ბიზანტია-ოვსეთის ურთიერთობებზე სრულიად უადგილოა. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყოველივე ეს სულაც არ უშლის ხელს ოსეთის ისტორიის ზოგიერთ მკვლევარს მარიამის „ალანელო-

---

[1] ამის შესახებ საგანგებო კომენტარი გააკეთა ა. კაჟდანმა. იხ.: **А. П. Каждан.** Армяне в составе господствующего класса Византийской империи в XI-XII вв. Ереван, 1975, გვ. 144.

[2] გარდა იმისა, რომ საქართველოს მეფის ბაგრატ IV-სა და დედოფალ ბორენას ასულის მართა-მარიამის მიხეილ დუკაზე გათხოვების ფაქტი კარგადაა ცნობილი ქართული წყაროებიდან (გიორგი მცირე. ცხორება და მოქალაქეობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისა. – *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილ. აბულაძის* რედ., წ. II. თბ., 1967, გვ. 141-142, 166-167; *მატიანე ქართლისა. ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით *ს. ყაუხჩიშვილის* მიერ, ტ. I. თბ., 1955, გვ. 308). ამას ადასტურებენ საკუთრივ ბიზანტიელი ავტორები. კერძოდ, ნიკიფორე ერიენოსი – ალექსი კომნენოსის ასულ ანას (რომლის კალამსაც ეკუთვნის *„ალექსიადა“*) მეუღლე, პირდაპირ წერს, რომ მარიამი იყო „იბერთა არქონტის“ ბაგრატის ასული (იხ.: **ნიკიფორე ვრიენოსი.** ისტორიული მასალები. – *გეორგიკა.* ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო *ს. ყაუხჩიშვილმა*, ტ. VII. თბ., 1967, გვ. 23). მარიამ დედოფლის ბიზანტიაში მოღვაწეობის შესახებ დაწერილ. იხ.: **ვ. კოპალიანი.** საქართველოსა და ბიზანტიის.., გვ. 275-279; **ი. ნოდია.** მარიამ დედოფალი XIს. II ნახევრის ბიზანტიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. – *თსუ შრომები*, 183. თბ., 1978, გვ. 143-153; **И. Нодия.** Грузинские материалы о византийской императрице Марфе-Марии, – *ბიზანტინოლოგიური ეტიუდები*, თბ., 1978, გვ. 146-155; **ა. მიქაბერიძე.** მართა ბაგრატიონი ბიზანტიასა და საქართველოში. – *ქართული დიპლომატია*, ტ. 4. თბ., 1997, გვ. 118-140. იქვე იხ. ქართული და უცხოური ლიტერატურა მარიამ დედოფალზე.

ბით“ თავი მოიწონოს და ეს ფაქტი მიიჩნიოს ოვსეთის სამეფოს მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტის მაჩვენებლად. ასე, მაგალითად, ჩვენს მიერ ზემოთ უკვე ნახსენები ბ. სკიტსკი „одним из показателей высокого международного авторитета аланского объединения“ თვლიდა იმას, რომ „византийский император Константин X Дука женил своего сына будущего императора Михаила VII на аланке Марии, дочери Борены, сестры аланского царя Дорголеля“.[1] თითქმის ანალოგიურად აფასებს ამ ფაქტს ვ. კუზნეცოვი.[2]

ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია ოსეთის ისტორიის რუს მკვლევართა ამ აბსურდული დასკვნის კომენტარი, მით უმეტეს, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს ფაქტი უყურადღებოდ არ დარჩენილა.[3] აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მათი მხრიდან ეს არის უსუსური მცდელობა ოვსთა გაერთიანების ძლევამოსილების წარმოჩენისა XIს. II ნახევარში. ამასთან, ჩვენ არ უარვყოფთ იმ ფაქტს, რომ X–XI საუკუნეების თითქმის მთელ მანძილზე ოვსეთის სამეფო ნამდვილად იყო ყველაზე ძლიერი გაერთიანება ჩრდილოეთ კავკასიაში, მაგრამ ასევე ურყევად მიგვაჩნია დასკვნა, რომ ეს გაერთიანება იმთავითვე მოქცეული იყო ქართული პოლიტიკური სამყაროს (ჯერ „აფხაზთა“ სამეფოს, ხოლო შემდეგ ერთიანი ქართული სახელმწიფოს) გავლენის ქვეშ.

ჩვენ ასევე ვიზიარებთ გ. თოგოშვილის ზემოთ მოყვანილ აზრს იმის შესახებაც, რომ საქართველოს პოლიტიკური და იდეოლოგიური გავლენა ოვსეთზე ძირითადად ეკონომიკურ და სარწმუნოებრივ მომენტებს ეფუძნებოდა,[4] თუმცა მიგ-

---

[1] *История Северо-Осетинской АССР..*, გვ. 57-58.

[2] **В. А. Кузнецов.** Алания в X-XIII вв.., გვ. 29.

[3] ამაზე პირველად ყურადღება საგანგებოდ გაამახვილა ზ. პაპასქირმა. იხ.: **З. В. Папаскири.** У истоков.., გვ. 54-56.

[4] ამ თვალსაზრისს იზიარებენ აგრეთვე ზ. ანჩაბაძე და მ. ცინცაძე. იხ.: **ზ. ანჩაბაძე, მ. ცინცაძე.** საქართველო და ჩრდილოეთ კავკასია XII საუკუნესა და XIIIს. I ნახევარში. – *საქართველო რუსთაველის ხანაში.* თბ., 1966, გვ. 147.

ვაჩნია, რომ დროდადრო საქართველოს ხელისუფლება მაინც მიმართავდა სამხედრო ზომებსაც ჩრდილოეთ კავკასიაზე თავისი პოზიციების განსამტკიცებლად. ამის პირდაპირი მოწმობაა სწორედ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაში დაფიქსირებული ფაქტი საქართველოს მეფის მიერ დარიალისა და „ყოველთა კართა ოვსეთისა და კავკასიისა მთისათანი“ დაკავების შესახებ.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ამ ცნობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით არ შეიძლება გვერდი ავუაროთ გ. თოგოშვილის ერთ ფრიად საეჭვო დასკვნას. ამახვილებს რა ყურადღებას იმაზე, რომ ვახუშტი ბატონიშვილს აღნიშნული აქვს დავით მეფის მიერ მხოლოდ „კარი დარიელისას“ დაკავება,[1] გ. თოგოშვილი ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაში ვახუშტი ბატონიშვილის განმარტება უფრო ზუსტი უნდა იყოს. ამასთან, მკვლევარს გაზვიადებულად მიაჩნია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიერ „დარიალის ციხეების, ოვსთა კარებისა და კავკასიონის მთის სხვა ციხეების აღებაზე“ საუბარი. გ. თოგოშვილის მტკიცებით, მართალია, მეფე „არ იტყოდა უარს სხვა ციხე-სიმაგრეების აღებაზეც, მაგრამ ამ ეტაპზე იგი ასეთ ამოცანას არ ისახავდა. პირიქით, ასეთ ამოცანას შეეძლო მისი ძირითადი მიზანიც ჩაეშალა. ქვეყნის გაერთიანების დამთავრების მოსურნე, სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან მაჰმადიანური სამყაროს შემოტევის საფრთხის წინაშე მყოფი მეფე ჩრდილოეთის მხრიდან მტრული ფრონტის ჩამოყალიბებას არ დაუშვებდა“. აქედან გამომდინარე, გ. თოგოშვილი თვლის, რომ დავითის ისტორიკოსის თხზულების ამ ფრაგმენტში „კარის ისტორიკოსებისათვის დამახასიათებელი გაზვიადება იგრძნობა და ვახუშტიმ, რომელიც ძველ ისტორიკოსთა ცნობებს, თუ კი სათანადო საფუძველი არ ჰქონდა, უცვლელად ღებულობდა, დავითის ისტორიკოსის ეს გადაჭარბებული ცნობა არ გაიზიარა“.[2]

---

[1] ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა.., გვ. 159.

[2] გ. თოგოშვილი. ვახუშტი ბაგრატიონი ოსეთისა.., გვ. 70.

მიუხედავად იმისა, რომ ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში არსებული რედაქციული სხვაობა მართლაც უდავოდ საინტერესოა, ჩვენ მაინც მიგვაჩნია, რომ ეს არ არის საკმარისი არგუმენტი დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მონაცემების უგულებელსაყოფად. მართალია, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსისათვის უცხო არ არის „მოდასეობა", მაგრამ ეს არ გვაძლევს უფლებას ხელაღებით დავადანაშაულოთ ის ამა თუ იმ მოვლენის გაზვიადებულად გაშუქებაში.

აქ მხედველობაში მიღებული უნდა იქნას შემდეგი გარემოება. ცნობილია, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი უშუალო თვითმხილველი და მონაწილეა მის თხზულებაში აღწერილი მოვლენების (ეს მან მკაფიოდ დააფიქსირა ერწუხის ბრძოლის გაშუქებისას). აქედან გამომდინარე, არაა გამორიცხული, რომ ის ახლდა კიდეც მეფეს ჩრდილოეთ კავკასიაში ვოიაჟის დროს. ამდენად, მან კარგად იცოდა, თუ რამდენი ციხე და კარი დაიკავა საქართველოს მეფემ ოვსეთში. რაც შეეხება ვახუშტის განმარტებას, ვფიქრობთ, მან აქცენტი დარიალის კარზე მხოლოდ იმიტომ გააკეთა, რომ დავით აღმაშენებელმა სწორედ ამ გზით გამოატარა ყივჩაყები.

ასეა თუ ისე, ჩვენ მხარს ვუჭერთ თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ საქართველოს ხელისუფლება იმიერკავკასიაში სულაც არ იფარგლებოდა მშვიდობიანი პოლიტიკით და საჭიროების შემთხვევაში დიპლომატიასთან ერთად აქტიური სამხედრო აქციების გატარებასაც არ თაკილობდა.[1] აქვე საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ პერიოდში სამხედრო ჩარევა ნამდვილად არ იყო ტრადიციული საქართველო-ოვსეთის ურთიერთობაში. პრიორიტეტი უდავოდ დიპლომატიას ეძლეოდა, რომელსაც ამყარებდა დინასტიური ქორწინებებიც. ცნობილია, რომ დავით აღმაშენებლის ერთ-ერთი ასული ოვ-

[1] ჯ. სტეფნაძე. საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან XII საუკუნეში. თბ., 1974, გვ. 141; **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских.., გვ. 54-56.

სეთს ყოფილა გათხოვილი.[1]

როგორც ცნობილია, ოვსები დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის პერიოდშიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი საქართველოს სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკურ აქციებში. კერძოდ, ამის შესახებ საინტერესო ცნობა მოეპოვება სომეხ ისტორიკოს მათეოს ურჰაეცის, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ 1121 წელს დიდგორის ბრძოლაში საქართველოს მეფის ლაშქარში ყოფილა 500 ოვსი მეომარი.[2]

„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ იძლევა კონკრეტულ ინფორმაციას საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობების სხვა მიმართულებითაც. კერძოდ, მასში მოგვეპოვება ცნობა დავით აღმაშენებლის მიერ გატარებულ ღონისძიებებზე ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის საქართველოს სახელმწიფოს გავლენის ქვეშ მოსაქცევად.

როგორც ცნობილია, დიდგორზე მოპოვებული „ძლევაჲ საკჳრველისა“ და თბილისის შემოერთების შემდეგ დავით აღმაშენებელმა აქტიურად დაიწყო ბრძოლა თურქ-სელჩუკთა მთლიანად აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან განსადევნად. ამ თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი იყო 1123წ. წარმატებული კამპანია შარვანში, რომლის დროსაც საქართველოს მეფემ

---

[1] *ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი.* – *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით *ს. ყაუხჩიშვილის* მიერ, ტ. II. თბ., 1959, გვ. 46. ამასთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე: **შ. მესხია.** ძლევაჲ საკჳრველი. თბ., 1972, გვ. 60; **ჯ. სტეფნაძე.** საქართველოს პოლიტიკური.., გვ. 46.

[2] **ლ. დავლიანიძე.** მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ. – *საქართველო რუსთაველის ხანაში.* თბ., 1966, გვ. 246; **Р. М. Бартикян.** Хронография Матфея Эдесского о Грузии и грузинах. – *ბიზანტინოლოგიური ეტიუდები.* თბ., 1978, გვ. 144. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ცნობის სრულიად არასწორ ინტერპრეტაციას იძლევა ვ. კუზნეცოვი, რომელიც მათეოს ურჰაეცის თხზულების დარბინიანისეულ თარგმანზე (ეს თარგმანი მას ხელნაწერის სახით უნახავს) დაყრდნობით აცხადებს, რომ 500 ალანი მეომარი მონაწილეობდა არა დიდგორის ბრძოლაში, არამედ „в войне 1111 г. с султаном Ганджи Маликом“. იხ.: **В. А. Кузнецов.** Очерки истории алан. Орджоникидзе, 1984, გვ. 165.

„ალილო გულისტანი, სახლი თავადი შარვანისა... და მოირთო შარვანი“.[1] შარვანის ალების შემდეგ ჯერი დარუბანდზე მიდგა. დარუბანდის (თანამედროვე დერბენტი) დაკავებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა გაძლიერების გზაზე შემდგარი ქართული სახელმწიფოსათვის, ვინაიდან ის ითვლებოდა მაჰმადიანობის უმთავრეს ფორპოსტად ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში[2].

ამასთან, დარუბანდი მთელი შუა საუკუნეების მანძილზე რჩებოდა უმნიშვნელოვანეს სავაჭრო ცენტრად.[3] მასზე გადიოდა საერთაშორისო-სავაჭრო მაგისტრალი დერბენტი-ჯასარი-სამური-შირვანი-თბილისი,[4] რომელიც აკავშირებდა საქართველოს დაღესტანთან. ითვალისწინებდა რა აღნიშნულ გარემოებებს და იმასაც, რომ დარუბანდის საამირო XI საუკუნიდან ფაქტობრივად შირვანის სახელმწიფოს ნაწილი იყო,[5] საქართველოს მეფეს არ შეეძლო არ ეფიქრა დარუბანდის შემოერთებაზეც. ამიტომაც განავითარა მან შეტევა დარუბანდის მიმართულებით. *„და აპრილს* (1124წ. – **ი.ჯ.**) *დაესხნენ შაბურანს, დარუბანდელსა, – წერს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, – და მოსწყუდნეს ქურდნი, ლეკნი, ყივჩაყნი დარუბანდელისანი*

---

[1] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. I, გვ. 344. საქართველო-შარვანის ურთიერთობების შესახებ დაწვრილებით იხ.: **ნ. ასათიანი.** საქართველო-შარვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში (წერილი I. XII საუკუნის პირველი ნახევარი). – *XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები.* თსუ შრომები, ტ. 125. თბ., 1968, გვ. 33-38; **ჯ. თოფურია.** აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ერთეულები XI-XII საუკუნეებში. თბ., 1975, გვ. 209-212.

[2] **Р. М. Магомадов.** История Дагестана. Махачкала, 1961, გვ. 93.

[3] Xს. არაბი გეოგრაფის ალ-ისტახრის ცნობით, „მთელს ირანში ბარდაეზე, დარუბანდზე და თბილისზე უფრო დიდი ქალაქი“ არ არსებობდა (იხ.: **შ. მესხია.** საისტორიო ძიებანი, ტ. II, თბ., 1983, გვ. 104). ანალოგიურ ცნობას იძლევა ამავე პერიოდის მეორე არაბი გეოგრაფი იბნ-ჰაუქალი (იხ.: **ე. სიხარულიძე.** იბნ ჰაუკალი თბილისის შესახებ. – *საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები,* I. თბ., 1976, გვ. 35-39).

[4] **М. Р. Гасанов.** Из истории дагестано-грузинских взаимоотношений. *С древнейших времен до конца XIVв.* Автореферат кандидатской диссертации. Махачкала, 1968, გვ. 5.

[5] **ჯ. თოფურია.** აღმოსავლეთ ამიერკავკასიის.., გვ. 209-212.

და ალიხუნეს შარვანისა ციხენი ღასანნი და ხოზაონდი და მიმდგომი მათი ქუეყანა".[1] მოგვიანებით, როდესაც დავით აღმაშენებელმა საბოლოოდ *„განაგო... ყოველი საქმე შარვანისა"*, მას კვლავ მიუქცევია ყურადღება ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიისათვის, რაც იმაში გამოიხატა, რომ მან *„აღავსნა კეთილითა და საბოძვარითა ჭურჭლნი, ლეკნი და თარასნი".*[2]

მკვლევართა ვარაუდით, სწორედ ამ დროიდან მოექცა დარუბანდის საამირო საქართველოს სახელმწიფოს გავლენის ქვეშ, რაც საფუძვლად დაედო საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის განსაზღვრას „ნიკოფსიითგან დარუბანდამდე". აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ისტორიოგრაფიაში არის ერთგვარი აზრთა სხვადასხვაობა იმასთან დაკავშირებით, შედიოდა თუ არა უშუალოდ დარუბანდი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში. მკვლევართა ერთი ნაწილი (ა. შიხსაიდოვი, ჯ. სტეფნაძე) თვლის, რომ დარუბანდი დავით აღმაშენებლის დროიდან უშუალოდ მოექცა საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში,[3] რაც რამდენადმე საეჭვოდაა მიჩნეული.[4] ჩვენ ვემხრობით თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც დავით აღმაშენებლის ანდერძში დაფიქსირებული ფორმულა: „ნიკოფსიითგან დარუბანდამდე",[5] ნიშნავს იმას, რომ საქართველოს სახელმწიფოს საზღვარმა ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით მხოლოდ მიაღწია დარუბანდამდე, ხოლო თვით დარუბანდი არ შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში[6] და ის უბრალოდ ყმადნაფიც ქვეყნად იქცა.

ამასთან დაკავშირებით, ყურადღება ექცევა XIIს. არაბი

---

[1] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. I, გვ. 344.

[2] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. I, გვ. 345.

[3] *История Дагестана*, т. I. М., 1967, გვ. 214; ჯ. სტეფნაძე. საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა.., გვ. 85, 112.

[4] ჰ. თოფურია. აღმოსაველეთ ამიერკავკასიის.., გვ. 212.

[5] *ქართული სამართლის ძეგლები.* ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო *ი. დოლიძემ*, ტ. II. თბ., 1966, გვ. 75.

[6] ჰ. თოფურია. აღმოსაველეთ ამიერკავკასიის.., გვ. 213; **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских.., გვ. 74.

მოგზაურის იბნ ალ აზრაკ ალ-ფარიკის ცნობას 1154 წელს საქართველოს მეფის დემეტრე I-ის დარუბანდში ყოფნის შესახებ: „Царь передвигался с одного края до другого и одного места до другого в пределах своих владений и я был с царем, и мы провели несколько дней в области (вилает) Дербент и Хозаран... царь оставил свое войско в долине... около горы. И Малик Дербента эмир Абу-л-Музафар вышёл, чтобы выразить свое почтение абхазскому царю и привел ему слуг (с вещами необходимимы для) его пребывания и пиров, так как был зятем абхазского царя, будучи женат на его дочери".[1] ამ ცნობაში, მართალია, ლაპარაკია იმაზე, რომ საქართველოს მეფე ახორციელებდა საკუთარი სამფლობელოების „შემოვლას", მაგრამ სრულიად აშკარაა, რომ დარუბანდი არ შედიოდა მისი სახელმწიფოს შემადგენლობაში, მას ჰყავდა თავისი მმართველი, რომელიც დიდი პატივით იღებდა თავის სიმამრს.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, *„ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისი"* იძლევა საკმაოდ საინტერესო ცნობებს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებსა და მათთან საქართველოს ურთიერთობებზე. ამ მასალების წყაროთმცოდნეობითი სანდოობა არავითარ ეჭვს არ იწვევს და მათი გამოყენება მოცემული პრობლემის კვლევისას ყოველნაირად გამართლებულია.

§2. *„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისის"* ცნობები ყივჩაყთა ტომებსა და საქართველო-ყივჩაყების ურთიერთობებზე

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაში მოგვეპოვება სრულიად უნიკალური ცნობები სამხრეთ რუსეთისა და იმიერკავკასიის სტეპებში მომთაბარე ყივჩაყ ტომებსა და

[1] **В. Ф. Минорский.** История Ширвана и Дербента.., გვ. 222-223; **З. В. Папаскири.** У истоков.., გვ. 74; **ე. სიხარულიძე.** ალ-ფარიკი საქართველოში. – *სემიტოლოგიური ძიებანი,* II. თბ., 1985, გვ. 85.

მათთან საქართველოს სახელმწიფოს ურთიერთობებზე. ყივჩაყები, თურქული მოდგმის ტომები, როგორც ცნობილია, ისტორიულ ასპარეზზე აქტიურად გამოჩნდნენ XIს. შუა ხანებიდან. წყაროებში ისინი სხვადასხვა სახელით მოიხსენიებიან. აღმოსავლური და ქართული წყაროები მათ ყივჩაყებად იცნობენ, ბიზანტიური წყაროები – კუმანებად, უნგრული წყაროები – კუნებად, გერმანელები ყივჩაყებს ფალონებს უწოდებდნენ, სომხები – ხარდეშს, რუსული სამყარო კი ყივჩაყებს „პოლოვცი"-ს სახელით იცნობდა.[1] ისტორიოგრაფიაში საკმაოდ კარგადაა შესწავლილი ყივჩაყ ტომებთან დაკავშირებული საკითხები. ამ მხრივ პრიორიტეტი რუს მკვლევრებს ეკუთვნით,[2] თუმცა ბოლო ათწლეულებში გამოჩნდა საინტერესო ნაშრომები შუა აზიასა და ყაზახეთშიც.[3] ყივჩაყთა ეთნიკური ვინაობისა და ეთნოგენეზის საკითხს სპეციალურად შეეხო ქართველი მკვლევარი ნ. მურღულია.[4]

ყივჩაყთა შესახებ ინფორმაცია ქართულ მატიანეებში

---

[1] **Д. А. Расовский.** Половцы. – *Seminarium Kondakovianum*, т. VII, Прага, 1935, გვ. 252; **А. И. Пономарев.** Куман-половцы. – *Вестник древней истории*, №3-4, 1940, გვ. 366; **Б. Д. Греков, Я. Ю. Якубовский.** Золотая Орда и её падение. М., 1950, გვ. 17-18.

[2] **П. В. Голубовский.** Печенеги, торки и половцы до нашествия татар (История южнорусских степей). IX-XIIIвв. Киев, 1884; **Д. А. Расовский.** Половцы. – *Seminarium Kondakovianum*, т. VII, VIII, IX, X, Прага, 1935, 1936, 1937, 1938, т. XI, Белград, 1940; **В. В. Бартольд.** Кипчаки, – სტატია *„Энциклопедия ислама"*-ში, იხ.: **В. В. Бартольд.** Сочинения, т. V, М., 1968; **А. И. Попов.** Кипчаки и Русь. – *Ученые записки ЛГУ*, сер. ист. наук, вып. 14, 1949; **С. А. Плетнёва.** Печенеги, торки и половцы в южнорусских степях. – *Материалы института археологии СССР*, т. I. М., 1958; **С. А. Плетнёва.** Половецкая земля, – *Древнерусские княжества X-XIIIвв.* М., 1975.

[3] **Б. Е. Кумеков.** Государство кимаков IX-XIвв. по арабским источникам. Алма-Ата, 1972; **К. Ш. Шаниязов.** К этнической истории узбекского народа. *Историко-этнографическое исследование на материалах кипчакского компонента.* Ташкент, 1974.

[4] **ნ. მურღულია.** ყივჩაყთა ეთნოგენეზის საკითხისათვის. – *თსუ შრომები*, ტ. 113. თბ., 1965.

დავით ალმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებამდეც გვხვდება. *„ქართლის ცხოვრების“* დასაწყის მატიანეში, რომელსაც ლეონტი მროველს მიაწერენ, არის მინიშნება იმის შესახებ, თუ როგორ ველურ ტომებად წარმოედგინათ საქართველოში ყივჩაყები. კერძოდ, გვიყვება რა იმ ქართველებზე, რომლებიც დახვდნენ ალექსანდრე მაკედონელს, მემატიანე აღნიშნავს, რომ ისინი იყვნენ *„უბოროტეს ყოველთა ნათესავთა სჯულითა... ყოველსა სულიერსა ჰამდეს, მკუდარსა შესჭამდეს, ვითარცა მჭეტნი და პირუტყუნი, რომელთა ქცევისა წამოთმქა უკმ არს. და იხილნა* (ალექსანდრე მაკედონელმა — ი.ჯ.) *...ნათესავნი სასტიკნი წარმართნი, რომელთა იგი ჩვენ ბუნთურქად და ყივჩაყად უწოდთ“*.[1]

ბუნებრივია, ალექსანდრე მაკედონელისა და ფარნავაზის ეპოქის ამსახველ მასალებში ყივჩაყთა მოხსენიება სრულიად უადგილოა და ეს უდავოდ გვიანდელი რეალობის ნაკვალევია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ვარაუდი ყივჩაყი ტომების მოხსენიების შესახებ ძვ.წ. IIს. ჩინურ წყაროებში.[2] სხვათა შორის, ერთ-ერთი არგუმენტი, რომლის გამოც ლეონტი მროველი შეიძლება მივიჩნიოთ XIს. ავტორად, სწორედ მის თხზულებაში „ყივჩაყის“ მოხსენიებაა.[3] „ყივჩაყი“ მოხსენიებულია აგრეთვე *„ცხოვრება ვახტანგ გორგასლისას“* სახელით ცნობილი მატიანის ჩანართში. ამ ცნობის თანახმად, ვახტანგ გორგასალმა *„დაიმორჩილნა ოვსნი და ყივჩაყნი, და შექმნა კარნი ოვსეთისანი, რომელთა ჩვენ დარიანისად უწოდთ. და ალაშენნა მას ზედა გოდოლნი მაღალნი და დაადგინნა მცველად მახლობელნი იგი მთეულნი. არა ჴელეწიფების გამოსელად დიდთა მათ ნათესავთა ოვსთა და ყივჩაყთა*

---

[1] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. I, გვ. 17.

[2] **Б. Е. Кумеков.** Государство кимаков.., გვ. 10.

[3] **З. В. Анчабадзе.** Кипчаки Северного Кавказа по данным грузинских летописей XI-XIV веков. – *Материалы научной сессии по проблеме происхождения балкарского и карачаевского народов.* Нальчик, 1960, გვ. 115.

თუნიერ ბრძანებისა ქართველთა მეფისა“.[1]

ჩვენთვის უცნობია, თუ როდინდელია ჩანართში მოცემული ეს ინფორმაცია. ვარაუდობენ, რომ ის იმ ეპოქისაა, როდესაც ყივჩაყებმა მყარად მოიკიდეს ფეხი ჩრდილოეთ კავკასიაში.[2] ასევე ძნელია იმის გარკვევაც, ეკუთვნის თუ არა აღნიშნული ჩანართი *„ცხოვრება ვახტანგ გორგასლისას“* ავტორს ჯუანშერ ჯუანშერიანს. ამავე მატიანეში მოიპოვება არანაკლებ საინტერესო ცნობა ყივჩაყთა მონათესავე თურქული ტომების პაჭანიკების ჩრდილოეთ კავკასიიდან განდევნის შესახებ: *„და განვიდეს* (ვახტანგ გორგასალი თავისი ლაშქრით – **ი.ჯ.**) *პაჭანიკეთს, რამეთუ მაშინ მუნ იყო პაჭანიკეთი მოსაზღვრედ ოვსეთისა, მდინარესა მას ოვსეთისასა წიალ. და ჯიქეთი მუნვე იყო. შემდგომად ჟამთა მრავალთა იოტნეს პაჭანიკნი და ჯიქნი თურქთაგან; და წარვიდეს პაჭანიკნი დასავლით – კერძო, ხოლო ჯიქნი დამკუდრნეს ბოლოსა აფხაზეთისასა. და მოტყუენა ვახტანგ პაჭანიკეთი და ჯიქეთი“.*[3]

---

[1] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. I, გვ. 156.

[2] **З. В. Анчабадзе.** Кипчаки Северного Кавказа.., გვ. 116. ჩრდილოეთ კავკასიაში ყივჩაყთა დაფუძნება, ძირითადად, როგორც ჩანს, XII საუკუნეში მოხდა. თუმცა ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება ყივჩაყური ელემენტის ჩრდილოეთ კავკასიაში ჯერ კიდევ XI საუკუნეში შემოღწევის შესახებ, რასაც მოწმობს XX‌ს. 60-იან წლებში სტავროპოლის მხარეში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოები (ამის შესახებ იხ.: **Т. М. Минаева.** К вопросу о половцах на Ставрополье по археологическим данным. – *Материалы по изучению Ставропольского края*, вып. 11. Ставрополь, 1964, გვ. 167-196). ამ თვალსაზრისით არანაკლებ საინტერესოა აგრეთვე აზერბაიჯანელი მკვლევრის დასკვნა იმის შესახებ, რომ ძველ რუსეთში ცნობილი ცალკეული ყივჩაყური ეთნონიმები თანამედროვე აზერბაიჯანის ტოპონიმიკაში გვხვდება V-VII საუკუნეებიდან (იხ.: **Г. А. Гейбулаев.** О кипчакских этнонимах в Азербайджане. – *Доклады АН Азербайджанской ССР*, т. XXXII, №4, 1976, გვ. 84, აზერბაიჯანულ ენაზე, რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე. ამის შესახებ აგრეთვე იხ.: **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских.., გვ. 80).

[3] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. I, გვ. 156-157.

მოცემულ კონტექსტში პაჭანიკთა მოხსენიება ივ. ჯავახიშვილს სრულიად სამართლიანად მიაჩნდა ანაქრონიზმად. მეცნიერი, თურქული ტომების ცნობილი მკვლევრის პ. გოლუბოვსკის მონოგრაფიაზე დაყრდნობით, აღნიშნავდა, რომ პაჭანიკების გადასახლება მოხდა 1034 წლის შემდეგ. აქედან გამომდინარე, ივ. ჯავახიშვილი ჯუანშერ ჯუანშერიანს XIს. II ნახევრის მოღვაწედ მიიჩნევდა.[1]

ერთი სიტყვით, XIს. II ნახევრისათვის საქართველოში ნამდვილად გააჩნდათ გარკვეული ინფორმაცია იმიერკავკასიაში მიმდინარე პროცესებზე. XIIს. დამდეგისათვის, როდესაც ყივჩაყები შიშის ზარს სცემდნენ მეზობელ სახელმწიფოებსა და ხალხებს, ბუნებრივია, მათ შესახებ ცოდნა უფრო ყოვლისმომცველი და ამომწურავი უნდა გამხდარიყო. სწორედ ამის დადასტურებაა დავით აღმაშენებლის მემატიანის მონათხრობი ყივჩაყებსა და მათი საქართველოში გადმოსახლების პერიპეტიებზე.

დავიწყოთ იმით, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ყივჩაყთა საქართველოში გადმოსახლების იდეას ყოველნაირად იწონებს და მეფის ამ ნაბიჯს მაღალ შეფასებას აძლევს: *„ამან მეორემან ალექსანდრე განიზრახა სივრცითა გონებისათა, რამეთუ სხუაებრ არა იყო ღონე, და უწყოდა კეთილად ყივჩაყთა ნათესავისა სიმრავლე, და წყობათა შინა სიმჴნე, სისუბუქე და მიმოსვლა, სიფიცხე მიმართებისა, ადვილად დასამჭირვლობა და ყოვლითურთ მომზადებლობა ნებისა თჳსისა. და ამათ თანა უადვილეს იყვნეს მოსვლად მახლობლობითაცა და უპოვარებითა, და რამეთუ პირველ მრავალთა წელთასა მიერ მოეყვანა სანატრელი და ყოვლად განთქმული სიკეთითა გუარანდუხტ დედოფალი, შვილი ყივჩაყთა უმთავრესისა ათრაქა შარაღანის ძისა, სჴულიერად მეუღლედ თჳსად და დედოფლად ყოვლისა საქართველოსა. ამისთჳსცა წარავლინა კაცნი სარწმუნონი და მოუწოდა ყივჩაყთა და სი-*

[1] ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო.., გვ. 190. ამის შესახებ იხ. აგრეთვე: ზ. პაპასქირი. პაჭანიკები. – წგნ.: *ივ. ჯავახიშვილი.* ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბ., 2002, გვ. 523.

მამრსა თუსსა. ხოლო მათ სიხარული მიითუალეს, გარნა ითხოვეს გზა მშვიდობისა ოვსთაგან“.[1]

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ამას მოჰყვა დავით აღმაშენებლის ვოიაჟი ჩრდილოეთ კავკასიაში, რომლის დროსაც მან *„აღიხუნა ციხენი დარიალასა და ყოველთა კავკასიისა მთისათანი. და შექმნა გზა მშუდობისა ყივჩაყთათუს, და გამოიყვანა სიმრავლე ფრიადი დიდი; სიმამრი და ცოლის ძმანი თუსნი არა ცუდად დაშურეს; არცა ცუდ იქმნა გამოყვანა მათი, არამედ მათითა ჴელითა მოსრნა სრულიად სპარსეთისა ძალნი, და დასცა შიში და ზარი ყოველთა მეფეთა ქუეყნისათა, და მათითა თანადგომითა ქმნა საქმენი დაურწმუნებელნი, ვითარცა ითქუას წალმართ“.*[2]

გადმოსახლებული *„ყივჩაყნი დააყენნა მათ მარჯუეთა დედა-წულითა მათითა, რომელთა თანა იყო წყობად განმავალი რჩეული ორმოცი ათასი. ესენი განასრულნა ცხენებითა და საჭურველითა; და კუალად მონანი რომელ ჰყვეს რჩეულნი და განსწავლულნი ღუაწლსა, ვითარ ხუთიათასი კაცი, ყოველნი ქრისტიანე ქმნულნი, მისანდონი და გამოცდილნი სიმ ნითა. და თუთ ყივჩაყნიცა უმრავლესნი ქრისტიანე იქმნებოდეს დღითი-დღე, და სიმრავლე ურიცხ შეეძინებოდა ქრისტჱსა. ესენი რა ესრეთ შემოიკრიბნა, და დააწყუნა გუარად-გუარად და დაუდგინნა სპასალარნი და მმართებელნი“.*[3]

ქართულ ისტორიოგრაფიაში დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობები ყივჩაყებსა და მათი საქართველოში გადმოსახლების შესახებ სათანადოდაა განმარტებული და კომენტირებული. აღნიშნული მასალა მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომი (მ. ბროსეს მიერ შესრულებული *„ქართლის ცხოვ-*

---

[1] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. I, გვ. 335-336. მოცემული ადგილი ოდნავ განსხვაებული რედაქციით იხ. მ. შანიძის გამოცემაში: *ცხორება მეფეთ-მეფისა დავითისი..*, 1992, გვ. 182-183.

[2] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. I, გვ. 336; *ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი..*, 1992, გვ. 184.

[3] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. I, გვ. 337; *ცხორებაჲ მეფეთ-მეფისა დავითისი..*, 1992, გვ. 184-185.

რების“ ფრანგული თარგმანის წყალობით) იყო არაქართველ მკვლევართათვისაც, თუმცა არ შეიძლება იმის თქმა, რომ ისინი ქართული მატიანის ამ მასალებს ჯეროვნად იცნობდნენ. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ცნობილი მკვლევრის ლ. ლავროვის ერთ-ერთი ადრინდელი ნაშრომი,[1] აგრეთვე ი. ფიოდოროვისა და გ. ფიოდოროვის ერთობლივი სტატია,[2] რომლებიც მთლიანად ყივჩაყთა საქართველოში გადმოსახლების შესახებ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულების მონაცემების არცოდნა-იგნორირებაზეა აგებული.

პირველი, რაც იწვევს მკვლევართა ინტერესს ყივჩაყებზე დავით აღმაშენებლის მემატიანის მონათხრობის გაცნობისას, არის საკითხი იმის შესახებ, თუ რამ განაპირობა საქართველოს მეფის ეს არაორდინარული ნაბიჯი. ისტორიოგრაფიაში სავსებით სამართლიანად არის შენიშნული, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის განცხადება იმის შესახებ, რომ *„არა იყო ესეოდენი სიმრავლე ლაშქართა სამეფოსა შინა მისსა, რათამცა ქალაქთა და ციხეთა შინა მდგომად და დამჭირველად და კუალად თჳთ მის თანა მყოფად და მოლაშქრედმცა კმა ეყვნეს დაუცხრომელ მიმოსვლასა ლაშქრობასა მისსა ზამთარ ზაფხულ“* და რომ ამის გამო *„შემოიკრიბა გონება, კეთილად და გონიერად გამგონე“* და გადაწყვიტა ყივჩაყთა გადმოსახლება საქართველოში,[3] მთლად სიმართლეს არ უნდა შეეფერებოდეს. აკად. რ. მეტრეველის საფუძვლიანი დასკვნით, მართალია, საქართველოს ჯარი თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ მიმდინარე პერმანენტული შეტაკებების შედეგად ნამდვილად შეთხელდებოდა, მაგრამ არა იმდენად, რომ დავით IV-ს არ შესძლებოდა დანაკარგის ქვეყნის შიგნით არსებული რესურსებით შევსება. ამიტომ, უფრო სავარაუდოა, აღნიშნავს

---

[1] **Л. И. Лавров.** Обези русских летописей. – *Советская этнография*, №4, 1946.

[2] **Я. А. Федоров, Г. С. Федоров.** Половцы-кипчаки...

[3] *ქართლის ცხოვრება*.., ტ. I, გვ. 335.

მკვლევარი, რომ ბრძენი მეფე უბრალოდ მოერიდა გლეხობის მასობრივად მოწყვეტას სამეურნეო საქმიანობისაგან — ეს დაასუსტებდა ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს, და მათ გაწვევას ლაშქარში.[1]

ისტორიოგრაფიაში არანაკლები ყურადღება ექცევა იმის გარკვევასაც, თუ რატომ შეაჩერა არჩევანი საქართველოს სამეფო კარმა მაინცდამაინც ყივჩაყებზე. მემატიანე ამას ხსნის ყივჩაყთა მეომრული თვისებებით *(„წყობათა შინა სიმკვნე, სისუბუქე და მიმოსვლა, სიფიცხე მიმართებისა“)*, აგრეთვე *„ადვილად დასამჭირვალობით“*, და, რაც მთავარია, იმით, რომ *„უადვილეს იყვნეს მოსვლად მახლობლობითაცა და უპოვარებითა“*. ე. ი. იმ დროისათვის, როდესაც დავით აღმაშენებელმა გადაწყვიტა ყივჩაყების საქართველოში გადმოსახლება, ეს უკანასკნელნი შორეული რუსეთის სტეპებში კი არ მომთაბარეობდნენ, არამედ უშუალოდ საქართველოს სიახლოვეს. თუ როგორ და რა ვითარებაში მოხვდნენ ყივჩაყები საქართველოს საზღვრების ახლომახლო, ჩანს ძველი რუსული მატიანეების ცნობების მიხედვით, რომლებშიც თანმიმდევრულადაა გადმოცემული კიევის რუსეთის მთავრების ბრძოლა ყივჩაყთა წინააღმდეგ XIს. მიწურულსა და XIIს. დამდეგს.

პირველი ცნობა ყივჩაყ-პოლოვცების შესახებ ძველ რუსულ მატიანეში ჩნდება 1054 წლის მოვლენებთან დაკავშირებით, როდესაც *„გარდასულ დროთა ამბავის“* (*„Повесть временных лет“*) ავტორი მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ მოვიდა „Болуш с половцы, и сотвори Всеволод мир с ними, и возвращаяйся половцы вспять откуду же пришли“.[2] ამ დროიდან ყივჩაყთა მარბიელი ლაშქრობების მთავარ მიმართულებად კიევის რუსეთის სამფლობელოები იქცა. წარმატებულ-

---

[1] რ. მეტრეველი. დაეით IV აღმაშენებელი. *ეპოქის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-კულტურული ისტორიის მიმოხილვა*. თბ., 1990, გვ. 168-172.

[2] *Повесть временных лет* (შემდგომში *ПВЛ*), ч. I. М., 1950, გვ. 109; **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских.., გვ. 85.

მა ლაშქრობებმა თანდათანობით გაამდიდრა მომთაბარე ყივჩაყთა ზედა ფენა და ბიძგი მისცა ყივჩაყებში პატრიარქალური წყობის რღვევასა და ფეოდალიზმის ელემენტების ჩასახვას. XIს. მიწურულისათვის კი ჩამოყალიბდა დნეპრისა და დონის ყივჩაყთა ტომობრივ-სახელმწიფოებრივი გაერთიანებები.[1]

დნეპრის გაერთიანება, ანუ XIIს. არაბი ისტორიკოსის ალ-იდრისის „თეთრი კუმანია", რომელსაც მართავდნენ ყივჩაყთა ბელად ბონიაკის შთამომავლები, მოიცავდა დნეპრის ქვემო წელს და დასავლეთით მდ. დუნაიმდე ვრცელდებოდა.[2] ყივჩაყთა აღმოსავლური გაერთიანება — „შავი კუმანია" კი წარმოადგენდა ყივჩაყთა მეორე ბელადის — შარუკან „მხცოვანის" („Шарукан Старый") სამფლობელოს, რომელიც მოიცავდა ტერიტორიებს მდ. დონეციდან აღმოსავლეთით ვოლგამდე.[3]

XIს. მიწურულიდან გაძლიერდა ყივჩაყთა ექსპანსია კიევის რუსეთის მიმართულებით. 1093 წელს მათ დაამარცხეს კიევის დიდი მთავრის სვიატოპოლკ იზიასლავის ძისა და პერეიასლავის მთავრის ვლადიმირ მონომახის გაერთიანებული რაზმები და იავარყვეს მათი ქალაქები და სოფლები.[4] მართალია, ამის შემდეგ 1094 წელს დაიდო ზავი კიევის დიდ მთავარ სვიატოპოლკ იზიასლავის ძესა და ყივჩაყთა ბელად ტუგორკანს შორის, რომელიც დინასტიური ქორწინებითაც (სვიატოპოლკი დაქორწინდა ტუგორკანის ქალიშვილზე) განმტკიცდა,[5] მაგრამ სიტუაცია ამით არ განიმუხტა.

---

[1] **С. А. Плетнёва.** Печенеги, торки и половцы.., გვ. 220.

[2] **Б. А. Рыбаков.** Русские земли по карте Идриси 1154 года. – *Краткие сообщения Института истории материальной культуры*, вып. XI. М., 1952, გვ. 44.

[3] **Б. А. Рыбаков.** Русские земли по карте Идриси 1154 года.., გვ. 44.

[4] *ПВЛ*, ч. I, გვ. 145; **Д. А. Расовский.** Половцы. – *Seminarium Kondakovianum*, т. X, გვ. 108; **В. Т. Пашуто.** Внешняя политика Древней Руси, გვ. 117; **З. В. Папаскири.** У истоков.., გვ. 86.

[5] *ПВЛ*, ч. I, გვ. 148; **Д. А. Расовский.** Половцы. – *Seminarium Kondakovianum*, т. X, გვ. 108; **В. Т. Пашуто.** Внешняя политика.., გვ. 117; **З. В. Папаскири.** У истоков.., გვ. 86.

1095 წელს ვლადიმირ მონომახის მიერ ყივჩაყთა ხანების იტლარისა და კიტიანის დახოცვას[1] მოჰყვა რუს-ყივჩაყთა კონფრონტაციის ახალი ესკალაცია. 1096 წელს ყივჩაყებმა ახალი შეტევა განახორციელეს რუსების სიღმეში, მაგრამ ამჯერად სვიატოპოლკ იზიასლავის ძემ და ვლადიმირ მონომახმა შეძლეს ამ შეტევის მოგერიება. ბრძოლის ველზე დაეცა ყივჩაყთა დასავლური გაერთიანების მეთაური ტუგორკანი.[2] ამასობაში, ყივჩაყთა მეორე მეთაურის – ბონიაკის რაზმებმა კიევში შეაღწიეს და კიევ-პეჩორის მონასტერიც გაძარცვეს, მაგრამ კიევის დაკავება ვერ შეძლეს.[3]

1101 წელს ქ. საკოვში რუსებსა და ყივჩაყებს შორის დაიდო ზავი,[4] რომელიც უკეთ გამოიყენეს რუსებმა. ახალი ანტიყივჩაყური კამპანიის ინიციატორი და ხელმძღვანელი იყო ვლადიმირ მონომახი, რომლის ლაშქარმა 1103 წელს დაამარცხა ყივჩაყები.[5] კიდევ უფრო ძლიერი დარტყმა აგემეს რუსებმა ყივჩაყებს 1107 წელს ლუბნასთან ბრძოლაში, როდესაც მათ გააქციეს შარუკანისა და ბონიაკის რაზმები.[6] მკვლევართა აზრით, სწორედ ამ ბრძოლის შემდეგ მოხდა გარდატეხა, რომლის შემდეგ რუსთა უპირატესობა ყივჩაყებთან კონ-

---

[1] *ПВЛ*, ч. I, გვ. 148-149; **Д. А. Расовский.** Половцы. – *Seminarium Kondakovianum*, т. X, გვ. 108; **В. Т. Пашуто.** Внешняя политика.., გვ. 117; **З. В. Папаскири.** У истоков.., გვ. 86.

[2] *ПВЛ*, ч. I, გვ. 151; **Д. А. Расовский.** Половцы. – *Seminarium Kondakovianum*, т. X, გვ. 108-109; **В. Т. Пашуто.** Внешняя политика.., გვ. 117-118; **З. В. Папаскири.** У истоков.., გვ. 86-87.

[3] *ПВЛ*, ч. I, გვ. 151-152; **Д. А. Расовский.** Половцы. – *Seminarium Kondakovianum*, т. X, გვ. 109; **З. В. Папаскири.** У истоков .., გვ. 87.

[4] ПВЛ, ч. I, გვ. 182; **Д. А. Расовский.** Половцы. – *Seminarium Kondakovianum*, т. X, გვ. 109; **В. Т. Пашуто.** Внешняя политика.., გვ. 118; **З. В. Папаскири.** У истоков.., გვ. 87.

[5] ПВЛ, ч. I, გვ. 183-185; **Д. А. Расовский.** Половцы. – *Seminarium Kondakovianum*, т. X, გვ. 109; **З. В. Папаскири.** У истоков.., გვ. 87.

[6] ПВЛ, ч. I, გვ. 186-187; **Д. А. Расовский.** Половцы. – *Seminarium Kondakovianum*, т. X, გვ. 110; **З. В. Папаскири.** У истоков.., გვ. 87.

ფლიქტში რეალურად გამოიკვეთა.[1] ამავე დროს გამოითქვა საკმაოდ საფუძვლიანი ვარაუდი იმის შესახებაც, რომ სწორედ ამ დროიდან უნდა მიეპყრო საქართველოს სამეფო კარის ყურადღება რუს-ყივჩაყთა ფრონტზე განვითარებულ მოვლენებს. კერძოდ, ფიქრობენ, რომ პირველი ნაბიჯები რუსებთან შეტაკებებში დამარცხებული ყივჩაყების საქართველოს სახელმწიფო სამსახურში ჩაყენებისათვის სწორედ ამ დროს გადაიდგა[2]. იგულისხმება ნათესაური კავშირის დამყარება საქართველოს სამეფო სახლსა და ყივჩაყთა ბელად ათრაქა შარაღანის ძის საგვარეულოს შორის, რომელიც, ზ. პაპასქირის აზრით, 1107 წლის ახლო ხანებში უნდა მომხდარიყო.[3]

დავით აღმაშენებლის ყივჩაყთა უმთავრესის ასულზე დაქორწინების თარიღის დადგენისას ყურადღებას ამახვილებენ ერთ-ერთი ევროპული წყაროს (ჯვაროსანი ბერის ანსელუსის წერილის) ცნობაზე, რომლის თანახმადაც, არაუგვიანეს 1108 წლისა, დავით ქართველთა მეფის „ქერივი" ჩასულა იერუსალიმში და იქ შეხვედრია ჯვაროსანთა მისიის წარმომადგენელს — ბერ ანსელუსს.[4] ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ხანია დადგენილია, რომ „ყივჩაყთა უმთავრესის" ასული დავით აღმაშენებლის მეორე ცოლი უნდა იყოს.

თავის დროზე, ეჭვი იმის თაობაზე, რომ გუარანდუხტ დედოფალი შეიძლება ყოფილიყო დავით აღმაშენებლის მეორე ცოლი გამოთქვა აკად. ივ. ჯავახიშვილმა. მათეოს ურჰაეცის ცნობაზე დაყრდნობით, მეცნიერი უშვებდა იმის შესაძლებლობას, რომ მეფეს სხვა ცოლიცა ჰყოლია, სომხის ქალი, რომლისგანაც დაჰბადებია უფლისწული და ტახტის მემკვიდრე დიმიტრი. იქნებ, — ასკვნის ივ. ჯავახიშვილი, — იგი დავით აღმაშენებლის ისტორიაში იმიტომ არ არის მოხსენი-

---

[1] **ვ. ბ. პაპასკირი.** У истоков.., გვ. 87.

[2] **ვ. ბ. პაპასკირი.** У истоков.., გვ. 87-88.

[3] **ვ. ბ. პაპასკირი.** У истоков.., გვ. 87-88.

[4] **ზ. ავალიშვილი.** ჯვაროსანთა დროიდან. *ოთხი საისტორიო ნარკვევი.* თბ., 1989, გვ. 5, 8.

ებული, რომ მეფე მას გაეყარა და მეორე ცოლი – ყივჩაყთა მთავრის ასული შეირთო.[1]

ეს ეჭვები კიდევ უფრო გამყარდა მას შემდეგ, რაც ზ. ავალიშვილმა აღმოაჩინა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა ფრანგი ბერის ანსელუსის წერილი, რომელშიც მოცემულია ცნობა დავით „მეფე ქართველთას“ „ქვრივის“ შესახებ.[2] თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ გუარანდუხტ დედოფალი იყო დავით აღმაშენებლის მეორე ცოლი, იზიარებენ შ. ბადრიძე,[3] ზ. პაპასქირი[4] და სხვ. ბერ ანსელუსის წერილში ნახსენებ „ქვრივში“ გულისხმობენ XIIს. სომეხი ისტორიკოსის მათეოს ურჰაეცის თხზულებაში დაფიქსირებულ დავით აღმაშენებლის სომეხ მეუღლეს,[5] ტახტის მემკვიდრის დემეტრეს დედას, რომელიც, როგორც ჩანს, საქართველოს მეფის პოლიტიკური გეგმების მსხვერპლი შეიქნა.[6] ცნობილი ქართველი მეცნიერის ზ. ავალიშვილის აზრით, ეს ქორწინება მიმართული იყო ყივჩაყთა მმართველ წრეებთან დაახლოებისკენ, რათა საქართველოს სამეფო კარს ჰქონოდა რეალური მექანიზმები ყივჩაყთა სამხედრო პოტენციალის საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებისათვის.[7]

ამრიგად, გამომდინარე იქიდან, რომ 1107 წელს ყივჩაყებმა განიცადეს სერიოზული მარცხი რუსებთან, რომელსაც მოჰყვა მათი სამხედრო-პოლიტიკური სიძლიერის მნიშვნელოვანი შესუსტება, აგრეთვე იქიდანაც, რომ 1109 წლის ახლო

---

[1] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ.II.., გვ. 219-220.
[2] ზ. ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან, გვ. 17-18.
[3] შ. ბადრიძე. საქართველო და ჯვაროსნები. თბ., 1973, გვ. 15-18; შ. ბადრიძე. საქართველოს ურთიერთობა ბიზანტიასთან და დასავლეთ ევროპასთან. თბ., 1982, გვ. 124-125.
[4] **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских.., გვ. 88-89; ზ. პაპასქირი. ერთიანი ქართული ფეოდალური.., გვ. 125-126.
[5] ლ. დავლიანიძე. მათე ურჰაელის ცნობები.., გვ. 249; **Р. М. Бартикян.** Хронография Матфея Эдесского.., გვ. 145.
[6] ზ. ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან.., გვ. 15.
[7] ზ. ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან.., გვ. 15.

ხანებში დაფიქსირდა დავით ქართველთა მეფის „ცრუ ქვრივის“ ჩასვლა იერუსალიმში, დავით ალმაშენებლის დაქორწინება „ყივჩაყთა უმთავრესის“ ასულზე მართლაც შეიძლება 1107-1109 წლებით დათარიღდეს.[1]

მაგრამ 1107 წელი არ იყო ყივჩაყებზე რუსთა საბოლოო გამარჯვების წელი. ყივჩაყები ამის შემდეგაც რჩებოდნენ ანგარიშგასაწევ ძალად, რომლის იგნორირებაც რუს მთავრებს არ შეეძლოთ.[2] ამიტომაც მათ განავითარეს 1107 წელს დაწყებული შეტევა მომთაბარეებზე. 1109 წელს ვლადიმირ მონომახის ვოევოდა დიმიტრი იოვორის ძემ დაიკავა ყივჩაყთა დასახლებები მდ. დონის მიდამოებში,[3] ხოლო 1111 წელს სვიატოპოლკ იზიასლავის ძისა და ვლადიმირ მონომახის გაერთიანებულმა ძალებმა გაანადგურეს ყივჩაყები და დაიკავეს მათი „ქალაქები“ შარუკანი, სუგროვი.[4]

1116 წელს ვლადიმირ მონომახმა, უკვე კიევის დიდმა მთავარმა (1113 წლიდან), მოაწყო ახალი ლაშქრობა ყივჩაყთა სტეპის სიღრმეში, რომელსაც დიდი მთავრის ვაჟი იაროპოლკი სარდლობდა. რუსებმა აიღეს „ქალაქები“ შარუკანი, სუგროვი, ბალინი და განდევნეს ყივჩაყები ოვსთა საზღვრებამდე,[5] სადაც მათ კონტაქტი დაამყარეს ალან-ოსებთან. უფრო მეტიც, რუსული მატიანის ცნობით, იაროპოლკი დაქორწინებულა ოვსთა მთავრის ასულზე.[6] ამ ცნობაზე დაყრდნო-

---

[1] **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских.., გვ. 89.

[2] **Н. Ф. Котляр.** Половцы в Грузии и Владимир Мономах. – *Из истории украино-грузинских связей*, I. Тб., 1968, გვ. 20.

[3] *Полное собрание русских летописей* (შემდგომში – *ПСРЛ*), т. II. *Ипатьевская летопись*, М., 1962, стлб. 260; **Д. А. Расовский.** Военная история половцев. – *Анналы Института им. Н. П. Кондакова*, т. XI. Белград, 1940, გვ. 111; **Н. Ф. Котляр.** Половцы в Грузии.., გვ. 20.

[4] *ПСРЛ*, т. II, стлб. 282; **Н. Ф. Котляр.** Половцы в Грузии.., გვ. 20-23; **Н. П. Мургулия.** К вопросу о переселении половецкой орды в Грузию. – *Из истории украино-грузинских связей*. Киев, 1971, გვ. 50-51.

[5] *ПСРЛ*, т. II, стлб. 284.

[6] *ПСРЛ*, т. II, стлб. 284.

ბით, დ. რასოვსკიმ გამოთქვა ვარაუდი ამ დროს ყივჩაყთა წინააღმდეგ რუსთა და ოვსთა სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შეკვრის შესახებ,[1] რომელსაც იზიარებს ზ. პაპასქირიც.[2]

ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია სავსებით საფუძვლიანი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ვლადიმირ მონომახის მიერ ორგანიზებულმა ლაშქრობებმა ყივჩაყთა განსახლების სიღრმეში და მათ მიერ მომთაბარეთა განდევნამ სამხრეთ რუსეთის სტეპებიდან რამდენადმე შეამზადა ნიადაგი ყივჩაყთა საქართველოში გადმოსახლებისათვის[3]. ამასთან დაკავშირებით, ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ ძველმა რუსულმა საისტორიო ტრადიციამ დააფიქსირა ვლადიმირ მონომახის მიერ ყივჩაყთა ბელადის ოტროკის (ქართული წყაროს ათრაქა შარაღანის ძე) განდევნის ფაქტი „во Обези за железные врата".[4] ანუ ძველ რუსეთში მშვენივრად იცოდნენ, რომ ყივჩაყები წავიდნენ „Обези"-ში — ე.ი. აფხაზეთში (საქართველოში).

ძველი რუსული მატიანის ამ ცნობის ინტერპრეტაციისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ ფაქტს, რომ ცალკეულმა რუსმა მკვლევრებმა ეჭვი შეიტანეს ვოლინელი მემატიანის ზემოთ მოყვანილ ცნობაში გადმოცემული ფაქტის რეალურობაში. თავის დროზე, ლ. ლავროვმა, ნამდვილად არ იცოდა რა ოტროკი — ათრაქა შარაღანის ძის ურდოს საქართველოში გადმოსახლების ამბავი, რომელიც, როგორც ვნახეთ, თითქმის დოკუმენტურადაა დაფიქსირებული დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაში, რუსული წყაროების „Обези"-ს ქვეშ იგულისხმა არა აფხაზეთი ფართო გაგე-

---

[1] **Д. А. Расовский.** Военная история половцев, გვ. 111.

[2] **З. В. Папаскири.** У истоков.., გვ. 90.

[3] **ი. ცინცაძე.** ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიიდან (X-XVI სს.). თბ., 1956, გვ. 189-201; **С. Т. Еремян.** Юрий Боголюбский в армянских и грузинских источниках. – *Научные труды Ереванского государственного университета*, т. XXIII. Ереван, 1946, გვ. 391-392; **Н. Ф. Котляр.** Половцы в Грузии.., გვ. 23; **Н. П. Мургулия.** К вопросу.., გვ. 47.

[4] *ПСРЛ*, т. II, стлб. 716.

ბით (ანუ საქართველო), არამედ აბაზინების განსახლების ადგილი ჩრდილოეთ კავკასიაში[1]. „Бегство Отрока через железные врата к обезам, – წერს ლ. ლავროვი, – не есть бегство в Абхазию, так как для того, чтобы укрыться от Мономаха вряд ли нужно было бежать в далёкую и труднодоступную с севера Абхазию. Для этого достаточно было бежать в земли абазин, которые тогда обитали вблизи Тамани в непосредственной близости от половецких степей".[2] ლ. ლავროვის მტკიცებით, „Абхазы были сравнительно далёким от русских земель народом, в то время как абазины являлись ближайшими соседями Тмутараканского княжества, и странным было бы незнание их русскими людьми того времени".[3]

ლ. ლავროვის მსჯელობიდან აშკარად ჩანს, რომ ის საერთოდ არ იცნობს დავით აღმაშენებლის მატიანეში დაცულ ინფორმაციას და დაბეჯითებით ცდილობს დაამტკიცოს, რომ რუსული მატიანის „Обези" მხოლოდ და მხოლოდ აფხაზეთის აღმნიშვნელი ტერმინი იყო. თანაც ეს აფხაზეთი სულაც არ უნდა იქნას გააზრებული ისე, როგორც ეს ესმის ლ. ლავროვს, ანუ ამ ცნების თანამედროვე გაგებით.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ხანია დადგენილია, რომ ძველი რუსული წერილობითი ძეგლების „Обези"-აფხაზეთის ქვეშ X საუკუნეში იგულისხმებოდა დასავლურქართული სახელმწიფო – „აფხაზთა" სამეფო, ხოლო XI-XII საუკუნეებში კი ერთიანი ქართული სახელმწიფო – საქართველო, და რომ არც ერთ ჩვენამდე მოღწეულ რუსულ ცნობაში „Обези" არ ნიშნავს აფხაზეთს დღევანდელი მნიშვნელობით.[4]

---

[1] **Л. Лавров.** Обези русских летописей.., გვ. 163.

[2] **Л. Лавров.** Обези русских летописей.., გვ. 167.

[3] **Л. Лавров.** Обези русских летописей.., გვ. 167.

[4] ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: **ი. ციხცაძე.** ძიებანი.., გვ. 65-67; **ი. ციხცაძე.** ძველი რუსული მასალები (XI-XVIსს.) საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ. 15-21; **Г. В. Цулая.** „Обези" по русс-

ლ. ლავროვისაგან განსხვავებით, ი. და გ. ფიოდოროვებმა, მართალია, იცოდნენ ოტროკისა და მისი ურდოს საქართველოში გადასახლების შესახებ, მაგრამ მათ ქართული მატიანის ცნობა უბრალოდ არასანდოდ მიიჩნიეს და წარმოუდგენლად ჩათვალეს 40000-იანი ყივჩაყთა რაზმის გაქცევა „из-за страха перед киевской ратью" შორეულ („за тридевять земель") საქართველოში.[1] მათი აზრით, არავითარ გაქცევას ოტროკისა „ობეზის" ქვეყანაში ადგილი არ ჰქონია, ვოლინურ მატიანეში გადმოცემული ფაქტი კი არის მხოლოდ გამოძახილი „какой-то песни о любви к родине".[2] ი. და გ. ფიოდოროვები უფრო შორსაც მიდიან და თვლიან, რომ რუსული წყაროს „Обези" საერთოდ არაა აფხაზეთი (საქართველო), არამედ მასში მოიაზრებოდა ალანია-ოსეთი, რომლის მახლობლადაც, ამ დროისათვის, ჩამოყალიბდა ოტროკის ყივჩაყური გაერთიანება — შარუკან „მხცოვანის" ე.წ. „შავი კუმანიის" ნაწილი.[3]

ლ. ლავროვისა და ფიოდოროვების მცდელობები, უარყონ „ობეზი"-„აფხაზეთის" იდენტურობა და „ობეზის" ქვეყანა როგორმე მოაქციონ ჩრდილოეთ კავკასიაში, არ დარჩენილა უყურადღებოდ ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამ საკითხს საგანგებოდ შეეხო ზ. პაპასქირი, რომელმაც სათანადო არგუმენტების მოშველიებით ნათლად აჩვენა რუს მკვლევართა თვალსაზრისის სრული უსაფუძვლობა. მეცნიერმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით აღწევდა ნიკოფსია-ტუაფსემდე და, ამდენად, საქართვე-

---

ким источникам. – *Советская этнография*, №2, 1975, გვ. 100-106; **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских.., გვ. 116-123; **Г. Г. Паичадзе.** Названия Грузии в русских письменных источниках. Тб., 1989, გვ. 11-60. იქვე იხ. შესაბამისი ლიტერატურა.

[1] **Я. А. Федоров, Г. С. Федоров.** Половцы-кипчаки.., გვ. 151.

[2] **Я. А. Федоров, Г. С. Федоров.** Половцы-кипчаки.., გვ. 151.

[3] **Я. А. Федоров, Г. С. Федоров.** Половцы-кипчаки.., გვ. 152.

ლო (აფხაზეთი-„Обези") სულაც არ იყო „მიუვალი" და უცნობი მხარე ძველი რუსებისათვის.[1] მანვე ყურადღება მიაქცია XIIს. არაბი გეოგრაფის ალ-იდრისის ცნობას იმის შესახებ, რომ მატარქა-ტმუტარაკანს მაშინ მართავდა რომელიღაც „აფხაზური" დინასტია[2] და სავსებით საფუძვლიანად დაასკვნა, რომ „в Тмутаракани и на Руси больше знали о крупном грузинском государстве, чем о малочисленном народе абазин, которые если даже жили в это время между Адлером и Туапсе.., скорее бы находились в зависимости от Грузинского царства".[3]

ერთი სიტყვით, ყოველგვარი ეჭვის შეტანა საქართველოში ყივჩაყთა 40 ათასი ოჯახის გადმოსახლების შესახებ დავით აღმაშენებლის თხზულებაში გადმოცემული ფაქტის რეალურობაში სრულიად უპერსპექტივოა.

როდის უნდა განეხორციელებინა დავით აღმაშენებელს ეს უპრეცედენტო ღონისძიება. თავის დროზე, მოვლენების თანმიმდევრული ანალიზის საფუძველზე, ივ. ჯავახიშვილმა დაასკვნა, რომ ყივჩაყთა ურდოს გადმოსახლება საქართველოში უნდა მომხდარიყო 1118-1120 წლებს შუა.[4]

ივ. ჯავახიშვილისეული დათარიღება გაამყარა ი. ციბაძემ, რომელმაც ყურადღება მიაქცია იმას, რომ სწორედ ამ დროისათვის ძირითადად დამთავრდა ყივჩაყების გამოდევნა ვლადიმირ მონომახის მიერ სამხრეთ რუსეთის სტეპებიდან.[5] ამ ტრადიციული დათარიღების გადასინჯვას შეეცადა უკრაინელი მკვლევარი ნ. კოტლიარი, რომელმაც, გაამახვილა რა ყურადღება ვლადიმირ მონომახის მიერ 1111 წელს ორგანიზებულ ლაშქრობაზე, ათრაქა შარაღანის ძის ქვეშევრდომთა

---

[1] **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских.., გვ. 65-66, 118.

[2] **А. П. Новосельцев, В. Т. Пашуто.** Внешняя торговля Древней Руси до середины XIIIв. – *История СССР*, №3, 1967, გვ. 107.

[3] **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских.., გვ. 118.

[4] **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია, წ. II.., გვ. 200.

[5] **ი. ციბაძე.** ძიებანი.., გვ. 193-194.

გადასვლა საქართველოში 1111-1112 წლებით დაათარიღა.[1]

ნ. კოტლიარის ეს თვალსაზრისი არ გაიზიარა ნ. მურღულიამ, რომელმაც ახალი არგუმენტების მოშველიებით საკითხის დამაჯერებლად აჩვენა ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული დათარიღების მართებულობა.[2]

ისტორიოგრაფიაში გარკვეული აზრთა სხვადასხვაობაა აგრეთვე გადმოსახლებულ ყივჩაყთაგან შექმნილი ჯარის რაოდენობის საკითხთან დაკავშირებით. მკვლევართა ერთი ნაწილი (ივ. ჯავახიშვილი, ს. მაკალათია, შ. მესხია, რ. მეტრეველი და სხვ.[3]) ყივჩაყური შენაერთის რაოდენობას განსაზღვრავს 40000 მეომრით, მეორენი კი (ა. კიკვიძე, მ. დუმბაძე, ზ. ანჩაბაძე)[4] თვლიან, რომ დავით აღმაშენებელმა გადმოასახლა 45000 ოჯახი და, ამდენად, მათგან შექმნილი ჯარი 45000 მეომრით განისაზღვრა. ფიქრობენ, რომ მკვლევართა შორის არსებული ეს აზრთა სხვადასხვაობა გამოწვეულია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ზოგიერთი ცნობის არასწორი ინტერპრეტაციით. კერძოდ იმით, რომ მეფის პირად გვარდიას — „მონა-სპას" არცთუ იშვიათად უმატებენ ყივჩაყთა 40-ათასიან ჯარს და ასე იღებენ 45000-ს.[5] მაგრამ

---

[1] **Н. Ф. Котляр.** Половцы в Грузии.., გვ. 19-23.

[2] **Н. П. Мургулия.** К вопросу.., გვ. 94.

[3] **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია, ტ. II.., გვ. 200; **ს. მაკალათია.** დავით აღმაშენებელი. თბ., 1945, გვ. 26; **შ. მესხია.** შოთა რუსთაველის ეპოქა. *საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარება რუსთაველის ეპოქაში.* — საიუბილეო კრებილი: *„თბილისის უნივერსიტეტი შოთა რუსთველს".* თბ., 1966, გვ. 15; *შ. მესხია.* საისტორიო ძიებანი, ტ. III. თბ., 1986, გვ. 37; **რ. მეტრეველი.** დავით აღმაშენებლის სამხედრო რეფორმის ზოგიერთი საკითხი. — წგნ.: **რ. მეტრეველი.** ნარკვევები ფეოდალური საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1972, გვ. 107.

[4] **ა. კიკვიძე.** დავით აღმაშენებელი. თბ., 1942, გვ. 11; **მ. დუმბაძე.** საქართველოს ისტორიული სინამდვილე და შოთა რუსთაველი. — *საქართველო რუსთაველის ხანაში.* თბ., 1966, გვ. 8; **ზ. ანჩაბაძე, მ. ცინცაძე.** საქართველო და ჩრდილოეთ.., გვ. 153-154.

[5] **З. В. Папаскири.** У истоков.., გვ. 94.

დიდი ხანია დადგენილია, რომ „მონა-სპა“ არ უნდა ყოფილიყო ყივჩაყებით დაკომპლექტებული.[1]

ამასთან დაკავშირებით, ყურადღებას აქცევენ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის შემდეგ ცნობას: *„მონანი რომელ ჰყვეს რჩეულნი და განსწავლულნი ღუაწლსა, ვითარ **ხუთიათასი კაცი**“*, იყვნენ *„**ყოველნი ქრისტიანე ქმნულნი, მისანდონი და გამოცდილნი სიმჴნითა**“*.[2] ე. ი. აქ სრულიად გარკვევით სწერია, რომ ამ რაზმის მებრძოლნი უკლებლივ ყველა („ყოველნი“) ქრისტიანები იყვნენ (თუმცა, როგორც ჩანს, არაქართველნი) და ბრძოლებში გამოცდილნი. ასეთებად კი ყივჩაყთა ჯარის შექმნის დროისთვის თვით ყივჩაყები ვერ ჩაითვლებოდნენ.[3] ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს იმ გარემოებასაც, რომ დავით აღმაშენებლის მემატიანის ზემოთ მოყვანილ ცნობას „მონა-სპაზე“ უშუალოდ მოჰყვება ასეთი განმარტება: *„და თუთ ყივჩაყნიცა უმრავლესნი ქრისტიანე იქმნებოდეს დღითი-დღე, და სიმრავლე ურიცხჳ შეეძინებოდა ქრისტესა“*.[4] მოყვანილ ციტატაში გამოთქმა *„და თუთ ყივჩაყნიცა“* აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ზემოთ „მონა-სპის“ მებრძოლთა შორის ნამდვილად არ იგულისხმებოდნენ საკუთრივ ყივჩაყები.

ყივჩაყთა საქართველოში გადმოსახლების შესახებ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობის კომენტირებისას მკვლევრებმა ყურადღება გაამახვილეს ამ აქციის დიპლომატიური მომზადების ასპექტებზეც. ჩვენ უკვე ზემოთ შევეხეთ საკითხს საქართველოს სამეფო სახლსა და „ყივჩაყთა უმთავრესის“ ათრაქა შარაღანის ძის საგვარეულოს შორის დინას-

---

[1] **ნ. ბერძენიშვილი.** საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VII. თბ., 1974, გვ. 49-52; **ქ. ჩხატარაიშვილი.** უცხოელები XII ს-ის საქართველოს ლაშქარში. – *საქართველო რუსთაველის ხანაში.* თბ., 1966, გვ. 164; **З. В. Папаскири.** У истоков грузино .., გვ. 94.

[2] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. I, გვ. 337 (ხაზგასმა ჩვენია – **ი.ჯ.**).

[3] **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских.., გვ. 94.

[4] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. I, გვ. 337 (ხაზგასმა ჩვენია – **ი.ჯ.**).

ტიური ქორწინების შესახებ და მხარი დავუჭირეთ ამ მოვლენის ზ. პაპასქირისეულ (1107-1109წწ.) დათარიღებას. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველო-ყივჩაყებს შორის დიპლომატიური კონტაქტები XIIს. დამდეგიდან მაინც არსებობდა. ძნელი სათქმელია, ამ ეტაპზე რამდენად ფიქრობდნენ საქართველოს სამეფო კარზე ყივჩაყთა უშუალოდ საქართველოში ჩამოსახლებაზე, თუმცა სრულიად აშკარაა, რომ ათრაქა შარაღანის ძის ასულზე საქართველოს მეფის დაქორწინება ნამდვილად ყივჩაყებთან სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის სურვილით იყო ნაკარნახევი.

ყივჩაყების საქართველოში გადმოსახლების დიპლომატიურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით მკვლევართა ერთი ნაწილი ყურადღებას ამახვილებს XVIIს. მოღვაწის, ანტიოქიის პატრიარქ მაკარიოსის ვაჟის პავლე ალეპოელის თხზულებაში დაცულ ერთ ცნობაზე, რომელშიც დაფიქსირებულია გელათის ტაძრის ამშენებელი მეფე დავითის მოსვლა რუსეთში „ურჯულოების" წინააღმდეგ დახმარების სათხოვნელად. წყაროს ცნობით, დავითს რუსეთიდან „დიდი ძალა" წამოუყვანია და მათი მეშვეობით თავისი ქვეყანა გაუთავისუფლებია „ურჯულოებისაგან": „Такого монастыря и такой церкви (იგულისხმება გელათის ტაძარი – ი.ჯ.) не есть ни одно подобно им колико суть в Грузех создание в длину и в ширину и великий камен. Созда Давид – царь грузинский, яко же пишут ветхие книги, сию обитель. Егда нечестивый хотел пленити Грузию и когда царь Давид прийде в руссию и поклонился и вопросы помощи и давали ему великую силу пошол и згна нечестивых от места своего и свободи от них".[1]

ამ ცნობას პირველად ყურადღება მიაქცია ნ. ასათიან-

[1] ნ. ასათიანი. მასალები XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის. *„საქართველოს აღწერილობა"* შედგენილი პავლე ალეპოელის მიერ. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო *ნ. ასათიანმა.* თბ., 1973, გვ. 73.

მა,[1] რომელმაც გამოთქვა ვარაუდი საქართველო-რუსეთის შესაძლო კონტაქტების დამყარების შესახებ ყივჩაყთა საქართველოში გადმოსახლების წინ. მეცნიერის აზრით, ყივჩაყთა გადმოსახლება იყო ქართულ-რუსული პოლიტიკური თანამშრომლობის პირველი ნაყოფიერი შედეგი.[2]

ნ. ასათიანის მიერ მოძიებულ პავლე ალეპოელის ცნობაში დაცულ ინფორმაციას გამოეხმაურა შ. მესხია, რომელმაც ასევე საკმაო საბუთებით შესაძლებლად მიიჩნია დიპლომატიური კონსულტაციების გამართვა საქართველოს სამეფო კარსა და კიევის დიდ მთავარს შორის დავით აღმაშენებლის მიერ ყივჩაყებთან გაგზავნილი „კაცნი სარწმუნონის" მეშვეობით.[3] ნ. ასათიანისა და შ. მესხიას თვალსაზრისი გააკრიტიკა ი. ცინცაძემ,[4] მაგრამ საპასუხო წერილში შ. მესხიამ ახალი არგუმენტებით გაამყარა თავისი დასკვნები.[5] ამ თვალსაზრისს მხა-

---

[1] **ნ. ასათიანი.** პავლე ალეპოელის *„საქართველოს აღწერილობა"* და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიის ზოგიერთი საკითხი. – *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს პედაგოგიური ინსტიტუტების ისტორიის კათედრათა გაერთიანებული სამეცნიერო სესიის თეზისები.* თბ., 1965; **ნ. ასათიანი.** ახალი ცნობები რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობების ისტორიიდან. – *საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უმაღლესი და საშუალო განათლების სახელმწიფო კომიტეტის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს ისტორიის სექციის სამეცნიერო სესიის თეზისები.* თბ., 1965.

[2] **Н. Ш. Асатиани.** Страницы истории русско-грузинских взаимоотношений. – *Литературная Грузия*, №8, 1975, გვ. 78.

[3] **შ. მესხია.** დიდგორის ბრძოლა. თბ., 1965, გვ. 53-55.

[4] **ი. ცინცაძე.** რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიისათვის. – *მაცნე*, №5. თბ., 1968, გვ. 211-214. საქართველო-კიევის რუსეთს შორის პოლიტიკური კონტაქტების არსებობას დავით აღმაშენებლის ეპოქაში პესიმისტურად უყურებდა ნ. ნაკაშიძეც. იხ.: **Н. Т. Накашидзе.** Грузино-русские политические отношения в первой половине XVII века. Тб., 1968, გვ. 206.

[5] **შ. მესხია.** შენიშვნები ძველი რუსეთისა და საქართველოს ისტორიიდან (პროფ. იასე ცინცაძის წერილის გამო). – *მნათობი*, №1. თბ., 1970, გვ. 143-149.

რი დაუჭირეს რ. მეტრეველმა[1] და ზ. პაპასქირმა.[2]

ისტორიოგრაფიაში გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა არსებობს საქართველოში გადმოყვანილი ყივჩაყთა ოჯახებისათვის სამოსახლო ადგილების მიჩენის საკითხთან დაკავშირებითაც. ყივჩაყთა საქართველოში გადმოსახლების შესახებ ცნობაში დავით აღმაშენებლის მემატიანე მიუთითებს, რომ მეფემ *„ყივჩაყნი დააყენა ადგილთა მათ მარჯუეთა დედა-წულითა მათითა“*.[3] თავისი თხზულების სხვა ადგილას კი დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი თითქოს კონკრეტულად ასახელებს ყივჩაყთათვის „საზამთრო სადგურად“ გამოყოფილ ადგილს. ის წერს: *„მოვიდა* (დავით მეფე – **ი.ჯ.**) *ქართლად. და ყივჩაყთა თჳსთა უჩინა საზამთროდ სადგური, და საზრდელი, და კაცნი ზედამდგომნი მათნი“*.[4] ამ ცნობაზე დაყრდნობით, აკად. ივ. ჯავახიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ საქართველოს მეფემ ყივჩაყები სწორედ ქართლში ჩაასახლა.

ამ ვარაუდს მეცნიერი იმითაც ასაბუთებდა, რომ „გარეშე მტრის, სელჩუკიანი თურქების, შემოსევების წყალობით აღმოსავლეთ საქართველოში მოსახლეობა ძალზე... შეთხელდა, მეტადრე ქართლი იყო აოხრებული. ამიტომ, – ასკვნიდა ივ. ჯავახიშვილი, – დავით აღმაშენებლის მხრით სრულებით ბუნებრივი იყო, რომ იმიერ-კავკასიითგან გადმოყვანილი ყივჩაყნი სწორედ იქ დაესახლებინა, სადაც საქართველოში ბინადრობის ნაკლებობა ყველაზე საგრძნობი იყო“.[5]

---

[1] **რ. მეტრეველი.** დავით IV აღმაშენებელი.., გვ. 277-278. იხ. აგრეთვე: **რ. მეტრეველი.** საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობები XI საუკუნის მიწურულსა და XII საუკუნის I მეოთხედში. დავით აღმაშენებლის დიპლომატია. – *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები.* ტ. I. თბ., 1998, გვ. 265-267; **Р. В. Метревели.** Внешняя политика Грузии в средние века. Тб., 1995, გვ. 6-7.

[2] **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских.., გვ. 105.

[3] *ქართლის ცხოვრება*.., ტ. I.., გვ. 336.

[4] *ქართლის ცხოვრება*.., ტ. I.., გვ. 345 (ხაზგასმა ჩვენია – **ი.ჯ.**).

[5] **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია, წ. II.., გვ. 209.

ივ. ჯავახიშვილის ეს თვალსაზრისი გაიზიარეს შ. მესხიამ[1] და რ. მეტრეველმა.[2] მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა სხვა მოსაზრებაც. კერძოდ, ცნობილმა სომეხმა ისტორიკოსმა აკად. ს. ერემიანმა, ჯერ კიდევ 1946 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში, ყურადღება მიაქცია არიჭისა და აღარწინის მიდამოებში აღმოჩენილ სომხურ ეპიგრაფიკულ მასალაში დაფიქსირებულ „ხუპასარენცების“ საგვარეულოს. მან „ხუპასარენცი“ მიიჩნია „ყუბასარიდან“ (იგულისხმება საქართველოს ამირსპასალარი „ნაყივჩაყარი“ ყუბასარი) ნაწარმოებად და, ამაზე დაყრდნობით, ივარაუდა ყივჩაყთა მოსახლეობა სომხეთის ტერიტორიაზე.[3]

მოგვიანებით, 1960 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში, ს. ერემიანი ისევ მიუბრუნდა აღნიშნულ საკითხს და აღარწინის (1184წ.) წარწერაში მოხსენიებული ელ-ბეკი მიიჩნია საქართველოს ამირსპასალარ ყუბასარად და, თავის მხრივ, ეს ფაქტი იმის დადასტურებად, რომ მოცემული ტერიტორია ელ-ბეკის (თურქულ ენაზე ნიშნავს მომთაბარე ტომის წინამძღოლს) ქვეშევრდომი ყივჩაყების სამოსახლოს წარმოადგენდა.[4]

ს. ერემიანის ეს მოსაზრება განავითარა ქართველმა მკვლევარმა ქ. ჩხატარაიშვილმა, რომელმაც ახალი არგუმენტებით შეამაგრა ის. კერძოდ, ქ. ჩხატარაიშვილმა მიუთითა იმაზე, რომ ჩრდილოეთ სომხეთის ტერიტორია ქართლზე არანაკლებ გაუკაცრიელდა სელჩუკთა შემოსევების შედეგად. მან ყურადღება გაამახვილა აგრეთვე იმაზეც, რომ სომხეთის აღნიშნული ტერიტორია ხელსაყრელი იყო მესაქონლეობის განვითარებისათვის და, ამდენად, ყივჩაყთა აქ ჩასახლებას ეს გარემოებაც უწყობდა ხელს. და ბოლოს, ქ. ჩხატარაიშვილის

---

[1] შ. მესხია. დიდგორის ბრძოლა.., გვ. 34.

[2] რ. მეტრეველი. დაყით აღმაშენებელი. თბ., 1965, გვ. 70.

[3] С. Т. Еремян. Юрий Боголюбский.., გვ. 393-394.

[4] С. Т. Еремян. Агаршинская надпись 1184г. – *Исследования по истории культуры народов Востока.* Сборник в честь акад. *И. А. Орбели.* М.-Л., 1960, გვ. 85-86.

აზრით, ყივჩაყთა 200-225-ათასიანი ურდოს ქართლში – ქვეყნის შუაგულში – ჩასახლება არ უნდა ყოფილიყო გამართლებული სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.[1]

ს. ერემიანი-ქ. ჩხატარაიშვილის ამ თვალსაზრისის კრიტიკით გამოვიდა შ. მესხია, რომელიც ამ საკითხს სპეციალურად შეეხო *„დიდგორის ბრძოლის“* მეორე გამოცემაში.[2] მეცნიერმა საგანგებოდ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ დავით აღმაშენებელი ყივჩაყებს, პირველ რიგში, სწორედ იქ ჩაასახლებდა, სადაც ხელსაყრელი პირობები იქნებოდა მათ ქართულ მართლმადიდებლობაზე მოსაქცევად და, საბოლოო ჯამში, მათ გასაქართველებლად.[3] ასეთ რაიონებად კი შ. მესხიას მიაჩნია შიდა და ქვემო ქართლი.[4] რაც შეეხება ს. ერემიანისა და ქ. ჩხატარაიშვილის მიერ მოხმობილ სომხურ ეპიგრაფიკულ მასალას, მათში, მეცნიერის აზრით, უნდა ვეძიოთ „ახალ ყივჩაყთა“ (XIII-XIV საუკუნეებში ჩამოსახლებულ) ნაკვალევი.[5]

ზ. პაპასქირმა ძირითადად გაიზიარა შ. მესხიას არგუმენტაცია, მაგრამ, ამავე დროს, ის ნაწილობრივ დაეთანხმა ქ. ჩხატარაიშვილს და არ გამორიცხა ყივჩაყთა ჩასახლება საქართველოს სასაზღვრო ოლქებშიც, მათ შორის ჩრდილოეთ სომხეთსა და ჰერეთში.[6] აღსანიშნავია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია სრულიად განსხვავებული მოსაზრებაც. მხედველობაში გვაქვს ცნობილი რუსი არქეოლოგის ს. პლეტნიოვას ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ დავით აღმაშენებელს თითქოს საერთოდ არ გადმოესახლებინოს ყივჩაყები საქართველოში. მისი აზრით, ისინი – 40 ათასი ყივჩაყი ოტროკის მეთაურობით – მომთაბარეობდნენ ჩრდი-

---

[1] ქ. ჩხატარაიშვილი. უცხოელები.., გვ. 170-173.
[2] შ. მესხია. ძლევაი საკვირველი.., გვ. 40-44.
[3] შ. მესხია. ძლევაი საკვირველი.., გვ. 40.
[4] შ. მესხია. ძლევაი საკვირველი.., გვ. 43.
[5] შ. მესხია. ძლევაი საკვირველი.., გვ. 42.
[6] **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских.., გვ. 97.

ლოეთ კავკასიაში და აქედან ემსახურებოდნენ დავით აღმაშენებელს. საკუთრივ საქართველოში კი იმყოფებოდა მხოლოდ 5000 ყივჩაყი მეომარი – „отборная гвардия царя“.[1] ამ თვალსაზრისის მცდარობაზე მიუთითა ზ. პაპასქირმა.[2]

ამ საკითხებზე მსჯელობისას არ შეიძლება არ გამოვეხმაუროთ ს. ერემიანისა და ქ. ჩხატარაიშვილის მცდელობას, აღარწინის წარწერის ელ-ბეკი გაეიგივებინათ ამირსპასალარ ყუბასართან. თავის დროზე, ამაზე ყურადღება გაამახვილა შ. მესხიამ, რომელმაც, სავსებით სამართლიანად, დაუშვებლად მიიჩნია აღარწინის წარწერაში ყუბასარის მოხსენიება არა საკუთარი სახელით (განსხვავებით წარწერაში მოხსენიებული სხვა მოლვაწეებისა: გიორგი III, სარგის მხარგრძელი, ამირ-ქურდი, ანტონ ჭყონდიდელი), არამედ არარსებული („მომთაბარე ტომის წინამძღოლი“) თანამდებობით.[3] შ. მესხიას თვალსაზრისი განავითარა ზ. პაპასქირმა, რომელმაც ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ყუბასარი უკვე არ ითვლებოდა ყივჩაყად (როგორც ამას ფიქრობდა XIVს. სომეხი ისტორიკოსი სტეფანოს ორბელიანი[4]), არამედ ის იყო „ნაყივჩაყარი“.[5] ზ. პაპასქირის ვარაუდით, ყუბასარის საგვარეულო ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის დროიდან უნდა დაწინაურებულიყო. ის უშვებს იმის შესაძლებლობასაც, რომ ყუბასარი იყო დავით აღმაშენებლის ყივჩაყი მეუღლის – გუარანდუხტ დედოფლის ერთ-ერთი ძმის შთამომავალი.[6]

---

[1] **С. А. Плетнёва.** Половецкая земля.., გვ. 294.

[2] **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских.., გვ. 97.

[3] **შ. მესხია.** ძლევაჲ საკვირველი.., გვ. 42.

[4] **ლ. მელიქსეთ-ბეგი.** სტეფანოს ორბელიანის *„ორბელთა ისტორიის“* ქართული ვერსია. – *საისტორიო მოამბე*, VI. თბ., 1952, გვ. 60-63. ზ. პაპასქირის აზრით, სტეფანოს ორბელიანის მიერ ყუბასარის „ყივჩაყად“ მოხსენიება არ უნდა იყოს შემთხვევითი. ამით სომეხი ისტორიკოსი ცდილობდა თავის წინაპარ ორბელთა დამარცხების ერთ-ერთი მთავარი დამნაშავის – ყუბასარის დამცირებას. იხ.: **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских.., გვ. 98.

[5] **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских.., გვ. 98.

[6] **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских.., გვ. 98.

ასეთია, ძირითადად, ყივჩაყთა საქართველოში გადმოსახლების შესახებ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობის ირგვლივ არსებული კომენტარები. განხილული მასალა სრულიად ნათლად ცხადჰყოფს ამ ცნობის უნიკალურობას თუნდაც იმის გასარკვევად, თუ რა ბედი ეწია რუსების მიერ დევნილ ყივჩაყებს XIIს. 10-იანი წლების მიწურულს. თავის მხრივ, აღსანიშნავია, რომ ძველი რუსული მატიანე გვაწვდის უაღრესად საინტერესო ცნობას ათრაქა შარაღანის ძის შემდგომ ბედ-იღბალზე. ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენებ ვოლინურ მატიანეში ვკითხულობთ:[1]

„По смерти же Володимера,[2] оставшю у Сирчана единому гудцю же Ореви, посла и во Обези, река: Володимир умерл есть, а воротится, брате, поиди в землю свою... И приде (Отрок) во свою землю от него розившюся кончаку".

ე.ი. ვლადიმირ მონომახის გარდაცვალების (1125წ.) შემდეგ ათრაქა შარაღანის ძეს დაუტოვებია საქართველო (Обези) და მიბრუნებულა „მშობლიურ" სტეპში. ქართული წყაროები არ ადასტურებენ ამ ფაქტს, მაგრამ ის გარემოება, რომ დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ ვიდრე XIIს. 70-იან წლებამდე მათ შესახებ არავითარი ინფორმაცია არა გვაქვს, თითქოს რუსული მატიანის ცნობის სანდოობაზე უნდა მეტყველებდეს.

ამასთან დაკავშირებით, უაღრესად საინტერესო მოსაზრება წამოაყენა ჯ. სტეფნაძემ. მან ყურადღება გაამახვილა სომეხი ისტორიკოსის ვარდან არეველცის ცნობაზე 1130 წელს დემეტრე მეფის წინააღმდეგ შეთქმულებაში მისი ძმის მონაწილეობის შესახებ[3] და საკმაოდ დასაშვებად მიიჩნია,

---

[1] *ПСРЛ*, II, столб. 716.

[2] იგულისხმება ვლადიმირ მონომახი – ი.ჯ.

[3] ვარდან არეველცი. მსოფლიო ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნეს *ნ. შოშიაშვილმა* და *ე. კვაჭანტირაძემ*. შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო *ე. კვაჭანტირაძემ*. თბ., 2002, გვ. 142.

რომ მეფის წინააღმდეგ აჯანყებული ძმა უნდა ყოფილიყო ცვატა, დავით აღმაშენებლის ვაჟი მეორე ცოლისგან, ათრაქა შარაღანის ძის შვილიშვილი. მოსალოდნელია, რომ ამ აჯანყებაში ცვატას მხარეს გამოვიდოდნენ ათრაქა შარაღანის ძე და მისი გარემოცვა, რომლებმაც აჯანყების დამარცხების შემდეგ, შესაძლებელია, დატოვეს კიდეც საქართველო და დაბრუნდნენ სტეპებში.[1]

დავით აღმაშენებლის მემატიანის თხზულებაში მოგვეპოვება ცნობები ყივჩაყთა მიერ გაწეულ ღვაწლზე საქართველოს სახელმწიფოს სამხედრო პოტენციალის განმტკიცების საქმეში: *„არა ცუდად დაშურეს; არცა ცუდი იქმნა გამოყვანა მათი, არამედ მათითა ჴელითა მოსრნა სრულიად სპარსეთისა ძალნი, და დასცა* (დავით აღმაშენებელმა – **ი.ჯ.**) *შიში და ზარი ყოველთა მეფეთა ქუეყანისათა, და მათითა თანადგომითა ქმნა საქმენი დაურწმუნებელნი, ვითარცა ითქუას წალმართ“*.[2]

მართლაც, როგორც სავსებით სამართლიანად არის შენიშნული ისტორიოგრაფიაში,[3] ყივჩაყთა გადმოსახლება უდავოდ გამართლებული ნაბიჯი იყო. მათ ნამდვილად შეიტანეს მნიშვნელოვანი წვლილი დავით აღმაშენებლის მიერ მოპოვებულ დიდ სამხედრო წარმატებებში, თუმცა არც ამ როლის გადაჭარბებული შეფასებაა გამართლებული.[4] როგორც ირკვევა, გადამწყვეტ ბრძოლებში დავით აღმაშენებელი მაინც უფრთხოდა ყივჩაყების სრულად ჩართვას სამხედრო მოქმედებებში. ამის დადასტურებაა თუნდაც დიდგორის ძლევამოსილი ომი, რომელშიც უაღრესად კრიტიკულ სიტუაციაში საქარ-

---

[1] **ჯ.** სტეფნაძე. საქართველოს პოლიტიკური.., გვ. 128.

[2] *ქართლის ცხოვრება*.., ტ. I, გვ. 336.

[3] **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 200, 215-216; **რ. მეტრეველი.** დავით IV.., გვ. 181; **მ. ლორთქიფანიძე.** საქართველო XIს. ბოლოსა და XIIს. პირველ მეოთხედში. დავით IV აღმაშენებელი. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. III. თბ., 1979, გვ. 227-228; **З. В. Папаскири.** У истоков.., გვ. 98.

[4] ამგვარი გადაჭარბებული შეფასება აქვს ს. ერემიანს (იხ.: **С. Т. Еремян.** Юрий Боголюбский.., გვ. 391).

თელოს მეფემ 40000 ყივჩაყიდან მხოლოდ 15 ათასის გამოყვანა ჩათვალა მიზანშეწონილად. თუმცა ცნობილია, რომ საქართველოს მეფე ცალკეულ სამხედრო ოპერაციებს მხოლოდ ყივჩაყთა მონაწილეობითაც აწყობდა. კერძოდ, ბარდავში ლაშქრობის აღწერისას დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი საგანგებოდ მიუთითებს, თუ როგორ „გაცურდა" მეფე *„მტკუარსა... ყივჩაყთა დაუზრავსა მას წყალსა, მოსრნა თურქნი და არბია ბარდავი"*.[1]

და მაინც, ყივჩაყები ბოლომდე სანდონი არ ყოფილან. *„რაოდენგზის ყივჩაყთა თუსთა განიზრახებს ღალატი, და განაჩინებს კაცნი მხნენი, რომელნიმე ჴრმლითა, რომელნიმე შუბით, სხუანი ისრითა; და ესე არა ერთ და ორ, გინა სამ, არამედ მრავალგზის"*, – წერს დავით აღმაშენებლის მემატიანე.[2] ყივჩაყთა მოღალატურ ქმედებებზე საინტერესო ცნობა შემოგვინახა არაბმა ავტორმა იბნ ალ-ასირმა. 1123 წელს საქართველოს ყმადნაფიც ქვეყანაში – შარვანში შეიჭრა სელჩუკთა სულთანი მაჰმუდ ბ. მუჰამედი, „შეიპყრა შარვანშა, აიღო შამახია" და დავით აღმაშენებელი ქედმაღლურად ბრძოლაში გამოიწვია.

საქართველოს მეფემ *„მსწრაფლ ჰმა უყო ყოველთა სპათა მისთა, და ბრძანებასავე მისსა თანა მოვიდეს წინაშე მისსა ყოველნი სამეფოსა მისისანი. და წარემართა სულტანსა ზედა, და ყივჩაყნი ოდენ ალთუალულ იყვნენ მაშინ, და იყო შემბმელი კაცი ორმოცდაათი ათასი"*.[3] საქართველოს მეფის ეს აქცია[4] ამ ეტაპზე ძლევამოსილად არ დასრულდა

---

[1] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. I, ტ. I, გვ. 340.
[2] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. I, ტ. I, გვ. 362.
[3] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. I, ტ. I, გვ. 343.
[4] დავით აღმაშენებლის ამ კამპანიის შესახებ დაწვრილებით იხ.: **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 205-206; **ნ. ასათიანი.** საქართველო-შარვანის პოლიტიკური ურთიერთობა.., გვ. 32-39; **ჯ. სტეფნაძე.** საქართველოს პოლიტიკური.., გვ. 83-84; **პ. თოფურია.** აღმოსავლეთ ამიერკავკასიის.., გვ. 210, 220; **მ. ლორთქიფანიძე.** საქართველო XIს. ბოლოსა.., გვ. 241-244.

მხოლოდ იმის გამო, რომ „დიდ შიშში“ მყოფ მაჰმადიანთა ლაშქარს, იბნ ალ-ასირის თქმით, „ღმერთმა განსაკუთრებული სიხარული მოუვლინა: მან ქართველთა და ყივჩაყთა შორის უთანხმოება და უსიამოვნება ჩამოაგდო, და სწორედ იმ ღამეს ერთი-ერთმანეთს დაერივნენ და იქითგან ვითარცა ოტებულნი აიყარნენ“.[1]

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებიდან ყივჩაყებთან დაკავშირებით კიდევ ორი ცნობაა საყურადღებო. ერთ ცნობაში ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ ეძიებდა სელჩუკთა სულტანი დავით მეფესთან *„მშუიდობასა სიყუარულსა და ყივჩაყთაგან არა რჩევასა“*.[2] ე. ი., როგორც ჩანს, მეზობელი მხარეების დალაშქვრისას განსაკუთრებული სისასტიკით ყივჩაყები გამოირჩეოდნენ. ეტყობა, მათი პარპაშის ალაგმვას სთხოვდნენ საქართველოს მეფეს. ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო საინტერესოა მემატიანის მეორე ცნობა, რომლიდანაც ირკვევა, რომ არც დავით მეფეს მოსწონდა ყივჩაყთა თავაშვებულობა, მაგრამ მათ დაშოშმინებას წყალობის გაცემით ცდილობდა: *„ვინ აღრიცხუნეს ტყუენი, რომელნი მან განათავისუფლნა და რომელნი უკუმოიჴსნა თუსთა ყივჩაყთაგან ფასითა“*.[3]

და ბოლოს, არ შეიძლება არ მოვუბრუნდეთ კიდევ ერთ ფრაგმენტს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებიდან, რომელშიც მოხსენიებულია ყივჩაყები. ესაა ჩვენ მიერ უკვე ზემოთ მოყვანილი ცნობა დავით აღმაშენებლის წარმატებული კამპანიის შესახებ დარუბანდის ემირის წინააღმდეგ, რომლის დროსაც *„მოსწყჳდნეს ქურდნი ლეკნი და ყივჩაყნი დარუბანდელისანი“*.[4] აქ უაღრესად საყურადღებოა გამოთქმა „ყივჩაყნი დარუბანდელისანი“. ეტყობა, სულაც არაა შემთხვე-

---

[1] იხ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. II.., გვ. 205. იბნ ალ-ასირის ცნობა იხ. აგრეთვე: *Материалы по истории Азербайджана.* Тарих ал-Камил Ибн ал-Асира, Баку, 1940, გვ. 124-125.

[2] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. I, გვ. 346, ხაზგასმა ჩვენია – ი.ჯ.

[3] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. I, გვ. 354.

[4] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. I, გვ. 344, ხაზგასმა ჩვენია – ი.ჯ.

ვითი, რომ ქართველი მემატიანე, როდესაც საუბრობს დავით მეფის მიერ გადმოსახლებულ ყივჩაყებზე, ზოგჯერ ხმარობს გამოთქმას „ყივჩაყთა თჳსთა“. ეს იმას ნიშნავს, რომ დავითის ისტორიკოსმა კარგად იცის, რომ საქართველოს მეფის სამსახურში მყოფი ყივჩაყების გარდა არიან სხვა ყივჩაყებიც.

და ბოლოს, საქართველო-ყივჩაყებისა და საერთოდ საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობების ხასიათის გარკვევისათვის ფრიად მნიშვნელოვანია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის კიდევ ერთი ცნობა: *„ჩრდილოსა* (დავით აღმაშენებლის – ი.ჯ.) *შეკრებულ იყვნეს ერნი, ტომნი და ენანი, მეფენი და ჴელმწიფენი, ოვსეთისა და ყივჩაყეთისანი, სომხეთისა და ფრანგეთისანი, შარვანისა და სპარსეთისანი“*.[1] ცხადია, რომ ამ შემთხვევაში მემატიანის მიერ ჩამოთვლილი „ჴელმწიფენი“, მათ შორის ყივჩაყთა, საქართველოს მეფის ყმადნაფიცები არიან.

ამით ვასრულებთ ყივჩაყთა შესახებ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაში არსებულ მასალაზე მსჯელობას. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ძნელია გადაჭარბებით შეაფასო ამ ცნობების წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა, როგორც საკუთრივ ყივჩაყი ტომების ისტორიისათვის, ისე მათი საქართველოსთან ურთიერთობების გაანალიზებისას.

[1] *ქართლის ცხოვრება*.., ტ. I, გვ. 360, ხაზგასმა ჩვენია – ი.ჯ.

III თავი. ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანისა და თამარის ისტორიკოსების ცნობები ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებსა და საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობებზე

§1. ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის მასალები

დავით აღმაშენებლის ზეობის შემდგომი პერიოდი *„ქართლის ცხოვრებაში“*, როგორც ცნობილია, ასახულია 3 სხვადასხვა მატიანეში. ესენია: ე.წ. ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის თხზულება და თამარ მეფისადმი მიძღვნილი ორი მატიანე – *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“* და *„ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“*.

ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის თხზულება, როგორც ცნობილია, ივ. ჯავახიშვილის მიერ 1913 წელს მიკვლეული *„ქართლის ცხოვრების“* ე.წ. „ანასეულ“ ნუსხაში მოგვეპოვება. მასში გადმოცემულია დემეტრე I-ის, გიორგი III-ის, თამარისა და ლაშა-გიორგის მეფობის მოკლე აღწერილობა. ივ. ჯავახიშვილის აზრით, მატიანე დაწერილი უნდა იყოს რუსუდანის გამეფების პირველ წელს, ანუ სადღაც 1222-1223 წლებში,[1] თუმცა არსებობს ამ თხზულების შექმნის სხვა დათარიღებები.[2]

---

[1] ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო.., გვ. 244.

[2] *ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი.* ცდა ტექსტის აღდგენისა, *კ. კეკელიძის* რედაქციითა და გამოკვლევით. თბ., 1941, გვ. 21; ს. კაკაბაძე. რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი. თბ., 1966, გვ. 113. განსხვავებული თვალსაზრისი წარმოადგინა ნ. შოშიაშვილმა. მისი აზრით, ე.წ. ლაშა-გიორგის დროინდელი მატიანე წარმოადგენს სხვადასხვა ისტორიული თხზულებიდან ამონაკრებს, რომელსაც მოკლე ქრონიკის სახე მიეცა XVIს. იწურულსა და XVIIს. დამდეგს (იხ.: **ნ. შოშიაშვილი.** „ანასეული ქართლის ცხოვრების“ პირის გადაწერის თარიღი, გვ. 45-55). ეს მოსაზრება არ გაიზიარა ილ. ანთელავამ, რომელმაც, სათანადო არგუმენტების მოშველიებით, ჩვენი აზრით, საესებით დამაჯერე-

ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის თხზულებაში გვხვდება სულ ორი ცნობა ჩრდილოეთის ხალხებზე და მათთან საქართველოს ურთიერთობაზე. პირველ ცნობაში აღნიშნულია, რომ გიორგი III-ს *„აფხაზეთი, სუანეთი და ყოველი სამოქალაქო აქუნდა დაწყნარებით. და ოვსთა და ყივჩაყთა რაოდენი ათასი კაცი უბრძანის, მოვიდიან“*.[1] ე. ი. გიორგი III-ის მმართველობის პერიოდში საქართველოს სამეფო კარი აქტიურად თანამშრომლობდა ოვსებთან და ყივჩაყებთან. ამასთან, საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაში, იგულისხმებიან არა საქართველოში მყოფი ყივჩაყები, არამედან გარედან მოსულნი.

ისტორიოგრაფიაში დიდი ხანია დადგენილია, რომ XIIს. II ნახევრიდან ყივჩაყებმა მყარად მოიკიდეს ფეხი ჩრდილოეთ კავკასიაში და იქ საკმაოდ ძლიერი გაერთიანება შექმნეს, რომლის ცენტრად მოხსენიებულია ქ. სევინჯი. მკვლევართა მიერ ეს ქალაქი ჩრდილოეთ კავკასიის ცნობილი მდინარის — სუნჯას მიდამოებშია ნავარაუდევი,[2] თუმცა არსებობს სხვა მოსაზრებაც. მაგალითად, რუსი მეცნიერი ტ. მინაევა არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობასაც, რომ ქ. სევინჯი-სუნჯა, იმ შემთხვევაში, თუ მას ჩავთვლით მთლიანად ყივჩაყთა „სახელმწიფოს“ დედაქალაქად, ყოფილიყო ცენტრალურ რუსეთში, თანამედროვე კურსკის ოლქში, სადაც ასევეა მდინარე სუნჟა — პსლას მარჯვენა შენაკადი.[3]

ბლად დაასაბუთა, რომ ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის თხზულება ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი ნაწილი შეიქმნა თამარის სიცოცხლეში, ხოლო მეორე — XIII ს-ის 30-იან წლებში (იხ.: **ილ. ანთელავა.** ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის თხზულების დათარიღებისათვის. — წგნ.: *ილ. ანთელავა.* საქართველოს საისტორიო-წყაროთმცოდნეობითი ძიებანი. თბ., 2002, გვ. 261-265).

[1] **ლაშა-გიორგის დროინდელი მატიანე.** — *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით *ს. ყაუხჩიშვილის* მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 367.

[2] **З. В. Анчабадзе.** Кипчаки Северного Кавказа.., გვ. 125; **К. Ш. Шаниязов.** К этнической истории узбекского народа.., გვ. 58.

[3] **Т. М. Минаева.** К вопросу о половцах на Ставрополье .., გვ. 189-190.

ჩრდილოეთ კავკასიაში ყივჩაყებს ძირითადად ეკავათ იმ-იერკავკასიის სტეპების აღმოსავლეთი ნაწილი,[1] „между Кубанью и Манычем, прорезанных реками Кумой, Калаусом, Большим и Малым Егорлыком".[2] ეს ტერიტორია იყო უშუალო გაგრძელება დონისპირა, დონეცისპირა და დნეპრისპირა სტეპებისა.[3] ყივჩაყთა განსახლების სამხრეთ ზღვრად მიჩნეულია ხაზი სტაროჟევაია-ზელენჩუკი-ყუბანი-პიატიგორსკი-ყალმუხეთის სტეპი.[4]

ამრიგად, გიორგი III-ის ბრძანებით საქართველოს სამსახურში მოსული ყივჩაყები სწორედ ჩრდილოეთ კავკასიაში არსებულ ყივჩაყურ გაერთიანებას ეკუთვნოდნენ. ამასთან, აშკარაა, რომ ყივჩაყთა ეს გაერთიანება საქართველოს სახელმწიფოს გავლენის ქვეშ იყო მოქცეული. იგივე ყივჩაყები და ოვსები არიან მოხსენიებულნი ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის თხზულების სხვა ფრაგმენტში. კერძოდ, თამარ მეფის მიერ გატარებული ღონისძიებების შეფასებისას მემატიანე აღნიშნავს: „მპარავი, ავის-მოქმედი, აღარ იყო. თუ ნაპარევი ვინმე პოვის, კარსა ზედა მიიღის და დროშათა ქუეშე დადვის. **ოვსმან, მთიულმან, და ყივჩაყმან, და სუანმან ვერ იკადრიან პარვა**".[5] ეს ცნობა მოწმობს, რომ საქართველოში მთის მოსახლეობა XII საუკუნეშიც კი მთლად კანონმორჩილი არ ყოფილა.

---

[1] **А. П. Новосельцев.** К истории аланских городов. – *Материалы по археологии и древней истории Северной Осетии*, т. II. Орджоникидзе, 1969, გვ. 135.

[2] **Т. М. Минаева.** К вопросу.., გვ. 189.

[3] **Т. М. Минаева.** К вопросу.., გვ. 190.

[4] **Т. М. Минаева.** К вопросу.., გვ. 190.

[5] *ქართლის ცხოვრება*.., ტ. I, გვ. 369.

§2. *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“* ცნობები ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებისა და საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობების შესახებ

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ სახელით ცნობილი თხზულება სრული სახით შესულია *„ქართლის ცხოვრების“* მარიამისეულ, მაჩაბლისეულ და მცხეთურ ნუსხებში.[1] მატიანის დასათაურება, რომელიც ეკუთვნის ივ. ჯავახიშვილს,[2] ეფუძნება მატიანის შესავალს, სადაც აღნიშნულია: *„რომელმან წყლისა მოაბადნი რიტორთა მძლე-ჰყვენ ყოველთა, ენაუტყუ მეტყუელ-ჰყავ ანგელოზთა მთავრისა მიერ, აწცა განმარტე ენა ბრგუნილი ისტორიათა და აზმათა მეტყუელებასა შინა შარავანდედთასა!“*.[3]

ამ თხზულების ავტორის ვინაობა დღემდე დაუდგენელია. პირველი მეცნიერი, ვინც გამოთქვა მოსაზრება ამასთან დაკავშირებით, იყო თ. ჟორდანია, რომელიც თვლიდა, რომ თამარ მეფის ეს *„ისტორია“* „ჯვარი მტვირთველის ჭყონდიდლის ანტონ გლონისთავის ძის მიერ“ იყო დაწერილი.[4]

ს. კაკაბაძე *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“* თხზულებას ორ სხვადასხვა დროს დაწერილ ნაწარმოებად მიიჩნევდა. მისი აზრით, პირველი ნაწილის ავტორი მანდატურთუხუცესი ჭიაბერი უნდა ყოფილიყო, ხოლო მეორე ნაწილი უნდა ეკუთვნოდეს სასულიერო პირს (ვარძიის მონას-

---

[1] რ. კიკნაძე. ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. თბ., 1975, გვ. 27.

[2] ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო.., გვ. 221.

[3] *ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი.* – *ქართლის ცხოვრება.* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით *ს. ყაუხჩიშვილის* მიერ, ტ. II. თბ., 1959, გვ. 1; *ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი.* – *ქართლის ცხოვრება.* მთ. რედაქტორი *როინ მეტრეველი.* თბ., 2008, გვ. 377, ხაზგასმა ჩვენია – ო.ჯ.

[4] *ქრონიკები* და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი *თ. ჟორდანიას* მიერ, წ. I. ტფ., 1892, გვ. L.

ტრის ერთ-ერთ ძმათაგანს), რომელიც „ცხოვრობდა თამარის ეპოქაზე საკმაოდ დაშორებულად".[1]

ორ ნაწილად ყოფდა *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის"* ტექსტს პ. ინგოროყვაც, ოღონდ პირველი ნაწილის (შამქორის ომის ჩათვლით) ავტორად მას სარგის თმოგველი – *„დილარგეთიანის"* ავტორი მიაჩნდა. ხოლო მეორე ნაწილის ავტორად ისიც რომელიღაც უცნობ სასულიერო პირს მოიაზრებდა.[2] კ. კეკელიძემ უარყო როგორც ანტონ გლონისთავის ძის, ისე მანდატურთუხუცეს ჭიაბერის ავტორობა.[3] მაგრამ ავტორის ვინაობის დაზუსტებისაგან თავი შეიკავა. მოგვიანებით კ. კეკელიძე კვლავ შეეხო *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის"* ავტორის ვინაობის საკითხს და ამჯერად თხზულების ავტორად „ვიღაც არსენ იშხნელი" დაასახელა.[4] ეს მოსაზრება უარყვეს ივ. ლოლაშვილმა[5] და ს. ყაუხჩიშვილმა.[6] ივ. ლოლაშვილმა საერთოდ სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა თამარის ისტორიკოსთა ვინაობის საკითხს და *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის"* ავტორად თვით შოთა რუსთაველი მიიჩნია.[7]

როგორც ვხედავთ, *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის"* სახელით ცნობილი მატიანის ავტორის ვინაობა ჯერ-

---

[1] ს. კაკაბაძე. ძველი ქართული მატიანეები. – *საისტორიო მოამბე*, I. ტფ., 1924, გვ. 287-290.

[2] პ. ინგოროყვა. ჩახრუხაისძე. – *კავკასიონი*, №1-2, თბ., 1924, გვ. 277.

[3] კ. კეკელიძე. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" როგორც ლიტერატურული წყარო. – *რუსთაველის კრებული*. თბ., 1938, გვ. 121-158.

[4] *ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი*. ცდა ტექსტის აღდგენისა, *კ. კეკელიძის* რედაქციითა და გამოკვლევით. თბ., 1941, გვ. 164.

[5] ივ. ლოლაშვილი. არსენ იყალთოელისა და იოვანე ჭიმჭიმელის იამბიკოები, – *ლიტერატურა და ხელოვნება*. თბ., 1950, გვ. 78.

[6] ს. ყაუხჩიშვილი. „ქართლის ცხოვრებაში" შემავალი თხზულებები, – *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით *ს. ყაუხჩიშვილის* მიერ, ტ. II. თბ., 1959, გვ. 011-013.

[7] ივ. ლოლაშვილი. რუსთაველი და თამარის ისტორიკოსთა ვინაობის პრობლემა. თბ., 1961, გვ. 54-59.

ჯერობით საბოლოოდ გარკვეული არაა და, ამდენად, უპრიანია, რომ აღნიშნული თხზულების ავტორს პირობითად თამარ მეფის „პირველ ისტორიკოსად“ მოიხსენიებენ. ეჭვს არ იწვევს, რომ *„ისტორიანი და აზმანის“* ავტორი თამარის თანამედროვე და, გარკვეულწილად, ქვეყნის პოლიტიკური ელიტის წარმომადგენელია.[1]

თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულების ტექსტმა ჩვენამდე მეტად შეყვნილი სახით მოაღწია. მატიანის აღდგენასა და ტექსტოლოგიურ გამართვაში სრულიად განსაკუთრებულია აკად. კ. კეკელიძის წვლილი, რომელსაც ეკუთვნის *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“* პირველი კრიტიკული გამოცემა.[2]

თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის თხზულებას ორ ნაწილად ყოფენ, რომელთაგან პირველი ნაწილი (ივ. ჯავახიშვილის აზრით, მატიანის 2/3) 1195-1196 წლებში დაწერილად მიაჩნიათ,[3] მეორე ნაწილი კი იწერებოდა „ჟამითი ჟამად“.[4] საყოველთაოდ აღიარებულია, რომ *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“* მეტად სანდო წყაროა და რომ „რიტორობისა და შემასხმელობისადმი სიყვარულისდა მიუხედავად თამარ მეფის ისტორიკოსი მართალის მთქმელი და პირუთვნელი მემატიანეა“.[5]

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ პირველი ცნობა, რომელშიც გარკვეულწილად ასახულია საქართველოს ურთიერთობები ჩრდილოეთის ქვეყნებთან და, ამდენად, იწვევს ჩვენს ინტერესს, არის მატიანისეული შეფასება დემეტრე I-ის მოღვაწეობისა. მოგვყავს შესაბამისი ფრაგმენტი თა-

---

[1] იხ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო.., გვ. 226.

[2] *ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი.* ცდა ტექსტის... კ. კეკელიძესვე ეკუთვნის ამ თხზულების რუსული თარგმანი. იხ.: *История и восхваление венценосцев.* Грузинский текст перевёл, предисловием и примечанием снабдил ***К. С. Кекелидзе.*** Тб., 1954.

[3] იხ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო.., გვ. 223.

[4] იხ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო.., გვ. 225.

[5] იხ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო.., გვ. 241.

მარის პირველი ისტორიკოსის თხზულებიდან: *„მამა იქმნა გიორგი, მეფე-მეფეთა, ძე დიმიტრი მეფისა, რომელსა დავითცა ესუა ძედ, ძესა დავითიანისასა, და აღმოსავლეთისა და კერძო-ჩრდილოეთისა მეციხოვნისა და ზღვართა დამდებლისა და ზღუათა ზღუამდინ მპყრობელისა, რომლისა დიდებითა, სიმჴნითა და გუარითა ცხოვრებასა აღმოაჩენს იოვანე ფილოსოფოსისა ჭიმჭიმელისა შესხმა-მოთხრობა“*.[1]

როგორც ვხედავთ, ამ ცნობაში სრულიად გარკვევით არის ნაჩვენები დემეტრე I-ის, როგორც *„ჩრდილოეთის მეციხოვნის“* ფუნქცია და პირდაპირაა მითითებული, რომ ის იყო *„ზღუათა ზღუამდინ მპყრობელი“*. აქვე გვინდა საგანგებოდ აღვნიშნოთ, რომ ეს ცნობა ამ კუთხით დღემდე არ მოქცეულა მკვლევართა ყურადღების არეალში. ერთი შეხედვით, თითქოს აქ უნდა იგულისხმებოდეს ქართლის მეფეთა ტრადიციული ფუნქცია – კავკასიონის გადასასვლელების („კარების“) სადარაჯოზე დგომა. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ განმარტებას *„ზღუათა ზღუამდინ მპყრობელი“*, აქ საუბარი უნდა იყოს ზოგადად ჩრდილოეთ კავკასიაზე რაღაც „ზღვრის დადებაზე“ და მთლიანად ამ რეგიონის *(„ზღვიდან ზღუამდინ“)* საქართველოს მეფის გავლენის ქვეშ მოქცევაზე. ყოველი შემთხვევისათვის, ეს რამდენადმე ეხმიანება XIIს. არაბი ავტორის ალ-ფარიკის თითქმის დოკუმენტურ ცნობას, დემეტრე I-ის მეფობის ჟამს, დარუბანდის საამიროზე (რომელიც, როგორც ცნობილია, უშუალოდ კასპიის ზღვის სანაპიროზე იყო) საქართველოს სახელმწიფოს გავლენის დამყარების შესახებ.[2]

ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო მრავლისმეტყველია *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“* ცნობა, რომელიც ეხება უკვე თამარ მეფის მოღვაწეობას ამ მიმართულებით: *„იპყრნა* (თამარმა – ი.ჯ.) ***ზღუთ პონტოსით ზღუამდე გურ-***

---

[1] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. II, გვ. 3, ხაზგასმა ჩვენია – ი.ჯ.

[2] ამის შესახებ იხ.: **В. Ф. Минорский.** История Ширвана и Дербенда, გვ. 222-223; **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских, გვ. 74.

განისად და სპერითვან დარუბანდამდის ყოველი კავკასითსა იმერელნი და ამერელნი ხაზარეთამდის და სკუთამდის".[1] ამ შემთხვევაში ხაზარეთისა და „სკვითეთის" მოხსენიებამ არ უნდა დაგვაბნიოს. მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ პერიოდში ხაზართა სახელმწიფო არ არსებობდა, გეოგრაფიული ცნება „ხაზარეთი" ქართველ მემატიანეთა ცნობიერებაში ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო. უფრო მეტიც, მას არაერთხელ ვხვდებით XIV ს. ჟამთააღმწერლის ქრონიკაშიც.[2] რაც შეეხება „სკვითეთს" („სკვითებს"), აქ უფრო დიდ ანაქრონიზმთან გვაქვს საქმე, თუმცა ტერმინი „სკვითი" „რუსის" სინონიმადაც მოჩანს.[3]

ხაზართა და სკვითთა მოხსენიებას სრულიად გარკვეული პოლიტიკური დატვირთვა აქვს თამარის პირველი ისტორიკოსის კიდევ ერთ ცნობაში. იქ, სადაც მემატიანე მოგვითხრობს გიორგი III-ის მიღწევებზე, აღნიშნავს, რომ ის იყო *„ბრძანებითა მპყრობელი აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, ჩრდილოსა და სამჴრისა"* და რომ *„ძლუნობდეს და სძმობდეს მას მეფენი ბერძენთანი, იერუსალიმს ალამანთანი, და ჰრომთანი, და ჰინდოთანი, და ხონელნი; და ეგრეთვე სულტანნი ხორასნისა, ბაბილოვნისა, შამისა, ეგუპტისა და იკონიისანი ჰმონებდეს, და შემდგომნი ამათნი სკუთნი, ხაზარნი, ალანნი, ხუარასანი და ხუარაზმშა და ბერეთელნი, აბაშნი, არაბნი, მიდნი, ელამიტელნი და შუამდინარელნი, და ყოველ-*

---

[1] *ქართლის ცხოვრება*.., ტ. II, გვ. 34, ხაზგასმა ჩვენია – **ი.ჯ.**

[2] **ჟამთააღმწერელი.** – *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ, ტ. II. თბ., 1959, გვ. 163, 181, 196, 229, 234.

[3] *ქართლის ცხოვრება*.., ტ. II, გვ. 40. ამის შესახებ იხ.: **ი. ციცა-ძე.** ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ისტორიიდან, X-XVI საუკუნეები. თბ., 1956, გვ. 54-55; **რ. მეტრეველი.** „და მოვიდეს ვარანგნი", ისტორიულ-ფილოლოგიური ნარკვევები, თბ., 1988, გვ. 73-77; **რ. მეტრეველი, ზ. პაპასქირი.** საქართველო და ძველი რუსეთი. *IX-XI ს. I მესამედი.* – *ქართული დიპლომატია*, წელიწდეული, ტ. 14. თბ., 2011, გვ. 57-59.

ნი ენანი და ნათესავნი მაშრიყით მალრიბამდე“.[1]

აქ ჩამოთვლილი ხალხებისა და ქვეყნების ერთი ნაწილი („მიდნი, ელამიტელნი, შუამდინარელნი“ და ა.შ.), როგორც ცნობილია, ისტორიის არენიდან დიდი ხნის გამქრალნი იყვნენ, მათ შორის, ბუნებრივია, „სკვითნიც“ და „ხაზარნიც“. სრულიად აშკარაა, რომ მემატიანეს მათი დასახელება დასჭირდა მხოლოდ გიორგი III-ის სიდიადისა და საერთაშორისო ავტორიტეტის საჩვენებლად.

და მაინც, ამ ცნობას აქვს გარკვეული მნიშვნელობა იმ გაგებით, რომ შუა საუკუნეების ქართველ მემატიანეთა ისტორიული ცნობიერება ე.წ. „ძლიერთა ამა ქვეყნისათას“ შორის მოიაზრებდა ალან-ოვსებსაც. ამ შემთხვევაში აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მოცემულ ჩამონათვალში ოვსები რატომღაც ფიგურირებენ „ალანთა“ სახელით. ეს უნდა მიგვანიშნებდეს იმაზე, რომ ქართველი მემატიანე საკმაოდ კარგად იყო გათვითცნობიერებული ალან-ოვსთა ისტორიულ წარსულში და მან კარგად იცოდა ალანთა გაერთიანების ოდინდელი „ძლევამოსილების“ შესახებ.

საქართველო-ოვსეთის ურთიერთობის კონკრეტული ფაქტის ამსახველია *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“* ცნობა გიორგი III-ის ოვსთა მეფის ასულზე დაქორწინების შესახებ: *„ამას თჳსსა მეფობასა შინა მოგუარა ცოლი მამამან, ასული მეფისა ხუდდანისი, სახელით ბურდუხან“.*[2] მართალია, მემატიანე ხაზს უსვამს დედოფალ ბურდუხანის გარეგნულ სიმშვენიერეს, მაგრამ ეჭვს არ იწვევს ამ დინასტიური ქორწინების პოლიტიკური მოტივაცია.[3]

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანმა“ შემოგვინახა ცნობა საქართველოს სამეფო სახლსა და ოვსეთის მეფეთა შორის კიდევ ერთი დინასტიური ქორწინების შესახებ. ამ ცნობის თანახმად, რუსუდან დედოფლის მამის (დემეტრე I –

---

[1] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. II, გვ. 22-23, ხაზგასმა ჩვენია – ი.ჯ.

[2] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. II, გვ. 4.

[3] გ. თოგოშვილი. საქართველო-ოსეთის ურთიერთობის.., გვ. 144.

ი.ჯ.) და, „დავითის ასული“ ოვსეთს ყოფილა გათხოვილი. ყვება რა ოვსი უფლისწულის, თამარ მეფის მომავალი ქმრის დავით-სოსლანის ამბავს, მემატიანე განმარტავს, რომ *„ესე დედოფალსა რუსუდანს, ვინათგან თჳს ეყვოდა მამის დისა მისისა დავითის ასულისა ოვსეთს გათხოვილობისა მიზეზითა, მოეყვანა* (დავითი – ი.ჯ.) *საზრდელად სახლსა შინა მისსა“*.[1]

მკვლევრებს უჭირთ ამ ფაქტის დაკონკრეტება, კერძოდ ის, თუ როდის მოხდა ეს ქორწინება და ვინ იყო დავითის ასული. თავის დროზე, კ. კეკელიძე თვლიდა, რომ ოვსეთს გათხოვილ საქართველოს მეფის ასულს რუსუდანი უნდა რქმეოდა.[2] გ. თოგოშვილი უშვებს, რომ ეს ქორწინება შედგა 1118 წელს დავით აღმაშენებლის ოვსეთს ყოფნის ჟამს, თუმცა არც იმას გამორიცხავს, რომ ეს შეიძლება მომხდარიყო დემეტრე I-ის მეფობის პერიოდში.[3]

ჩვენ ეს მოსაზრება უფრო მართებულად მიგვაჩნია. ამ დინასტიური ქორწინების შედეგად, სავარაუდოა, რომ ოვსეთი კიდევ უფრო ინტეგრირებული აღმოჩნდა საქართველოსთან.

ამ თვალსაზრისით უაღრესად საყურადღებოდ მიგვაჩნია *„ისტორია და აზმანის“* ცნობა გიორგი III-ის „ალანთა ქვეყანაში“ ნადირობის შესახებ. მემატიანე მოგვითხრობს: *„ოდესმე ჟამსა ზამთრისასა, გარდავიდის ლიხთიმერითს და მიუწიის ზღუად პონტოსა, მოიწიის და მოინადირის ალანთა ქუეყანა, რომელ არს აფხაზეთი, ოდესმე გურგანის ზღუამდე“*.[4] ამ ცნობას უკომენტაროდ იმეორებს ვახუშტი ბაგრატიონი, რომელიც ალნიშნავს, რომ *„ამათ შინა მოვლიდა მეფე* (გიორგი III – ი.ჯ.) *აფხაზეთს, ალანთა, გურია-სპერამდე, იმერ-ამერთა, ზემო-ქუემოთა ზღუად პონტო-კასპიამდე და იშუებდა და*

---

[1] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. II, გვ. 46, ხაზგასმა ჩვენია – ი.ჯ.

[2] კ. კეკელიძე. ერთი მომენტი ქართული პოლიტიკური აზროვნებისა კლასიკური ხანის ლიტერატურაში. – *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, I. თბ., 1956, გვ. 313, 318.

[3] გ. თოგოშვილი. საქართველო-ოსეთის ურთიერთობის..., გვ. 142.

[4] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. II, გვ. 15, ხაზგასმა ჩვენია – ი.ჯ.

ნადირობდა და განაგებდა მუნებურთა“.[1]

ვახუშტი ბაგრატიონის თხზულების გეოგრაფიულ ნაწილში მოცემულია ალანის ქვეყნის ლოკალიზაცია. მისი განმარტებით, *„ალანი არს სუანეთის დასავლით და ბედიის ჩრდილოთ. აქუს აღმოსავლით კავკასი და საზღვარი სუანთა; სამჴრით კავკასი ბედია-ოდიშს და ამას შორისი; დასავლით კავკასი, ჩრდილოთცა კავკასი. უდის შუაში სუანეთის მდინარე“.*[2] თხზულების სხვა ადგილას, ეგრის-აფხაზეთ-იმერეთის ქვეყნის აღწერისას, ვახუშტი ამ „ქუეყანის“ „განის“ მოხაზულობას ასე წარმოგვიდგენს: *„ჭოროხის მდინარიდამ ალანის კავკასამდე და, ლიხის მთის კერძოდ, ფერსათის მთის თხემიდან რაჭა-სუანეთის კავკასის მთის თხემამდე“.*[3]

ვახუშტის მიხედვით, ალანის ქვეყანაზე გადის „კაპპეტის მდინარე“: *„ამის ბიჭვინტის დასავლით დის კაპპეტის მდინარე, დიდი და ჩქარად მდინარე. გამოსდის ესე რაჭის მთას, კავკასსა, გამოვლის სუანეთს, ალანსა და მას ქუეითთა ორს კავკას-შორისთა და მოერთვის აქა ჩრდილოდამ ზღუასა“.*[4] „ალანის ქვეყნის“ შესახებ ინფორმაციას ვხვდებით სვანეთის საზღვრების აღწერისას: *„დასავლით სუანეთსა და ოდიშს-შორისი კავკასი და ალანის საზღვარი. სიგრძით არს რაჭის კავკასის თხემიდამ ოდიშის კავკასის თხემამდე და ალანამდე“.*[5]

ამრიგად, ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ალანის ქვეყანა სადღაც სვანეთსა და ამჟამინდელ აფხაზეთის შუა, მთიან ზონაშია (აკად. დ. მუსხელიშვილის მიხედვით, მდ. კო-

---

[1] **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 168, ხაზგასმა ჩვენია – **ი.ჯ.**

[2] **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა.., გვ. 788-789, ხაზგასმა ჩვენია – **ი.ჯ.**

[3] **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა.., გვ. 743, ხაზგასმა ჩვენია – **ი.ჯ.**

[4] **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა.., გვ. 785, ხაზგასმა ჩვენია – **ი.ჯ.**

[5] **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა.., გვ. 787, ხაზგასმა ჩვენია – **ი.ჯ.**

დორის ზემო წელში[1]) და აღმოსავლეთით, დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით კავკასიონის ქედის ტოტებითაა შემოსაზღვრული.

აღსანიშნავია, რომ ვახუშტი ბატონიშვილის თხზულების მიხედვით, ამ „ალანის ქვეყანას“ არაფერი აქვს საერთო ოვსეთთან, რომლის საკმაოდ დაწვრილებით აღწერას ის იძლევა თავისი ნაშრომის სხვა მონაკვეთში.[2] რაც მთავარია, „ალანის ქვეყანას“ ვახუშტი ერთმნიშვნელოვნად მოიაზრებს ეგრის-აფხაზეთ-იმერეთში.

აქედან გამომდინარე, თითქოს ყველა პირობა არსებობს, ვიფიქროთ, რომ თამარის პირველი ისტორიკოსის განმარტება *„ალანთა ქვეყანა, რომელ არს აფხაზეთი“* მართლაც არის არა ოვსეთი ან მისი ნაწილი, არამედ „აფხაზეთის“ (ამ შემთხვევაში დასავლეთ საქართველოს) რომელიღაც შიგნითა მხარე, პროვინციაა.[3]

ეტყობა ამ მოტივით არ გაუკეთა *„ისტორიანი და აზმანის“* ამ ცნობას კომენტარი გ. თოგოშვილმა და აუარა მას გვერდი საქართველო-ოვსეთის ურთიერთობების გაშუქებისას.[4] მისგან განსხვავებით, ალანია-ოვსეთის ისტორიის ცნობილ

---

[1] **დ. მუსხელიშვილი.** საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I. თბ., 1977, გვ. 98.

[2] **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა.., გვ. 632-655.

[3] **ზ. პაპასქირი.** ენათმეცნიერული გამოკვლევა აფხაზეთის ისტორიულ წარსულზე. *რეცენზია თეიმურაზ გვანცელაძის მიერ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომზე „აფხაზეთის ისტორიოგრაფიის ლინგვისტური საფუძვლები“*. სპეციალობა 10.02.09 – *მთის იბერიულ-კავკასიური ენები.* 1997. – წგნ.: **ზ. პაპასქირი.** და აღმოცისკრდა საქართველო – ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. თბ., 2009, გვ. 433-434.

[4] გ. თოგოშვილი ამ თემას გვერდს უვლის როგორც საქართველო-ოსეთის ურთიერთობების ისტორიისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში (გ. **თოგოშვილი.** საქართველო-ოსეთის...), ისე, რაც მთავარია, ოსეთის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონის ცნობების შესახებ გამოცემულ სპეციალურ ნაშრომში (გ. **თოგოშვილი.** ვახუშტი ბაგრატიონი ოსეთისა და ოსების შესახებ. თბ., 1977).

რუს მკვლევარს ვ. კუზნეცოვს, რომელიც ყველანაირად ცდილობს XI-XII საუკუნეების ოვსეთის სამეფო საქართველოს თანატოლ და თანასწორუფლებიან სახელმწიფოდ წარმოაჩინოს, არ ეეჭვება, რომ ქართული მატიანის „ალანთა ქვეყანა" ოვსეთია (ე.ი. ჩრდილოეთ კავკასიაშია) და გიორგი III-ის გადასვლას სანადიროდ იქ განიხილავს, როგორც „дружеские поездки к тестю Худдану".[1]

ჯ. სტეფნაძე ასევე თვლის, რომ ქართველი მემატიანის „ალანთა ქვეყანა" არის ოვსეთი და გიორგი III-ის „ალანის ქვეყანაში" ნადირობის შესახებ *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანიში"* დაფიქსირებული ფაქტი მოჰყავს იმის საბუთად, რომ საქართველოს გავლენა ჩრდილოეთ კავკასიაში ვრცელდებოდა ხაზარეთისა და რუსეთის საზღვრებამდე.[2]

ამავე თვალსაზრისს ავითარებს ზ. პაპასქირი, რომელიც, ამახვილებს რა ყურადღებას თამარის ისტორიკოსის განმარტებაზე „ალანთა ქვეყანა, რომელ არს აფხაზეთი", მიიჩნევს, რომ შესაძლოა საქართველოს პოლიტიკურ წრეებში ალანია-ოვსეთი მართლაც განიხილებოდა, როგორც „საკუთარი ქვეყანა" – აფხაზეთი (ამ შემთხვევაში, სრულიად საქართველო).

ამასთან დაკავშირებით, მკვლევარი საგანგებოდ მიუთითებს იმაზეც, რომ ბიზანტიაში XII საუკუნეში (იოანე ცეცეს ცნობა[3]) ქართველებს, აფხაზებსა და ალანებს ერთ ხალხად მოიაზრებდნენ.[4] ჩვენ ვიზიარებთ ჯ. სტეფნაძისა და ზ.

---

[1] **В. А. Кузнецов.** Алания в X-XIIIвв. Орджоникидзе, 1971, გვ. 33.

[2] ჯ. სტეფნაძე. საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან XII საუკუნეში, გვ. 116-117.

[3] იოანე ცეცე. ხალიადები. – *გეორგიკა.* ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ***ს. ყაუხჩიშვილმა,*** ტ. VII. თბ., 1967, გვ. 23.

[4] **ზ. ბ. Папаскири.** У истоков грузино-русских.., გვ. 60; ზ. პაპასქირი. ენათმეცნიერული გამოკვლევა აფხაზეთის ისტორიულ წარსულზე.., გვ. 433-434. ვახუშტისეულ „ალანთა" ქვეყანას ასევე ჩრდილოეთ კავკასიაში მოიაზრებს თ. მიბჩუანი (იხ. თ. მიბჩუანი. მეგობრობის სათავეებთან. თბ., 1986, გვ. 61).

პაპასქირის თვალსაზრისს და ასევე ვთვლით, რომ *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“* ცნობაში გიორგი III-ის „ალანთა ქვეყანაში“ ნადირობის შესახებ იგულისხმება ალანია-ოვსეთი – ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული გაერთიანება.

ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მემატიანის თხრობის თანმიმდევრობას და გიორგი მეფის „მიმოსვლის“ მარშრუტს. თავდაპირველად ის მოგვითხრობს მეფის ლიხთ-იმერეთს გადასვლაზე პონტოს ზღვამდე – *„გარდავიდის ლიხთ-იმერითს და მიუწიის ზღუად პონტოსა“*, საიდანაც *„მოიწიის და მოინადირის ალანთა ქვეყანა... ოდესმე გურგანის ზღუადმდე“*,[1] ე. ი. სრულიად აშკარაა, რომ აქ ლაპარაკია მეფის ვოიაჟზე ჩრდილოეთ კავკასიაში „ალანთა ქვეყნიდან“ ვიდრე კასპიის ზღვამდე.

რაც შეეხება ვახუშტის გეოგრაფიულ ორიენტირებს, რომელთა მიხედვითაც „ალანის ქვეყანა“ თითქოს კავკასიონის ქედის სამხრეთით მოჩანს, ისინი შეიძლება რამდენადმე სწორიც იყოს, მაგრამ, ამასთან, გარკვეულ კორექტირებას საჭიროებდეს. ასე, მაგალითად, ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ კოდორის ხეობაზე გადიოდა ოვსეთს გადასასვლელი გზა. ამ მარშრუტით – აფშილეთზე გავლით – უნდა გადასულიყო ჩრდილოეთ კავკასიაში ალანებთან VIIIს. დამდეგს ბიზანტიის იმპერატორის ემისარი ლეონ ისავრიელი, რომელმაც, თეოფანე ჟამთააღმწერლის ცნობით,[2] მოისყიდა ალანოვსები და ინსპირირება უყო მათ თავდასხმებს აბაზგებზე.[3]

---

[1] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. II, გვ. 15, ხაზგასმა ჩვენია – **ი.ჯ.**

[2] **თეოფანე ჟამთააღმწერელი.** – ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ***ს. ყაუხჩიშვილმა,*** ტ. IV, ნაკვ. I. თბ., 1941, გვ. 106-109.

[3] ამის შესახებ იხ. აგრეთვე: **ზ. პაპასქირი.** ბიზანტიის დიპლომატია და პოლიტიკური ცელილებები დასაელეთ საქართველოში VIIIს. I ნახევარში, – *ქართული დიპლომატია*, 4. თბ., 1997, გვ. 293-294; **ზ. პაპასქირი.** დასაელეთ საქართველო-აფხაზეთის პოლიტიკური ისტორიიდან. VIII საუკუნის I ნახევარი, – წგნ.: **ზ. *პაპასქირი.*** აფხაზეთი საქართველოა. თბ., 1998, გვ. 104-105.

ცნობილია, აგრეთვე, რომ VIIIს. 30-იან წლებში „აფხაზეთის საერისთავოს“, რომლის ტერიტორია სამხრეთით მხოლოდ მდ. კელასურამდე აღწევდა, უშუალო საზღვარი ჰქონდა ოვსეთთან. ქართველი მემატიანის ცნობით, *„ერისთავი კისრისა ლეონ შესრულ იყო ციხესა შინა სობღისასა, რომელ არს გარდასავალსა ოვსეთისასა“*.[1] ე. ი. ამ მასალებიდან ერთმნიშვნელოვნად ირკვევა, რომ VIII საუკუნეში ალანია-ოვსეთი ნამდვილად აბაზგია-აფშილეთის მოსაზღვრე ქვეყანაა, მაგრამ არსაიდან ჩანს, რომ ეს ქვეყანა მაინცდამაინც კავკასიონის ქედის სამხრეთითაა. პირიქით, ყოველგვარი დაეჭვების გარეშე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ეს ქვეყანა მართლაც მდებარეობს და *„სვანების დასავლით და ბედიის ჩრდილოთ“*, როგორც ამას ვახუშტი ბატონიშვილი მიუთითებს, ოღონდ კავკასიონის ქედს გადაღმა და არა გადმოღმა.

XIIს. II ნახევარში ქართულ-ოსური ურთიერთობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“* ცნობა ოვსთა მონაწილეობის შესახებ გიორგი III-ის სამხედრო აქციებში. კერძოდ, 1163 წელს, როდესაც გიორგი III-მ გაილაშქრა გაგის მიმართულებით მაჰმადიანური კოალიციის წინააღმდეგ[2], მის ჯარში ოსებიც ყოფილან: *„ცნა ესე სახელგანთქმულმან და უძლეველმან მჭედარმან და უებრომან ჭაბუკმან გიორგი მეფემან და მსწრაფლ შემყრელმან შეიდთავე მისთა სამეფოთა, იმერთა და ამერთამან, და გამოასხნა ოვსნი და ქუეყანანი დიდძალნი და მომართა სულტანსა, მყოფსა აურაცხელითა და უამრავითა ლაშქრითა“*.[3]

---

[1] **ჯუანშერ ჯუანშერიანი.** ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. – *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ, ტ. I. თბ., 1955, გვ. 239, ხაზგასმა ჩვენია – **ი.ჯ.**

[2] ამ კამპანიის შესახებ დაწვრილებით იხ.: **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია, წ. II.., – გვ. 233-237; **გ. ჯაფარიძე.** საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIIIს. პირველ მესამედში, თბ., 1995, გვ. 106-108.

[3] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. II, გვ. 11; ხაზგასმა ჩვენია – **ი.ჯ.**

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ შემდეგი ცნობა, რომელიც შემოდის ჩვენს ინტერესთა სფეროში, ეხება საქართველო-დარუბანდის კონფრონტაციის ერთ ფაქტს. XIIს. 70-იან წლებში გამწვავდა ურთიერთობა შარვანშაჰ აღსართანსა და მის ვასალ დარუბანდის ემირს შორის. შარვანშაჰი საქართველოს მეფის ყმადნაფიცი იყო და მან დახმარებისათვის მიმართა გიორგი III-ს.

აი, როგორ გადმოგვცემს ამ ფაქტს თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი: *„მოვიდა ოდესმე ანდრონიკე კომნიანოსი ცოლითა სახებრწყინვალითა და შუენიერითა, თანა შვილებითურთ და დისწულითა, მამის ძმისწული დიდისა მანოელ კეისრისა და ყოვლისა დასავლეთისა და საბერძნეთისა მეფისა. და ვითარ მართებდა, ეგრეთ მმადლობელმან ღმრთისამან შეიწყნარა და მისცა პატივი შესატყუსი სახლის-შვილობისა მისისა. და მომცემელმან ქალაქთა და ციხეთამან კმასაყოფელთამან დაუდგნა საჯდომნი სიახლესა საყდრისა თუსისასა, პირისპირ მამის დისწულისა მისისა აღსართანისასა რომელი მეფე იყო შარვანისა და ზღუს პირისა დარუბანდით ბირსალამდის, რომელი მეფესა უჩნდა ვითარცა შვილყოფად ვითარცა ერთი დიდებულთა მისთაგანი. ესე შარვანშა შემოეუხუეწა ოდესმე დაჭირებული დარუბანდელთა ბაზართაგან. მაშინ შეიყარა ლაშქარი იმიერით და ამიერით, თუთ ძმა ბერძენთა მეფისა ანდრონიკე წარიყვანა* (გიორგი III-მ – **ი.ჯ.**) *წინაშე და მივიდა ვიდრე კართამდე დარუბანდისათა. მოაოხრა ქუეყანა მუსკურისა და შარაბამისა, და აიღო ქალაქი შაბურანი... და უბოძა ქალაქი იგი მამის დისწულსა მისსა შარვანშას“.*[1]

ეს ცნობა მრავალმხრივ არის საინტერესო, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთავარია საქართველოს მეფის გალაშქრება დარუბანდელთა წინააღმდეგ და მათი დამარცხება. დიდხანს ისტორიოგრაფიაში ამ მოვლენას 1167 წლით ათარიღებდნენ,[2] მაგრამ ამ უკანასკ-

---

[1] *ქართლის ცხოვრება*.., ტ. II, გვ. 16-17, ხაზგასმა ჩვენია – **ი.ჯ.**

[2] **იმ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია, წ. II.., გვ. 239.

ნელ ხანს ლაშქრობის თარიღად 1173 წელია მიღებული.[1] ამ ცნობის ანალიზისას ყურადღებას იპყრობს „ხაზართა“ ხსენება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართულ მატიანეები არაერთხელ ახსენებენ ხაზარეთსა და ხაზარებს X საუკუნის (როდესაც არსებობა შეწყვიტა ხაზართა ხაკანატმა) მომდევნო პერიოდის მოვლენების გაშუქებისას.[2]

ისტორიოგრაფიაში, მართალია, იყო გარკვეული დაინტერესება ამ ხაზართა ვინაობით,[3] მაგრამ კონკრეტული პასუხი მასზე არ გაცემულა და საკითხი ღიად დარჩა. ჩვენც გვიჭირს რაიმე დასაბუთებული დასკვნის გაკეთება ამ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა ვარაუდის დონეზე არ გამოვრიცხავთ, რომ ხაზართა ტომები განაგრძობდნენ არსებობას XI-XIII საუკუნეებში მაინც. *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“* ამ ცნობის ინტერპრეტაციისას ისტორიოგრაფიაში ყურადღება ექცევა XIIს. ცნობილი შირვანელი პოეტის

---

[1] **Д. К. Степнадзе.** К датировке похода Георгия III в Ширван. – *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, ტ. 65, №3, 1972, გვ. 749-751; **ჯ. სტეფნაძე.** საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა.., გვ. 92; **ჰ. თოფურია.** აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI-XII საუკუნეებში. თბ., 1975, გვ. 221-224; **რ. მეტრეველი.** საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XII საუკუნის 30-80-იანი წლების დამდეგს, – *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები.* ტ. I. თბ., 1998, გვ. 305.

[2] უკანასკნელად ხაზარები *„ქართლის ცხოვრებაში“* იხსენიებიან XVIს. დამდეგის ამბების გადმოცემისას, კერძოდ, *„ქართლის ცხოვრების“* ერთ-ერთი გაგრძელების ავტორი წერს: *„ხოლო ამას გარდა საქართველონი რომელნიმე თავისუფალ შექმნილიყვნენ, რომელნიმე სპარსთა მიეტაცნეს, რომელნიმე ხონთქარსა და რომელნიმე ხაზართა“* (იხ.: ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება. პირველი ტექსტი, – *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით *ს. ყაუხჩიშვილის* მიერ, ტ. II. თბ., 1959, გვ. 349, ხაზგასმა ჩვენია – ი.ჯ.) აშკარაა, რომ ამ კონტექსტში ხაზართა მოხსენიება სრული ანაქრონიზმია.

[3] **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских.., გვ. 75.

ხაკანის შარვანშაჰ აღსართანისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი ოდის მონაცემებს. მასში ხაკანი ქება-დიდებას უძღვნის შარვანშაჰ აღსართანს იმის გამო, რომ მან ბაქოსთან გაანადგურა 70 ხომალდისაგან შემდგარი „რუსთა“ ფლოტი, დაამარცხა ხაზარები და ალანები და „обратил Дербент в ад и вызвал плач в Шаберане“.[1]

ფიქრობენ, რომ ამ შემთხვევაში ქართველი მემატიანე და შირვანელი პოეტი ერთი და იმავე ფაქტზე მოგვითხრობენ,[2] თუმცა ხაკანისთან შეიმჩნევა ერთგვარი ანაქრონიზმი. ის ხაზარების გვერდით ასახელებს „რუსებს“ და „ალანებს“. ეს გამოწვეული უნდა იყოს ხაკანის სურვილით, დაინახოს ამ ფაქტში შურისძიება „რუსების“ მიერ X საუკუნესა და XIს. I ნახევარში დატრიალებულ უბედურებებზე.[3] მხედველობაშია რუსთა ლაშქრობა 987 წელს კასპიის ზღვით შარვანში და აგრეთვე იმავე რუსთა თავდასხმა შარვანის სანაპიროზე (ბაქოს მახლობლად) 1030 წელს, როდესაც მათ დაამარცხეს შარვანშაჰ მენუჩეჰრ იბნ-იაზიდის ჯარი.[4] იმავე მასალებით ცნობილია, რომ 1032 და 1033 წლებში რუსები ალანებთან ერთად შეჭრილან შარვანში, მაგრამ ამჯერად მარცხი განუცდიათ.[5]

მკვლევართა აზრით (ა. ნოვოსელცევი, ვ. ბეილისი), ეს რუსები ტმუტარაკანის რუსული სამთავროდან უნდა ყოფი-

---

[1] ამის შესახებ იხ.: **В. В. Бартольд.** Дербент (სტატია „Энциклопедия Ислама“-ში). – Соч., т. III. М., 1965, გვ. 425-426.

[2] **В. В. Бартольд.** Краткий обзор истории Азербайджана. – Соч., т. II, ч. I, М., 1963, გვ. 779; **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских взаимоотношении.., გვ. 75.

[3] **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских.., გვ. 75.

[4] **В. Ф. Минорский.** Русь и Закавказье (Новые данные). – *Acta orientalia Academiae Scientenarum Hungarikae*, ტ. III, ნაწ. 3, 1953, გვ. 209; **В. Ф. Минорский.** История Ширвана и Дербенда, გვ. 68.

[5] **В. Ф. Минорский.** Русь и Закавказье.., გვ. 209; **В. Ф. Минорский.** История Ширвана и Дербенда, გვ. 70; **В. Т. Пашуто.** Внешняя политика Древней Руси, М., 1968, გვ. 104 (ამ ნაწილის ავტორია ა. ნოვოსელცევი).

ლიყვნენ.[1] რაც შეეხება ხაკანის თხზულებაში დასახელებულ „რუსებს", ქართველი მკვლევარი მ. თოდუა არ გამორიცხავს, რომ ეს იყოს რუსული მიწებიდან გამორიყული რუსთა ერთი ჯგუფი, რომელიც დაფუძნდა ჩრდილოეთ კავკასიაში.[2] რასაკვირველია, არ შეიძლება იმის მთლიანად გამორიცხვა, რომ დარუბანდის ემირის მხარეზე მებრძოლ ხაზართა გვერდით შარვანშაჰის წინააღმდეგ ნამდვილად იბრძოდნენ ვიღაც „რუსნი" და „ალანნი", თუმცა, თუ გავითვალისწინებთ ალან-ოვსთა საქართველოს სამეფო კართან სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის ინტენსიურობას XIIს. მთელ მანძილზე, ძნელი დასაჯერებელია, რომ მათ მონაწილეობა მიეღოთ საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ აქციებში.[3]

ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია: 1173წ. სამხედრო კამპანიამ შარვან-დარუბანდში გიორგი III-ს, რომელიც გამოჩენილი რუსი აღმოსავლეთმცოდნის აკად. ვ. ბარტოლდის მოსწრებული გამოთქმით, იყო შარვანშაჰ აღსართანის „могущественный родственник, союзник и **верховный повелитель**",[4] ახალი დიდი წარმატება მოუტანა და საქართველოს სახელმწიფომ კიდევ უფრო განამტკიცა თავისი გავლენა დარუბანდზე.

განვიხილოთ *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის"* შემდეგი ცნობა, რომელშიც მოხსენიებულნი არიან ჩრდილოეთ კავკასიელი ტომები. ესაა ცნობა „ლეკთა" და „კავკასიანთა" მონაწილეობის შესახებ 1177-1178 წლებში დემეტრე

---

[1] **В. Т. Пашуто.** Внешняя политика.., გვ. 105; **В. М. Бейлис.** Сочинение Масуды Ибн-Намдара как источник по истории Аррана и Ширвана начала XIIв. и памятник средневековой арабской литературы. Автореферат докторской диссертации. Баку, 1975, გვ. 41-42.

[2] მ. თოდუა. XII საუკუნის ქართველ მეფეთა და სახელმწიფო მოღვაწეთა ტიტულები და სახელოები. – წგნ.: მ. თოდუა. ქართულ-სპარსული ეტიუდები, III, ტექსტი გამოსცა, თარგმნა და კომენტარები დაურთო *მ. თოდუამ.* თბ., 1979, გვ. 37-48.

[3] **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских взаимоотношении.., გვ. 75-76.

[4] **В. В. Бартольд.** Ширваншах (სტატია *„Энциклопедия Ислама"*-ში). – *Сочинения в 9-ти томах.* Т. II, ч. I. М., 1963, გვ. 877.

(დემნა) უფლისწულის გასამეფებლად მოწყობილ აჯანყებაში.

ამ ამბოხების გაშუქებისას მემატიანე საგანგებოდ ჩერდება ჰერეთში განვითარებულ მოვლენებზე და აღნიშნავს, რომ გიორგი III-მ *„გაგზავნა ლაშქარნი, რომელნი დარჩომილ იყვნეს ერთგულად მისად და სხუა თემისა და თემის: მესხნი, თორელნი, ქართლელნი, სომხითარნი და თუთ გაზრდილი მისი მეჯინებეთუხუცესი ჭიაბერი და მივიდეს ქუეყანასა ჰერეთისასა. და მუნით მოვიდეს ჰერეთის ერისთავი და ყოველნი ჰერნი სრულითა ლეკითა და კავკასითა. და შეიქმნეს ომნი ფიცხელნი და კუეთარ-კუეთებანი, რამეთუ იყვნესცა გამოცდილნი და ლომნი ჭაბუკნი. ამას შინა სძლო მსჯავრისა და სამართლისა მჭონებელმან, და გააქციევს ჰერნი, დიდებულნი აზნაურნი, და ლეკნი“*.[1] ე. ი. ირკვევა, რომ ჰერეთის ერისთავი მეფე-ძმისწულის დაპირისპირებისას, ამ უკანასკნელის მხარეს გამოსულა და საკმაოდ მძლავრი ფრონტითაც. მის ლაშქარში ყოფილან „ლეკები“ და „კავკასიანნი“.

ლეკები, როგორც ცნობილია, ერთ-ერთი დაღესტნური ტომია. რაც შეეხება „კავკასიანებს“, ამ სახელწოდებით ძველი ქართული საისტორიო წყაროები მოიხსენიებდნენ ვეინახურ (ჩეჩნურ და ინგუშურ) ტომებს. ამ ტომების აღმნიშვნელი მეორე სახელწოდება კი იყო „დურძუკნი“.[2] „ლეკნი“ და „კავკასიანნი“ უძველესი დროიდან გარკვეულწილად იყვნენ ინტეგრირებულნი ქართულ-პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ სამყაროში. შემთხვევითი არ არის, რომ ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია, რომელიც ასახულია ლეონტი მროველისად მიჩნეულ *„ქართლის ცხოვრების“* დასაწყის მატიანეში,

---

[1] *ქართლის ცხოვრება*.., ტ. II, გვ. 19, ხაზგასმა ჩვენია – ი.ჯ.

[2] *„ქართლის ცხოვრების“* დასაწყის მატიანეში მოცემულია შემდეგი განმარტება: *„დურძუკნი, ნათესავნი კავკასისნი“* (იხ.: **ლეონტი მროველი.** ცხოვრება ქართუელთა მეფეთა. – *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ, ტ. I. თბ., 1955, გვ. 27). ეთნონიმ „კავკასიანნი“-სა და „დურძუკნი“-ს შესახებ იხ.: **В. Н. Гамрекели.** Двалы и Двалетия (В I-XIV вв.). Тб., 1961, გვ. 22-28.

ლეკებსა და კავკასიანებს განიხილავდა ქართლოსიანთა და ეგროსიანთა უახლოეს ხალხად – თარგამოსიანთა ერთი დიდი ოჯახის შვილებად.[1]

უკვე ქართლის სახელმწიფოს ფორმირების დასაწყის ეტაპზევე ეს ტომები აქტიურად აღმოჩნდნენ ჩართულნი შიდაქართულ პროცესებში.[2] უფრო მეტიც, *„ქართლის ცხოვრების“* დასაწყისი მატიანის ავტორი ქართლის მეორე მეფეს – საურმაგს სულაც კავკასიანთა დიდი მასის საქართველოში ჩამოსახლებასაც მიაწერს: *„ამან საურმაგ წარმოიყვანა იგინი ყოველთა კავკასის ნათესავთა ნახევარნი, და რომელნიმე მათგანნი წარჩინებულ-ყვნა, და სხუანი დასხნა მთიულეთს, დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი, და ესენი დაიპყრნა მისანდობელად თჳსად, დედულნი“*.[3]

XIIს. II ნახევრისთვის დურძუკნი და კავკასიანნი ასევე მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ქართულ პოლიტიკურ სამყაროსთან. მიჩნეულია, რომ ამ პერიოდისათვის ვეინახური ტომები არ წარმოადგენდნენ ერთიან პოლიტიკურ ძალას. ამ ტომთა ერთი ნაწილი XI-XII საუკუნეებში ალან-ოვსთა სამეფოს ფარგლებში ცხოვრობდა.[4]

მეორე ნაწილი კი სერირ-ავარიასა და ოვსეთს შორის მოსახლეობდა და, შესაძლებელია, ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას, ან კიდევ ალანია-ოვსეთთან ნახევრად ვასალურ მდგომარეობაში იყო.[5] თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თვით ალანია-ოვსეთი იყო მოქცეული ერთიანი ქართული სა-

---

[1] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. I, გვ. 3.

[2] როგორც ცნობილია, ლეკები აქტიურად ეხმარებოდნენ ფარნავაზს აზოს წინააღმდეგ ომში. ფარნავაზის მოკავშირეებად მოჩანან დურძუკნიც, რომელთა მეფის ასულზე ის იყო დაქორწინებული. იხ.: *ქართლის ცხოვრება..*, ტ. I, გვ. 25.

[3] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. I, გვ. 27, ხაზგასმა ჩვენია – ი.ჯ.

[4] **В. Ф. Минорский.** История Ширвана и.., გვ. 145; **ზ. ანჩაბაძე, თ. ბოცვაძე, გ. თოგოშვილი, მ. ცინცაძე.** ჩრდილოეთ კავკასიის მთიელ ხალხთა ისტორიის ნარკვევები, ტ. I. თბ., 1969, გვ. 107.

[5] *Очерки Истории Чечено-Ингушской АССР*, т. I. Грозный, 1967, გვ. 38.

ხელმწიფოს გავლენის ქვეშ, ბუნებრივია, ეს გავლენა გავრცელდებოდა დურძუკებსა და კავკასიანებზეც.

ეს რომ ნამდვილად ასე იყო, ამაზე გარდა *„ქართლის ცხოვრების“* მონაცემებისა, ნათლად მეტყველებენ მატერიალური კულტურის ძეგლები. ისტორიოგრაფიაში დიდი ხანია დადგენილად ითვლება, რომ XI-XII საუკუნეებში (თუ უფრო ადრე არა) ვეინახური ტომებით დასახლებულ ტერიტორიებზე ქრისტიანობა საქართველოდან ვრცელდებოდა.[1] ქრისტიანობის გავრცელება დურძუკეთში, როგორც სამართლიანად მიუთითებს საქართველო-ვეინახური სამყაროს ურთიერთობების ცნობილი მკვლევარი ა. შავხელიშვილი, მთლიანად პასუხობდა საქართველოს სამეფო კარის ინტერესებს, ქართველ მეფეთა პოლიტიკურ ამოცანებს.[2]

თანამედროვე ჩეჩნეთისა და ინგუშეთის ტერიტორიაზე შემორჩენილია ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების არაერთი ძეგლი, რომელთაგან საგანგებოდ გამოყოფენ თხაბა-ერდის ტაძარს,[3] რომელიც დავით IV აღმაშენებლის მეფობის

---

[1] **ზ. ანჩაბაძე, თ. ბოცვაძე, გ. თოგოშვილი, მ. ცინცაძე.** ჩრდილოეთ.., გვ. 159. ჩეჩნეთსა და ინგუშეთში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ იხ.: **А. И. Шамилев.** К вопросу о христианстве у чеченцев и ингушей. – *Известия Чечено-Ингушского научно-исследовательского института истории, языка и литературы*, т. 3, вып. I. Грозный, 1975, გვ. 83-96.

[2] **А. И. Шавхелишвили.** Из истории взаимоотношений между грузинским и чечено-ингушскими народами. *С древнейших времен до XV века.* Грозный, 1963, გვ. 79.

[3] სახელწოდება „თხაბა-ერდი“-ს („თხაბა-ერდა“) მკვლევართა უმრავლესობა თარგმნიდა, როგორც „ორი ათასი წმინდანის ტაძარი“ ან „ორი ათასის ეკლესია“. (**А. Н. Генко.** Из культурного прошлого ингушей, – *Записки коллегии востоковедов*, т. V, 1930, გვ. 732, 735; **Е. А. Крупнов.** Грузинский храм Тхаба-Ерды на Северном Кавказе, – *Краткие сообщения о докладах и полевых работах и полевых исследованиях Института истории материальной культуры*, т. XI. М., 1947, გვ. 116; **Е. А. Крупнов.** О чем говорят памятники материальной культуры ЧИ АССР. Грозный, 1961, გვ. 19; **Е. А. Крупнов.** Средневековая Ингушетия. М., 1971, გვ. 106 და სხვ.). ა. შავხელი-

პერიოდში უნდა იყოს აგებული.[1] ჩეჩნეთისა და ინგუშეთის ტერიტორიაზე დადასტურებულია ქართული დამწერლობის ძეგლებიც,[2] ხოლო თხაბა-ერდის ეკლესიაში აღმოჩნდა ქართული ხელნაწერი, რომელიც, ა. გენკოს თქმით, აშკარად ადასტურებს იმას, რომ ინგუშთა საეკლესიო ცხოვრებაში გამოიყენებოდა ქართული, და არა ბერძნული ან გოთური, დამწერლობა.[3]

არც ლეკთა ასე აქტიური მონაწილეობა უნდა მივიჩნიოთ მოულოდნელად XIIს. II ნახევარში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ლეკები აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურ არენაზე მოჩანან ჯერ კიდევ აზო-ფარნავაზის ეპოქიდან. XIIს. II

შვილის აზრით, სიტყვა „თხაბა" უნდა მომდინარეობდეს ქართული „ღვთაებიდან", ამდენად „თხაბა-ერდი" უნდა ნიშნავდეს „ღვთაების ტაძარს" („храм божества" ან „храм лика Божья". იხ.: **А. И. Шавхелишвили.** Из истории.., გვ. 84-85; **А. И. Шавхелишвили.** По поводу двух рецензий, – *მაცნე,* ისტორიის... სერია, №1, 1969, გვ. 239). სრულიად განსხვავებული მოსაზრება აქვს გ. ღამბაშიძეს, რომელიც თვლის, რომ ტაძარს ერქვა „თკობია-ერდი", რაც ნიშნავდა წმ. თომას ტაძარს (**Г. Гамбашидзе.** К объяснению названия храма Тхаба-Ерды, – *მაცნე,* ისტორიის... სერია, № 2, 1974, გვ. 120-129).

[1] **М. Б. Мужухоев, И. Д. Магомедов.** К вопросу о времени и условиях строительства храма Тхаба-Ерда, – *Археолого-этнографический сборник,* т. IV, Грозный, 1976, გვ. 91-102. ჩეჩნეთსა და ინგუშეთში არსებული ქართული ქრისტიანული ძეგლების შესახებ დაწვრილებით იხ.: **Л. П. Семёнов.** К вопросу о культурных связях Грузии с народами Северного Кавказа, – *Материалы Института Археологии,* т. 23, 1951, გვ. 251; **А. И. Шавхелишвили.** Из истории взаимоотношений между грузинским и чечено-ингушскими народами, გვ. 86; **В. Б. Виноградов.** Тайны минувших времён. М., 1966, გვ. 130; **З. Дидебулидзе.** О культурных взаимосвязях Грузии и Центрального Предкавказья – *მაცნე,* ისტორიის... სერია, №1, 1973, გვ. 72-75.

[2] **М. Д. Чентиева.** История чечено-ингушской письменности. Грозный, 1958, გვ. 16; **А. И. Шавхелишвили.** Из истории.., გვ. 91; **В. Б. Виноградов, В. И. Марковин.** Археологические памятники Чечено-Ингушской АССР. Грозный, 1966, გვ. 40.

[3] **А. Н. Генко.** Из культурного.., გვ. 732-733, 737-738.

ნახევრისათვის კი, როდესაც ერთიანმა ქართულმა სახელმწიფომ მნიშვნელოვნად განიმტკიცა პოზიციები ჩრდილოეთ კავკასიაში და ფაქტობრივად დაამყარა თავისი ჰეგემონობა რეგიონში, მისი გავლენა გავრცელდა თანამედროვე დაღესტანზეც.

XI-XII საუკუნეებში დაღესტნის ტერიტორია კავკასიური და არაკავკასიური წარმოშობის ტომებით იყო დასახლებული. ეს ტომები თავმოყრილი იყვნენ ცალკეულ ტომობრივ და სახელმწიფოებრივ გაერთიანებებში. ამ გაერთიანებათა ნაწილი (სერირი, ალ-ლაკზი, ტაბარსარანი) ადრეფეოდალურ მონარქიებადაა მიჩნეული.[1] ზირიხგერანსა და გუმიკს ადრეფეოდალურ „რესპუბლიკებს" მიაკუთვნებდნენ, რომლებშიც შესამჩნევი იყო ოლიგარქიული ნიშნები.[2] ამ გაერთიანებებიდან X საუკუნიდან გაძლიერება იწყო სერირმა, რომელსაც ძირითადად ეკავა თანამედროვე ავარიის ტერიტორია. XIIს. მიწურულისთვის სერირი რამდენიმე ფეოდალურ ერთეულად დაიყო, რომელთაგან ყველაზე ძლიერი იყო ხუნძახის სანუცალო.[3]

საქართველო მჭიდროდ იყო დაკავშირებული დაღესტნურ სამყაროსთანაც. თავის გავლენას ამ რეგიონზე საქართველოს სამეფო კარი ქრისტიანული პროპაგანდის გზითაც ახორციელებდა. დადგენილია, რომ დაღესტნის ტერიტორიაზე არსებობდა არაერთი ქრისტიანული ტაძარი. მათ შორის განსაკუთრებით ცნობილია ტაძარი სოფ. დათუნაში,[4] აგრეთვე XI-XII საუკუნეების ტაძრები ანწუხში, ტენუხში, „ხუნძთა

---

[1] **Р. М. Магомадов.** Дагестан. *Исторические этюды.* Махачкала, 1975, გვ. 45; **Ш. М. Ахмедов.** К вопросу о становлении феодальных отношений в Дагестане, – *Вопросы истории Дагестана.* Досоветский период. III. Махачкала, 1975, გვ. 83.

[2] **Р. М. Магомадов.** Дагестан.., გვ. 45

[3] **В. М. Бейлис.** Из истории Дагестана VI-XIвв. *Серир.* – *Исторические записки*, т. 73, 1963, გვ. 265; **А. Р. Шихсаидов.** Дагестан в X-XIVвв. Махачкала, 1975, გვ. 11.

[4] **Л. П. Семёнов.** К вопросу.., გვ. 305; **Р. Шмерлинг.** Церковь в с. Датуна в Дагестане. – *მაცნე,* ისტორიის... სერია, №2, 1968; *История Дагестана*, т. I. М., 1967, გვ. 215, 228-229.

მიწაზე“ და ა.შ.[1] ამ დროს დაღესტანში ფართოდ იყო გავრცელებული ქართული დამწერლობა.[2]

1191 წელს გიორგი „რუსის“ სასახლეში დასაბრუნებლად მოწყობილ დიდ აჯანყებაში ვეინახური და დაღესტნური ტომების მონაწილეობა უნდა იგულისხმებოდეს *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“* ცნობაში, რომელშიც აღნიშნულია, რომ თამარის მომხრეებმა *„წინაძღუანვითა დავით მეფისა სჯანისათა, დასხმა (ყვეს) ქართლს მყოფთა, რომელთა მიერთნეს ვიეთნიმე ქართველნიცა და სიმრავლე ყოვლისა კავკასიისა და მთიულობისა“*.[3]

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ცნობით, გიორგი რუსის მხარეზე თამარისა და დავით-სოსლანის წინააღმდეგ იბრძოდნენ აგრეთვე დასავლეთ კავკასიის მთიელი ტომები: სანიგები და ქაშაგებიც. მემატიანის თქმით, მსახურთუხუცესმა ვარდან დადიანმა, რომელიც იყო *„ლიხთ-აქით პატრონი ორბეთისა და კაენისა, ლიხთ-იქით ნიკოფსამდის უცილობლად ქონებისა... შეყარა ყოველი სვანეთი და აფხაზეთი, საეგროი, გურია, სამოქალაქო, რაჭა, თაკუერი და არგუეთი. მომრთველმან სანიგთა და ქეშიგთა მან აფიცა რუსისა გამეფებისა და მისის მეფედ-ყოფისათჳს დიდებულნი და ლაშქარნი ქუეყანისანი“*.[4]

სანიგთა ამ კონტექსტში მოხსენიება ერთგვარი ანაქრონიზმის ელფერს ატარებს,[5] რადგან ეს ტომები VIს. შემდეგ

---

[1] *История Дагестана*, т. I.., გვ. 219.

[2] **Т. Е. Гудава.** Две надписи (грузинская и грузино-аварская) из Дагестана. – *მასალები საქართველოსა და კაეკასიის ისტორიისათვის*, ნაკვ. 30, თბ., 1954; **ზ. ანჩაბაძე, თ. ბოცვაძე, გ. თოგოშვილი, მ. ცინცაძე.** ჩრდილოეთ კაეკასიის.., გვ. 159; *История Дагестана*, т. I.., გვ. 215, 228-229.

[3] *ქართლის ცხოვრება*.., ტ. II, გვ. 53; **ჯ. სტეფნაძე.** საქართველოს პოლიტიკური.., გვ. 113; **З. В. Папаскири.** У истоков.., გვ. 77.

[4] *ქართლის ცხოვრება*.., ტ. II, გვ. 49.

[5] განსხვავებული მოსაზრება აქვს დ. ლეოოდიანს, როემლიც *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“* ზემოთ მოყვანილი ცნობის საფუძველზე მიიჩნევს, რომ სანიგთა ტომს თვითმყოფა-

ფაქტობრივად არ ჩანან წყაროებში. მანამდე კი, როგორც ცნობილია, ისინი ცხოვრობდნენ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე. ახ.წ. IIს. რომაელი მოხელის ფლავიუს არიანეს დოკუმენტური ცნობით, სანიგების მიწაწყალზე იყო სებასტოპოლისი (ცხუმი-სოხუმი).[1] მიუხედავად იმისა, რომ მკვლევართა ერთი ნაწილი ჯიუტად იჩემებდა სანიგთა აფხაზურ-ადიღეურ წარმომავლობას,[2] დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ისინი ქართველური (მეგრულ-ჭანური ან სვანური) ტომები არიან.[3] რაც შეეხება ქაშაგებს, მათი ადიღეურ-ჩერქეზული წარმომავლობა მკვლევრებში ეჭვს არ იწვევს.[4] მათში მოიაზრება ჯიქ-ადიღთა ტომი, რომელიც განსახლებული იყო ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში.

XI-XII საუკუნეებში ჯიქ-ადიღთა დასავლეთის საზღვარი გადიოდა შავ ზღვაზე, ხოლო აღმოსავლეთით მათ ემეზ-

---

დობა გვიან შუა საუკუნეებშიც ჰქონდა შენარჩუნებული. იხ.: **დ. ლეთოდიანი.** აფხაზეთის, აფშილეთის და სანიგეთის პოლიტიკური დამოკიდებულება ეგრისთან (ლაზიკასთან) IV-VIIIსს.-ში. თბ., 1991, გვ. 35, 119-120.

[1] **ფლავიუს არიანე.** მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა *ნ. ლეჭაღმაძისა.* თბ., 1961, გვ. 43.

[2] **ვ. ბ. Анчабадзе.** История и культура древней Абхазии. М., 1964, გვ. 173-175; **З. В. Анчабадзе.** Очерк этнической истории абхазского народа. Сухуми, 1976, გვ. 35; **Ш. Инал-ипа.** Вопросы этно-культурной истории абхазов. Сухуми, 1976, გვ. 260, 278.

[3] **ს. ჯანაშია.** თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, – *შრომები,* ტ. III, თბ., 1959, გვ. 9-11; **ვ. ინაძე.** ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, – *მაცნე,* ისტორიის... სერია, №2, 1992, გვ. 45; **ნ. ლომოური.** ძველი აფხაზეთის ეთნო-კულტურული ისტორიიდან. თბ., 1998, გვ. 32-34; **დ. ლეთოდიანი.** აფხაზეთის.., გვ. 120-130; **ზ. ჰაჰასქირი.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. I. *უძველესი დროიდან 1917 წლამდე.* თბ., 2004, გვ. 26-27; **З. Папаскири.** Абхазия. *История без фальсификации.* Издание второе, исправленное и дополненное. Тб., 2010, გვ. 19.

[4] ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: **И. Г. Волкова.** Этнонимы и племенные названия Северного Кавказа. М., 1973, გვ. 19-22.

ობლებოდა ალანია-ოვსეთი.[1] წყაროებში ძალზე მწირია ცნობები მათი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების შესახებ. Xს. არაბი ავტორის ალ-მასუდის ცნობით, მათ არ ჰყავდათ მეფე და, ამდენად, ალანებზე სუსტები იყვნენ.[2] XIს. დამდეგს შეიმჩნევა გარკვეული კონსოლიდაცია ადიღეურ ტომებში.

ძველი რუსული მატიანის ცნობით, ჯიქ-კოსოგებს უკვე ჰყავდათ მთავარი („князь"), რედედი, რომელიც წარუმატებლად ებრძოდა ტმუტარაკანის მთავარს მსტისლავ ვლადიმირის ძეს.[3] მაგრამ, როგორც ჩანს, ჯიქ-ქაშაგებმა ამ ეტაპზე მაინც ვერ მოახერხეს ძლიერი გაერთიანებების შექმნა. ყველა მონაცემებით ჩანს, რომ ისტორიული ჯიქეთი ადრიდანვე (IX საუკუნიდან მაინც) მოქცეული იყო ქართული პოლიტიკური სამყაროს სივრცეში.[4] XII საუკუნისათვის კი, როგორც ჩანს, ჯიქ-ქაშაგთა საერთოქართულ სამყაროში ინტეგრაციის პროცესი საკმაოდ წინ იყო წასული. სწორედ ამას ადასტურებს თამარის ქართველი ისტორიკოსის ცნობა ქაშაგთა მონაწილეობის შესახებ შიდაქართულ პოლიტიკურ პროცესებში.

თამარის ეპოქაში საქართველო ვეინახურ და დაღესტნურ სამყაროს შორის ურთიერთობების თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის"*

---

[1] **ზ. ანჩაბაძე, თ. ბოცვაძე, გ. თოგოშვილი, მ. ციწცაძე.** ჩრდილოეთ კავკასიის.., გვ. 34; *История Кабардино-Балкарской АССР*, I. М., 1961, გვ. 66-69; *Очерки истории Адыгеи*. Майкоп, 1957, გვ. 61-62.

[2] **В. Ф. Минорский.** История Ширвана и Дербенда.., გვ. 206-207.

[3] *Повесть временных лет*, ч. I, М., 1950, გვ. 99. აღსანიშნავია, რომ ძველ რუსულ მატიანეში მოთხრობილი ამბავი კოსოგთა მთავარ რედედისა და ტმუტარაკანის მთავარ მსტისლავის ორთაბრძოლის შესახებ გადმოცემის სახით ცნობილი ყოფილა ყაბარდოელებში. იხ.: **Ш. Б. Ногмов.** История кабардинского народа (Составленная по преданиям Кабардинцев). Нальчик, 1958, გვ. 120-122.

[4] **ი. ჯიჭონაია.** „მატიანე ქართლისა"-ს მასალები ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებისა და საქართველო – ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობების შესახებ (VIII-XI სს.). – *საისტორიო ძიებანი*. წელიწდეული. II. თბ., 1999, გვ. 52.

ცნობა დიდოელთა და ფხოველთა აჯანყების შესახებ. „მათ უკუე ჟამთა, — წერს თამარის პირველი ისტორიკოსი. — იწყეს მთეულთა განდგომად, კაცთა ფხოველთა და დიდოთა. დიდონი უკვე ბუნებითა მშთუართა და უხარშავსა ჰამენ, და მრავალნი ძმანი ერთსა დედაკაცსა მიიყვანებდნენ ცოლად; რომელნი უჩინარსა რასამე ეშმაკსა თაყუანის-ცემენ და ზოგნი უნიშნოსა შავსა ძაღლსა, და ამას ჰყოფენ. ხოლო ფხოველნი ჯუარის მსახურნი არიან და ქრისტიანობასა იჩემებენ. ამათ იწყეს რბევად და ჴოცად და ტყუეობად, ცხადად და ღამით. მოუწოდა მეფემან ათაბაგსა და ყოველთა მთეულთა: დვალთა, ცხრაზმელთა, მოკევეთა, ჴადელთა, ცხავატელთა, ჭართალთა, ერწოთიანელთა, მისცა ივანე ათაბაგსა და წარავლინა მათ ზედა. ხოლო ივანე გონიერად ყო: აღვიდა მთასა ჴადისასა და წარვლო წუერი მთისა, წარდგა მთასა ფხოველთასა და დიდოთასა, რომელი არავის ექმნა, არცა პირველ, არცა შემდგომად, რამეთუ ერთ-კერძო დაურჩა დურძუკეთი და ერთკერძო დიდოეთი და ფხოეთი.*

ცნეს რა მოსვლა ათაბაგისა, მოვიდეს ძღუნითა მეფენი დურძუკთანი, მოსცეს ლაშქარი და დაუდგეს გუერდსა. და იწყეს ზეიდაღმან ბრძოლად, და რბევად, და კლვად, და ტყუეობად და დაწუად; მოსწყვიტეს ურიცხუ კაცი დიდოი და ფხოვი, და დაყვნეს სამნი თუენი: ივნისი, ივლისი და აგუსტოსი. მაშინ შესწრებულთა ათაბაგისათა მოსცეს მძევლები და აღუთქუეს მსახურებად ხარაჯა, და პირი სიმტკიცისა აღუთქუეს. წამოასხეს მძევლები, ქმნეს ზავნი. და ესრეთ გამარჯუებითა მოვიდა ივანე მეფეს წინაშე და რქუა: „ძლიერო მეფეო! იქმნა ბრძანება შენი, მოვაო-რენ ურჩნი შენნი დიდოეთი და ფხოეთი“. ხოლო მეფემან დიდად დაიმადლა და უალრესსა პატივსა აღიყვანა“.[1]

ეს ცნობაც მრავალმხრივ არის საინტერესო. პირველ რიგში, საყურადღებოა ის საკუთრივ დიდოელთა მთიელი ტომის სოციალურ-კულტურული დონის ჩვენების თვალსაზრისით.

---

[1] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. II, გვ. 111-112.

დიდოელები, როგორც ცნობილია, ერთ-ერთი დაღესტნური ტომია, რომელიც ისტორიულად განსახლებული იყო დაღესტნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის (ხევსურეთის, თუშეთის) აღმოსავლეთით.[1]

ვარაუდობენ, რომ მათ VIII-X საუკუნეებში შექმნეს დამოუკიდებელი ეთნო-პოლიტიკური გაერთიანება.[2] დიდოეთზე საკმაოდ მკაფიო წარმოდგენა ჰქონდა ძველ ქართულ საისტორიო ტრადიციას. *„ქართლის ცხოვრების“* დასაწყის მატიანეში, როგორც უკვე აღინიშნა, არის ცნობა საურმაგის მიერ „კავკასის ნათესავთა“ დიდი მასის მთიულეთში ჩასახლების შესახებ *„დიდოეთითგან ვიდრე ევრისამდე, რომელ არს სუანეთი“*.[3]

ქართლის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდოელები მოჩანან VI საუკუნიდან. როგორც ჩანს, ამ დროიდან დიდოელები გარკვეულწილად ინტეგრირებულნი იყვნენ ქართულ კულტურულ-პოლიტიკურ სამყაროში. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, რომელიც ნამდვილად იმსახურებს ნდობას, VI საუკუნეში დიდოეთი შედიოდა ნეკრესის ეპარქიაში.[4] იმავე ვახუშტი ბატონიშვილს ეკუთვნის ცნობა XI საუკუნეში „რანთა და კახთა“ მეფის კვირიკე III-ის (1010-1037წწ.) მიერ დიდოეთისა და ხუნძახის კახეთის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში მოქცევის შესახებ. ამ ცნობის თანახმად, „რანთა და კახთა“ მეფეს თავისი ქვეყანა კახეთ-ჰერეთი საერისთავოებად დაუყვია. აქედან კახეთში სამი, ხოლო ჰერეთში ოთხი ერისთავი გაუმწესებია. ჰერეთის ამ ერისთავთაგან ერთერთი მეფეს დაუსვამს შტორს და მისთვის გადაუცია სამართავად ტერიტორია *„შტორის ჴევიდამ მაჭის წყლამდე ალაზნის აღმოსავლეთი დიდოეთითურთ, რომელ არს აწ გალმა-*

---

[1] **Д. М. Магомадов.** Исторические сведения о дидойцах. – *Вопросы истории Дагестана.* Досоветский период. III. Махачкала, 1975, გვ. 104.

[2] **Д. М. Магомадов.** Исторические сведения.., გვ. 104.

[3] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. I, გვ. 27.

[4] **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა.., გვ. 545.

მჭარი",[1] ხოლო მაჭის ერისთავის სამფლობელოში შემოდიოდა „ალაზნის აღმოსავლეთი შაკიხითურთ და ხუნძახითურთ".[2] ე. ი. სრულიად აშკარაა, რომ XI საუკუნეში დაღესტნის ისტორიული მხარეები: დიდოეთი და ხუნძახი – ქართულ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ სივრცეში შემოდიოდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის"* ზემოთ მოყვანილი ცნობა უაღრესად საინტერესოა დიდოელთა სოციალურ-კულტურული ყოფის დასახასიათებლად. ამ მასალის მიხედვით ირკვევა, რომ დიდოელები განვითარების მეტად დაბალ საფეხურზე იდგნენ. ქართველი მემატიანე ხაზს უსვამს მათ ველურობას, ავზნეობას, კერპებისადმი თაყვანისცემას. დიდოელთა ეს თვისებები კიდევ უფრო მკაფიოდ და სრულად აქვს ნაჩვენები ვახუშტი ბატონიშვილს, რომელიც, როგორც ჩანს, დიდოელთა დახასიათებისას თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობებსაც ეყრდნობოდა.

ვახუშტი ასევე აღნიშნავს, რომ დიდოელები არიან *„უბილწესნი ზნითა, ქცევითა, ჰაეროვანებითა და სახითა... სარწმუნოებით არიან კერპნი და უმეტეს ეშმაკის მორჩილნი... არა უწყიან სრულიად ღმერთი, არცა ნათესავი და ნათესაობა, ყოველსა სულიერსა სჭამენ. მოგურის მამა თუსი მცირესა ძესა თუსსა ცოლსა და, ვიდრე აღიზარდების ძე მისი იგი მცირე, თუთ მამა თანაეყოფის ალრევითა დედაკაცსა მას; ხოლო ოდეს აღიზარდების ძე მისი, მაშინ მისცემს მას ძესა დედაკაცსა მას ცოლად და განუყოფს შვილთაცა, რომელნი უვის მის დედაკაცისა თანა შობილი მამასა, ნახევარს მისცემს ძესა, და არს ძე ძისა მისისა, და ნახევარსა დაიპყრობს თუთ, და ძმა არს ძისა მისისა, მის ქალის ქმრისა. და სხუანიცა მრავალნი უკეთურებანი არიან; უვისთ მოხუცებულნი, ივინი ბჭობენ, განარჩევენ და განაგებენ და დააწყნარებენ შფოთსა და ბრძოლასა შინა შეუმართებელნი და ურგებ-უძლურნი არიან, ავად მოსილნი, ავმოიარალენი, ყოველნი სრუ-*

---

[1] ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა.., გვ. 561.

[2] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. I, გვ. 561.

ლიად შავით მოსილნი, ეშმაკის კერძობისათჳს, შალითა და ნაბდითა“[1] და ა.შ.

ვფიქრობთ, *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“* თხზულებიდან და ვახუშტი ბატონიშვილის აღწერილობიდან აქ მოტანილი მასალა ფაქტობრივად გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ დიდოელებს ოდესმე, მით უფრო VIII-X საუკუნეებში ჰქონდათ სახელმწიფოებრივი გაერთიანება. ამდენად, დაღესტნელი მკვლევრის დ. მაგომადოვის თვალსაზრისი, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა მსჯელობა, ჩვენ მიუღებლად მიგვაჩნია. დიდოელები არა თუ VIII-X საუკუნეებში, არამედ, როგორც დავინახეთ, ვახუშტი ბატონიშვილის ეპოქაშიც კი პირველყოფილობის ზღვარს არ იყვნენ გადაცილებულნი და საკმაოდ ველური ყოფით გამოირჩეოდნენ.

სწორედ „ბარბაროსული“ მთის ამ „ველურობის“ ალაგმვასა და იქ სახელმწიფო წესრიგისა და კანონიერების განმტკიცებას ისახავდა მიზნად საქართველოს სამეფო კარის მიერ XIIIს. დამდეგს დიდოეთსა და ფხოვში განხორციელებული დამსჯელი ექსპედიცია.[2] აღსანიშნავია, რომ ამ სამხედრო ექსპედიციის დროს განსხვავებული პოზიცია დაუკავებია ვეინახურ ტომებს. ქართველი მემატიანე საგანგებოდ აღნიშ-

---

[1] *ქართლის ცხოვრება.*., ტ. IV, გვ. 552-553.

[2] დიდოელთა და ფხოველთა გამოსვლის არსი სხვანაირადაა ახსნილი ისტორიოგრაფიაში, კერძოდ, მთიელ ტომთა ეს აჯანყება განხილულია, როგორც „რევოლუციური ოპოზიციის“ პროტესტი მიმართული ფეოდალური ჩაგვრის წინააღმდეგ. იხ.: **რ. მეტრეველი.** მთიელთა აჯანყების საკითხისათვის XIIIს. ათიან წლებში, – წგნ.: *მცირე გულანი.* ქუთაისი, 1979, გვ. 58-75; **რ. მეტრეველი.** საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობები XI საუკუნის მიწურულსა და XII საუკუნის I მეოთხედში. დავით აღმაშენებლის დიპლომატია. – *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები.* ტ. I. თბ., 1998, გვ. 271; **რ. მეტრეველი.** საქართველოს სახელმწიფო საერთაშორისო არენაზე XII საუკუნის მიწურულსა და XIII საუკუნის დამდეგს. თამარ მეფის დიპლომატია, – *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები.* ტ. I. თბ., 1998, გვ. 344, 346.

ნავს, რომ „მეფენი დურძუკთანი“ *„მოვიდეს ძლუნითა.., მისცეს ლაშქარი და დაუდგეს გვერდსა“* საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებას და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ივანე ათაბაგის ექსპედიციის წარმატებით დაგვირგვინებაში.

ამ ფაქტის გაანალიზებისას საინტერესოა ის, რომ დიდოელთა სოციალურ-კულტურული ყოფის განსაკუთრებული „ველურობის“ ჩვენების ფონზე, მემატიანე ახსენებს „დურძუკთა მეფეებს“, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ვეინახური ტომები ამ პერიოდში განვითარების გაცილებით უფრო მაღალ დონეზე იდგნენ, ვიდრე დიდოელნი. თუმცა, ცხადია, რომ ეს „მეფენი“ სულაც არ იყვნენ ჩამოყალიბებულ სახელმწიფოთა მეთაურები. ისინი უდავოდ ცალკეულ ტომთა გაერთიანებების ბელადებად მოიაზრებიან.

ამრიგად, საქართველოს სამეფო კარის მიერ დიდოეთსა და ფხოვში გატარებული მკაცრი ზომების შედეგად ეს ურჩი რეგიონები კვლავ მოექცა სახელმწიფო ხელისუფლების კონტროლქვეშ. მაგრამ სამხედრო ღონისძიებები არ იყო ერთადერთი საშუალება „ბარბაროსული“ მთის მოსახლეობის დასაშოშმინებლად. საქართველოს ხელისუფლება არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა ქრისტიანულ-სამისიონერო საქმიანობას. ეს საქმიანობა განსაკუთრებით გააქტიურდა თამარის ხანაში. თვით დაღესტნის ისტორიის მკვლევართა აღიარებით, „активная деятельность христианской церкви в Дагестане связана с именем царицы Тамары, в правление которой предпринимались неоднократные попытки христианизировать северо-кавказские народы“.[1]

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ შემდეგი ცნობა, რომელიც იწვევს ინტერესს საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ურთიერთობების თვალსაზრისით არის მასალა ოვსი უფლისწულის დავით-სოსლანის თამარ მეფის მეორე ქმრად მოყვანის შესახებ. როგორც ცნობილია, თამარის პირველი ქორწინება რუს უფლისწულთან, ვლადიმირ-

[1] *История Дагестана*, т. I.., გვ. 214.

სუზდალის დიდი მთავრის ანდრია ბოგოლიუბსკის ძესთან — იურისთან (გიორგი „რუსი"), „უდღეური" გამოდგა. დაქორწინებიდან ორნახევარი წლის შემდეგ (1187 წ. გაზაფხულზე),[1] თამარი, ვაზირებთან და დიდებულებთან შეთანხმებით, გაცილდა თავის თანამეცხედრეს და ის ქვეყნიდან „მიაბრძანა".[2] სამეფო კარის წინაშე კვლავ დადგა მეფისათვის ქმრის შერჩევის პრობლემა, ვინაიდან „იურვოდეს შემჭირნენი უწყალმართობისა და შვილის უსმელობისანი". გამოჩნდა არაერთი პრეტენდენტი, მაგრამ საბოლოოდ არჩევანი ოვს უფლისწულზე — დავით-სოსლანზე შეაჩერეს.

აი, რას წერს მემატიანე ამის შესახებ: *„იყო სახლსა შინა დედოფლისა რუსუდანისსა მოყმე ეფრემის ძეთავანი, რომელ არიან ოვსნი, კაცნი მძლენი და ძლიერნი ბრძოლასა შინა. ესე დედოფალსა რუსუდანს, ვინათგან თჳს ეყვოდა მამის დისა მისისა დავითის ასულისა ოვსეთს გათხოვილობის მიზეზითა, მოეყვანა საზრდელად სახლსა შინა მისსა. და იხილეს მუნ მიმავალთა და წამომავალთა, რამეთუ მოყმე იყო ფერ-ნაკუთად კარგი, ბეჭ-ბრტყელი, პირად ტურფა და ტანად ზომიერი, ორთავე კერძოთა გუართაგან საჴელმწიფო. ჰკადრეს და მოაწონეს დედოფალსა რუსუდანს მკუდრთა ამას სამეფოსათა, იგი განალმაცა ნებისა დამრთავი, ვაზირთა და დიდებულთა თანაშემწე — ქმნითა მომწონებელ და მოაჯე ექმნეს თამარს, მეტყუელნი ამისნი: „უკუთუმცა არა იყო ზენა განგება მისსა*

---

[1] **П. М. Мурадян.** К хронологии некоторых событий в Грузии и Армении конца XII в. – *Вестник Матенадарана*, №9, 1969, გვ. 134; ა. აბდალაძე. XII-XIIIსს. საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის შესწავლისათვის. – *მაცნე*, ისტორიის... სერია, №2, 1974, გვ. 145.

[2] რუსი უფლისწულის იური ანდრიას ძის საქართველოში ყოფნისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ დაწვრილებით იხ.: ი. ციხცაძე. ძიებანი რუსეთ-საქართველოს.., გვ. 69-170; რ. მეტრეველი. შიდაკლასობრივი ბრძოლა საქართველოში XII საუკუნეში. თბ., 1979, გვ. 65-70; **З. В. Папаскири.** Эпизод из истории русско-грузинских взаимоотношений. – *История СССР*, №1, 1977; **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских.., გვ. 123-146.

მოქმედებასა შინა, ჰხედავს შარავანდედობა თქუენი, თუ რაოდენნი რაოდენგზის მოყმენი შვილნი ქელმწიფეთანი – ბერძენთა და ჰრომთანი, სულტანთა და სკუთთანი, სპარსთა და ოვსთანი, მცდელნი, სამართალთაებრ უკუნ-არღუნა არშემძლეობამან თუნიერ ბრძანებისა საუფლოსა".[1]

თამარი ერთი ხანობა ყოყმანობდა, მაგრამ შემდეგ, გაითვალისწინა რა, რომ ქვეყანას ტახტის მემკვიდრე სჭირდებოდა, ხელახლა დაქორწინების თანხმობა მისცა. *„და წარვიდეს დიდებულნი იმერნი და ამერნი, და წარმოიყვანეს დედოფალი და გაზრდილი მისი დავით, რჩეული ლმრთისა მის, და მოვიდეს სრასა დიდუბისასა, სანახებსა ტფილისისასა და მუნ ქმნეს ქორწილი შესატყუსი და შემსგავსებული ქელმწიფობისა და სახელზეობისა მათისა... მოთხრობად შეუძლებელ არს, თუ ვითარსა ბედნიერობასა, სუანობასა დღეკეთილობა თამარისი დავითის, მოყმისა დავითიანისა, თანა ბედნიერ და განმარჯუებულ იქმნა და წალმართ-წალმართითა მით მოთხრობითა წინამძებარითა გეუწყოს. ესე დავით წელიწდის მიქცევამდე ესრეთ წაეჯობინა ყოველსა მშჳლდოსანსა და მცურავსა, მოასპარეზესა, მწიგნობარსა და ყოველსა ნასწავლსა ქელთა სიკეთითა, ვითა დღე ჩანს, რომელ შინა ვინ ყოფილა მისი მასწავლებელი და თანა მოსწავლე, და თუ გარეთთა ქუეყანათა მოსრულა, ვერავინ სადა გამოჩენილა მისებრი".*[2]

როგორც ამ ცნობიდან ირკვევა, თამარის ხელის მთხოვნელთა შორის *„ოვსი ხელმწიფენი"* ადრიდანვე ყოფილან. მართლაც, *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის"* ავტორი ცალკე ამბად მოგვითხრობს, თუ როგორ *„მოსრულ იყვნეს* (ჯერ კიდევ თამარის პირველ დაქორწინებამდე – ი.ჯ.) *ოვსთა მეფეთა შვილნი, შუენიერნი და სახე-კეთილნი, მოჰაჯენი და მთხოვნელნი, ლირსნი და მინდობილნი ჭაბუკობისანი, ვითარ: „ლირს რამცა ვიყავით მოწონებად და მიხდომად ბედსა ამას საზესთოსა!" და ვინაცა უქმ იქმნა განზრახვა მა-*

---

[1] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. II, გვ. 46.
[2] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. II, გვ. 47.

თი, წარსრულთა თჳსად მამულად ერთსა მათგანსა შეემთხჳა მოუთმენელი სურვილი და სიყუარული თამარისი, რომლისათჳს ვერ გამძლე, მივრდომილი საგებლად ბნედსა შინა, მიიწია აღსასრულად ნიჭოზს საყდარსა შინა წმიდისა რაჟდენისსა, რომელი მუნვე დაკრძალეს“.[1]

როგორც ვხედავთ, ოვს უფლისწულთა პირველი მცდელობა, ღირსი ყოფილიყვნენ თამარის ქმრობისა, ტრაგიკულად დასრულდა. წყაროდან არ ჩანს, თუ რის გამო დაიწუნეს საქართველოს სამეფო კარზე ოვსი უფლისწულნი, თუმცა სავარაუდოა, რომ იმ ეტაპზე რუსი მთავრის კანდიდატურა უფრო მიმზიდველი იქნებოდა.

დავით-სოსლანის კანდიდატურაზე მსჯელობისას, როგორც დავინახეთ, მემატიანე ხაზს უსვამს მის წარმომავლობას. აქ მნიშვნელოვანია ის, რომ იმდროინდელი ქართული საზოგადოების თვალში ოვსთა ტომი გამორჩეული იყო ფიზიკური სიძლიერითა და მხედრული სიქველით *(„კაცნი მძლენი და ძლიერნი ბრძოლასა შინა“)*. აღსანიშნავია, რომ თამარის პირველი ისტორიკოსისგან განსხვავებით, ვახუშტი ბაგრატიონს სულ სხვა წარმოდგენა ჰქონდა ოვსთა მეომრულ თვისებებზე. მისი დახასიათებით, ისინი ყოფილან *„ვერ შემმართებელნი და შემპარავნი ლაშკართა შინა და გამომსვლელნი“*.[2]

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე ოსთა ეფრემიანობაზე. დღეს უკვე გარკვეულად ითვლება, რომ ქართული მატიანის ეფრემში რომელიღაც ოვსთა მეფე კი არ იგულისხმება, ან როგორც ი. გაგლოითი წერს: „родоначальник всех осетин“,[3] — არამედ ბიბლიური პერსონაჟი, კერძოდ, იაკობის შვილიშვილი, იოსებ მშვენიერის ძე.[4] ძველი ქართული ტრადიციით,

---

[1] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. II, გვ. 47.

[2] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. IV, გვ. 637.

[3] **Ю. С. Гаглоиты.** Средневековые летописи о Давиде-Сослане. – *Литературная Осетия*, №33, 1969, გვ. 122.

[4] *კ. კეკელიძე.* ერთი მომენტი.., გვ. 313, 318.

ეფრემი მოიაზრება ოვსი ბაგრატიონების წინაპრად, ისევე როგორც დავით წინასწარმეტყველი — ქართველი ბაგრატიონებისად. ე. ი. ამ შემთხვევაში ტერმინებს: „დავითიანი“, „ეფრემიანი“, — გარკვეულწილად პოლიტიკური დატვირთვა აქვთ. „დავითიანად“ იწოდებოდნენ ქართველი ბაგრატიონები და ისინი საქართველოს სამეფოს ტახტის მპყრობელნი იყვნენ, ხოლო „ეფრემიანები“ — ოსი ბაგრატიონები — დავითიან-ბაგრატიონთა გვერდით შტოს განეკუთვნებოდნენ.[1]

ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია თვალსაზრისი, თითქოს „ეფრემის ძეობა“ დავით-სოსლანისათვის „სუსტი ადგილი იყო“, ვინაიდან ქართველი ბაგრატიონები თავს ბიბლიური დავითის, ებრაელთა მეფის ჩამომავლებად თვლიდნენ. ეფრემი ამ დავითის ძმისწული იყო ბიბლიით და მას დავითის ჩამომავლებთან შედარებით მეორეხარისხოვანი ადგილი ეკავა. ვარაუდობენ, რომ სწორედ ამიტომ დასჭირდა თამარის პირველ ისტორიკოსს იმის ხაზგასმა, რომ ოვსი უფლისწული იყო „ორთავე კერძოთა გუართაგან სახელმწიფო“.[2] ჩვენთვის ცოტა გაუგებარია, თუ რატომ უნდა მიეცეს დავით-სოსლანის „ეფრემის ძედ“ მოხსენიებას ამგვარი შეფასება. ან რატომ უნდა გავიაზროთ „ეფრემის ძეთაგან“ ოვსი უფლისწულის თამარის საქმროდ შერჩევა როგორც რაღაც უპრეცედენტო, იძულებითი მოვლენა, რომელსაც განსაკუთრებული დასაბუთება სჭირდებოდა, კერძოდ, იმის მტკიცება, რომ ეს არჩევანი ღვთის ნებით არის ნაკარნახევი და რომ დავით სოსლანი დედითაც და მამითაც ბაგრატიონი იყო.[3]

პირველი, რის გამოც ჩვენ ვერ მივიღებთ ამ მოსაზრებას, ის არის, რომ თამარის ისტორიკოსის ცნობაში, იქ, სა-

---

[1] კ. კეკელიძე. ერთი მომენტი.., გვ. 312-318; ივ. ლოლაშვილი. დავით სოსლანის აკლდამის საიდუმლოება. თბ., 1971, გვ. 78.

[2] კ. კეკელიძე. ერთი მომენტი.., გვ. 312-318; გ. თოგოშვილი. საქართველო-ოსეთის.., გვ. 144; **З. В. Папаскири.** У истоков грузино-русских.., გვ. 61-62.

[3] კ. კეკელიძე. ერთი მომენტი.., გვ. 318; გ. თოგოშვილი. საქართველო-ოსეთის.., გვ. 151.

დაც ლაპარაკია დავით-სოსლანის „ეფრემის ძეობაზე“, კონტექსტიდან გამომდინარე, მისი პიროვნებისადმი რაიმე ჩრდილის მიყენების არავითარი კვალი არა ჩანს. ანუ „ეფრემის ძეობა“ არის მხოლოდ განმარტება იმისა, რომ თამარის საქმრო წარმომავლობით ოვსი ბაგრატიონებისაგან მოდის და მეტი არაფერი.[1]

ასეთივე მდგომარეობა გვაქვს *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“* კიდევ ერთ ფრაგმენტში, სადაც „ეფრემიანობა“ დავით-სოსლანის პიროვნების ღირსებების წარმოსაჩენადაა გამოყენებული. მემატიანე წერს: *„ანუ ვისმცა ქება მიხდომოდა დავითის მოყმისა, ბაყათარისა და თარხნის მსგავსისა, ეფრემიანისა და დიდებულთა ბუმბერაზთა და მოყმეთა, მსგავსთა როსტომისთა და გივისთა“*.[2] ასეთივე დატვირთვა აქვს „ეფრემიანობას“ თამარ მეფის იამბიკოშიც, რომელიც შეტანილია *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“* ტექსტში: *„შუამფლობელი იავარს შენდა ეძრთელობ, ხალიფას დროშა თანავე მანიაკსა შევრთე, ცრუ-სჯულთა მოძლურისა ლაზოდ მძლეანი, ვინ დავით, ძეებრ ეფრემის მოისარმან, მორითხნა, მოსრნა სულტნითა, ათაბაგით“*.[3]

დავით-სოსლანის განდიდების მიზნით ახსენებს „ეფრემიანობას“ XIIს. მეხოტბე ჩახრუხაძეც, რომელიც თამარის მეორე ქმარს უწოდებს: *„ეფრემის ძირთა ალმორჩებულს“*, *„ეფრემის თჳსსა“* და *„ეფრემის ძირთა ისართა მთლელს“*.[4]

---

[1] ასეევა ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაშიც, სადაც აღნიშნულია, რომ დავით-სოსლანი იყო „ყრმა ეფრემის ძისაგან ოესთა მეფისა“ (იხ. *ქართლის ცხოვრება..*, ტ. IV, გვ. 176).

[2] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. II, გვ. 65.

[3] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. II, გვ. 75. მეფე თამარის „იამბიკო საეედრებელი ქართველთა შამქორს გამარჯვებისათჳის“ შესახებ დაწვრ. იხ.: პ. ინგოროყვა. თამარ მეფის იამბიკონი. – *მნათობი*, №3, 1941, თამარ მეფის იამბიკონი. – *მნათობი*, №3, 1941, გვ. 30-37.

[4] ივ. ლოლაშვილი. ძველი ქართველი მეხოტბენი, I, 1957, გვ. 19, 26, 21; ივ. ლოლაშვილი. დავით სოსლანის აკლდამის საიდუმლოება, გვ. 78.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, არავითარ მინიშნებას იმისა, რომ „ეფრემიანობის“ გამო დავით-სოსლანი მიუღებელი იყო საქართველოს სამეფო კარისთვის, ვერც *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანიში“* და ვერც რომელიმე სხვა თხზულებაში, სადაც ასევე ნახსენებია თამარის მეორე ქმრის „ეფრემიანობა“, ვერ ვხვდებით.

პირიქით, თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულების ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი ფრაგმენტიდან სრულიად გარკვევით ჩანს, რომ დავით-სოსლანის კანდიდატურას არა თუ არ შეხვედრია რაიმე წინააღმდეგობა, არამედ საყოველთაო მოწონება ჰქონია. მის კანდიდატურას ერთსულოვნად მხარს უჭერდნენ როგორც „ვაზირები“, ისე „დიდებულნი იმერნი და ამერნი“. რასაკვირველია, აღნიშნული სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ ქორწინებას საერთოდ არ ჰყავდა მოწინააღმდეგენი. მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ეტაპზე მათ გაჩუმება არჩიეს და მხოლოდ მაშინ გადადგეს კონკრეტული ნაბიჯები, როდესაც ამისთვის შესაფერისი მომენტი დაინახეს.[1]

როგორც ცნობილია, ამ ძალებმა 1191 წელს კინაღამ დაამხეს თამარ-დავითის ხელისუფლება. ერთი სიტყვით, სავსებით შესაძლებელია, რომ მართლაც არსებობდა რაღაც მიზეზი, რომლის გამოც საქართველოს სამეფო კარზე გარკვეულ წრეებს არ სურდათ დავით-სოსლანი თამარის ქმრად, მაგრამ ეს მიზეზი ნამდვილად არ იყო ოვსი უფლისწულის „ეფრემიანობა“, რომლის გამოც ის შეიძლებოდა არ ეცნოთ თამარის ღირსად. როგორც ცნობილია, საქართველოს მეფეები არასოდეს გაურბოდნენ დინასტიურ ქორწინებებს ოვსეთის სამეფო სახლის წარმომადგენლებთან. თუნდაც რად ღირს ის

---

[1] იმის შესახებ, თუ რატომ მაინცდამაინც თამარის მეორე ქორწინებიდან 3-4 წლის შემდეგ გახდა აქტუალური გიორგი „რუსის“ მობრუნება სასახლეში, იხ.: **ზ. პაპასქირი.** XIIს. საქართველოს შინაპოლიტიკური ცხოვრების ერთი მოვლენის გაგების საკითხისათვის. – *საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში ახალგაზრდა მეცნიერთა II რესპუბლიკური კონფერენციის მასალები.* თბ., 1980.

ფაქტი, რომ XI-XII საუკუნეებში ჩვენთვის ცნობილი საქართველოს 5 დედოფლიდან ორი (ბორენა, ბურდუხანი) ოვსეთის მეფეთა ასული იყო. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ აზრი იმის შესახებ, თითქოს *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“* ავტორის მიერ დავით-სოსლანის „ეფრემის ძეობაზე“ ხაზგასმა გარკვეულ პოლიტიკურ მიზანს ისახავდა და შეფარვით თამარის მეორე ქმრის ღირსების შელახვისკენ იყო მიმართული, უნდა გადაისინჯოს.

დავით-სოსლანის წარმომავლობასთან დაკავშირებით მკვლევართა გარკვეული ინტერესი გამოიწვია ცნობამ იმის შესახებ, რომ ის იყო გიორგი I-ის და ოვსთა მეფის ასულ ალდას (გიორგი I-ის ე.წ. „მეორე ცოლის“) შვილის, დემეტრე უფლისწულის შთამომავალი. ეს ცნობა გვიანდელია და ეკუთვნის ვახუშტი ბაგრატიონს. აი, რას წერს ბატონიშვილი ისტორიკოსი ამასთან დაკავშირებით: *„ესე დავით იყო მეფის გიორგი ძის დიმიტრისაგან, რომელი წინარეცვე ვახსენეთ, რამეთუ დიმიტრის ანაკოფიას აფხაზეთს დაშთა ძე და ივლტოდა ბებიით ოვსეთს; მუნ შვილებულმან იქორწინა ოვსთა მეფის ასულსა ზედა და ძე იგი მისი ოვსეთს მყოფი მამულით იწოდა მეფედ ოვსთა და ძის ძის-ძე დიმიტრისა, და ამ დავითის მამა შერთეს რუსუდანს, რომელმან შეიყუარა ქალწულება ოთხმოცისა წლისა დღეთა, ხოლო ესე ნუ გიკჳრნ, რამეთუ ორნი ესე რუსუდან დანი იყვნენ: თამარის გამზრდელი ხვარასნის სულტნის ცოლი იყო, და და მისი რუსუდანვე შემყუარე ქალწულებისა ოვსთა მეფის რძალი იყო; ორნივე დანი იმყოფებოდნენ სახლსა თჳსსა. ხოლო ქმარსა ამისსა სხუას ცოლთან ესუა ძე დავით, რომელი წარმოიყვანა ამან რუსუდან და აღზარდა ძედ თჳსად, არამედ ეყოდა თამარს დედით, რამეთუ დედა თამარისა ოვსთა მეფის ქალი იყო. რამეთუ დედით მესამე ნათესავი იყო, ხოლო დიმიტრით მეხუთე, და იყო წარჩინებული შეუნიერებითა და ახოვნებითა და სალმთო-სამჴედროთი სრული“.*[1]

---

[1] *ქართლის ცხოვრება*., ტ. IV, გვ. 176.

საინტერესოა, რომ ვახუშტი არ აზუსტებს, თუ კონკრეტულად რომელი წყაროდან აქვს მას აღებული ინფორმაცია ბიზანტიაში გახიზნული დემეტრე უფლისწულის ვაჟის ოვსეთში დამკვიდრების შესახებ, თუმცა აღნიშნავს, რომ ამის შესახებ რაღაც „წერილი“ (დაწერილი მასალა) არსებობდა. აი, მისი კომენტარი: *„ბოლო დაიდუმა მწერალმან* (თამარის ცხოვრების აღმწერმა მემატიანემ — **ი.ჯ.**) *დავითის დიმიტრის ჩამომავლობა, ვინათგან... არღარა ნათესავ იყო თამარისა, არამედ იმისთვის... ახსენა დედით, ვინათგან უახლოეს იყო; გარნა წერილი მუნვე აცხადებს, დავითის დიმიტრის ძეობასა“*.[1] იქვე ვახუშტი ბატონიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თამარი მხოლოდ მაშინ დათანხმდა ოვს უფლისწულზე დაქორწინებას, როდესაც მისი „ბაგრატიონობა სცნა“.[2] დავით-სოსლანი რომ ნამდვილად ბაგრატიონთა ჩამომავალი იყო, ვახუშტის თქმით, ამის *„მოწამე არს მცირე ეკლესია კასრის... ხევსა შინა, სადაცა დახატულ არიან და დაწერილნი ზედ დიმიტრი და ძე მისი დავით, რომელი ქმარი იყო თამარისა; არამედ ეფრემის ძეობა ნუ გიკვირს.., ვინა დგან... ოვსეთს მკვიდრობდნენ: მუნებრი გვარი ახსენა და არღარა დიმიტრით... ბაგრატიონობა“*.[3]

ამრიგად, ვახუშტი ბაგრატიონს მოეპოვება დამატებითი ინფორმაცია დავით-სოსლანის წარმომავლობაზე, რომელიც ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს თამარის მეორე ქმრის მამის ხაზით ბაგრატიონობას. ვახუშტი ბატონიშვილისეულმა ვერსიამ ასახვა ჰპოვა *„ქართლის ცხოვრების“* გვიანდელ (ვახტანგ VI-ის შემდგომი ხანის) ხელნაწერებში. ასე, მაგალითად, *„ქართლის ცხოვრების“* ე.წ. რუმიანცევისეულ ნუსხაში ე.წ. *„მატიანე ქართლისაჲს“* ტექსტს აქვს რამდენიმე რედაქციული ხასიათის მინაწერი: 1) *„ამის გიორგის ძე და ძმა ბაგრატ მეფისა ესე დიმიტრი, რომელი აქ დაუწერიათ, ამის*

---

[1] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. IV, გვ. 176.
[2] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. IV, გვ. 176-177.
[3] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. IV, გვ. 177.

ნათესავისაგან იყო ქმარი თამარ მეფისა"; 2) *„მიკურს მეფის თამარის ქმარი ხომ ამ დემეტრეს თესლისაგან იყო, და რატომ არ დაწერეს ან რა ხნისა მოკუდა და ვის ქალთან დარჩა შვილი"*; და 3) *„აქ სცან ბაგრატოვანება დავითისი, თუ იყო თუა არა. დიმიტრის მეექუსე ნათესავი იყო"*.[1] შესაბამისი განმარტებები ვახტანგ VI-ის შემდგომი პერიოდის ხელნაწერებში (გარდა თეიმურაზისეული ნუსხისა) მოცემულია აგრეთვე *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის"* თხზულების ტექსტშიც. აქ სწერია: *„რამეთუ ოვსთა მეფის შვილი იყო ყრმა იგი და გუარადცა ბაგრატოანი, რამეთუ დიმიტრი, ძე გიორგი მეფისა, რომელი დაშთა ოვსთა მეფის ქალისაგან, მის დიმიტრის მეექუსე ნათესავი იყო, ძეთაგან მისთა"*.[2]

ბაგრატიონთა ოვსეთში დამკვიდრების ამბავი ცნობილი ყოფილა ანტონ I კათოლიკოსისთვისაც, რომელსაც ის ამოუკითხავს *„ძველთა შინა მატიანეთა საქართველოჲსათა"*. ამ მატიანეებში გადმოცემული ისტორიის თანახმად, თამარის მეორე ქმარი ყოფილა *„ძე ოვსთა მთავრისა, სახელით დავით, რომელი იყო მისივე დავითიან-ბაგრატიონისა შთამომავლობათაგან ესრეთ, რამეთუ: მეფენი ვინმე იყვნეს ძმანი ორნი ამისვე სამეფოისანი, დავითიან-ბაგრატოვანნი, შვილთაგან მრავალჯერ მოხსენებულისა გურამისთა. პირველსა უკვე ძმასა ეწოდა დიმიტრი და მეორესა გიორგი. დიმიტრი უკვე იყო მეფედ, მაგრამ ძმამან გიორგი მიულო მეფობა. და ძე უკვე ესვა ერთი ყმა მცირე მეფესა დიმიტრის. იგიცა მისტაცა ძმამან მისმან გიორგი და მისცა ოვსთა მთავარს მზეველად. ხოლო მთავარი იგი ოვსეთისა იყო უშვილო და მემკვიდრედ თჳსსა შეიწყნარა ყმა იგი. და მაშინ ოვსნი და ყაბარდოელნი იყუნეს ყოველნი ქრისტიანენი. და ამის ყრმისაგან იშვნეს მრავალნი ოვსეთსა შინა. ხოლო შემდგომად ამის მრავალ*

---

[1] *ქართლის ცხოვრება*.., ტ. II, გვ. 291, სქოლიო 2.

[2] *ქართლის ცხოვრება*.., ტ. II, გვ. 46, სქოლიო 4. იგივე ტექსტი მოცემულია „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი"-ს ტექსტშიც. იხ.: *ქართლის ცხოვრება*.., ტ. II, გვ. 121, სქოლიო 6.

წელთა მისცა და თვისი რუსუდან ცოლად მეფემან გიორგი, მამამან თამარისამან, მთავარსა ოვსთასა ბაგრატოვანსა. ხოლო ჟამსა სიჭაბუკისასა დაქვრივდა ქალი იგი და მოიქცა ძმისაცე თუსისა საქართველოდ და მოიყვანა თვისთა თანა ძე მაზლისა თუსისა ყრმა დავით, ქმარი თამარისი, და აღზარდა იგი. ხოლო გიორგი ასულიცა თვისი თამარ მისცა აღზრდად დასა მას თუსსა რუსუდანს“.[1]

მიუხედავად იმისა, რომ ანტონ კათოლიკოსს ნამდვილად აქვს არეული გიორგი I-ის ვაჟთან, დემეტრე უფლისწულთან დაკავშირებული ამბავი (მას შეცდომით დემეტრე უფლისწული გიორგის ძმად მიაჩნია), დემეტრეს ვაჟის ოვსეთში გაგზავნისა და იქ ოვსთა მთავრის მიერ მისი მიშვილების ფაქტი უთუოდ საყურადღებოა და მისი შეჯერება ვახუშტის ცნობასთან შეიძლება. როგორც ზემოთ დავინახეთ, ვახუშტიც წერს, რომ ანაკოფიას დარჩენილი დიმიტრის ძე *„იქმნა ბებიით ოვსეთს; მუნ შვილებულმან“* კი *„იქორწინა ოვსთა მეფის ასულსა ზედა“*. და მაინც, ანტონ კათოლიკოსის ცნობა ზუსტად არ იმეორებს ვახუშტის მონათხრობს, ეს კი გვაფიქრებინებს იმას, რომ ის სხვა წყაროთი სარგებლობდა.

არანაკლებ საინტერესოა იოანე ბატონიშვილისეული ვერსია, რომელიც მას მოცემული აქვს *„ქართლის ისტორიაში“*. მასში ვკითხულობთ: *„მოესმათ დიდებულთა ანბავი ესე, რომელ არს ოსთა მეფისა ეფრემ ბაგრატიონისასა შვილობილად აყვანილი ძე გიორგი მეფის ძის დიმიტრისა შთამომავლობისაგან, ვითარცა სწერია ეკლესიასა კასრის ხევისასა და არსცა დაბატულ და ეგრეთვე აღწერასა შინა გუართა მეფეთასა, ესრეთ: მეფე დიმიტრი, და დიმიტრის ძე დავით, ძე დავითისა ათონ, და ძე ათონისა ჯადარონ, და ძე ჯადარონისა სოსლან დავით. რამეთუ დიმიტრის დაშთა ძე დავით ანაკოფიას და გარემოებების გამო განიქცა ბებიითურთ თუსით და მივიდა ოვსთა მეფისა ეფრემისად: და ამას ჰყვა ქალი*

[1] ივ. ლოლაშვილი. რუსთაველი და თამარის.., გვ. 38-39.

მშვენიერი და მიათხოვა ამა დავითსა. იხილე ოლთისელის გიორგი ხუცის აღწერილსა შინა: და შემდგომად ორისა წლისა შვა ძე ათონ და მოკუდა დედა ყრმისა მის. და იგი ყრმა თვით ეფრემმან აღიყუანა შვილად თვისად, ხოლო დავით მოვიდა ქართველსავე. და ამა ათონის შვილის შვილი იყო სოსლან დავით და ამისათვის უწოდენ ეფრემის ძეთაგანს, ვინაიდგან პაპა ამისი ეფრემმან აღზარდა".[1]

იოანე ბატონიშვილის ამ ცნობაში განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ მას ხელთ ჰქონია ვინმე „ოლთისელის გიორგი ხუცის აღწერილი" ისტორია.

აკად. კ. კეკელიძის აზრით, არაა გამორიცხული, რომ იოანე ბატონიშვილის მიერ ნახსენები „ოლთისელი გიორგი" იყოს XIს. II ნახევრის მოღვაწე გიორგი ოლთისარი, რომელიც გიორგი მთაწმინდელის გარდაცვალების შემდეგ იყო ათონის ქართველთა მონასტრის წინამძღვარი (დაახლ. 1065-1075წწ.).[2] ეს თუ ასეა, მაშინ, ბუნებრივია, ინფორმაცია დავით-სოსლანის გიორგი I-ის ვაჟის დემეტრე უფლისწულის ძისაგან ჩამომავლობის შესახებ მეტ ნდობას იმსახურებს.

როგორც ვხედავთ, შუა საუკუნეების ქართულ საისტორიო ტრადიციას ნამდვილად ჰქონდა შემონახული სრულიად კონკრეტული ინფორმაცია დემეტრე უფლისწულის ვაჟის ოვსეთში დამკვიდრებისა და იქ ქართველ ბაგრატიონთა გვერდითი შტოს გაჩენის შესახებ.

მიუხედავად ამისა, მკვლევრები თავდაპირველად მაინც იჩენდნენ ერთგვარ სიფრთხილეს და გვერდს უვლიდნენ ამ ფაქტს. კერძოდ, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობას მაინცდამაინც სარწმუნოდ არ მიიჩნევდა აკად. მ. ბროსე[3]. ასეთივე პოზიცია ეკავა ოსეთის ისტორიის ცნობილ მკვლევარს ვ. პფაფს, რომელიც ამასთან დაკავშირებით აცხადებდა, რომ ვახუშტი

---

[1] კ. კეკელიძე. ერთი მომენტი.., გვ. 314.
[2] კ. კეკელიძე. ერთი მომენტი.., გვ. 315.
[3] M. Brosset. Historie de la Georgie, I, St. P., 1829, გვ. 421.

„сильно запутывает дело“.[1] მათგან განსხვავებით, უფრო ოპტიმისტურად იყო განწყობილი მ. ჯანაშვილი, რომელმაც საჭიროდ ჩათვალა ვახუშტის მიერ მიწოდებული ინფორმაციის შეტანა ჩრდილოეთ კავკასიაზე ქართული მატიანეების ცნობების რუსულ პუბლიკაციაში[2].

ივ. ჯავახიშვილი თამარის მეორე ქორწინების გაშუქებისას აღნიშნავდა, რომ თამარის საქმრო იყო „ოსთა მეფის შთამომავალი, დედით ქართველ ბაგრატიონთა ასულის შვილი“[3] და გვერდს უვლიდა დავით-სოსლანის მამის ხაზითაც ბაგრატიონობას. ეს გარემოება სავსებით სამართლიანადაა მიჩნეული იმის დასტურად, რომ დიდ მეცნიერს, როგორც ჩანს, ეჭვი შეჰქონდა ოვსი უფლისწულის წარმომავლობის ვახუშტისეულ ინტერპრეტაციაში.[4]

თავისი დიდი მასწავლებლისაგან განსხვავებით, აკად. ს. ჯანაშია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ვახუშტი ბაგრატიონის ცნობას და მის საფუძველზე თვლიდა, რომ დავით-სოსლანი ეკუთვნოდა ბაგრატიონების ქართული სამეფო დინასტიის გვერდით შტოს, რომელიც ოსეთში XI საუკუნეში დამკვიდრდა და ცნობილია ბაგრატიონ-ეფრემისძის სახელით.[5]

ამ თვალსაზრისმა ქართულ ისტორიოგრაფიაში განსაკუთრებით მოიკიდა ფეხი XXს. 60-იანი წლებიდან, როდესაც ქართველი მეცნიერები გამოეხმაურნენ ჩრდილოეთ ოსეთში, ნუზალის ეკვდერში აღმოჩენილი მამაკაცის ნეშტის იდენტიფიკაციის ირგვლივ ატეხილ აჟიოტაჟს. ამ თემას საგაზეთო

---

[1] **В. Пфаф.** Путешествие по ущельям Северной Осетии. – *Сборник сведений о Кавказе*, I, 1871, გვ. 32.

[2] **М. Г. Джанашвили.** Известия грузинских летописей о Северном Кавказе и России. – *Сборник по описанию местностей и племён Кавказа*, вып. 22. Тифлис, 1897, გვ. 33.

[3] **ივ. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია, წ. II.., გვ. 379.

[4] **გ. თოგოშვილი.** ვახუშტი ბაგრატიონი ოსეთისა და.., გვ. 81.

[5] ს. ჯანაშიას ეს დასკვნა მოცემულია მის საგაზეთო კომენტარში, (იხ.: Раскопки в Северной Осетии. – გაზ. *„Заря Востока“*, №123, 1946).

პუბლიკაციებში შეეხნენ მ. დუმბაძე[1] და ი. მეგრელიძე,[2] ხოლო ივ. ლოლაშვილმა სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა მას, რომელშიც დამაჯერებლად დაასაბუთა დავით-სოსლანის „ორთავე კერძოთა გვართაგან“ ბაგრატიონობა.[3] დავით-სოსლანის ბაგრატიონობას აღიარებს მ. ლორთქიფანიძე.[4] უკანასკნელ ხანს ამ საკითხზე საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება აკად. რ. მეტრეველმა. მან, სათანადო მასალების მოშველიებით, დაადასტურა ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული თვალსაზრისის სისწორე.[5]

მიუხედავად ამისა, ზოგიერთ ნაშრომში მაინც ვხვდებით დავით-სოსლანის მამის ხაზითაც ბაგრატიონობის უარყოფის მცდელობას. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ საქართველო-ოვსეთის ურთიერთობის აღიარებული მკვლევარი გ. თოგოშვილი, რომელმაც დავით-სოსლანის მამის ხაზით ბაგრატიონობის ვახუშტი ბატონიშვილისეული ახსნა ბუნდოვნად და არადამაჯერებლად მიიჩნია.[6] მისი მტკიცებით, თამარის მეორე ქმრის ბაგრატიონად (მამის ხაზითაც) გამოცხადება უნდა აიხსნას ვახუშტი ბაგრატიონის „დინასტიურ-პატრიოტული ინტერესებით“.[7] აქედან გამომდინარე, გ. თოგოშვილის აზრით, „ამ საკითხის წინ წამოწევა და ვახუშტის ამ სუბიექტური მოსაზრების სინამდვილედ მიჩნევა მეცნიერულად მცდარია“.[8]

უფრო შორს მიდიან ოსეთის ისტორიის რუსი და ოსი მკვლევრები, რომლებიც საერთოდ უარყოფენ დავით-სოსლა-

---

[1] **М. К. Думбадзе.** Ещё раз о Давиде-Сослани. – გაზ. *„Вечерний Тбилиси“*, №304, 1966.

[2] ი. მეგრელიძე. დავით სოსლანის შესახებ, – გაზ. *„წიგნის სამყარო“*, №23, 1971.

[3] იხ.: ივ. ლოლაშვილი. დავით სოსლანის აკლდამის...

[4] **М. Д. Лордкипанидзе.** История Грузии XI-начала XIII века. Тб., 1974, გვ. 150.

[5] რ. მეტრეველი. მეფე თამარი. თბ., 1991, გვ. 158-163.

[6] გ. თოგოშვილი. ვახუშტი ბაგრატიონი.., გვ. 81.

[7] გ. თოგოშვილი. ვახუშტი ბაგრატიონი.., გვ. 81.

[8] გ. თოგოშვილი. ვახუშტი ბაგრატიონი.., გვ. 81.

ნის ბაგრატიონობას, როგორც მამის, ისე დედის ხაზითაც. ასე, მაგალითად, ჯერ კიდევ 1946 წელს არქეოლოგმა ე. პჩელინამ სამეცნიერო საზოგადოებას გააცნო თავისი ნაშრომი *„Нузальская часовня в Северной Осетии“*,[1] რომელშიც ნუზალის ეკვდერის ქართული წარწერის (მასში მან ამოიკითხა „ათონ, ჯადრონ, სოსლან“) საფუძველზე დაასკვნა, რომ აქ მოხსენიებული სოსლანი არის თამარის მეორე ქმარი. ამასთან, იმავე ეკვდერში აღმოჩენილი მამაკაცის გვამი რატომღაც ასევე მიიჩნია დავით-სოსლანისად. მკვლევრის აზრით, დავით-სოსლანი იყო ცარაზონთა ოსური საგვარეულოს წარმომადგენელი, რომელთა საგვარეულო საძვალედაც ოსებში ითვლებოდა ნუზალის ეკვდერი.

ე. პჩელინას ამ „აღმოჩენას“ დიდი გამოხმაურება მოჰყვა მოგვიანებით, XXს. 60-იან წლებში, როდესაც დაიწყო ნუზალის ეკვდერში აღმოჩენილი ე.წ. დავით-სოსლანის ნეშტის ანთროპოლოგიური შესწავლა და მისი ფიზიკური გარეგნობის რეკონსტრუქცია. ეს საქმე ითავა ქირურგმა თეიმურაზ მამუკაევმა, რომელმაც 1969 წელს გამოაქვეყნა კიდეც ამ პრობლემისადმი მიძღვნილი სპეციალური ნაშრომი.[2] მასში ავტორი დავით-სოსლანის შესახებ არსებული ლიტერატურული, ისტორიული და ფოლკლორული მასალებისა და ნუზალის ეკვდერში აღმოჩენილი ნეშტის ანთროპოლოგიური, პალეოპათოლოგიური შესწავლის საფუძველზე ასკვნიდა, რომ ნეშტი ეკუთვნოდა დავით-სოსლანს.[3]

---

[1] ე. პჩელინას ამ ნაშრომის შესახებ ინფორმაცია პირველად გამოაქვეყნა გაზეთმა *„Заря Востока“*-მ 1946 წლის 123-ე ნომერში სათაურით: *„Раскопки в Северной Осетии“* (მას დართული ჰქონდა აკად. ს. ჯანაშიას კომენტარი). მოგვიანებით ამ ნაშრომისა და ჩრდილოეთ ოსეთში ამ მიმართულებით ჩატარებული სამუშაოების გამოწვლილვითი ანალიზი გააკეთა ივ. ლოლაშვილმა. იხ.: **ივ. ლოლაშვილი.** დავით სოსლანის აკლდამის...

[2] **Т. Б. Мамукаев.** Тайна Нузальской часовни. Орджоникидзе, 1969.

[3] **Т. Б. Мамукаев.** Тайна Нузальской часовни.., გვ. 104-105. ამის შესახებ იხ.: **ივ. ლოლაშვილი.** დავით სოსლანის.., გვ. 24-25.

ე. პჩელინასა და თ. მამუკაევის თვალსაზრისი მთლიანად გაიზიარა ცნობილმა ოსმა მეცნიერმა, შემდგომ ოსური სეპარატიზმის ერთ-ერთმა იდეოლოგმა ი. გაგლოითიმ, რომელმაც კატეგორიულად განაცხადა, რომ საისტორიო წყაროები არ ადასტურებენ თამარის მეორე ქმრის ბაგრატიონობას არც დედის და არც მამის მხრიდან, რომ ნუზალის აკლდამაში სწორედ დავით-სოსლანია დაკრძალული, რადგან ის ეკუთვნის ცარაზონთა ოსურ გვარს, ოსებში კი არსებობდა მიცვალებულთა საგვარეულო აკლდამებში დასაფლავების ჩვეულება.[1]

ჩვენ, რასაკვირველია, ვერ ჩავერევით ისეთი სპეციფიკური საკითხის გარკვევაში, როგორიცაა ნუზალის ეკვდერში აღმოჩენილი მამაკაცის ნეშტის ანთროპოლოგიური და პათოლოგანატომიური შესწავლა და ამის საფუძველზე პიროვნების იდენტიფიკაცია,[2] მაგრამ აღვნიშნავთ, რომ განცხადება იმის შესახებ, თითქოს საისტორიო წყაროები არ ადასტურებენ დავით-სოსლანის ბაგრატიონობას, მტკნარი სიცრუეა. ი. გაგლოითი აშკარად არაფრად აგდებს ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის ცნობას, რომელშიც პირდაპირაა მითითებული, რომ *„თამარის ქმარი დავით იყო ოვსთ მეფე, ტომით ბაგრატიონთა“*[3] და ამ ინფორმაციის გაჩენას მატიანეში რატომღაც პოლიტიკური კონიუნქტურით ხსნის. კერძოდ, ამით მემატიანე თითქოს ცდილობდა ლაშა-გიორგის მამის ხაზითაც ბაგრატიონობის ხაზგასმას.[4]

მკვლევარი ასევე უნდობლად ეკიდება *„ისტორიანი და*

---

[1] **Ю. С. Гаглоиты.** Средневековые летописи.., გვ. 120-127; **ივ. ლოლაშვილი.** დავით სოსლანის აკლდამის.., გვ. 23-24.

[2] აღსანიშნავია, რომ თვით ოს მეცნიერებში არის სხვა აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ, ფიქრობენ (ბ. ალბოროვი), რომ ნუზალის აკლდამაში ნაპოვნი მამაკაცის ნეშტი ეკუთვნის არა დავით-სოსლანს, არამედ ბაყათარ-ოვსს. ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: **ივ. ლოლაშვილი.** დავით სოსლანის აკლდამის საიდუმლოება, გვ. 19-20.

[3] *ქართლის ცხოვრება.* მთ. რედაქტორი *რ. მეტრეველი,* გვ. 354.

[4] **Ю. С. Гаглоиты.** Средневековые летописи.., გვ. 123.

აზმანი შარავანდედთანის“ ცნობას იმის შესახებ, რომ თამარის საქმრო – ოვსი უფლისწული იყო „ორთავე კერძოთა გუართაგან საჴელმწიფო“.[1] არადა, ეს ცნობა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, ვინაიდან მასში არის პირდაპირი მინიშნება იმისა, რომ ოვსი უფლისწული ორივე (როგორც დედის, ისე მამის) მხრიდან იყო სამეფო გვარის. ამ სამეფო გვარში კი უდავოდ იგულისხმება ბაგრატიონთა გვარი. აღსანიშნავია, რომ გ. თოგოშვილი ფაქტობრივად აღიარებს ამ ცნობის ამგვარ გაგებას.[2]

აბსოლუტურად მიუღებელია ოს მკვლევართა მცდელობა, დავით-სოსლანი მიაკუთვნონ ცარაზონთა საგვარეულოს და ამით ახსნან მისი დასაფლავება ნუზალის აკლდამაში. ამ თვალსაზრისს, პირველ რიგში, ეწინააღმდეგება ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის ცნობა იმის შესახებ, რომ დავით-სოსლანი დასაფლავებულია გელათში. *„წარიყვანეს მაშინვე გელათს,* – წერს მემატიანე. – *დამარხეს საფლავსა მამისა მისისა“*:[3] ე.ი. აქ სავსებით ცხადადაა მითითებული, რომ დავით-სოსლანი გელათს დაკრძალეს. მართლაც ძნელი დასაჯერებელია, რომ თამარ მეფეს დაეშვა თავისი თანამეცხედრის არა სამეფო საძვალეში დაკრძალვა. როგორც სავსებით სამართლიანად მიუთითებდა ცნობილი ქართველი ისტორიკოსი მ. დუმბაძე, ქრისტიანული წესით ცოლ-ქმარი ერთად უნდა დაეკრძალათ. აქედან გამომდინარე დავით-სოსლანი იქვე უნდა იყოს დაკრძალული, სადაც თამარი.[4]

აღსანიშნავია, რომ არც ე. პჩელინასა და თ. მამუკაევს შეაქვთ ეჭვი ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის ცნობაში მოყვანილი ფაქტის რეალურობაში და ისინიც ვარაუდობენ,

---

[1] *ქართლის ცხოვრება..,* ტ. II, გვ. 46.

[2] გ. თოგოშვილი. ვახუშტი ბაგრატიონი.., გვ. 77.

[3] *ქართლის ცხოვრება.* მთ. რედაქტორი *რ. მეტრეველი,* გვ. 357, ხაზგასმა ჩვენია – **ი.ჯ.**

[4] **М. К. Думбадзе.** Ещё раз..; **იხ.** ლოლაშვილი. დავით სოსლანის აკლდამის.., გვ. 72.

რომ დავით-სოსლანი თავდაპირველად შეიძლება მართლაც გელათში დაასაფლავეს, მაგრამ, მათი აზრით, ცარაზონები თავიანთ დიდ ნათესავს იქ არ დატოვებდნენ და ოსური ჩვეულების თანახმად, ნუზალში საგვარეულო აკლდამაში გადაასვენებდნენ[1]. სრულიად აშკარაა, რომ ამ ვარაუდს გააჩნია ერთი სერიოზული ნაკლი, როგორც სავსებით სამართლიანად მიუთითა ი. ლოლაშვილმა: ოსურ გადმოცემებში, რომლებსაც ასე ბრმად ენდობიან ე. პჩელინა და თ. მამუკაევი, არაფერია ნათქვამი დავით-სოსლანის გელათიდან ნუზალში გადასვენებაზე.[2]

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თამამად შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ნებისმიერი მცდელობა ეჭვს ქვეშ დადგეს დავით-სოსლანის *„ორთავე კერძოთა გუართაგან“* ბაგრატიონობა, უპერსპექტივოა. ჩვენ ასევე ვთვლით, რომ დავით-სოსლანის წარმომავლობის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონისეულ კომენტარში არაფერია მაინცდამაინც დაუჯერებელი.

ასე რომ, ქართულ ისტორიოგრაფიაში შემუშავებული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ დავით-სოსლანი იყო ქართველ ბაგრატიონთა გვერდითი შტოს (რომელსაც სათავე დაუდო ოვსეთში დამკვიდრებულმა გაერთიანებული საქართველოს მეორე მეფის გიორგი I-ის ვაჟის – დემეტრე ბაგრატიონის შვილმა), წარმომადგენელი, გადასინჯვას არ საჭიროებს.

მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნული სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დავით-სოსლანის წარმომავლობის შესახებ ვახუშტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში ყველაფერი სწორია და უკრიტიკოდ მისაღებია. პირველ რიგში, მხედველობაში გვაქვს ცნობა იმის შესახებ, რომ თამარის საქმრო ოვსი უფლისწული ყოფილა გიორგი III-ის დის რუსუდანის ქმრის ვაჟი პირველი ცოლისაგან. ოღონდ ეს რუსუდანი სხვაა და არა ის ცნობილი რუსუდან დედოფალი, ხვარასნის სულტნის ცოლყოფილი, რომელიც აქტიურად ფიგურირებს XIIს. 60-

[1] იხ. ლოლაშვილი. დაეით სოსლანის აკლდამის.., გვ. 117.
[2] იხ. ლოლაშვილი. დაეით სოსლანის აკლდამის.., გვ. 117.

80-იანი წლების მოვლენებში. ვახუშტის თქმით, ამ რუსუდანს თავისი ქმრის ვაჟი აღუზრდია „ძედ თჳსად“. როგორც ვხედავთ, ვახუშტის ეს განმარტება წინააღმდეგობაში მოდის *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“* ცნობასთან, რომლის მიხედვითაც დავით-სოსლანი რუსუდან დედოფალს ნათესავად ერგებოდა არა მისი დის, კიდევ ერთი რუსუდანის (რომლის არსებობა თამარ მეფის პირველმა მემატიანემ არ იცის) მეშვეობით, არამედ *„მამისდისა მისისა დავითის ასულისა ოვსეთს გათხოვილობისა მიზეზითა“*.

ამ წინააღმდეგობის დაძლევა მოინდომა კ. კეკელიძემ, რომელმაც მიიჩნია, რომ რუსუდანი ერქვა სწორედ დავით აღმაშენებლის ასულს, რუსუდან დედოფლის მამიდას და არა მის დას.[1] ივ. ლოლაშვილის აზრით კი, ვახუშტი აშკარად ცდება, რადგან რუსუდანი ერქვა არა გიორგი III-ის კიდევ ერთ დას, არამედ მის ასულს, თამარის დას, რომლის ოვსეთში გათხოვების შესახებ არაფერია ცნობილი.[2] ერთი სიტყვით, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობაში მართლაც შეიძლება ყველაფერი ზუსტი არ იყოს, მაგრამ, ვფიქრობთ, მაინც არ გვაქვს უფლება, კატეგორიულად უარვყოთ დავით-სოსლანის წარმომავლობის შესახებ ქართულ საისტორიო ტრადიციაში საკმაოდ ფეხმოკიდებული ვერსია.[3]

დავუბრუნდეთ *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“* ცნობებს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების საქართველოსთან

---

[1] კ. კეკელიძე. რუსთველოლოგიური შტუდიები. – *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, IV. თბ., 1957, გვ. 1-7.

[2] ივ. ლოლაშვილი. დავით სოსლანის აკლდამის.., გვ. 83. თამარის დის – რუსუდანის შესახებ სრული ინფორმაცია იხ.: **М. М. Бердзнишвили.** Второй историк царицы Тамар и его сочинение. – წგნ.: *Жизнь царицы цариц Тамар.* Перевод и введение ***В. Д. Дондуа.*** Исследование и примечания ***М. М. Бердзнишвили.*** Тб., 1985, გვ. 17-19.

[3] ამის შესახებ იხ. აგრეთვე: ი. ჯიჭონაია. საისტორიო ტრადიცია დავით სოსლანის ბაგრატიონობის შესახებ. – *საისტორიო ძიებანი.* V. თბ., 2002, გვ. 25-42. ელექტრონ. ვერსია: http://sites.google.com/site/saistoriodziebani/dziebani2002.

ურთიერთობის შესახებ. შემდეგი ცნობა, რომელიც ამ კუთხით იქცევს ჩვენს ყურადღებას, ეხება ოვსებისა და ყივჩაყების ყოფნას საქართველოს სამეფო კარზე. მემატიანე, შარვანშაჰ აღსართანის საქართველოში სტუმრობისა და მისი სამეფო სასახლეში მიღების ცერემონიალის აღწერისას, გვამცნობს:

„პირველად რა გამოვიდეს ტფილისით ქალაქით, მიეგებნეს წინა ოვსნი და ყივჩაყნი ახალნი; და შემდგომად ამისა ჰერნი და კახნი; შემდგომად ქართველნი; და შემდგომად მესხნი და თორელნი, შავშ-კლარჯ-ტაოელნი; შემდგომად სომხითარნი; შემდგომად აფხაზნი და სუან-შევრელ-გურიელნი თანა რაჭა-თაკუერ-მარგუელითურთ და თუთ კარვის კარსა ჴელისუფალნი და შინაურნი“.[1]

მოცემულ კონტექსტში ოვსთა და „ყივჩაყთა ახალთა“ მოხსენიება აშკარად მიუთითებს, თუ რამდენად „შინაურად“ ითვლებოდნენ ისინი იმდროინდელ საქართველოში. ამ შემთხვევაში თითქოს ისინი არ არიან უბრალოდ დაქირავებულნი. მათთვის იგივე ფუნქციის დაკისრება, რაც ევალებოდათ სრულიად საქართველოს მკვიდრთ, აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ისინი არანაკლებ იყვნენ ინტეგრირებულნი საერთოქართულ სახელმწიფოებრივ ორგანიზმში.

ოვსების ჩართვა საქართველოს მკვიდრთა რიცხვში მაინცდამაინც მოულოდნელი არ უნდა იყოს. ოვსეთი ნამდვილად არ იყო საქართველოს ჩვეულებრივი ყმადნაფიცი ქვეყანა. საფიქრებელია, რომ ამ დროს არა თუ საქართველოში, არამედ თვით ოვსეთშიც კი ძალიან ძლიერი იყო ერთიანი ქართული პოლიტიკურ-კულტურული სამყაროსადმი მიკუთვნების შეგრძნება. ამის ერთგვარი გამოხატულება უნდა იყოს ის ოსური ხალხური გადმოცემები, რომლებშიც ოსეთში არსებული თითქმის ყველა ეკლესია-მონასტერი თამარ მეფის მიერ აგებულადაა მიჩნეული.

რასაკვირველია, როგორც თავის დროზე სავსებით სამართლიანად მიუთითებდა ოსეთის სიძველეთა დიდი მცოდნე

---

[1] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. II, გვ. 65.

ვ. პფაფი, წარმოუდგენელია ამდენი ეკლესია-მონასტერი მხოლოდ თამარის ეპოქაში იყოს აშენებული,[1] მაგრამ ისიც ცხადია, რომ თამარისა და დავით-სოსლანის ეპოქა ამ მხრივ სრულიად გამორჩეული იქნებოდა. ამ პერიოდის ძეგლებიდან საგანგებოდ გამოყოფენ წმინდა გიორგის ეკლესიას სოფ. ძივგისში, ეკლესიას სოფ. გულიში, ზემოთ ნახსენებ ნუზალის ეკვდერს, რეკომის ეკვდერს და ა.შ.[2]

რაც შეეხება ყივჩაყებს, აქ ცოტა განსხვავებული სიტუაცია უნდა გვქონდეს. ზემოთ მოყვანილ ფრაგმენტში მემატიანეს რომ უბრალოდ ყივჩაყები ჩაესვა, აქ ნამდვილად არაფერი იქნებოდა გასაკვირი, მათში ვიგულისხმებდით ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის დროიდან საქართველოში დამკვიდრებულ ყივჩაყებს. მაგრამ ამ შემთხვევაში თამარის პირველი ისტორიკოსი ხაზს უსვამს, რომ ესენი იყვნენ „ყივჩაყუნი ახალნი“, ანუ ყივჩაყები, რომლებიც დავითის შემდეგ მოვიდნენ. ჩვენ უკვე მოვიყვანეთ ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის ცნობა იმის შესახებ, რომ გიორგი III-ს გადმოჰყავდა ყივჩაყები და იყენებდა მათ თავის სამხედრო აქციებში.

ეს პრაქტიკა გრძელდებოდა თამარის ეპოქაშიც. ამის შესახებ პირდაპირი მითითება გვაქვს *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“* თხზულებაში. შამქორის ომის წინა ვითარების გაშუქებისას მემატიანე წერს, რომ *„მას ჟამსა ძმა*

---

[1] **В. Б. Пфаф.** Материалы для древней истории Осетии. – *Сборник сведений Кавказских горцев*, IV, 1870, გვ. 31-32.

[2] ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: **В. Б. Пфаф.** Материалы для древней истории Осетии. – *Сборник сведений Кавказских горцев*, IV, 1870, გვ. 31-32; **В. Б. Пфаф.** Материалы для истории Осетии. – *Сборник сведений Кавказских горцев*, V, 1871, გვ. 33-36; **В. В. Миллер.** Терская область. Археологические экскурсии. – Для древней истории Осетии. – *Материалы археологии Кавказа*, I, 1888, გვ. 145; **Л. П. Семёнов.** Археологические разыскания в Северной Осетии, – *Известия Северо-Осетинского научно-исследовательского института*, т. XII, 1948, გვ. 105; *История Северо-Осетинской АССР*. М., 1958, გვ. 175-76; **З. Дидебулидзе.** О культурных взаимосвязях.., გვ. 66-80.

ყივჩაყთა მეფისა სევინჯისა სავალათი აქა იყო სამსახურად“.[1] ე.ი. სრულიად აშკარაა, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში დაფუძნებული ყივჩაყური გაერთიანების ბელადის („მეფის“) სევინჯის ძმა თავისი რაზმით ჩამდგარი იყო საქართველოს მეფის სამხედრო სამსახურში. უნდა ვიფიქროთ, რომ „ყივჩაყნი ახალნი“, რომლებიც ოვსებთან ერთად პირველნი შეეგებნენ თბილისის მისადგომებთან სამეფო სასახლისაკენ ოფიციალურ მიღებაზე მიმავალ შარვანშაჰ აღსართანსა და მის სიძეს ამირ-მირმანს, სწორედ სევინჯის ძმის რაზმიდან იყვნენ.

როგორც ჩანს, ამ „ახალ ყივჩაყებს“ აქტიური მონაწილეობა მიუღიათ შამქორის ომში. ისინი შეადგენდნენ ქართული ლაშქრის ავანგარდს. ამაზე მიუთითებს *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“* შემდეგი ცნობა: *„შეიქმნა ომი და კუეთება არათუ სრულობით წარმოლურითა რაზმისათა, გარნა წინამსრბოლთაგან, რომელთა ყივჩაყთა ენითა „ჭალაშ“ და „დასნაჭტდა“ ეწოდების*“.[2]

უფრო ადრე – 1191 წელს, იმავე *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“* ავტორის ცნობით, ყივჩაყებმა მონაწილეობა მიიღეს გიორგი რუსის დასაბრუნებლად მოწყობილი აჯანყების ჩახშობაში. აი, რას წერს ამის შესახებ თამარის პირველი ისტორიკოსი: *„თუთ ჭიაბერი მანდატურთუხუცესი, ჰერნი და კახნი, დიდებულნი და აზნაურნი, თანა დართვითა ყივჩაყთათა, და შეყრილთა ქართლისა ერისთაჲსა და ქართველთა დიდებულთა, წინაძღუანვითა დავით მეფისა სჯანისათა, დასხმა (ყვეს) ქართლს მყოფთა*“.[3]

აღსანიშნავია, რომ ამ ფაქტს სრულიად სხვანაირად

---

[1] *ქართლის ცხოვრება*.., ტ. II, გვ. 64.

[2] *ქართლის ცხოვრება*.., ტ. II, გვ. 70. ტერმინების „ჭალაშ“ და „დასნაჭტდა“-ს მნიშვნელობის შესახებ იხ.: ჯ. სტეფნაძე. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ს ერთი ადგილის გაგებისათვის. – *ქართული წყაროთმცოდნეობა*, III. თბ., 1971, გვ. 148-151; გ. გაბაშვილი. საქართველო და თურქული სამყარო XI-XII სს.ში. – *აღმოსავლური ფილოლოგია*, III. თბ., 1973, გვ. 93.

[3] *ქართლის ცხოვრება*.., ტ. II, გვ. 53.

გადმოგვცემს ვახუშტი ბაგრატიონი. მისი თქმით, *„სცნეს ესე ჭიაბერ, ჰერ-კახთა დიდებულთა და ყივჩაყ-ოსთა ქართლს მყოფთა, რომელთა ენებათ თამარის თავს-დასხმა; ხოლო ამის გამო ვერღარა იკადრეს, არამედ ითხოვეს წინაღმდგომთა ზედა ლაშქრობა და ნება ჰსცა თამარცა“*. ე. ი. ვახუშტის მიხედვით, „ყივჩაყ-ოვსნი“ თამარისა და დავით-სოსლანის მოწინააღმდეგეთა ბანაკში ყოფილან, რაც ნამდვილად დაუჯერებელია. ჩვენი აზრით, მართალია გ. თოგოშვილი, როდესაც ასკვნის, რომ ვახუშტის ცნობა სინამდვილეს არ შეესაბამება და იგი თამარის ისტორიკოსის ცნობის არასწორი გაგების შედეგია.[1]

ამით ვასრულებთ *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“* თხზულებაში გადმოცემული ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ისტორიული წარსულისა და საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობების ამსახველი მასალების ანალიზს. სრულიად გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული მასალები წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით უაღრესად სანდოა. ისინი იძლევიან მეტად საყურადღებო ინფორმაციას როგორც საკუთრივ საქართველოს ჩრდილოელ მეზობლებზე, ისე მათთან ჩვენი ქვეყნის ურთიერთობებზე.

§3. *„ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი„* ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებისა და საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობების შესახებ

ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან საქართველოს სახელმწიფოს ურთიერთობები აირეკლა თამარ მეფის მეორე მემატიანის თხზულებაშიც, რომელიც *„ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისის“* სახელითაა ცნობილი. ეს თხზულება შეტანილია ივ. ჯავახიშვილის მიერ 1923 წელს აღმოჩენილი *„ქართლის ცხოვრების“* ე.წ. „ჭალაშვილისეულ“ ხელნაწერ-

[1] გ. თოგოშვილი. ვახუშტი ბაგრატიონი.., გვ. 82-83.

ში.[1] ივ. ჯავახიშვილსავე ეკუთვნის აღნიშნული თხზულების ტექსტის დადგენა.[2] მკვლევრებში ეჭვს არ იწვევს ის, რომ მატიანის ავტორი თამარ მეფის თანამედროვეა, თუმცა მისი ვინაობა ჯერჯერობით არ შეიძლება დადგენილად ჩაითვალოს.

თავის დროზე აკად. ივ. ჯავახიშვილმა შემოგვთავაზა უაღრესად მახვილგონივრული მიგნება, რომლის თანახმადაც თამარის მეორე ისტორიის ავტორად თვით თხზულებაში მოხსენიებული ბასილი ეზოსმოძღვარი მიიჩნია.[3] მართალია, ამ ჰიპოთეზამ პოვა გარკვეული მხარდაჭერა, რაც იმაში გამოიხატა, რომ ჯერ ვ. დონდუამ, ხოლო შემდეგ კი ს. ყაუხჩიშვილმა აღნიშნული მატიანე გამოაქვეყნეს, როგორც ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულება,[4] მაგრამ იმთავითვე გაჩნდა სხვა თვალსაზრისიც.

მაგალითად, ი. აბულაძემ ჯერ კიდევ 1938 წელს უარყო ბასილი ეზოსმოძღვრის ავტორობა და თამარის მეორე ისტორიის ავტორად თვით შოთა რუსთაველი მიიჩნია[5]. არც აკად. კ. კეკელიძემ მიიღო ბასილი ეზოსმოძღვრის ავტორობის იდეა.[6] შოთა რუსთაველის ავტორობას მხარს უჭერდა ს.

---

[1] **ივ. ჯავახიშვილი.** ახლადაღმოჩენილი „ქართლის ცხოვრება" და თამარ მეფის მეორე აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება. – *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტ. VIII. თბ., 1977, გვ. 373-395.

[2] ივ. ჯავახიშვილის მიერ დადგენილი ტექსტი გამოიცა მისი გარდაცვალების შემდეგ. იხ.: **ბასილი ეზოსმოძღვარი.** ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი. – *ენიმკის მოამბე*, XIV. თბ., 1944.

[3] **ივ. ჯავახიშვილი.** „ქართლის ცხოვრება" და თამარ მეფის მეორე აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება, გვ. 390.

[4] **В. Д. Дондуа.** Басили, историк царицы Тамар, – *Памятники эпохи Руставели.* Л., 1938; **ბასილი ეზოსმოძღუარი.** ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, – *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი *ს. ყაუხჩიშვილის* მიერ, ტ. II. თბ., 1959, გვ. 115-150.

[5] **ი. აბულაძე.** ცნობა შოთა რუსთაველის ისტორიული თხზულების შესახებ. – *ენიმკის მოამბე*, III, თბ., 1938, გვ. 201-207.

[6] **კ. კეკელიძე.** ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II. თბ., 1981, გვ. 276-278.

კაკაბაძეც.[1] *„ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისის“* ავტორის ვინაობის დადგენის საკითხს სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა *„ქართლის ცხოვრების“* კრებულის აღიარებულმა მკვლევარმა კ. გრიგოლიამ, რომელმაც ასევე არ გაიზიარა ბასილი ეზოსმოძღვრის ავტორობის ვერსია. მეცნიერის აზრით, თამარის მეორე მემატიანე იყო მისი თანამედროვე, რომელიც სამეფო კარზე ტრიალებდა, თუმცა მისი პიროვნების დადგენა ამ ეტაპზე კ. გრიგოლიამ შეუძლებლად მიიჩნია.[2] ბასილი ეზოსმოძღვრის ავტორობას უარყოფს მ. ბერძნიშვილიც.[3]

გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ნაწარმოების შექმნის თარიღმაც. ივ. ჯავახიშვილი, ითვალისწინებდა რა, თუ როგორი „სიცხოველითა და გრძნობიერებით“ არის აღწერილი თხზულებაში თამარის გარდაცვალების ეპიზოდი, მიიჩნევდა, რომ მემატიანეს თავისი ნაშრომის დაწერა „მეფის გარდაცვალების უმალ“ უნდა დაემთავრებინა. მისი აზრით, „მთელი შრომა 1210-1213 წლებში უნდა იყოს დაწერილი“.[4] პ. ინგოროყვა შეუძლებლად მიიჩნევდა ზუსტი თარიღის დადგენას და თვლიდა, რომ თამარის მეორე ისტორია დაიწერა XIIIს. I ნახევარში.[5] ს. კაკაბაძის აზრით, თამარის *„ცხოვრების“* დაწერის ზედა ზღვარი არ უნდა გადაცდეს 1225 წელს, როდესაც საქართველოს ჯარმა დიდი მარცხი განიცადა გარნისის ომში.[6] კ. კეკელიძე კი ამ ფაქტს 1236 წლის შემდგომი პერიოდით ათარიღებდა.[7] ამ საკითხს შეეხო ი. ლოლაშვილიც, რომელმაც თამარის მეორე ისტორიის დაწერის „ყველაზე სარწმუნო“ თარიღად 1236-1245 წლები მიიჩნია.[8] ა. შანიძის

---

[1] ს. კაკაბაძე. რუსთაველი და მისი პოემა.., გვ. 112.

[2] კ. გრიგოლია. თამარის მეორე ისტორიკოსის ვინაობისა და მისი დათარიღებისათვის. – *თსუ შრომები*, III. თბ., 1938, გვ. 359-373.

[3] **М. М. Бердзнишвили.** Второй историк царицы Тамар.., გვ. 14.

[4] **ივ. ჯავახიშვილი.** ახლადაღმოჩენილი.., გვ. 390.

[5] **პ. ინგოროყვა.** ჩახრუხაიძე, გვ. 277.

[6] ს. კაკაბაძე. რუსთაველი და მისი პოემა.., გვ. 112.

[7] კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ.

[8] ი. ლოლაშვილი. რუსთაველი.., გვ. 35-36.

მიხედვით, *„ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“* XIIIს. დამდეგით უნდა დათარიღდეს.[1] ამ ბოლო დროს თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულების დაწერის თარიღთან დაკავშირებით მოსაზრება გამოთქვა თხზულების რუსული თარგმანის გამომცემელმა მ. ბერძნიშვილმა. მისი დაკვირვებით, თამარის *„ცხოვრება“* 1211-1222 წლებით უნდა დათარიღდეს.[2]

ქართულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ კარგად არის დამუშავებული *„ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისის“* წყაროთმცოდნეობითი პრობლემები[3] და ეს მატიანე სამართლიანადაა მიჩნეული თამარის ეპოქის ამსახველ მეტად სანდო წყაროდ. მართალია, თამარის მეორე ისტორიკოსი, *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“* ავტორისაგან განსხვავებით, თითქოს ნაკლებად აშუქებს საგარეო-პოლიტიკურ მოვლენებს და მეტ ყურადღებას უთმობს სამეფო კარისა და თვით მეფის პირადი ცხოვრების ინტიმურ მხარეებს,[4] მაგრამ სრულიად აშკარაა, რომ ეს თხზულება შეიცავს არანაკლებ საინტერესო ცნობებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის სფეროშიც, მათ შორის მასალებს საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობების კუთხითაც.

პირველი ცნობა, რომელიც იპყრობს ჩვენს ყურადღებას, ესაა ფრაგმენტი თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებიდან, რომელშიც დაფიქსირებულია გიორგი III-ის ოვსთა მეფის ასულზე დაქორწინების ფაქტი: *„დაჯდა ნებითა ღმრთისათა თამარ მეფედ... შვილი მეფეთ-მეფისა გიორგისი, დიდისა დავითის ძისა დემეტრეს ძისაგან, ცოლისაგან ბურდუხან ოვსთა მეფისა ასულისა, რომელი ჰმატდა სიკეთესა დედათასა*

---

[1] ა. შანიძე. ბასილი ეზოსმოძღვრის ისტორიული თხზულების ერთი შერყვნილი ადგილის წაკითხვისა და განმარტებისათვის, – *თსუ შრომები*, ტ. 99. თბ., 1962, გვ. 248.

[2] **М. М. Бердзнишвили.** Второй историк царицы Тамар.., გვ. 21.

[3] **იგ. ჯავახიშვილი.** ახლადაღმოჩენილი.., გვ. ; **М. М. Бердзнишвили.** Второй историк царицы Тамар.., გვ. 10-24.

[4] **В. Д. Дондуа.** Басили, историк царицы Тамар, გვ. 8.

სხუთა ყოვლითა, გარნა თამარის დედობითა, სძალი სხუა მისებრი მაშინ არა ეხილვა ქართლისა თემსა და შემდგომითი – შემდგომად აქონ“.[1] ამ ცნობაში საყურადღებოა იმდროინდელი ქართული საზოგადოების დამოკიდებულება ბურდუხან დედოფლისადმი. როგორც ჩანს, გიორგი III-ის თანამეცხედრე მართლაც სრულიად გამორჩეული თვისებების მქონე ადამიანი ყოფილა, რადგან თამარის მეორე ისტორიკოსი მასზე (ისევე როგორც *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“* ავტორი) ასე აღტაცებითა და მოწიწებით წერს.

ბურდუხან დედოფლის განსაკუთრებულობაზე მიუთითებს თუნდაც ის გარემოება, თუ როგორ ტრაგიკულ ფერებში აღწერს მის გარდაცვალებას *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“* ავტორი: *„შემდგომად ამისა დღეკეთილობასა და სუესრულობასა შინა მოიწია თანანადები სოფელსა ამას შინა, არამედ მოსრულთა, გარნა უჟამო და შეუსწორებელი შემცირებით განწესებულთა მოქცევათა, და მიიცვალა დედოფალი (ბურდუხან), დედა თამარისი, **სწორი ძისა ღმრთისა დედისა**. და თუ ვითარ ვამთა და ვაებათა სიმრავლენი იქმნეს, შესატყუსნი მოსაწევარისანი, რომელმანცა ენამან გამოთქუა? გარნა ესოდენ ვთქუათ პატივად და სიმტკიცედ მოსაწევართა. მეფესა, გეგუთს მყოფსა, უთხრეს ესეოდენ ზარგან დილობა. თმათა და წუერთა ამფხურელმან, მსგავსად მათ აბესალომ ოქრომთნისათა, და ცრემლთა ნაკად-დენითა ათასეულთა და ბევრეულთა მცემელმან მკერდსა, მკულელ ულონო ქმნილმან აღიკუეცნა თმანიცა თავისა მისისანი, სოფლისანი, და ესევითარითა შემუსვრილითა (გულითა) აღისწრაფა შეყრა საყუარელისა და ტკბილისა დედისაგან უსამშობლო ქმნილისა, რომელსა ნათელი ცისკროვანება ჰაერისა მისისა სიმრუმედ გარდაქცეოდა. და ნაკადნი ცრემლთანი ოთხთავე თუალთაგან, მოხუევასა შინა ურთიერთას, მსგავსად სამოთხისა მომცენარეობდეს საბე მგონისა, ვინათგანცა ესრე იქმნა ქუეყანა ქარ-*

[1] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. II, გვ. 116.

თლისა, კუალად ნუგეშინის-მცემელი და შემატკბობელი შვილისა საყუარელისა და სატურფოსა უმეტეს ზომისა იმედის მდებელ ექმნა ორკერძოვე სიყუარულისა მინიჭებითა და ვაჟისა უქმნელობითა. დააგდო ქართლი და მიჰმართა ჩალმართ. ვითარცა წესი იყო, რა გარდა და ჟამი ამის ვაჟისა და მოსაწევრისა მოქცევისა, კუალად იშუებდა მონადირე მთათა და ბართა, ბრძანებითა მპყრობელი აღმოსავლეთისა და (დასავლეთისა), ჩრდილოსა და სამჴრისა".[1] დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ქართულ მატიანეებში დედოფლის გარდაცვალებაზე ასე საგანგებოდ ყურადღების გამახვილება თითქმის უპრეცედენტოა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ მემატიანე ბურდუხან დედოფალს თვით მარიამ ღვთისმშობლის „სწორად" აცხადებს.

არანაკლებ საინტერესოა *„ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისის"* ცნობა დავით-სოსლანზე: *„იყო უკუე შვილი ოვსთა მეფისა, გაზრდილი რუსუდან დედოფლისა, ყრმა ფრიად შუენიერი ასაკითა, ვითარცა შუენის მეფეთა შვილსა, სხჳთა კულა ზრდილობითა კეთილად წურთილი, მჴნე და მჴედარი ძლიერი, რაინდობითა უსწორო და მშჳლდოსნობითა შემმართებელი, ტანითა აზოვანი და ყოვლითურთ სიკეთითა. ამისი ინებეს ყოველთა შეერთება თამარისი და საქმე ღმერთსა მიანდვეს. თამარცა მიემორჩილა ნებასა მათსა მეცნიერებისათჳს ყრმისა. არღარა ყოვნეს, არამედ შეიყარნეს დიდებეს, და შერთეს დავით თამარს. შემოვიდეს ტფილისად, დასხდეს ტახტსა ბაგრატიონისა ორნი მნათობნი, ორნი მზენი, ორნი განმანათლებელნი. განისარა დიდითგან მცირედმდე ყოველმან ერმან, და ნიშანნი ცხოვრებისანი მაშინვე იხილვებოდეს მათ ზედა იყვნეს ლაშქრობანი გამარჯუებულნი ზემოთ და ქუემოთ, და არა სადათ ვინ ჩნდა წინააღმდგომნი".*[2]

როგორც ვხედავთ, მემატიანე არა მხოლოდ აღნიშნავს,

---

[1] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. II, გვ. 22.
[2] *ქართლის ცხოვრება..*, ტ. II, გვ. 121-122.

რომ დავით-სოსლანი იყო ოვსთა მეფის ძე, არამედ საგანგებოდ უსვამს ხაზს მის „მეფეთა შვილობასაც“. „მეფეთა“-ს მრავლობით რიცხვში მოხსენიება შეიძლება არც იყოს შემთხვევითი. სავსებით დასაშვებია, მემატიანე ამით ცდილობს მიგვანიშნოს, რომ დავით-სოსლანი მართლაც იყო *„ორთავე კერძოთა გუართაგან საჴელმწიფო“*, ანუ როგორც დედის, ისე მამის ხაზით დიდ მეფეთა — ბაგრატიონთა შთამომავალი.

თამარ მეფის *„ცხოვრებაში“* არის ცნობა, რომელშიც იხსენიებიან ყივჩაყები, თუმცა, სრულიად აშკარაა, რომ ამ ყივჩაყებს არაფერი აქვთ საერთო ჩრდილოეთ კავკასიაში არსებულ ყივჩაყურ გაერთიანებასთან. მხედველობაში გვაქვს ფრაგმენტი, რომელშიც მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ დასაჯა თამარ მეფემ ანტონ ჭყონდიდელის ორი ძმის მოკვლისათვის ხუთი ძმა კახაბერის ძენი: *„მოუწოდა ხუთთავე, და სიბრძნითა თჳსთა შეიპყრნა და თჳთო თჳთოსა ციხესა შესუალ, რათამცა განიწუართნეს. არამედ იგინი იგივე იყვნეს, ამისთჳს ეჴსორია ყვნა მაკედონიას საბერძნეთისასა და მუნ მოსწყდეს ყივჩაყთა მიერ კარგნი ჭაბუკნი ბრძოლასა შინა, ვითარცა გუესმა“*.[1] ე. ი. საქართველოდან გაძევებული კახაბერის ძენი ყივჩაყებთან შეტაკებაში გმირულად დაცემულან და ამის შესახებ ინფორმაცია მათ სამშობლოში ჰქონიათ. სავარაუდოა, რომ კახაბერის ძენი იბრძოდნენ ბიზანტიის იმპერიის ლაშქარში, რომელსაც რაღაც ომი გადაუხდია ყივჩაყებთან.

და ბოლოს, კიდევ ერთი ცნობა თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის თხზულებიდან, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის საქართველოს სახელმწიფოს ჩრდილოური პოლიტიკაზე XIIს. მიწურულსა და XIIIს. დამდეგს. აძლევს რა მაღალ შეფასება თამარის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას, მემატიანე აღნიშნავს: *„და წამებს ამას ყოველი მახლობელი სამეფო გარშემო ქართლისა, თუ რაოდენნი დაგლახაკებულნი*

[1] *ქართლის ცხოვრება*.., ტ. II, გვ. 131.

მეფენი განამდიდრნა, რაოდენთა მიმძლავრებულთა უკუნ სცა სამეფო თუსი, რაოდენნი განდევნილნი სამეფოდვე თუსად კუალად აგნა და რაოდენნი სიკუდილად დასჯილნი განათავისუფლნა. და ამის მოწამე არს სახლი შარვანშეთი და დარუბანდელთა, ღუნძთა, ოვსთა, ქაშაგთა, კარნუ-ქალაქთა და ტრაპიზონელთა, რომელნი თავისუფლებითსა ცხოვრებასა ამის მიერ იყვნეს და მტერთაგან უზრუნველობასა".[1] მკვლევართა საერთო აღიარებით, აქ ჩამოთვლილი ქვეყნები და ხალხები, მათ შორის „სახლი... დარუბანდელთა, ღუნძთა, ოვსთა, ქაშაგთა", ყმადნაფიცობის პირობით ემორჩილებოდნენ საქართველოს სამეფო კარს.[2]

ამასთან, ქართულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ მკაფიო წარმოდგენა, თუ რას გულისხმობდა ეს ყმადნაფიცობის სისტემა. პ. ინგოროყვას აზრით, იმიერკავკასიის ქვეყნების „ერთი რიგი": ღუნძეთი – დაღესტნის სამფლობელოებით; დურძუკეთი (საჩეჩნო), ოვსეთი, ქაშაგეთი (საჩერქეზო) „ითვლებოდნენ საქართველოს სახელმწიფოს პროტექტორატად" და „შეადგენდნენ საქართველოს სახელმწიფოსთან მჭიდროდ დაკავშირებულ ერთს პოლიტიკურ გაერთიანებას".[3] ღვაწლმოსილი მეცნიერის დასკვნით, „საქართველოს სახელმწიფოებრივი დოქტრინის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო, მასთან ერთად საქართველოს სახელმწიფოში შემავალი ავტონომიური შარვანის სამეფო (მისი ორი ქვეყანა – შარვანი და დარუბანდი) და საქართველოს სახელმწიფოს ექვსი პროტექტორატი (ოთხი ჩრდილოეთ კავკასიაში და ორი ანატოლიის სანაპიროზე (ტრაპიზონის საკეისრო და კარნუ-ქალაქის

---

[1] *ქართლის ცხოვრება*.., ტ. II, გვ. 147.

[2] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 295-296; შ. მესხია. საქართველოს საშინაო და საგარეოპოლიტიკური ვითარება რუსთაველის ეპოქაში. – წგნ შ. მესხია. საისტორიო ძიებანი, ტ. III. თბ., 1986, გვ. 154.

[3] პ. ინგოროყვა. რუსთველიანას ეპილოგი, – *თხზულებანი*, ტ. I, თბ., 1963, გვ. 548.

საამირო) — წარმოადგენდა ერთს პოლიტიკურ თანამეგობრობას, რომელსაც საქართველოს სახელმწიფომ მიანიჭა „თავისუფლებითი ცხოვრება“ და „მტერთაგან უზრუნველობა“.[1]

ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ყმადნაფიც ქვეყნებზე არ ვრცელდებოდა ქართული სახელმწიფოებრიობა. უფრო მეტიც, ვარაუდობენ, რომ „XII ს. მიწურულისა და XIII ს. დამდეგის საქართველოს სახელმწიფო, თამარის დროინდელი პოლიტიკის შედეგად, არსებითად საკუთრივ საქართველოსა და მისი ყმადნაფიცი ქვეყნებისაგან („სახლებისაგან“) შედგებოდა“,[2] მაგრამ ეს ქვეყნები მხოლოდ პოლიტიკურად იყვნენ დაკავშირებულნი საქართველოსთან, რომლის ხელისუფლება ადგილობრივ ადმინისტრაციას ხელუხლებლად ტოვებდა. ყმადნაფიცი „ქვეყნების“ სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურა განსხვავდებოდა ფეოდალურ საქართველოში არსებული სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციისაგან.[3]

ყმადნაფიცობის ინსტიტუტის არსს საგანგებოდ შეეხო მ. ბერძნიშვილი. მისი დაკვირვებით, ყმადნაფიცი ქვეყნის საქართველოსთან დამოკიდებულება ისეთივე იყო, როგორც ყმისა პატრონის მიმართ. „ყმადნაფიცი ქვეყნის მმართველი თავის ქვეყანაში ისეთივე მმართველია, როგორც ყმადნაფიცობამდე იყო, მაგრამ იგი მოვალეა თავის პატრონს (ამ შემთხვევაში საქართველოს სამეფო, მეფე) ემსახუროს „მონობითა ყმებრივითა“. ყმებრივი სამსახური კი გამოიხატებოდა მეფისადმი ერთგულებისა, „ნიჭისა და ძღვნის“ მიცემასა და საჭიროებისას სამხედრო ძალის გამოყვანაში. პატრონი კი (საქართველოს მეფე) მოვალე იყო დაეცვა თავისი ყმა და აგრეთვე „უბოძის საბოძვართა სიმრავლეს“...

ყმადნაფიცი ქვეყნის საშინაო მმართველობას მეფე არა ცვლის, პირიქით, პატრონი (საქართველო) ცდილობს გააძ-

---

[1] პ. ინგოროყვა. რუსთველიანას ეპილოგი.., გვ. 549.

[2] შ. მესხია. საქართველოს საშინაო და.., გვ. 154.

[3] ვ. აბაშმაძე. ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან. თბ., 1969, გვ. 173.

ლიეროს ყმადნაფიცი ქვეყნის მეფეთა ძალაუფლება და თავისუფალი ცხოვრება შეუნარჩუნოს. ამ ქვეყანათა ერთგულების სამაგიეროდ, საქართველო უზრუნველყოფს მათ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. ყმადნაფიცი ქვეყნები „თავისუფლებითსა ცხოვრებასა ამის მიერ იყუნეს და მტერთაგან უზრუნველობასა"... ე. ი. ყმადნაფიცს შინაურ ცხოვრებაში საქართველოს მეფისაგან მინიჭებული აქვს სრული დამოუკიდებლობა — „თავისუფლებითი ცხოვრება", საგარეო ურთიერთობაში კი საქართველო მისი დამხმარე და დამცველია".[1]

